

K 17.712
4



საქართველოს
ისტორიული
გეოგრაფიული
კატეგორია

VI

• მ ე ც ნ ი ე რ ე ბ ა .

საქართველოს სსრ მიცნაირიაბათა აკადემია

ნო. კულტურის სახ. ისტორიის, არქოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტი
გვ. მეცნიერებების სამსახურის მიერ მიღებული მუნიციპალიტეტის მიერ მიღებული

ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს
ისტორიული გაობრაფის პრეპული
ტ. VI



საქართველოს „მიცნაირიაბა“

თბილისი

1982



კრემულში განშილულია საქართველოს სხვადასხვა რეგიონებს
ისტორიული გეოგრაფიის საკითხები, კერძოდ, დადგენილია თბი-
ალეთის სოფლების მფლობელთ ვინობა, შიდა ქართლის ერთ-
ერთი სათავეაღოს, სამაჩაბლოს, საზღვრები, მოცემულია თორის
წინაფერდალური ხანის არქოლოგიური ძეგლების განლაგება,
გარევაულია გვანტფორდალური ხანის კავთის სამეცნის სახლებები,
კინიგის ისტორიული გეოგრაფიის საკითხები და მოტანილია
მასალები ვაკე-იმერეთის ტოპონიმიკიდან.

დავი გარდინიშვილი

თრიალეთის უცნობი ფარგლები

განვითარებული ფეოდალიზმის ხანის საქართველოს ისტორიაში, მის პოლიტიკურ, თუ ეკონომიკურ ცხოვრებაში ახალი ძალით შემოდის ჩენი ქვეყნის სამხრეთ მთიანეთის ზეგანი: ტაშირი, ზურტაკეტი, თრიალეთი, ჯავახეთი... ამაში დიდ როლს ასრულებდა იმედინდელი პოლიტიკური სიტუაცია, ხელსაყრელ ისტორიულ-გეოგრაფიულ გარემოში შექმნილი, აგრეთვე ეკონომიკური, ეთნიკური თუ სხვა რიგის მოვლენათა ურთიერთდამთხვევა¹.

ამ გარდამავალ ეტაზზე მზარდი ფეოდალური საზოგადოების მიერ უძველესი ტრადიციების მქონე ქვეყნების ახლებური ათვისება ხდებოდა. ერთი ასეთი მოვლენა ლაკონიურად ისახა მემატინის სიტუაციებში: „...შეძებურნა ლიპარიტ ქუეყანანი თრიალეთისანი, აღავ ციხე კლდეკართა და იპატრონა დავით ბაგრატის ძე². ეს იყო IX ს. მეორე ნახევარში.

არგვეთელ ბაღვაშთა მიერ შექმნილმა კლდეკარის საერისთავომ თრმშეფოთვარე საუკუნეს გაუძლო. ეს იყო წლები სსტივი ბრძოლებისა საქართველოს გამაერთიანებელ მეფეთა, მეზობელ მეფე-მთავართა თუ უცხოელ დამპყრობთა წინააღმდეგ. თრიალეთის ენერგიული მეპატრონენი აქტიურად მონაწილეობდნენ კავკასიის პოლიტიკურ ასარებზე, ხოლო ბაღვაშთა უძლიერესმა წარმომადგენელმა XI საუკუნეში, როგორც მემატინე იტყოდა, „ყნინდა მეფობა იკადრა“.

წერილობით წყაროებს, ამ საერისთავოს შესახებ რომ მოგვითხრობენ, ემატება ეპიგრაფიკული ძეგლების დიდი რაოდენობა, რომელიც აქ შემორჩენილა. თთვემის ყოველ ახალ აოშენებლობას კლდეკარის საერისთავოში ბაღვაშთა ძალუმი დაღი აზის. ამ წარწერებს შეჰქებია მრავალი მკვლევარი, ვინც კლდეკარის საერისთავოთა დაინტერესებული.

ამჯერად ყურადღება უნდა გავამახვილო წარწერათა ერთ ჭგუბზე, რომელიც XI—XIII სს. ეკუთვნის და ნაკლებადა ცნობილი, ან საერთოდ უცნობია³. გარდა თავისთვავადი ლირებულებისა, რაც ამ ეპიგრაფიკულ ძეგლებს

¹ დ. ბერძენიშვილი, ქვემო ქართლის ისტორიული გეოგრაფიიდან, „მაცნე“, 1968, № 6, გვ. 107.

² მატრანე ქართლისა, ქართლის ცხოვრება ს. ყაუხსიშვილის რედაქციით, I, თბ., 1955, გვ. 258. შემდეგ ყველგან: ქ. ც.


³ ეს წარწერები სხვადასხვა წლების ისტორიულ-გეოგრაფიულ ექსპედიციებში ყოფნისას შეფინიცეთ.

აქვთ, ისინი საინტერესო კითხვებს აღძრავენ თრიალეთისა თუ კლდეკარის სა-
ერისთავოს ირგვლივ.

მარტინ შემ
გიორგი გიგა

პირველი ორი წარწერა ზუსტადაა დათარიღებული ქორონიკონით, რაც
მტკიცე საყრდენს იძლევა ბალეოგრაფიული თუ ისტორიული კვლევისათვის;
ესენი ბალჩალარისა და ქვემო ყარბაშულახის ეკლესიათა წარწერები ისტორი-
ულ ზურტაეტში, ამჟამად დმანისის რაიონს რომ ეკუთვნის. იქ ახლა თურ-
ქულენოვანი მოსახლეობაა.

1. ბალჩალარში წარწერა ბალვრის ლოდზეა ამოჭრილი, რომელიც შეა-
ზეა გადატეხილი; ეს ქა ძირს გდია; (ტაბ. I, 1, 2) მოზრდილი დაბაზული საყდ-
რიდან თითქმის აღარაფერია გადარჩენილი. ბალვრის ქვას რელიეფური ჩარჩო



ნახატი I

დაუკვება ოთხივე მხარეს; შეაში წრეში ჩასმული ჯვარია გამოსახული, ხოლო
წარწერა მის ორივე მხარეზეა მოთავსებული ისე, რომ ქვაზე თავისუფალი
აღვილი წარწერის გარეშე საკმაოდ რჩება⁴ (ნახაზი I). იგი ასე იკითხება:
„ქ(რისტ)ე, შ(ე)გ(ი)წ(ე)ლ(ე)ნ ნ(ი)ქ(ო)ლ(ო)ნ/და ივ(ა)ნე. /შ(ე)გ(ი)ვ(ნ)თა/
ღ(მრთისამ)თა ღ(ა)ღ(დ)ვა/ბ(ა)ლ(ა)ვა/რი ესე ქ(ო)რ(ონი)ქ(ო)ნ/სა სკიტ(1018 წ.)
ვ(ე)ლ(ი)თა ც(ო)დ(ვი)ლისა მ(ი)ქ(ე)ლ/(ისი)თა“. საინტერესოა, რომ ქორონი-
კონის აღმნიშვნელ ასოთა ჯგუფში ათეულების გადმოსაცემად ერთის მავიერ
ორი ასოა ნანგრევი (კ—20, ი—10), რაც ზუსტად გმოხატავს გამოთქმას „ოც-
დაათი“. ასეთი შემთხვევები ხშირია ქართულ ეპიგრაფიაში და აისანება ჩვენ-
თვის დამახასიათებელი ოცნებითი თვლის სისტემით. უფრო შორეულ მაგალი-
თებს რომ თავი დავანებოთ, იქვე ზურტაეტში სოფ. ამბარლოს წარწერის
ქორონიკონში ასევეა გაღმოცემული ორმოცდათი: მი(3—40, ი—10).

⁴ ამ წარწერის ფოტო გვმოქვეყნა რ. მე ფისა შვილშაც, იხ. მისი: კილვ ერთხელ
შოლინისა და დმანისა ძეგლების შესახებ. „მეგლის მეგობარი“, № 26, 1970, გვ. 28.




ამ წარწერის ნიკოლოზ და ივანე, ცხადია, ქტიოტორები არიან, შესაძლოა შემა-შვილი ან ძმები. ისინი აღილობრივი ფეოდალები ჩანან; „ცოდვილი-მრავალი“ ეკალატოზია ანუ „ხუც-გალატოზი“, როგორც ის დიდი გომარეთის ერთ წარწერაში იხსენიება (და არა „ხუცეს-გალატოზი“, რასაც ექვთ. თაყაი-შვილი ვარაუდობდა). ქ. კეკელიძის დაკვირვებით, ამ სახელით „გალატოზთა მოძღვარი“ ან „მთავარი“ აღინიშნებოდა. როგორც ვხედავთ, ზურტაკეტის სხვადასხვა მხარეში მიქელს ეკლესიები უშენებია XI ს. 10—20-აან წლებში.

2. ბაღჩალარიდან დასავლეთით, დასხლ. 8—10 კმ-ზე, მდებარეობს სოფ. ქვემო ყარაბულაში. მოსახლეობა აქც თურქულენოვანია. შუა სოფელში აღ-რეფერდალური საყდრის ბუდეება შემორჩენილი ნალისებური აფსიდით. მეო-რე, მთელი საყდარი სოფლის განაპირის გორაჭე დგას. გომარელი ქართველე-ბი მას „გალმა სარეის წმ. გოორგის“ უწოდებენ (სარეის წმ. გოორგი ცნობილი სალოცავია ამას ხეობაში; მისივე ნიში მდგრად დედოფლის მინდორზე არა-დეთანაც). ცხადია, ზურტაკეტში ეს სახელი ქართლიდან გვიან ამოსულ მო-სახლეობას უნდა მოჰყოლოდა).

გამა სარეის წმ. გოორგი მცირე ზომის დარბაზული ეკლესია, ვეება ლოდებით გალავანშემოვლებული; შესასვლელი სამხრეთიდან აქვს და თითო სარემელი O, S და W კედლებზე. შესასვლელის მახლობლად ბაზაში ჩასმული ქვაგარია აღმართული, რომელზედაც არავთარი გამოსახულება აღია მო-ჩანს. (ტაბ. II, 1).

ბაღავრის ქაზე ხუთსტრიქონიანი ასომთავრული წარწერა ამოკოდვი-ლი. ქვედა სამ სტრიქონის შუაზე ყოფს წრეში ჩასმული ჯვრის მსგავსი ვარ-



ნახაზი II

დული (ნახაზი II). წარწერა ასე იკითხება: „ქ. სახ(ე)ლით(ა) ღმ(მითისამთ)ა ესე ეკლეს(ი)ა წ(მიდი)სა გ(იორგ)ისი/მ(ა)ს უამს(ა) ალეშენ(ა), ოდეს მვ(ა)ნეს ჰქ(ო)ნდა ნ(ი)კ(ო)ლ(ო)ზ(ი)ს/ ძესა, ს(ა)ღ(იდე)ბლ(ა)დ ს(უ)ლისა მ(ა)თის(ი),

5 ქ. კეკელიძე, „ხუც“ ტერმინისათვის სერაპიონ ზარზმელის „ცხოვერებაში“, ეტიუ-დები ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, I, 1956, გვ. 237.

6. ი. გაგოშიძე, წარმართული ტაძარი დედოფლის მინდორზე, „ძეგლის მეგობარი“, № 35, 1974.

დღლგრძელებისათვის ძის(ა) მ(ა)თ(ის)ა ნიკოლოზის(ა)/
კრისტიანების კრისტიანების კრისტიანების

თარისტრირებული წარჩერაა (ტაბ. II, 2). იგი სუ იკონებია (ნახა-
ზი III): „ქ(რისტ)ე აღ(ი)დე მ(ელ)ქ(ი)ზ(ედე)კ ქა(რ)თ/ლ(ი)სა კ(ათა)ლ(ი)კ
(ოჩ)ი. ქ(ორონიკონი) იყო...“ და მეტი აღარაა. ჩანს, არც დაუწერიათ.

კვადრატულ საყრდენზე, რაზედაც კვარია ღმართული, სამსტრიქონიანი, გადაშლილი წარწერა ირჩევა: „ქ(რისტ)ე შ(ერიყალ)ე/ გ(ა)ლ(ა)/ტ(ოზ)ნი“. საერთო შთაბეჭდილება ისეთია, თითქო ქვის ღანარჩენი ნაწილიც შემდეგ ამოსაპრელი წარწერისათვის იყო გამზადებული...

პალეოგრაფიული ნიშნებთაც და ჯერის ფორმითაც წარწერა XI ს. ეკუთვნის. ეს მოხსენიებული შეღწევისებული ქართლისა კათალიკონი ქართული ეკლესიის საქაფთბერობელია 1010—1033 წწ., დაუცხრომელი მოღვაწე, სვეტიცხოვლის „მეორედ აღმშენებელი“, ოომელისაც ყვლესის, შემკიბალისან ერთად, მრავალი სოფელი შესძინა და შეუვალობა მოუპოვა; თავის „დაწერილში“ სვეტიცხოვლისადმი (1029—1033 წწ.) იგი ჩამოთვლის სოფლებს, მას რომ „მოუგაა“. ეს საკე არ ჩანს, ამიტომ უნდა ვითქიროთ, რომ ეს სოფელი აღრევე ეკუთვნონდა სვეტიცხოველს. „და რომელი სოფელი ძულად ჰქონდეს ამას წმიდასა დედაქალაქესა, შესავალი იყუნეს; და მე მოვაკსენე გამზრდელსა ჩემსა ბაგრატ კურაპალატსა და შეუვალად გამიჭადნეს და მიბიძეს სიმტკიცე შეუვალობისა....

და ყოველი სოფელი, რომელი შემიღებისა მის კათოლიკე ეკლესიისანი არიან, ავაშენენ და დავდგენ ყოველგან სახლნი; და ავაენ ეკლესიანი რიცხვთ ყოველნივე⁷. სწორედ ამ ბოლო სტრიქონებიდან უნდა ჩანდეს, თუ როდის და რატომ აუგაა მერქისელექს საყდარი სოფ. საჭეში, რომელზედაც თავისი სახელიც დაუტოვებია.

4. მელქისედეკის მომდევნო კათალიკოსის — ოანგეს სახელთანა დაკავშირებული სოფ. კიროვისის წარწერა. ეს სოფელიც მდ. ყარაბულახის მაჩვენა სანაპიროზე, სოფ. საჭიდან N მხარეს, დაახლ. 4—5 კმ-ზე. ძველი საყდრიდან იქ ახლა მხოლოდ ცალკეული ლილებიღლა გადარჩენილი; ერთ მათგანზე ორნამენტია: სამმაგი ზოლებით გამოხატული, ერთმანეთში ჩახვეული წრეების უწყვეტი ჯაჭვი.

კოლექტურნების პურის ბეღელთან ქვის ორი სვეტია ჩასმული კარგბის ჩამოსაყიდვებლად. ესაა ეკლესიის ბალვრის ლოდი, შუაზე გაჭრილი, რომელ-თა შეერთებით ქვის ზომა 28×90 სმ გამოდის (ტაბ. III, 1). მას ერთი მხარე ჰქონია გათლილი, რომლის ცენტრში „ბოლონური მედალიონია“ გამოსახული: წრეში ჩასმული ტოლმეკლავა ჯვარი. ჯვრის ზევით, ლოდის მთელ სივრცძეშე ასომთავრული წარწერაა, შუასა და ბოლოში ნაკლული (ნახატი IV). იგი ასე შეიძლება წავიდოთთ: „ა(დილე)ნ [ლმერთმან] (ი)ო(ვა)ნე ოქრობი(რი), ქ(რისტე)ს მა(გ)რ ქ(ა)რთ(ლი)ს(ა) კ(ათალი)ი(ზი)“. წარწერა უთარილოა, მაგრამ აქ მოხსენიებული სახელით ცხადი ხდება, რომ ეკლესია აუგებინებია ოთან აქ-რობის. იგი კათალიკოსად ჩანს მელქისედეკის მომდევნო ხანაში — 1033—1048 წლებში. ითანენ ზედწოდების შესახებ ანტონ კათალიკოსი თვეის „წყო-ბილსიტყვაობაში“ ამბობდა: „ითან ვსწოფუა, მამათ-მთავარი პატიტლ, ვინ ოქრობირი ინართაულ-სახელა.... ვინ მოძღვანებითა ეგვესგაესა მოციქულთა“⁸.

⁷ ის. დოკადე, ქართული სამართლის ძეგლები, III, თბ., 1970, გვ. 23 უმცირ ყველანი.

⁸ ანტონ ბაგრატიონი, წყობილსიტუაცია, წიგნი I, თბ., 1972, გვ. 151—152.

„მატიანე ქართლისას“ ცნობით, „დაგდა კათალიკოს-პატრიარქად ოქუმობრივ, და
ამანცა მრავალნი შემატნა დიდია კათოლიკე სამოციქულო ეკლესიას, მრავალნი ეკლესიანი აღაშენნა და განაახლნა“⁹. მართლაც, ითან იქროვითის სახელი გვხვდება თრიალეთის და ჭავახეთის ეკლესიათა წარწერებშიც, სადაც, ჩვენი მაგალითის მსგავსად, სვეტიცხოვლის კუთვნილ სოფლებში მას სიყდრები უშენებია.

ნოტაბილ IV

८६

ՕԲ ԴՕԹԻՎԱԼԻՒՄ ԽՐԱՅՆ Ե

ამავე სერტის მეორე, დაუმუშავებელ მხარეზე კიდევ ერთი წარწერაა: DEUTSCHE [KOLONI] WALDHEIM [მასტერ] ფეიფან [Позов] и ფეიფან [Гурцев 1929. საოცარის ქვემით ქართლის სოფლების ისტორიული ხვედრი; ვიღს არ „ულვაწია“ ამ უპატრიონო ნასოფლარების მოსახტრელად. ოფორტც ეს ორენოვანი წარწერა გვამცნობს, გვერმანელი კოლონისტების ამ დასახლებაში, რომელსაც ვალდებამი ჩემევია, 1929 წ. უმუშავით ბერძენ ქვის ოსტატებსაც ძეზობელი სოფლებიდან¹⁰. მათ გაუჭრიათ ბალვრის ლიდი და გვრძმანულ-რუსულად წარწერიათ.

რა იყო სოფ. კიროვისის ძევლი ქართული სახელი? ჩვენი გამყოლის— გომარელი შიო ხიზანშევილის სიტყვით, გრძმანელებამდე აქ თათრებს უცხოვ- რათ, ხოლო ამ სოფელს მაშინ ორმაშენი ერქვა. შემდეგ ისინი აქედან გადა- სახლებულნ ოდნავ აღმოსავლეთით მდებარე ნასოფლარში, საღაც ძევლი სა- ცხოვრისის სახელიც გადაუტანათ. ამრიგად, ორმაშენი დღეს სულ სხვა სოფელს ჰქვია. ზემოთქმულს ადასტურებს 1905 წლის ხუთეტრსანი რუკაც, რომელზეც სოფ. ბაზარალის სამხრეთ-დასავლეთით აღნიშნულია „ორმაშე- ნი“, ხოლო სამხრეთ-აღმოსავლეთით—„თათრების ორმაშენი“.

სოფ. ორომაშენის სვეტიცხოვლისადმი კუთვნილებას ამ წარწერის გარდა მოწმობს კიდევ ორი საბუთი XIII და XIV საუკუნეებისა. პირველის მიხედვით, მიქელ ქართლისა კათალიკოსი 1241 წ. მცხოვის სახლის მსახუროუცუცესს — ვაჩე გუარამას ძეს სამამულოდ აძლევს დ მ ა ნ ი ს ი ს პ ი რ ს ს ო ფ. ო რ მ ა შ ე ნ ს, იქ მცხოვრები სიგლოსანი ხუცების გარდა. ქვე იგი განსაზღვრულია, როგორც ძველადვე „ხატის სოფელი“, ე. ი. სვეტიცხოვლის კუთვნილობა.

1392 წლის ქართლ-კახეთ-მესხეთის საკათალიკოს მამულების სითარხნის გუგარში, თრიალეთის სხვა სოფლებთან ერთად, დასახლებულია ორომაშენიც¹². არ ჩანს, თუ რა დროიდან ეკუთვნოდა ეს სოფელი სვეტიცხოველს; აქაური ქართული წარწერა არ მიუთითებს, მანამდეც ასე იყო, თუ ითხოვ აქროპირმა „შემატა“ იგი მცხეთას. შეიძლება ვივარაულოთ, რომ აქვე მდებარე სოფ. საჭის მსგავსად, ორომაშენიც აღრიდანვე საკათალიკოსი იქნებოდა, ხოლო ითანა აქროპირმა მელიქისელების მსგავსად აშენა ან განაახოა აქა-

9 J. Geol., 1955, 23: 296.

10. აზრულმის მხრივნობის ბერძნების გაღმოსახლება საქართველოში იწყება 1829 წლიდან, ხოლო გერმანელი კოლონისტებისა XIX ს. 70-იანი წლებიდან; იბ. ს. ყაუ ჯ ჩ ი შ ვ ი ლ ი, ბერძნების დასახლების ისტორია საქართველოში, ქუთაისის სახ. პედ. ინსტიტუტის შემოქმედი, ტ. IV, 1942; გ. მ ა ნ ჯ გ ა ლ ა ძ ე, მეირკავკასიის მიმართ ურარანის ექსპალიონისტური პოლიტიკის ისტორიიდან, „მაცნე“, ისტორიის, არქეოლოგიის... სერია, 1971, № 1.

11 ଫୁଲ, III, ଅଧ., 1970, ୩୩. ୧୫୪—୧୫୭.

12 Jhd, III, 23. 176—177.

ური ტაძარი. ორივე სოფელში ქველი საყდრების მეორედ აშენებას გვაფრთხოება ბინებს XI ს. შენებლობაში გამოყენებული აღრეული არქიტექტურული დირალები.

5. ზურტაკეტის უცნობი წარწერებიდან ერთი ბალვაშთა საგვარეულოს წარმომადგენელს უნდა ეკუთვნოდეს. ესაა კაკლიანის წარწერა. პატარა სოფელი გომარეთის NO მხარესაა, მისგან დაახლ. 10 კმ-ზე. იქ ედიშერაშვილების 5 კომლიდა ცხოვრობს. სოფელში დარბაზული საყდარია ღვთისმმობლის სახელობისა; სარქმლები სამა W, S და 0 კედლებზე. ამ უკანასკნელს გათლილი ლოდი აღვეს, რომელზედაც რელიეფური, მომაღლო ჭვარია, რელიეფურივე ნალისებური ჩატარით გადახურული. შესასვლელი S კედლიდან აქვს; ვევბა არქიტრავის ქვაზე, სულ ქვედა კიდეზე, ერთი სტრიქონია ამოკოდვილი ასომთავრულით (ნახაზი V): „ქ(რისტ)ე შ(ეიწყალ)ე მ(ე)ნე ე(რის-თავთ)ე(რისთავი)“.

ჩ ყ რ უ ჩ ი რ ი რ

ნახაზი V

ეს უნდა იყოს ივანე ლიპარიტის ქე ბალვაში, რომელიც მამის შემონაზე-ნების შემდეგ მასთანვე გაიქცა კონსტანტინებოლს. 1059 წ. ბაგრატ მეფემ იგი სამშობლოში დააბრუნა „და უბომა მამული არგუეთისა და ქართლისა, და ჰმონებდა ერთგულობით. და იყო თავად თავადთავე თანა ამის სამეცნისათა და სპასალარ სიკეთითა მისითა“¹³. ივანეს მამული ქართლში კლდეკარის საერის-თავო იყო, „ქუეყანანი თრიალეთისა“. ის, რაც ლიპარიტს თრიალეთს გარდა ძალით ჰქონდა მინატაცები, არ ჩანს, რომ ბაგრატ IV ივანესთვის დაებრუნებინოს. გორგავი II მეფობაში კი ივანემ კლდეკართან ერთად მეზობელი სამშელ-დეც დაიმტკიცა. ამრიგად, კაკლიანის წარწერა (შესაძლოა იქაური საყდრის ავების თანადროული) 1059 წ. შემდეგა შესრულებული, როდესაც ივანე თრიალეთის ერისთავთ-ერისთავად დაბრუნდა.

ზურტაკეტ-თრიალეთის დანარჩენ წარწერებს ქორონიკონი არ ახლავთ. ამიტომ მათი დათარილება მიახლოებით ხდება პალეოგრაფიული ნიშნებით, არქიტექტურული დეტალებისა და ისტორიული ვითარების გათვალისწინებით.

6. შაბმარლო ზურტაკეტის SW ნაწილის განაპირო სოფელია. იგი მაშავრის მარცხენა სანაპიროს ზეგანშეა, დღევანდველი რაიონული ცენტრის — დმანისის დასაცელეთით. თურქულენვანი მოსახლეობის რამდენიმე კომლი იქაური ტოპონიმისა არ იცნობს და არც რეკების მხედვით ხერხდება ამ სოფლის ლოკალიზაცია. დარბაზული საყდრის ნანგრევი დასახლების W ნაპირზეა. შერჩენილია S და W კედლების სარქმელთა ზუსტად ერთნაირი მორთულობა: წნული ორნამენტი, გარშემოვლებული რელიეფური, ორმაგი, გრეხილი ლილ-ვის ჩარჩოთი; ჩარჩოს ზედა ნაწილის ჟორიზონტალურ შეერილებს თითო ჭვარი აზის: მარცხნივ წრეში ჩასმული, ტოლმელავა, მარგვნივ — მომაღლო. შესასვლელი S-დანაა, რომელსაც დიდი ბალვარის ლოდი აღვეს — სუფთად გა-

13 ქც. I. პატარა ქართლისა, ვე. 305.

თლილი ლოდების პრიზონტალური წყობითაა მოყვანილი. აუსიაში ორი მცრავი კვადრატული ნიშაა. S და N კედლებს შუაში თითო სამსახურულაში პილასტრი ჰყოფს, რომლებსაც ორი, ტოლი თაღი გადასდევს. ისენი ლო შეფერი პროფილიარებულ კაბიტებებს ეყრდნობან.

ასომთავრულ წარწერას არქიტრაგის ქვის სწორკუთხა ფართობის შესამცდი უკირავს; პირველი ორი სტრიქონი მოზრდილი, თანაბარი ასოებითა შესრულებული, ჩესამე—პატარა ასოებით, თუმცა აღგილი საკმარის (ტაბ. III, 2). სიტყვები ერთმანეთს დაშორებული არა და არც განკვეთილობის ნიშნებია ნახმარი; ქარაგმის ნიშანა მოკლე სწორი ხაზია. ასოებს ზოგან კიდურწერტილოვნება ეტყობა და პორიზონტალური ხაზების მარცხნა კიდეთა ზევით აწევა ახასიათებთ (ნახაზი VI). იგი ასე იკითხება: „ქ(რისტე) ს(ა)ხ(ელი)თა ღ(მრთისა)ი(თა) აშ(ე)ნ(დ)ა ესე ექ(ლე)სი(ად) ქ(ე)ლ(ი)თა გლ(ა)ხ(ა)კ(ის)ა/ს(ი)მ(ო)ნ მოდლო(ისა) სალ(ო)ცე(ლე)დ წ(მიდ)ისა დ(ავი)თ მ(ე)ფ(ის)ა და/შე(ი)ლთა მ(ა)თ-თა დ(ა)ი(დ)ვა წ(მიდა)დ ბ(ა)ლ(ა)ვ(ა)რი დ(ა)ვ(ი)თ მ(ე)ფისა ც(ო)დვ(ა)თ(ა) შე-ს(ა)ნ(დო)ბ(ე)ლ(ალ)“.

ଶ୍ରୀ କଣ୍ଠପାତା ଗୁରୁକୃତିଯମଦ୍ଦାତ୍ମପଦ
ଶକ୍ତିକାର୍ଯ୍ୟ ଲେଖନକାରୀ ଏତଙ୍କୁ ଫର୍ଜ

የኢትዮ-ዲንብ ቀበሌ የተደረገውን ስም ነው እና በዚህ መመሪያ ተከተለዋል

ნაბაზი VI

ეკლესიის W სარკმლის გარცხნივ ერთსტრიქონანი ასომთავრული წარწერაა: „ქ(რისტე) შე(ი)წყ(ალ)ე ცხ(ოვერე)ბ(ა)“. ცალქე დაგდებულ ქვის პატარა ნატესხე ნუსხური ასოებია: ‚ქ(რისტე) შ(ე)იწ(ალე) ს(იმო)ნ“. შესაძლოა ეს იგვევ სიმონ მღვდელი იყოს, ბალავრის წარწერაში რომ იხსენიება; რაც შეეხება დავით მეფეს, უნდა ვითქმიოთ, ის კვირიკიანთა დინასტიის წარმომადგენელია, მეფე ტაშირ-ძორავეტისა (989—1048), რომლის სატაძო ქალაქი სამშვილდე იყო. ამის გამო ქართული წყარო მას „სამშვილდარსა და ძორავერტელს“ უწოდებს¹⁴. იგი იხსენიება ზემო ყარაბულაბის ეკლესიის ქართულ წარწერაშიც თავის შეილ კვირიკესთან ერთად.

7. გოგნარი თრიალეთის უკიდურესი ნასოფლარია მის O ნაპირზე, აღვე-
თის ხეობის ერთ-ერთი შენაკადის სათავეებთან. აქაური დარბაზული საყდარი
სუფთად გათლილი, დიდი ლოდებითაა ნაგები; კედლის გარე და შიდა წყობა
პორტინტალურია; შესასვლელი S-დან აქვს, თოთო სარქმელია O, S და W
კედლებზე. ეკლესია ორსაფეხურიან ხარისხზე დგას, მისი შიდა სივრცე ვიწ-
როა და მთლიალი. მთავარ ნაგებობას O-დან მინაშენი აქვს, ორფერდა გადახურ-
ვით. ამ შეცირე სათავსოს შესასვლელი N-დანაა.

14 ମାତ୍ରିକାଙ୍କ ପ୍ରାଚୀନତାଲୋକା, ପୃଷ୍ଠା I, ପତ୍ର 297.

საყდრის ირგვლივ სხვადასხვა ეპოქის საფლავის ქვება. აქედანვე უნდა იყოს აფსილაში დადებული ქვის ნატეხი, ორსტრუქონიანი ასომთავრული წარწერით (ნახაზი VII): „ქ(რისტ)ე მიეც სულსა/ზობედაისა“... პირველი სტრიკონის მეორე და მესამე სიტყვა გაუმინდავადაა დაწერილი, არც განკვეთილო-

ଫେରି ମୋହାଲୀ ଦାନ୍ତିଳେ
କେବୁଣାରିବେ

6000 VII

ბის ნიშნებია; ქარაგმის ნიშანი მოკლე სწორი ხაზია. ყურადღებას იქცევს უყელო „დ“, რომლის ჰორიზონტალურ ხაზს ზევით აწედილი ძგიდები აბოლოვებს. საყდრის წარწერისაგან განსხვავებით, ასო „ე“-ს ჰორიზონტალურ ხაზს მარცხნივ გრძელილი ნაწილი გასჩერია; შენიშვნება პორიზონტალური ხაზების მარცხენა დაბოლოების ზევით აღრეკა. ყველა ამ ნიშნით, წარწერა X—XI სს. უნდა მივაკუთვნოთ. საყურადღებოა სახელის ფორმა „ზობედა“, ალბათ ზებედეს ნაცვლად.

თრიალების სოფელთა სიაში ვახუშტი ბატონიშვილს გოგნარი არ აქვს. უნდა ვიფიქროთ იგი ვერანი სახელწოდება. ამ ადგილებში ვახუშტის რუკაზე მოცემულია სოფლები: ახორა, ნალიბი, ჩამდერალი, საქათმე....

8. ბეჭთაშენი ერთ-ერთი მოსწრელი ისოფელია წალკის რაიონში. 500-მდე კომლი თურქულად მეტყველი ბერძნებისა აზრულმის მხრიდან არის გადმოსული.


სოფლის Օ განაპირა ქედზე დაახლ. 100 წლის წინ აგებული პატარა საყ-დარია. იგი ძველი, მოზრდილი ნაკლებიარის ნანგრევზეა, რომლის ნაშთი გვე-გაშილი იყითხება. ეს ახალი, მცირე ნაგებობა ძველ ეკლესიაში მდგარი დღიდი ქვაჯვარისათვეს შემოუშენებით. მისი ბაზა ნახევარსფეროს წარმოადგენს და 80 სმ სიმაღლისაა; ბაზაზე ფართო, რელიეფური ჯვარია გამოსახული შუაში რელიეფურივე კოპით. ნახევარსფერულ კვარცხლბეჭეში შეიძროდა ჩასმული ქვის ჯვარი; მისი სიმაღლე 80 სმ-ია, ჰორიზონტალური მკლავების განი კი 53 სმ; ქვის ჯვარს შუაში აქცი რელიეფური კოპი აქვს. განვი მკლავებზე ორ-სტრუქტურიანი ნუსხური წარწერაა: „ქ(რისტე) წმინდა ნათ/ლის (მ)ცემელი“.

წმ. გიორგის სახელობის საინტერესო საყდარი სოფლის შუაგულში დგას.

იგი ნახა, ალწერა ექვთ. თაყაიშვილმა და წარწერაც მის მიერაა გამოქვეყნებული: გურგენისძენი აგებენ ეკლესის გატანგ ერისთავის ბრძნების წარწერა

ეკლესის გალავნის ყორეში W მხარეს ჩაყოლებულია წამოქვეყლო და ლოდი ნუსხური წარწერით (ტაბ. IV, 1). იგი 1949 წ. უნახვო არქოლოგებს გ. ლომთათიძეს და ი. გილიშვილს, რომელმაც დაბეჭდეს ბრძელი ცნობა მის შესახებ: „შევნიშნეთ ძალზე დიდი, მაივური ქვა, ზურგვამოზნე-ქილი და ზედაპირდაბრტყელებული, რომელზედაც ნუსხური წარწერაა ათ-პწყარიანი, ძლიერ გამოფიტული და ძნელსაკითხი. წაკითხვას გამოფიტულობის გარდა, ისიც აძნელებს, რომ ქვას, ჯერ ერთი, ნაწილი უნდა აკლდეს (ცალ მხარეს აშია აქვს, ამოღარული ზოლით გამოყოფილი, მეორე მხარეს კი აშია არაა და ასოები უცკრად იშვება); მეორეც ისა, რომ იგი გვერდითა მიწაზე დადგმული. ე. თაყაიშვილს ეს უზარმაზრი წარწერა, ჩანს, ვერ შეუნიშნავს თავის დროზე. ქვა, ერთობა წარმოადგენდა სტელას, რომელიც ისე იდგა, რომ უსწორმასწორო და ტლანქი ზურგი არ უჩანდა, ილათ რამეში თუ იყო შედ ვმული... კაცმა აქაც შეიძლება ივარაუდოს რაღაც „ხელი“, ე. ი. იურიდიული დოკუმენტი-სტელა... რომელიც ალბათ ამ ეკლესიასთვის იყო აღმირალი“¹⁵.

ნათქვამს უნდა დაემატოს ისიც, რომ ლოდის ზომებია: 1,4 მ×1 მ, ხოლო წარწერას ბრტყელი გვერდის ნახევარზე ცოტა მეტი უჭირავს (ნახაზი VIII). იგი ასე იკითხება: „ქ(რისტ) ღ(მრ)თ(ი)სა მშობლი/სა და ნათ[ლის]ა /მცემლ(ი)-



ნახაზი VIII

სა [მეოხებ] ითა ეს(ე) ეკლეს(ი)ა/იშრომა კელითა/ჩემითა თავის/ძ(ი)სა მოლა-ზონის/აითა გლახაკ/ისა და მშ(ი)ერ(ი)ს/ათა“.

სიტყვები არაა გამონული, არც განკვეთილობის ნიშნებია, ერთგან ნახ-მარი ქარაგმის ნიშანი მოკლე, სწორი ხაზია. ყურადღებას იპყრობს თავისებუ-რი დაწერილობა ასოებისა: „შ“, „ბ“, „ნ“, „რ“, „ო“. ასეთი „შ“, რომელიც

¹⁵ ИКОИМАО. вып. III. Тиф., 1913, с. 15—17.

¹⁶ გ. ლომთათიძე, ი. გილიშვილი. თრიალეთში 1949 წ. მივლინების ანგარი-ზი. „მიმოშხილველი“, II, 1951, გვ. 323—4.

მხედრული „ქ“-ს მსგავსია, გვხედება იყალთოს, სამსარის, ალგეთისა¹⁷ და სა-
ლამოს წარწერებში; ცალკეული ასოები წააგავს ალასტანის საყდრის წარწე-
რებსაც. ისევე, როგორც წინ განხილული წარწერების უმეტესობაში, ძალა
იგრძნობა მიღრეკილება თოხხაზოვანი ბადისაკუნ. ამრიგად, პალეოგრაფიული
ნიშნების მიხედვით, ბერთაშვილის ეს წარწერა X—XI სს. უნდა დავათარიღოთ.

როგორც წარწერიდან იჩვევა, მონაზონ თავასი ძეს ეკლესის შენებ-
ლობაზე უშრომია. მოლო სიტყვა მოსალოდნელი იყო „მწირისათა“, აქ კი აშ-
კარად „მშირი“ წერია (მდრ.: გრიგოლ ხანძთელის სიტყვებს — „მონასტერ-
ნი კელითა გლოხავთათა აღაშენეს“. ან გიორგი მთაწმინდელთან: „...აღირ-
ჩია... მწირობით და სიგლა ა კი თ ცხოვრებამ“...). გასარწევია, რო-
მელ ეკლესიაზე უშრომია მონაზონ თავასი ძეს. შესაძლოა წმ. გოორგის გალა-
ვანში ამ ქვის ჩაყოლება არ ნიშნავდეს იმას, რომ იგი ამავე ეკლესიისაა. ჯერ
ერთი, ეკლესიაზე არსებული სააღმშენებლო წარწერა ნათლად ასხელებს რო-
გორც შენებლებს (გურგენისძეებს), ასევე წარწერის გაქეთებელ — გურგენ
მღვდელს. ამას გარდა ეკლესია წმ. გოორგის სახელობისაა, ჩვენს წარწერაში
კი ღვთისმშობლისა და ნათლისმცემლის მეოხებით ხდება მოქმედება. აქ არ
შეიძლება, არ მოგვაგონდეს ზემოთ აღწერილი ქვავარი ბერთაშვილის ძეველ ნა-
საყდრალზე. როგორც მასზე გაქეთებული წარწერიდან ჩანს, ის ეკლესია ნათ-
ლისმცემლის სახელობისა ყოფილა და, რაც მთავარია, ჯვარზე გაქეთებული
წარწერა ზუსტად იმეორებს ჩვენი წარწერის ასოთა მონაზულობას. უნდა ვი-
ფიქროთ, რომ ორივე წარწერა ერთი ხელოსნის ამოტრილია და წმ. გოორგის
გალავანში ჩაყოლებული წარწერიდან ლოდი ნათლისმცემლის სახელობის ექ-
ლესიდანაა აქ მოხვედრილი.

ქართული საბუთებისა და ვახუშტის მიხედვით, ამ სოფლის ძეველი სახე-
ლი ბეშენაშენია. ქვემო ქართლის ასევე ნაწარმოები სხვა ტოპონიმების კვა-
ლად (მელიქაშენი, წულრულაშენი, რევაშენი, ლაკლაკაშენი, სალირაშენი...),
აქაც პირის სახელი ბეშენ მოჩანს, რომელსაც აღმათ მოუშენებია სოფელი.
საწუხაროდ, ჩვენ არ ვიცით, ვინ, ან როდის იყო ეს პიროვნება. 1392 წ. კი
მცხეთის საკათალიკოსო მამულების ნუსხაში, თრიალეთის სხვა სოფლებთან
ერთად ბეშენაშენიცაა დასახელებული¹⁸.

9. თრიალეთის ქედის S კალთებზე წალკის რაიონის მთის სოფლებია გან-
ლაგებული. მათ შორის არის სომხური სოფელი ქაბური. აქაური ძეველი საყ-
დარი ნახა და აღწერა ექვთ. თაყაიშვილმა, რომელიც აღნიშნავს გადაშლილი
ქართული წარწერების არსებობას; მათგან მეცნიერმა მხოლოდ ოთხი ასო გაარ-
ჩია და გამოაქვეყნა¹⁹. მას შეუმჩნეველი დარჩენია S კედლის ქვედა მწერივში
უკუღმა ჩაშენებული გათლილი ლოდი, რომელსაც ასომთავრული წარწერის
ერთი სტრაქონი ახლავს. მისხედავად ქვაზე საკმაო ადგილის არსებობისა, ეს
სტრიქონი სულ ზემო კიდეზე ამოუჭრიათ (უკუღმა ჩაშენებისას იგი ქვევით,
მიწის პირზე მოხვედა) (ნახაზი IX). წარწერა ასე იყითხება: „წ(მიდა)ო ს(ი)მ(ო)ნ
შ(ე)იწყალე იოვ(ა)ნე“. ასოები თანაბარი ზემოსაა, სიტყვები არა გამოყოფი-

17 ვ. ცისკარიშვილი, ექვსი უცნობი ქართული წარწერა. „მაცნე“, ისტორიის...
სერია, 2, 1980, გვ. 139—140.

18 ა. დოლიძე, ქმ III, თბ., 1970, გვ. 177.

19 ИКОИМАО, вып. III, Тиф., 1913, с. 58.

ლი და არც განკვეთილობის ნიშნებია. ქარაგმად მოქლე სწორი ხაზია ნახმარი.
ყურადღებას იქცევს „მ“ შეუქრავი მუცელი, რის გამოც იგი ნუსხურს ემსგავ-
სება. ასევეა დაწერილი „მ“ ითანე ოქროპარის წარწერაშიაც ორობრივი შეკვეთის შედეგი.

ჩილენტის ხელი

ნახაზი IX

იძლებოდა იგივე პირი გვევარაუდა ქაცა, რომ ქართლის კათალიკოსთა მოსკე-
ნიების განსხვავებული ფორმა არა: თრიალეთისა და გავახეთის წარწერებში
მელქისედევისა და ოქროპირისთვის შეწყალებას კი არა, დიდებას შესთხოვენ
ღმერთს („ქრისტე ადიდე... ადიდენ ღმერთმან..“). წარწერა შეიძლება XI ს.
დავათარილოთ.

სოფელი, სახელწოდებით ქაბური, ან ქობური ქართულ წერილობით წყა-
როებში უცნობია. ვახუშტის რუკაზე ამ ადგილებში აღნიშნულია ერანი, თურა-
ნი, ჭირები, ვარდისუბანი; ძნელია რომელიმესთან ქაბურის გაიგივება. საყუ-
რადღებოა, რომ ბეშქენაშენის წმ. გოორგის სააღმშენებლო წარწერაში გურ-
გენისძენი ვახტანგ ერისთავზე ამბობენ: „ქობს შემოისწირა 4 დღის ყანა“.
ეგების ამ დაქარაგმებულ სიტყვაში ზემოხსენებული სოფელი იგულისხმებო-
დეს...

10. ქციის ზემო წელზე, მის მარცხენა სანაპიროზე ლოდოვანი ნასოფლა-
რია შემორჩენილი, რომელსაც ცხვარეთს უწოდებენ; ასევე ჰევია მას ვახუშტის
შრომაშიც. არაერთგზის გადაეკეთებული, დარბაზული საყდრის O კედელ-
ზე, სარქმლის ქვეშ, გათლილი ქვაა ჩაშენებული; ზედ ერთსტრიქონიანი ასო-
მთავრული წარწერაა ამოკლევილი (ნახაზი X), რომელიც ასე უკითხება:

† ე ყ რ თ ყ პ ე ბ ე

ნახაზი X

„ქ(რისტ)ე შ(ეიწყალ)ე აბ(უ)ლ(ა)ხტ(ა)რ“. თუმცა განკვეთილობის ნიშნები
არაა, სიტყვები მაინც არის ოდნავ დაშორებული ერთმანეთს. ქარაგმად მოქ-
ლე სწორი ხაზია ნახმარი; „ქ“-ის ჰორიზონტალური ხაზის მარცხენა კიდე ზე-
ვითაა აზიდული. პალეოგრაფიული ნიშნებით წარწერა XI—XII სს. შეიძლე-
ბა იყოს.

11. ქციის მარცხენა შენაკად-ტუსრების წყლის სათავეებთან, მის მარცხე-
ნა სანაპიროზე, სოფ. რეხადან NW მიმართულებით არის ნასოფლარი საქათ-
მე. იგი თრიალეთის ამ ნაწილში უკიდურესი სოფელი ყოფილა და ეკვი არაა
ვახუშტისუული საპონაური უნდა იყოს. ძეური საყდარი დარბაზული ტიპის
მცირე ნაგებობაა, ხშირად გადაეკეთებული. ირგვლივ სასაფლაო ჩანს; საყდრის
SO კუთხესთან, გარედან, გლია ბრტყელი ქვა—მხოლოდ ერთ მხარეს გათლი-

ლი. აქ პატარა რელიეფური ჯვარია და მის მარჯვნივ—ასომთავრული, ერთ-სტრიქონიანი წარწერა (ნახაზი XI). იქითხება: „ქ(რისტ)ე შ(ეიწყალ)ე ოსე-
კონია წარწერა და განვითარება“

ნახაზი XI

† უ ა ქ ს ე რ ი

ნი“. განკვეთილობის ნიშნები არაა, ხოლო მესამე სიტყვა აშეარად გამიჯნულია. ქარაგმად პატარა სწორი ხაზია ნახმარი. წარწერას ახასიათებს მიღრეკილება ოთხხაზოვანი ბაღისაუკნ და ისიც შეიძლება XI—XII სს. დავთახრილოთ.

ბოლო ორი წარწერა უნახაეს და ფოტოებიც გამოუქვეყნებია ისტ. მეცნ. დოქტორს თ. ჩიქოვანს; ამდენად შეიძლებოდა მათ არც შევხებოდი, მაგრამ ავტორს შეცდომით აბულასტარის წარწერა საპონაურში მოუთავსებია, ასევენისა კი — ცხვარეთში; ფოტოებზე წარწერები ცუდად ჩანს, ერთი მათვანი კი საერთოდ თავდაყირაა დაბეჭდილი; ორივეგან წერია: „ქრისტე...“ ავტორი კი კითხულობს: „ღმერთო“...²⁰ აბულასტარისა და არსენის ვინაობა გაურკვეველია; დანამდვილებით ვერც იმას ვიტყვით: ქვის შემწირეველი არიან, ხელოსნები, თუ ქტიორები, თუმცა ეს უკანასკნელი უფრო მოსალოდნელი ჩანს.

12. ძველ საპიტახშის ახლა „საპიტახშიას“ უწოდებენ. ეს ნასოფლარი თრიალეთდან ტაბაწყურს მიმავალი გზის პირადაა, მოებით გარშემორტყმული, დაცემული დაბლობის ცენტრში. აქ გათლილი ქვებით ნაგები, დაბაზული საყდარი დგას, რომელსაც S-დან მინაშენი ჰქონია; აქედანვე შესასვლელი, რომლის თავზედაც ამოკოდვილია ჯვარი, სამსაფეხურიან კვარცხლბეკზე მდგომი. ი სარქმელი თოხუოთხა სადა, რელიეფურ ჩარჩოში ზის; ჩარჩოსა და სარქმელს შორის ჯვარია ამოკრილი; მისი სამიერე მკლავი ბოლოვდება პატარა ორ-ორი წრით; ჯვარი სამსაფეხურიან ბაზაზე დგას, მის მარჯვნივ კი ერთ-

ნახაზი XII

† უ ა ქ ა რ ე ბ ი ძ ა რ ა

სტრიქონიანი წარწერა ამოკრილი (ნახაზი XIII): „ქ(რისტ)ე შ(ეიწყალ)ე ჩვექლექ“. სიტყვები ერთმანეთს დაშორებული არაა, ბოლოში სახელი და მამისძეობა უნდა იყოს აღნიშნული, რომელიც ჩემთვის გაუხსნელი რჩება. პალეოგრაფიული ნიშნებით წარწერა XIII—XIII სს. შეიძლება იყოს.

13. ავრანლო ბერძნული სოფელია, წალეის დაბლობის W კიდეზე მდებარე, იქ, სადაც ქცია ვიწრო ხრამიდიან გამოივაჭებას. ეს უნდა იყოს ძველი ქართული სოფელი თეზი. აქაური ეკლესიები ახალია და ძველ ნასაყდრალებზეა აგებული, რასაც მათ წყობაში მოყოლილი არქიტექტურული დეტალები მოწმობს. ქედზე თეთრად შელესილი დაბაზული საყდარი დგას, რომლის S-ით, კლდოვან ფერდზე, ექვსსტრიქონიანი ნუსხური წარწერაა. კლდის ქვა მაგარი ჯიშის ბაზალტია, უსწორმასწორო ზედაპირით, რის გამოც წარწერა შერთალია და ზოგან ნაკლულიც (ნახაზი XIII). იგი ასე იყითხება: „[—] მქ ბს [—] მმნი/[დ] აყულებუ/ლსა ღ(მერთმან) შეუ/ნდვენ ა(მე)ნ. მწი/გნ(ო)ბ] რი[სძე ხა/და (ა)ქ მ(ა)რხია“. სიტყვები განუყოფლადაა დაწერილი, არც განკვეთილობის ნიშნებია, ორგან ნახმარი ქარაგმა მოკლე, სწორი ხაზია. პალეოგრაფიუ-

20 თ. ჩიქოვანი, საპონაურისა და ცხვარეთის „ზაფხულსაგლომითა“ შესახებ. „ძიებანი საქართველოს და კავკასიის სტრიქონიდან“. თბ., 1976, გვ. 409—412.

ლად საინტერესოა ყელიანი „დ“, კუთხოვანა ასოები, „ა“-ს პორიზონტალური
ხაზი ერთგან ტანს მოშორებულია. წარწერას ახასიათებს ოთხაზოვანი ბალი-
საკენ მიღრეკილება. იგი შეიძლება XII—XIII სს. დავათარიღოთ (ტაქ. 177, 287—290).

გაუცემენ ლიდან კუდ მარც გრეგო რი ზურაბიშვილი ენა საკულტ რა გამარტინ

ნახაზი XIII

როგორც ვხედავთ, ესაა საფლავი ვინმე დაყუდებული მწიგნობრის ძისა,
რომელიც ეძლესის სიახლოეს დაუმარახვთ მიუხედავად დამრეცი ფერდისა.
დაყუდებული ერქვა სენაქში მირტოდ მცხოვრებ მონაზონს, რომელიც მონას-
ტერში „შინა მყოფთაგან“ განსხვავებით, „გარეთ დაყუდებულად“ იწოდებო-
და²¹.

ვახუშტის სიტყვით, „თეზის ქრამსა შინა არს მონასტერი კლდესა შინა
წმიდის აბიბოს ნეკრესელის ქმნელი, და ას არს ცარიელი“²². მართლაც, კანი-
ონში გამოქვაბულებია და ორი დარბაზული ეკლესიაც დგას. ესენი გვიანი გა-
დაკეთების კვალს ტარებენ, მაგრამ აღრეფეოდალური არქიტექტურული
დეტალებიც შემორჩენილია: ზედა საყდრის აფსიდში სტელის ჩასაღმელი
კვარცხლბეკი დგას, რომელზედაც ჯვარია გამოსახული. ქვედა ტერასის საყ-
დარს გალავანი აქრავს მშრალი წყობისა; მშრალი წყობისავე გალავანი შემორ-
ჩა მთის წვერზედაც. როგორც ჩანს, მონასტერს კარგად უსარგებლია წინა-
ფეოდალური ხანის ნასახლრით, რომელიც სამ ტერასად ყოფილა განლაგებუ-
ლი. გამოუყენებით გამოქვაბულები, დარწები, მშრალი წყობით ნაგები შენო-
ბები. უნდა ვიფიქროთ, ჩვენი დაყუდებულიც სადმე ერთ-ერთ გამოქვაბულში
ცხოვრობდა...

ქციის ზემო წელზე ისეთი ტოპონიმების თავმოყრამ, როგორიცაა საპი-
ტიაშვილი, რეხა, აბიბოს მონასტერი, წარმოშვა ვარაუდი, რომ აბიბოს ნეკრესე-
ლის წამება თრალეთის რეხაში უნდა მომხდარიყო (პროფ. ლ. მელიქშეთ-ბე-
გი, აკად. ს. ჭანაშვილი)²³.

რეხი, რეხა გაგრცელებულია როგორც დამოუკიდებელი სახელწოდება
საქართველოს სხვადასხვა კუთხეში. ქართლში რეხულისა და ლიახვის ხეობა-
ში, ლეჩხუმში, ჭავახეთში (იხ. საროს ციხის წარწერა), თრიალეთში; იგი ჩანს

21 ათონის ივერიის მონასტრის 1074 წ. ხელთნაწერი აღმებით. თბ., 1901, გვ. 261.

22 ვახუშტი შრომი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, თბ., 1941, გვ. 42.

23 ს. ჭანაშვილი, შემოწმინდები, II, თბ., 1952, გვ. 293—295.

შედგენილ სახელებშიც: წინარეხი, შუარეხი, გრძარეხი... უკვ აშიტომაც ის
ადგილის დამახასიათებელი ზოგადი ტერმინი ჩანს. მართლაც, ქართულ კულტურა
ლოებში იგი ქვან გზას, მთის კლდოვან კალთებს აღნიშვნას²⁴.

აკად. კ. კეკელიძე თვლიდა, რომ აბიბოსი დასაჯეს შუა ქართლში, სამთა-
ვისის მახლობლად, საიდანაც ეს ამბავე შემდეგი დროის ტრატიციაში წალის
რეხაში გადაირანა; შემდეგ ამ უკანასკნელში გშენებულა აბიბოსის სახელო-
ბის მონასტერი და გაჩენილა სხვა რელიქვიებიც²⁵.

აკად. ნ. ბერძენიშვილი კი შერდა: „გარევეულ დროს, როგორც ჩანს, სა-
ზოგადოების სამეურნეო ცხოვრების წესად შემოვიდა, რომ ბარის სოფელი
„ზაფხულის საჯდომის“ იჩენდა მთანეთში, სადაც ის ზაფხულობით სამეურნე-
ოდ, მთლად, თუ ნაწილობრივ, გადაიიოდა... ამ საჯდომებს, ბუნებრივია, რომ
ბარის სოფლის სახელი შერქმეოდათ. ზოგი ასეთი „ზაფხულის საჯდომი“ თან-
დათან მუდმივ სამოსახლოდ იქცეოდა. ჩნდებოდა, ამრიგად, ახალი სოფელი
მთაში, რომლის მოსახლეობას სახელთან ერთად ბარიდან სხვა ტრადიციებიც
მოიქმნდა (ნიშ-სალოცავები...). დროთა განმავლობაში სხვადასხვა ვითარე-
ბის გამო კავშირი ბარისა და მთის საჯდომებს შორის წყდებოდა... „ზაფხუ-
ლის საჯდომის“ პრინციპის მიყენებით შეიძლება მარტივად აისწეროდეს, მა-
თალითად, თრიალეთისა და ქართლის რეხის ურთიერთობის ამოცანა“²⁶.

შიდა ქართლის რეხის სასაჩვებლოდ მეტყველებს მარტვილობის ის ად-
გილი, სადაც რეხის „გარემოს ჭალაქებზეა“ საუბარი²⁷. ასეთი რამ VI ს. თრია-
ლეთის რეხასთან წარმოუდგენელია, შიდა ქართლში კი მაშინ იყო ურბანისი,
უფლისციხე, კასპი, მცხეთა, სადაც ჭუაშერის ცნობით, საბოლოოდ დაუმარ-
ხავთ კიდეც აბიბოსი²⁸.

მიუხედავად ზემოთქმულისა, თეზის ხრამში აბიბოს მონასტერი, მართ-
ლაც, დაუარსებათ, რომელსაც XII—XIII სს. ეკოლებოდა მონაზენები და
დაყუდებული. შესაძლოა საფლავის წარწერაში მოხსენიებული მწიგნობარიც
იმავე მონასტერში მოღვაწეობდა.

14. ზურტაკეტის აღწერისას ვაჟუშტი ამბობს, რომ შამბიანის მთის სიახ-
ლოვეს არისო „ფუნდუკი თამარ მეფისაგან აღშენებული ზამთარ მოგზაურ-
თათვს“; აქვე იგი ისხენიებს ფუნდუკის, ანუ ქარვასლის ხევს²⁹. ამეამად თურ-
ქული სოფლის — სალმალიერის W-ით, დაახლ. 3 კმ-ზე მართლაცა შემორ-
ჩენილი დიდი ნაგებობის ნაშთი. მისი ზომებია დაახლ. 30 მ×15 მ, რაც ეკვს
არ ტოვებს, რომ ესაა ვაჟუშტის მიერ მოხსენიებული ფუნდუკი. ამის შემდეგ
გზა მცირე აღმართით გადადის ფარავაში, სადაც ასევე ქარვასლა დგას. იგი
დათარილებულია XII ს.³⁰, თუმცა გვიანი გაღაკეობის კვალი აშკარად ეტყო-
ბა, ვაჟუშტი კი მას საერთოდ არ ისხენიებს.

24 ქართულ კილ-თქმათ სიტყვის კონა, II, თბ., 1975.

25 კ. კეკელიძე, ერთულბი... X, თბ., 1968, გვ. 178.

26 ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, I, თბ., 1964, გვ. 219.

შემდეგ: სის.


27 ძეგლი ქართული ავთოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, I, თბ., 1964, გვ. 246.

28 ქ. I, გვ. 229.

29 ვაჟუშტი აღწერა... თბ., 1941, გვ. 40—41.

30 ი. ციცელიშვილი, ქართული არქიტექტურის ისტორია, თბ., 1955, გვ. 74.

ამ ქარევასლიდან ზურტაკეტის ფუნდუქისაკენ მიმავალ გზაზე, დახლ
2,5 კმ-ზე, უღელტეხილზე, საიდანაც გზა დაიხრება ზურტაკეტისაპური, რამა
ქვის ჭვარი, რომელიც დაუმუშავებელ ბაზაში ზის. ჭვარი O-სერია გადახო-
ლი, ხოლო სტეინი მხარე W-ით იყურება. მოკლემქლავებიანი ქვის ჭვარი
2,5 მ სიმაღლისაა და ჩასმულია 0,5 მ სიმაღლის ბაზაში. მკლავების გადაკვე-
თის აღგილზე ნახევარწრიული, რელიეფური კოპია; მის ქვევთ კვადრატი და
სამკუთხედია ამოჭრილი, რომლებიც წვერებით უერთდებან ერთმანეთს. ესე-
ნი წელს ჭემო და ქვემო ტანს უნდა გამოსახავდნენ. რელიეფური თავის ქვე-
ვთ აშკარად ჩანს კიდურების აღმნიშვნელი ხაზებიც. თავის მარცხნივ და მარ-
ჯვნივ ორი სიტყვა დაქარაგმებული ასომთავრულით: „წ(მიდა)ა ღ(მრთი)ს შ(ო-
ბ(ე)ლი“. გამოსახულების ქვევთ კი 7 სტრიქონადა ამოჭრილი ასომთავ-
რული წარწერა (ნახაზ XIX), რომელიც ასე იკითხება: „შვილნო/ღ(მრ)თის(ა)
ნო/ქ(რისტ)ეანენო/ს(ა)წყ(ა)ლი და/თვაი ღ(ო)ცვ(ხ)სა გვედ(რ)ი/ვ(ა)რ“.



ნახაზი XIV

სიტყვაში „ღვთისმშობელი“ „ბ“ ნუსხურია; ქვედა წარწერის პირველი
სამი სიტყვა ცალ-ცალე სტრიქონებზე ამოჭრილი, დანარჩენი სიტყვები გაუ-
მიჯნავადაა წარწერილი. „დ“-ები ყელიანია, ჰორიზონტალური ხაზების დაბო-
ლოებანი ზოგნ მაღლა აზიდული; „ა“-ების ჰორიზონტალური ხაზები ტანს
მოშორებული არაა, მრგვალი „ო“-ების მარჯვენა, ქვედა უეხი ზევითაა მო-
კაუჭებული; განკვეთილობის ნიშნები არ არის, ქარაგმა — მოკლე სწორი ხა-
ზია; წარწერა ოთხხაზიან ბადეშია მოქცეული. პალეოგრაფიულად ის XII ს.
შეიძლება დავათარილოთ.

„საწყალი დათვა“ ჭვრის აღმმართველი უნდა იყოს, რომელიც ორ ქარ-
ვასლას შორის გზაზე დგამს სალოცველ ჭვარს. იგი შესაძლოა გზის მიმართუ-
ლების გარკვევასაც უადვილებდა ქარაგმას უამინდობის დროს.

ქვაგვარი უნახავს პროფ. ლ. მელიქსეთ-ბეგს, მაგრამ წარწერა ვერ წაუკითხავს. მისი აზრით, აქ უნდა მდგრადი მენცირი, რომელიც შემდგენერალურ—³¹ გამოუთლიათ. ამოკრილი გამოსახულება მას ბაგრატიონთა სამეური ცნობილი მიუღია, ამიტომაც ჯვრის გათლა XIII ს. დაათარილა, დაუქავშირა რა იგი თა-მიარს დროინდელ ფარავნისა და ზურტაეტის ქარვასლებსაც!

საქმე ისაა, რომ ჯვარზე ხელი არაა გამოხატული, ხოლო თავის ორ მხა-რეს მინაწერი ამ გამოსახულებას შესაძლოა ღვთისმშობლად ვარაუდობდეს. ბაგრატიონთა ნიშანი ეგების არც იყო მოსალოდნელი იმ წარწერისთან, რომე-ლშიც მეფე არ ისხენიებოდა.

15. შემდეგი წარწერა ხელის გამოსახულებიან ლოდს ახლავს და თრია-ლეთის უკიდურეს W ნაწილშია აღმოჩენილი; იგი გზის გაგანიერებისას შემ-თხევით აღმოჩნდა წალკა-ბოგდანოვის გადასასვლელზე 1980 წლის ივნისში. აქედან იგი წალკის რ-ნის სოფ. კუშის სიძველეთა მოყვარულ აკოფ მიქაელი-ანის ეზოში იქნა გადატანილი³².

ქვის აღმოჩენის ადგილი სოფ. ნარდევანიდან დაახლ. მე-8 კმ-ზეა, გზის გარჯვით. აქედან ცნობილ ოფიციალის საბალოებამდე დაახლ. 1,5 კმ ჩრება. იქ ახლაც შესანიშნავად მოჩანს ვეება ამართული ქვა—“თიქმადაშ”; სწორედ იქიდან იწყება დაშვება ფარავნისაჲნ. ქვის აღმოჩენის ადგილთან მის W მხა-რეს ფერდალური ხანის სასაფლაოა. აქაა ქვაყუთები, ცხენისა და ვერძის ქან-დაყებები. ნასოფლარი არსად ჩანს და ამიტომ შეიძლება ვიფაქტორ — ეს სა-ფლავები სახაფხულოდ ამოსული მწყემსებისაა, რომელთაც აქვე დროებითი სადგომები ექნებოდათ.

წარწერიანი ლოდი მოყვითალო-მომწვანო კირქვისაა, მთლიანად მისი სი-მაღლეა 2 მ, დამუშავებული ნაწილისა 1,34 მ, სიგანე—83 სმ, სისქე—20 სმ. ქვის ზემო ნაწილში, შეუა ადგილას, მოგრძო რელიეფური ჩარჩოა, ზევით მო-რკალული, ქვევით ჰორიზონტალური; მას თოკისძებური გრეხილის სახე აქვს: სიმაღლეა 71 სმ, სიგანე დაბლა—29 სმ, ხოლო რელიეფური ზოლის სიგანე—2,5 სმ. ასეთი ჩარჩოები ხშირად ახლავთ ეკლესიათა სარქმლებს XIII ს-დან მოყოლებული. ჩარჩოს შიგნით, ზედ ნაწილში, ხელის მტევნის რელიეფური გამოსახულებაა, ოღონდ თითები ამოკრებვითა გამოყვანილი; მისი სიმაღლეა 30 სმ, სიგანე — 10 სმ.

გრეხილი ჩარჩოს ორივე მხარეს ცხრასტრიქონიანი ასომთავრული წარ-წერაა, ყოველი სტრიქონი ხელის გამოსახულების ერთ მხარეს იწყება და მის მეორე მხარეს გრძელდება. ასოების სიმაღლეა 5 სმ, ზოგიერთისა — 2,5 სმ, სიგანე — 2 სმ. ჩარჩოს ქვევით უფრო მცირე ზომის ასომთავრულით შესრულე-ბული დამოუკიდებელი ორსტრიქონიანი წარწერა მოუთავსებიათ. მას ქვის თითქმის მთელი სიგანე უჭირავს; ასოთა სიმაღლე აქ 2,5 და 1,5 სმ ზორის მერყეობს.

ამაზე დაბლა 3 რელიეფური წრეა გამოსახული დამეტრით 7,5—7 სმ. ლოდზე ასახული მთელი ეს კომპოზიცია ორი რელიეფური ზოლითაა მოჩარ-

31 ლ. მელიქსეთ-ბეგი, მეგალითური კულტურა საქართველოში. თბ., 1938. 33-110—111.

32 ცნობა წარწერიანი ქვის აღმოჩენისა და მისი აღვილმდებარების შესა-ხებ გაღმომცემის ჩვენა ინტერესის კონკრეტულ-სოციოლოგიური განყოფილების ექსპელ-ციის წევრებმა: ნ. აბაკელიამ და თ. ჯაფარიძემ.



ჩოლებული. ეს ზოლები აქ საღაა და კუთხოვანი, განსხვავებით შიდა წილის მიმდევად განსაზღვრული არის — ზევით თაღოვანი, ქვევით სწორხაზოვანი.

ქვის ზედა სწორედ წარწერიანი მხარეა ოთხად გატეხილი; მისი მეხუთე ნაწილი საერთოდ დაკარგულია (ჩანს, ამ ადგილს მოედო ბულდოზერი). ვერც ადგილზე ძებნამ მოგვცა რამე შედეგი.

ყრუაც	ირცა
ჭრუაც	ფა
კუპური	
უკარი	ტექტას
რაკაც	არკას
რაქეცხ	ალბაზ
ყრყარი	ლირანას
ქრება	ცარყარი
რდა	ჯაზარი

ერ ცერიტერიან რეალისტური არზაკანი მუსიკა

ნახაზი XV

ამჟამად (1980 წ. აგვისტო) წარწერიან ლოდს ისეთი სახე აქვს, როგორც ფორმზეა (იხ. ტაბ. V); წარწერის მონახაზი კი (ნახაზი XV) ასე იყოთხება:

„შეწევნითა ღ(მრ)თ(ი)ს(ა) [მთა]
 მ(ე) ფეთა მეფე [მე] [---]
 მ(ო) გ(უა)ბარნა [---მე]
 ლობით თორელს
 და მარიამს
 და ოსაქრ(ი)სა კელი
 შეყ(ა)რნა სალვინეს
 უქ(უნისამდ)ე მტკიცე იყოს დ
 ა უქაველი ა(მე)ნ“.

ქვედა წარწერის ორი სტრიქონი ასე იყოთხება:

„სმანსა და მისთა შშ(ო)ბ(ე)ლთა ღ(მერთმა)ნ შეუნდვე მ(ა)მულს(ა)/ ზ(ელ)ა და მოჰქიირვა“.

ამრიგად, წარწერიდან შემდეგი აზრი უნდა გამოვიტანოთ: რომელიღაც

მეფეთა-მეფეს (მისი სახელი დაქარგულია) თორელისა და მარიამისთვის მამულობით რაღაც მიუბარებია. ამის აღსანიშნავად „კელი“ ოღუმართავთ ჟაფრუზული წეს, რომელიც მტკიცე უნდა იყოს და უძეველი. „კელი“ (ბრძანებულებული წერილი, სიგვლი) აქ სწორედ ამ ლოდს, მასზე გამოსახულ ხელსა და წარწერას უნდა აღნიშნავდეს.

გაუსხელი რჩება ასოთა ჯგუფი მეექვსე სტრიქონში: „და ოსაკრსა...“ ასოები აქ გარკვევით იკითხება და არაერთი აკლა, როგორ გავიგებთ — ესაა მთავარი: შესაძლოა, თორელისა და მარიამის შემდეგ აქც მესამე სახელი ვივარაულოთ, ე. ი. „თორელს და მარიამს და ოსაკ(რ) ან უსაკს“.

მეფემ რაკი „კელი შეყარნა სალინეს“, ე. ი. შეკრიბა, უნდა უიფიქროთ, ის ორი, ან სამი კაცისა ყოფილა. მაგრამ აქ ერთი გარემოება იძყრობს ყურადღებას: „ო“-ს თავზე (თუ ეს ქვის დეფექტი არაა) ორი წერტილი მოჩანს — თითქო ქარაგმის ნიშნად. ამიტომ ეგების ამ ასოს რიცხვეთი მნიშვნელობაა საგულუებელი (70); გაშინ გამოვა, რომ მეფეს „70 საკრსა კელი“, ან „70-სა კრსა კელი“ შეუკრებია საღვინეს....

თორელი და მარიამი აღმართ ცოლ-ქმარნი არიან, შესაძლოა ოსაკ—უსაკიც (თუ ის პირის სახელია) მათ სახლთან იყოს დაყავშირებული. ქვედა წარწერაში მოხსენიებული სამან, რომელსაც მშობლებიც ცოცხალი ჰყოლია, თორელისა და მარიამის დაქვემდებარებული პირი ჩანს; იგი მათ მამულზე დიდად გარჩილა.

წარწერის პალეოგრაფიულ თავისებურებათავან აღსანიშნავია კილურ-წერტილოვანი დაწმუნებული ასოებისა; „ო“-ს ტანს მოშორებული ჰორიზონტალური ხაზი ხშირად ზიგზაგია, ასეთივე „დ“-ს ზედა ხაზი და ქარაგმის ნიშანი. საყურადღებოა „ო“-ს ქვედა ხაზი, რომელიც ხან ქვევითაა დახრილი (4-ჯერ), ხან ჰორიზონტალურია (5-ჯერ). ზოგან „ო“-ს, „ო“-სა და „მ“-ს მეზობელ ასოთა სიმაღლის ნახვარი უჭირავთ, თან სტრიქონის ზედა ნაწილში არიან განლაგებული; ერთხელ ასევე „ტ“-ც; სხვაგან ასოები თანაბარი სიმაღლით; განკვეთილობის ნიშნები არაა, არც სიტყვებია ერთმანეთს დაშორებული.

წარწერას ახასიათებს: „ი“-ს მაგიერ „დ“-ს ხმარება (4-ჯერ), „ა“-ს დაქლება საჭირო შემთხვევებში (4-ჯერ). სამაგიეროდ, ზედმეტია „ი“ „კ“-ს შემდეგ სიტყვაში „სალინეს“. ასეთი მოვლენა მეორედა რუსულან მეფისდროინდელ გუდარების წარწერაშიც: 4 და 5 სტრიქონში წერია „სათვის“, რასაც ექვთ. თაყიშვილი „ორივინალურს“ უწოდებს³³.

აღნიშნულის გათვალისწინებით საინტერესოა ამ „კელის“ შედარება გუნია-ყალას (წალკის) „კელთან“. ისინი ერთმანეთს ყველაფრით ჰყვანან: კომპოზიციით, დამუშავებულ ნაწილთა ზომით (მეტ-ნაკლებობა სანტიმეტრებშია), ასოთა მოხაზულობით, იქაც ასევე გვაქვს „მ“ „ი“-ს მაგიერ („დახსავა“, „გიორგისი“), თან მსგავსსავე გამოთქმაში: „მოჭირვებითა“; იქაც გვაქვს „ა“-ს ნაკლებობა: „გიორგისით(ა)“, „კელით(ა)“, „მეტეთმეტისა(ა)“.. ჩვენს შემთხვევაში არა მხოლოდ ბაგრატიონთა სამეფო ნიშანი, რომელიც წალკის ლაშა გორგის ხელის ქვევითაა მოთავსებული.

³³ Е. Такаишвили, Арх. экск. раз. и зам. II, Тиф., 1905, с. 31—32.

უოველივე ზემოთქმულის შემდეგ შეიძლება მივიღოთ, რომ ათიქმადა-შის „უღელტეხილშე ნაპოვნი „ქელი“ XIII ს. I ნახევარს ეკუთვნის „დაწულუ-ლი“ ნახსენებ მეფეთა-მეფე შეიძლება ყოფილიყო ლაშა გორგი, ან კურუსულის დაწულუ-ლი მაგრამ მივყევთ წარწერის შინაარსს.

პირველ ყოვლისა, ყურადღებას იპყრობს მეფის მიერ თორელისათვის სოფლისა (თუ ქვეყნის) მიბარების ფაქტი. ჯერ კიდევ წალკის შემოხსენებული ძეგლის შესახებ შენიშვნავდა აკად. ნ. ბერძენიშვილი, რომ იმ „ქელის“ ოლ-მართვა წალკაში — თრიალეთის ცენტრში — ნიშანას თრიალეთის საუფლის-წულოდ (სახასოდ) დამტკიცებას, რომელსაც ამ დროს ასევე საუფლისწულო (სახასო) ჯავახეთი ემიგრებოდა W-დან³⁴. ძეგლის აღმოჩენის აღგილი — „თიქ-მადაშის“ უღელტეხილი, ტრადიციულად თრიალეთს ეკუთვნოდა. მისი მეშვეობით ფარავანიც ქართლში შემოდიოდა (ლეონტი, ვახუშტი...). XIII ს-სათვის საუფლისწულო ჯავახეთს თორელთა საგვარეულო განაგებდა, ამიტომ არ იყო გამორიცხული, მეფეს მისთვის მეზობელ თრიალეთშიაც მიეცა რამე: კოქვათ, ფარავანი, ან მისი მომიჯნავე ნარდევნის საცხისთავო...

ამ წარწერიდან ისე ჩანს, რომ თორელისა და მარიამისთვის მეფეს მიწას-თან ერთად თითქოს საღვინეც მიუბარებია. ყოველ შემთხვევაში, საღვინებ „შეყარნა“ ამ აქტის აღსანიშნავი „ქელი“. იყო კი მოსალოდნელი იგი აქ, ამ სი-მაღლეშე (2000 მ-ზე მაღლა)? — ვახუშტი წერს: „ხოლო ეს თრიალეთი არს ზაფხულ ფრიად შეენირი, ბალახოვანი, ყვავილოვანი, წყაროინი, სანადირო-ნი მრავალი დიდთა ნადირთა, მფრინაველთა და ოევზთა... ვენახი, ხილი და მტილოვანი არარაი არს აქა, და მთის ხილი მრავალი. ტკბილს მოი-ტანენ ბარიდამ, ჩას ხენ აქა, და დადგების ღვიანო კე-ო ღილიდა გე მოიანი“³⁵.

წარწერაში მეფის შემდეგ მოხსენიებული თორელი მარიამის გვერდით სახელი ჩანს და არა საგვარეულო წოდება. ასეთი შემთხვევა ჩვენ აღრეც გვხვდება: „ისტორიათა და აზმათა“ ავტორი გვაუწყებს, რომ 1163 წ. „ანისა განამტკიცებდა თორელი დიდი და სახელგანთქმული მოლაშერე“³⁶. თუ რამე გამოტოვებული არა, უნდა ვითქმიროთ, აქაც პირის სახელთან გვაქს საქმე, რომლის, ეგების, პირდაპირი შთამომავალიც კი იყოს ჩვენი წარწერის თორელი.

ფიქრობენ, რომ ჯავახეთის საუფლისწულო დომენს თორელთა საგვარეულოს სხვადასხვა შტო განაგებდა: 1191 წ-მდე თორელთა ძირითადი შტო კახა-გამრეკელებისა; 1191—1226 წწ. — ახალციხელებისა; 1226 წ-დან XIII ს. 60—70-იან წლებამდე — ისევ თორელთა ძირითადი შტო კახა-გამრეკელებისა³⁷.

შალვა და ივანე ახალციხელები ჯავახეთის წარწერებში იხსენიებიან; შალ-ვა ჯავახეთის მონაპირე ერისთავადაც გვივლინება. შეიძლება ვითქმიროთ, ჩვე-ნი წარწერის თორელიც ახალციხელთა საგვარეულო შტოის წარმომადგენ-ლია, რასაც უნდა მოწმობდეს 1487 წლის ერთი საბუთი: „...მეფეთა მეფემან

34 ნ. ბ ე რ ე ნ ი შ ვ ი ღ ლ ი. სის III, თბ., 1966, გვ. 162, 163.

35 ვ ა ხ უ შ ტ ი, აღწერა..., თბ., 1941, გვ. 42.

36 ქ. II, გვ. 13.

37 ნ. შ ტ ი შ ვ ი ღ ლ ი, თორელთა ფეოდალური სახლის ისტორია და შოთა რუსთავე-ლი. „შოთა რუსთაველი“, თბ., 1966, გვ. 62.

კონსტანტინე... დაგიშვირეთ და გიბოძეთ... ქავთარისძეს საღვინის მოლა-
რესა ახალ ციხე ლსა და თ ქუე ნთა ძმათა თორე ლს ა ქუშავ წულა
მასა... ოდეს მირიანისძე დამოლოვდა და უკედრო იქმნა... დაგუშული ჭირი მოსახუ-
ანისძის მამულზედან დაგიმუდრეთ³⁸. აქ მოხსენიებული ქავთარისძე თორე-
ლი ახალციხელთა საგვარეულოს წარმომადგენელი უნდა იყოს, ქართლში გად-
მოსახლებული მათი გვიანი შთამომავლი. ამაზე მეტყველებს მისი ოჯახის
წევრთა სახელები: ახალციხელი, თორელი; ძმების ამ სახელებს გვარის მნიშვ-
ნელობა დაუკრგავთ და პირის აღმნიშვნელად ქცეულა³⁹.

ნიშანობლივია, რომ თორელი და ახალციხელ-ქავთარისძეები ამ სა-
ბუთშიაც საღვინესთან არიან დაკავშირებულნი: ახალციხელი მეფის საღვინის
მოლარეა. შეიძლება ამასთან კავშირი ჰქონდეს ჩვენი წარწერის თორელის
საღვინესთან მოხსენიებას.

„დაბადებაში“ უკვე გვხვდება „სახლი ღვინისა“, რომელიც ღვინის საცა-
ვი უნდა ყოფილიყო. მაგრამ უკველია იქ მისი სხაც იგულისხმება: „შემიყვა-
ნეთ მე სახლსა შინა ღვინისასა და განაწესეთ ჩემ ზედა სიყ-
ვარ ული“ (ქებათაქება სოლომონისი, 24).

ვე, ჭავახიშვილი აღნიშვნადა — „საბას განმარტებით, მარანი „საღვნე სახ-
ლი“ იყო (ლექსიქ.), მაგრამ ეს განმარტება მხოლოდ იმდენად არის სწორი,
რამდენადაც მარანში, მართლაც, ღვინოს აყენებლნენ. მაგრამ მაიც მარანი
და საღვინე მეღვინეობის სხვადასხვა მოთხოვნილებების
და თვე უნდა განკუთვნილი, რა თქმა უნდა, მსხეილ მე-
ურნეობაში“⁴⁰.

1191—1212 წწ. წესი და განვება ერთი უცნობი მონასტრისა იხსენიებს
საღვინეს: „გ(ან)მგ(ე)ცა იყლებდა და ჩიოდა, ვითა: პატრიონისა და ლაშქართა და
სტუმართათვს ესე მოსავალი არ ეყოფის: და ამისთვის... ეგრეთვე ბოლ-
შის ს საღვნე და ვდევით“⁴¹. აქაც ეს სიტყვა ღვინის საცავს უნდა გა-
მოხატავდეს.

სამეფო შეურნეობაში საღვინე ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დაწესებულე-
ბა იყო. შედარებით სრულ ცნობებს მის შესახებ „ხელმწიფოს კარის გარიგე-
ბაში“ ვხვდებით, საიდანაც ჩანს, რომ ახალი წლის ღვინესასწაულზე „საღვინეთ
წინ ქვე დასმენ მეფესა მაღლა-სკამითა, ტაბლას წინ დაუდგმენ და ვლერის
ტახის თავს მოხარშულს წინ დაუდგმენ“.

ამას წინათ, საღვინე ერთ-ერთი კერძო შორს, ადრე მკერვალთუხუ-
ცესი და ტყისმცველი, დასხლებიან. და მხელადეთუხუცესი დგანან“⁴². მომ-

38 თ. ქორდანია, ქრინიები 11, თბ., 1879, გვ. 305—6.

39 ნ. შორიშვილი ი. იქვე, გვ. 45.

40 ივ. ჭავახიშვილი, მასალები საქართველოს ეკონომიკური ისტორიისათვის, თბ., 1964, I, გვ. 45.

41 ის. დოლიძე, ქმ III, თბ., 1970, გვ. 132.

42 ივ. სურგულაძე, ქართლი სამართლის ძეგლები, თბ., 1970, გვ. 32. ამ საყურად-
ღობო ღვინოს სხვადასხვანისად სსინი იყალ. ექვთ. თაყიშეილი და პროფ. ივ. სურგულაძე;
ჯიხველი «сосуд для вина»-ს გრალისმობს საღვინეში, შეორე კი — «винохранилище». ივ.
სურგულაძის თარგმანით გამოლის. რომ ამონწერის პირები წინადაღებაში მეფეს სკამი
«перед винохранилищем», მორეშ კი მეფის მოხელენი მის მოლოდინში სხვებიან საღვინეში
(«в винохранилище»). შესაძლოა ამ შემთხვევებში ექვთ. თაყაშვილის თარგმანი იყოს უფ-
რო სწორი, ვინაიდან ორივევან მრავლობით რიცხვშია ჩვენთვის სინტერესო სიტყვა: „საღ-
ვინეთ წინ...“ „საღვინე თ აკმა“... იქვე, გვ. 51.

დევნო თავებში ნახსენებია სალვინის კელისუფალნი, სალვინის მუქიფი (ქვეწის მნე) და მეღვინენი. აქე სალვინის მოლარის უფლება-მოვალეობაზე და მეღვინები: „...სათიგარი რენინისა არის, დაასობენ სალვინესა შიგან, ცალკე ის მოლარე მას ზედა დაპყიდებს; და ფანჯისა მისალებელი კელმანდილიცა მას-ვე ზედა პეიდავს... და ო დატვერიანდეს, გარეცხა უნდა... გარეცხენ და სალვინესვე მიიღებენ.

სამყინვარი კერცხლისა უნდა ტაბაკი; ცულ-წერაქვი, პატარა კვერისაგან უმძიმესი, ტარის ბოლო მოკედილი, ტარ-მოკლე, მოკედილი, მას ტაბაკისა ზე-და ძეს; მყინვარს დასდგენ; ერთი კერცხლის კოვზი, პირდიღი, მასვე ტაბაკისა ზედა ძეს; წინ დასდგმენ; წვერით გასტეხს, კოვზით აიღებს, ჭიქასა შიგან ჩას-დებს. იგიცა სალვინის მოლარის გვედრია.

სხვა სალვინ კურქელი, სანიადაგო უმეჯლიში, სალვინეში დგას; და მეჯლისისანი კიდევან დგანან...

თვთო ჰური ლვინო ზვართაგან მეღვინეთუხუცესისა და თვთო, უმცრო-სი—მუქიფისა და სალვინის მოლარი (ს. ა); მეზერუთაგან აიღებენ ლვინოსა. ვითარი ზეგან იყოს, ანუ მეზერე⁴³; მეღვინენი საკრეფელისა და სოფლისაგან იშოებენ, სადა მეფე დგას და ლვინისა ულუფა დაწერონ⁴⁴.

„ხელმწიფის კარის გარიგების“ შესწავლის შედევგად პროფ. ივ. სურგულაძე განმარტავს: „სალვინ — დაწესებულება, რომელიც ლვინის შემოსავალ-გასაელის საქმეს განაგებდა და რომელშიაც ლვინის ჰურქელი ინახებოდა“⁴⁵. თუ გავითვალისწინებთ ზემოთ განხილულ ყველა ცნობას სალვინის შესახებ, განსაკუთრებით „ხელმწ. კარ. გარ.“—ში აგრე დაწერილებით აღწერილ, სამე-ფო ჭიქაში ყანისული: ჩაგდებას, რომელიც უკეპელია სალვინეში ხდება. შეიძ-ლება ვირტუნოთ, რომ იქვე ხდებოდა „უმეჯლიშო“ ლვინის სმაც. ამას მხარს უბამს ქართული ეთნოგრაფიული მასალაც. „სალვინ სახლი“ ძელთაგან მომ-დინარე ტრადიციით, მამაკაცთა დროსტარების, ლხინის ადგილიც იყო“⁴⁶.

„დასტურლამალში“ საღვინის შოხელებად დასახელებული არიან მეღვი-ნეთუხუცესი, შიგმდევი, თავილდარი და 12 მეღვინე; ცალ-ცალე ისხსნიები-ან 8 მეტიკისპირე და 9 სასარბათოს მოხელე⁴⁷. გამოდის, რომ XVIII ს. და-საწყისში სამეფო სალვინეს 35-მდე მოხელე ემსახურებოდა.

ამის შემდეგ შეიძლება ის ვარაუდიც დაგვეშვა, რომ ჩვენი წარწერის ასოთა გაუსწენელი ჯგუფიც სალვინის ხელისუფალთა შესახებ გვამცნევს რა-

43 პროფ. ივ. სურგულაძე ამ ადგილს იმისთვის, რომ ზმანა შეუთანხმოს, მოლარესაც მრავლობმთში სცის: „სალვინის მოლარე(ნი) მეზერეთაგან აიღებონ ლვინოსა... აკად. ივ. ჭა-კაციშვილი კ. ა. დადგენი: „(მემარნე) და სალვინის მოლარე (და მეღვინენი) ... ივ. ჭა-კაციშვილი კ. ა. დადგენი: „(მემარნე) და სალვინის მოლარე (და მეღვინენი) ... ივ. ჭა-კაციშვილი კ. ა. დადგენი: „(მემარნე) ამ ძეგლში საერთოდ არ ჩანს, ხოლო მეღვინენი მომდევნონ ფრაზაში ფა-გურისტებენ. აზრითაც, აქ იმ თოთ ჰურ ლვინიშეა საუბარი, რომელიც შეღვინეთუხუცესი, მუქიფისა და სალვინის მოლარეს ერგებათ საკუთრივ. ამიტომ, კუიქრობ, წინადაღებაც ასე უნდა გაიმართოს.

44 ივ. სურგულაძე კართული სამართლის ძეგლები, თბ., 1970, გვ. 41–42.

45 ივ. სურგულაძე კართული სამართლის ისტორიულ-ეთნოგრაფიული ტლასა, 1980, გვ. 144.

46 ივ. სურგულაძე კართული სამართლის ძეგლები, თბ., 1970, გვ. 671, 705.

ლაკვა. ფრაზა ასეთია: „და ოსაკრსა ჭელი შეყარნა სალინეს“. თუ „ოსა“ ნიშ-
ნაეს „70-სა“-ს, მაშინ დარჩენილი ასოთა ჭელი ეგების გავევო, როვორც
„კარანისა“... ძველ ქართულში საყარანო ხელისუფლებას, კარანი მოსაქმეს წიშ-
ნავს⁴⁸. მაშინ აზრი ასეთი იქნებოდა „შეფერ-მეფემნ... მოგუაპარნა... ზამტე“
ლობით თორელს და მარიამს და 70-სა კარანისა (მოსაქმისა) კელი შეყარნა
სალინეს“...

კულტურულ ამას ხელს უშლის ის, რომ ჯერ ერთი „ქრისა“ გვუფის ასე გა-
საცხად გვაკლია თანხმოვანი; მოსალოდნელი იქნებოდა „ქრისა“, მით უფრო,
რომ წარჩერის გამკეობელი თანხმოვნებს არსად აკლებს, თუ არ ფართოდ
გვრცელებულ სიტყვების დაქარაგმებისას: „შეთა ღთსთა“ და „ოფე“ (კ. ი.
„შეწევნითა ღმრთისამთა“ და „უკუნისამდე“)⁴⁹. შეორეც: საკუთარ სახელებს
იგი უქარაგმოდ, სრულად წერს — „თორელს და მარიამს“; ამიტომ აქაც სრუ-
ლად დაწერილი მესამე პირის სახელი უფრო მოსალოდნელი.

საფიქრებელია, საღვინე მეფეს ერთი არ ექნებოდა. მას რამდენიმე საზამ-
თო და საზაფხულო სადგომი ჰქონდა. ბუნებრივია, ყველას საკუთარი საღ-
ვინე უნდა ჰქონდა, ისევე როგორც ბელელი, სამშარეულო, საჯინიძო და
სხვა. ცნობილია, მაგალითად, რომ კოჭირის ციხესთან, ძველთაგანვე სამეფო სა-
ზაფხულო საღვიმში, ყოველ შემოღომაზე სხვადასხვა ადგილს დაწურულ
ტკბილს ეზიდებოდნენ. მაშასადამე, იქ ყოფილი მარანი და საღვინე, სადაც მდ-
ტკბილს აღვინებდნენ. „დასტურლამალში“ ღვინის მოსავლის რიგშე ნათვე-
ბია: „ჯერ ზერისას დასტურევდნენ და კოურჩედ გამოგზავნიდ-
ნენ; მერმე... სადაც კაი ვენახი იყოს და კაი ღვინო გვარობდეს, რომ ჩემნა
მემარნემ იჩჩიოს... ის ჩემნთვის დაწურონ და ჩვენთვის წაიღონ“⁵⁰.
ნათელია, რომ ტკბილი რამდენიმე ადგილზე მიაქვთ.

თბილისის ოგვალივ კოჭორი უმაღლესი წერტილია, ამიტომ ტკბილის იქ დალვინება და შენახვა ისეთსაცე შედეგს იძლეოდა ალბათ, თრიალეთთან და-კავშირებით რომ აღწერს ვახუშტი. ზევით მოხსენიებულმა წარწერამ მისი აღ-მოჩენის ადგილის სიახლოეს საღვინის არსებობა მავარაუდებინა. შესაძლოა, იქაც იყო სამეფო სადგომი. ყოველ შემთხვევაში ნიშანდობლივია „მატიანე ქართლისას“ ცნობა: 1027 წ. „თუესა აგვისტოსა თექუსმეტსა, ქუეყანასა თრია-ლეთისასა, ადგილსა რომ ესა ეწოდების მყინვარი გინა იწ-რონ ნიკა“, გრძელი კორუნდუმისადან გიორგი I⁵¹ ვახუშტი თრიალეთის აღწერისას ამბობს: „სამეტრიდან ერთვის ქციას ავლადის-ჟვევი, გამოსდის კევლრმის კრამას. ე ს ე ა რ ს ც ი ვ ი ა ნ უ მ ყ ი ნ ვ ა რ ი ა⁵². ვახუშტის რუებს რომ დავხედოთ, დავრ-წმიუნდებით: მყინვარი, იწრონი, ივივე ხევ-ღრმა, სწორედ ჩვენი ძეგლის აღმო-ჩენის სიახლოესად. ასევე უძველესი ჩანს თრიალეთიდან ფარავნისკენ აქ გამა-ვალი გზა (ის ახლაც ფუნქციონირებს), რომლის მოწმობად შემორჩინა ნარდევნის-ციხე ულელტეხილის დასწეულში და ამართული ქვა („თიქმადაში“) ულელტე-ხილშე. საინტერსოა, რომ ნარდევნის „ციქლოპურ“ ციხეში ბ. კუთურინმა გა-

48 ଲେଖକ ପାଦରୀ, ମେହେଲି ଫାରତ୍ତଳି ଗନ୍ଧି ଲ୍ୟାଙ୍କିନ୍ଦି, ପଦ, 1973; ଶୁଣିବା ବିଷୟରେ ଏହାର ଅଧ୍ୟାତ୍ମିକ ପରିଚୟ ଲ୍ୟାଙ୍କିନ୍ଦି, ପଦ, 1966.

49 პირსთან, ასეთი გვევბისას, 70 ხელისუფალი საღვიწეში მეტისმეტი იქნებოდა.

50 ପାଇଁ ଗତିମାନ୍ଦ୍ୟ, ଫିଲ୍‌II, ଫର୍ଦ୍ଦ., 1965, ପାଇଁ 258.

51 ମାନ୍ଦିରାନ୍ତି କ୍ଷାରକଣ୍ଠିପାଳ, ମ୍ୟା. I, ପଦ., 1955, ପତ୍ର 291.

52 3 9 6 7 8 9 0, 0 3 7 7 9 5 ..., 23. 42.

თხრების შედეგად მხოლოდ „რუსთაველის ეპოქის“ კერამიკა ნახა⁵³. რაც შეი-
ხება ამართულ ქვას კავკასიაში უდიდეს ოფსიდიანის საბაზოსთან, მის ირგვ-
ლოვ არსებულ უძველეს რწმენა-წარმოდგენებს რომ თავი გავანებოთ (ვეშაპი),
იგი, მართლაც, ნიშანსურტი იყო ამ გზით მიმავალთათვის: უტყეო, რომ გვიჩვი-
ვან გარემოში მისი მაღალი სილუეტი ყოველი მხრიდან ჩანდა, განსაკუთრებით
ზამთარში. ისე რომ თრიალეთის სამეფო სადგომი და აქაური სალვინე ამ ძი-
რითადი მაგისტრალის სიახლოეს უნდა ყოფილყო. ასე იყო კულტურა, სადაც
კი მეუე დგებოდა: კოჭორში, ნაღარბაზევში, დლივში, ღრტილასა თუ ბოკა-
ნოში.

ამრიგად, „თიქმადაშის“ ულელტეხილზე ნაპოვნი გელი კიდევ ერთი სა-
ბუთია თორელთა აქაური სამამულო მფლობელობისა, მათი სალვინის ხელი-
სუფლებისა უქვე XIII ს-დანვე. გვიან ხანის საბუთებში დამოწმებული გა-
მოთქმის შინაარსი „კელი აუ მართე და მიაბარე“ აქ მატერიალურად
ხელშესახები ხდება. „წინადადება „კელი აუმართე და მიაბარე“ მხოლოდ იმ
პირს გულისხმობს; ვისაც ეს მამული უნდა მიშებარდეს. მაში, კელიც უნდა მისი
უფლების დადგენის ნიშანად აღმიაროს“⁵⁴. შესაძლოა სწორედ ამიტომ არ ახ-
ლვს ჩვენს კელს ბაგრატიონთა ნიშანი.

* * *

„შეიპყრნა ლიპარიტ ქუეყანანი თრიალე თისანი“... უნდა ვი-
ფციროთ, ეს მრავლობითი რიცხვი თვით თრიალეთის შიგნით არსებულ მიკ-
როეებუნებს გულისხმობს. ასეთები იყო ფარაგნი, ტაბისყური, ნარიანი; მცი-
რე ქედებით, ხევებით, ფიზიკურ გეოგრაფიულად გამიჯნული არები: საპიტი-
აზმო, რენა-ცხევარეთ-საპონაური, თეზი, ბარეთი... საციხისთვით ერთეულები
ნარევნისა, სანთისა და სხვა. ყველა ესენი დაუმორჩილებია ლიპარიტს და
კლდექარის ციხის მეთაურობით გაუერთიანებია. ამათ გარდა, დროდადრო
გაღვა შებს მეზობელი ატენის, თემის, ვერის, მანგლისისა და სამშეილდის ხე-
ობანიც რომ ეჭირათ — ამას წყაროები აღსატურებენ. საინტერესოა, რომ მათი
ილმშენებლობა და წარწერები შერჩენილია კლდებიში (სამშეილდე), გონიარში
(მანგლისი), ატენში და თვით გარდიაშიც. მაში რატომლა, რომ თრიალეთის ზო-
გიერთ ნაწილში ისინი ან საერთოდ არ ჩანან, ან სხვები მოღვაწეობენ და მათ
კი არავინ ისენიებს? ამ მოვლენას სხვადასხვა ახსნა უნდა მოექცენოს, რო-
მელთაგან შემთხვევითობაც არაა გამორიცხული (წარწერის დაკარგვა, ან მო-
მავალში აღმოჩენა...).

ისტორიულ-გეოგრაფიული. ქვეყნების თვალსაზრისით, პირველ ყოვლისა
ყურადღებას იქცევს ზურტაკეტი, ქციის მარჯვენა შენაერდის — ყარაბულახის
ხეობა. ვახუშტი მას თრიალეთისაგან ცალკე აღწერს, და ასევე ცალკე ჩამო-
თვლის მის სოფლებს. მაგრამ ზურტაკეტ-გომარეთის პლატო, წალკის ზეგნის ეს
ბუნებრივი გაგრძელება, ვახუშტისვე თრიალეთის ნაწილად რომ მიანდა,
ჩანს მისი სიტყვებიდან: „ვახტანგ... ნაღირობდა.... ზაფხულს თრიალე თ ს
შამბიანსაზე“⁵⁵. ეს მთა კი სწორედ ზურტაკეტის W საზღვარზეა. იგივეს

53 Б. Кутин, Археологические раскопки в Триалети. Тб., 1941, с. 30.

54 ბ. ბერძენიშვილი. № III, თბ., 1966, გვ. 140.

55 ქ. ქ. IV, თბ., 1973, გვ. 488.

მიერებს სეხნია ჩეხიძეები⁵⁶. ხოლო 1392 წ. საკათალიკოს მამულების, სიაში ზურტაკეტის სოფ. ორომაშენი თრიალეთშია დასახლებული⁵⁷. ცარიცანები

როგორც კედავთ, ზურტაკეტი ორიალეთის ერთ-ერთი ქვეყანას დღიული შედაც უნდა გავრცელებულიყო ბალვაშთა ბატონბა. ეპიგრაფიულ მასალას აქაც თავისი კორექტივი შევქვე: ყარაბულახის მარცხენა სანაპიროზე ბალვაშთა მიერ ატენილი აღმშენებლობა მარჯვენა სანაპიროზე არ გადაის. როგორც იქაური ქართული წარწერებიდან იჩვევე, ყარაბულახის მარჯვენა სანაპიროზე სამშვილდარ-ზორაკერტელი მეფების, კვირიკიან დავითისა და კვირიკეს უფლება ვრცელდება. თუ ბახჩალარის 1018 წ. წარწერაში ბალვაშთა მოუხსენებლობა შეიძლებოდა იმით აგვესნა, რომ 989 წ.-დან მათ კლდეკარის საერის-თავო ჩამორთმეული ჰქონდათ, ამას კელარ ვიტყვით ქვ. ყარაბულახის 1040 წ. წარწერაში: ამ დროს ლიპარიტ ბალვაში ისევ მამაპაპეულ თრიალეთს განავგბს. ჩანს, აქაური ქართველი ფერდალები კვირიკიანთა ჰევშევრდომები გამდიდარიან, თუმცა არც მათ იხსნიერენ თავისი სააღმშენებლო წარწერებში. ზურტაკეტის ნახევარი კვირიკიანებს თავისი გავლენისათვის უნდა დაემორჩილებინათ 989 წ. შემდეგ — როდესაც ბაგრატ III ბალვაშებს თრიალეთი ჩამოართვა. სწორედ ამ წლებშე მოდის მათ მიერ დმანისისა და სამშვილდის აღება⁵⁸, ხოლო ზურტაკეტის ეს ნაწილი კი ამ ორი ქვეყნის სანაპიროზე იყო.

ასევე არ ახსნებენ კვირიკიანებს ქართლის კათალიკოსთა წარწერები სა-
კედა და ორმაშენში, მაგრამ ისინი არც ქართველ მეფეებს იხსენიებენ. საკა-
თალიკოს სოფლები, ჩანს, მხოლოდ მცხეთის პატრიარქის უმაღლეს უფლე-
ბას აღიარებდნენ, ხოლო პოლიტიკური დაქვემდებარება მეორეხარისხოვანი
საკითხი იყო მათვეის.

მაინც როგორ შეიძლებოდა ერთი ისტორიულ-გეოგრაფიული ქვეყნის ორად გაყოფა ასე უმტკიდენულოდ? — საჭმე ისაა, რომ ზურტაკეტიც, ისევე როგორც სხვა ქვეყნები, მიკროკვეყნებად — საციხისთავო ერთეულებად იყოფოდა. ეს იყო ციხე-ქვაბისა და მუსის ციხის შესავალი ნაწილები. კვარიკიანთა მიერ დამორჩილებული ზურტაკეტის ნახევარი სწორედ მუსის ციხის ქვეყანა იყო, რომელიც დმანისის ხევში მიმავალი გზის პირად იდგა. უნდა ვითქმი-როთ, დმანისიც და მუსის ციხეც (თავისი ერთეულით) კვარიკიანებმა უფრო ადრე აიღეს, ვიდრე სამშვილდეს სატახტო ქალაქიდან იქცევდნენ. მათი გავლენის გაფართოებას ზურტაკეტის მეორე ნახევარზე ცეკვის ბალვაშთა უკან დაბრუნებაზე შეუშალა ხელი...

საერთოდ, ბალვაშთა და კვირიკიანთა მოკავშირეობა საერთო მტრის (მათ შორის ქართველთა მეფის) წინააღმდეგ ხაზგასმულად ჩანს ქართულსა და სომხურ წყაროებში; ამიტომ მაშინ, როცა კლდეკარის ერისთავები ცდილობენ ყოველი მიმართულებით განაცრცონ თავიანთი სამფლობელო, კვირიკიანებთან კეთილმეზობლობას იცავენ.

ତରିକାଲୁହ ଚାରିଦ୍ଵରାତା ଶ୍ଵେତ ପତ୍ରରୁ, ଶ୍ଵେତାଲୀର, ମଧ୍ୟ ପରିଷରରେ ଶ୍ଵେତକୋରେ,
ଖରଦୀରୁଥାର ପାରତ୍ତପାଳି ମେଘନାରେ ଦାଙ୍ଗରଶ୍ରେଷ୍ଠ ତାଙ୍କରିଳ ସାଶୁରକୋଲାର ଉରିଦିବାରି

56 Տայարական պեղութեա. տե., 1913, 23. 25.

57 ob. σ μ λ ο δ γ. βιδ III, τοδ., 1970, 23. 177.

ცულიან (ზვიადი, მირიან თარხონის ძე, ვახტანგ...)⁵⁹ და, ბუნებრივია, მამინ-
დელ აღმშენებლობაზე, თუ წარწერებში მათი სახელები არ ჩანს, მაგრამ მათი სახელი არ და

თრიალეთის წარწერებზე დაკვირვება კიდევ ერთ საკითხს აყენებს: ამ-
სად ჩანს წალკელი ეპისკოპოსი, ვინდა არა აქ: წურწყაბელი, მანგლელი, ქარ-
თლის კათალიკოსი, შომღვიძეს, თუ ადგილობრივი ბერმონაზენები⁶⁰, წალკე-
ლი კი არა და არც სხვა ვინმე იხსენიებს. ექვთ. თაყაიშვილი თვლიდა, რომ
ეძანის ხიდის ბურჯებში მოყოლილი წარწერები წალკის კათედრალური საყ-
დრის ნარჩენებია და მიუთითებდა გუნია-ყალას (ძვ. წალკის) ნანგრევებზე,
საიდანაც ეს ქვები წამოიღესონ.

წალკელის საეპისკოპოსოს აღრე დაარსების საწინააღმდეგოდ იბადება
შემდეგი მოსაზრებანი: სახელი წალკა, აღრე უცნობი, მხოლოდ XII ს-დან
ჩნდება ქართლის ცხოვრებისა “ძველ სომხურ თარგმანში”; თრიალეთის ეპის-
კოპოსი არ გვხდება ძველ წყაროებში და პირველად XIII ს. ძეგლში ჩანს—
წალკელი⁶¹; თრიალეთის არცერთი სოფლის წარწერა წალკელს არ იხსენიებს,
ხოლო აქაური სოფლების დიდი ნაწილი სხვა კათედრალურებისა, თუ მონასტრე-
ბის საკუთრებაა; XIII ს-მდე წალკის საეპისკოპოსო კათედრა რომ ყოფილი-
ყო, ბაღვაშთა შეკვეთით ერთი ხელნაწერი მაინც შეიქმნებოდა აქ; ასეთები კი
მათ სულ ერთიანად სხვაგან შეუკვეთეს.

ამიტომ შეიძლება ვიფიქროთ, რომ წალკა კლდეკარის საერისთავოს მოშ-
ლის შემდეგ დაწინაურდა, ვითარცა თრიალეთის ცენტრი და საეპისკოპოსო
კათედრაც ამის შემდეგ აშენდა სახასო მხარეში.

Д. К. БЕРДЗЕНИШВИЛИ

НЕИЗВЕСТНЫЕ НАДПИСИ ТРИАЛЕТИ

Резюме

Впервые публикуются 15 грузинских надписей XI — XIII вв. из Триалети, которые были собраны автором в историко-географических экспедициях 60-ых годов. Большинство из них сохранилось на развалинах церквей, одна надпись высечена на каменном кресте и две — на надгробных плитах.

В работе даются чтения, палеографическая характеристика и приблизительные даты недатированных надписей. Только две надписи имеют дату (1018 и 1040 гг.), в четырех — упоминаются лица известные по нарративным источникам в истории Грузии XI в.; все остальные датируются автором по палеографическим признакам, по архитектурным данным при использовании сведений первоисточников.

Последняя надпись высечена на каменной плите с изображением руки, т. н. «хели». Она датируется автором I четвертью XIII в.; в ней говорится о передаче царем некоему Торели и Марии земель и винохранилища.

Помимо этого в статье даются некоторые наблюдения из исторической географии Триалети.

59 ИКОИМАО, вып. III. Тиф. 1913.

60 იქვე.

61 იქვე, გვ. 73.

62 ქს II, გვ. 49.

ჯონლო გვასალია

ლიახვის ხორის ისტორიული გეოგრაფიის საკითხები

მდინარე დიდი ლიახვი სათავეს ღებულობს მ. ლალწითის ყინვარიდან და სოფ. ახტათში უერთდება მეორე მდგრელს — მდ. ერმანილონს. დიდი ლიახვის ზემო წელი ყინვარული ზემოქმედების ნიშნებს ატარებს.

საშუალმთანი ზონა, რომლის დრენირებას აწარმოებენ მდ. ლიახვი და ფაწა შემდინარეებით, ხასიათდება ეროზიული ხეობებით, მეწყერებითა და ტერასების ფრაგმენტებით, ჯვის მიდამოებში ხეობა გაფართოებულია და ქვაბულს მოვაკონებს.

დიდი ლიახვის შემდინარეთა შორის, რომელნიც მას მოიანი ზოლის ფარგლებში შეერთვინ, ყელაზე მნიშვნელოვანი არიან ფაწა, ჯომავდონი, როკისწყალი, თლიისწყალი, გუდისისწყალი.

მდ. ლიახვის გამყოლ ხეობაში გაერცელებულია ფიჭვი, ნაძვი, წიფელი, რცხილა, არყი, ნეკერჩალი, ეოლო, მურყანი, ტირიფი, ვერხვი, მუხა. ტყის ზონის ზემოთ (2000—2300 მ ზემოთ) მთის მდელოს კორდინი ნიადაგები და ფარულია სუბალპური და ალპური (3000—3300 მ-დან) ბალახოვანი მდელოებით. ლანდშაფტის ტიპის არეში ტყიდან თავისუფალი აღგილები გამოსაღევა სოფლის მეურნეობის კულტურების (ხორბალი, ქერი, ჭვავი, შერია, კარტოფილი) გაერცელებისათვის. სუბალპური და ალპური ლანდშაფტის არეალის ბალახ-მცენარეულობა, როგორც სათიბ-საძოვრები, მესაქონლეობის განვითარების მტკიცე ბაზაა.

მდ. ლიახვის დაბალმთანი ზონის ტყეები თავისი შემადგენლობით კოლეთის ლანდშაფტს გვავინებს. ეს ზონა ხელსაყრელია საგაზაფხულო კულტურებისათვის, მათ შორის ხორბლისა და ქერისათვის, აგრეთვე კონტინენტური მეხილეობისათვის, მებოსტრეობისათვის. დაბალ ზონაში ტერასების ნიადაგ-კლიმატური პირობები გამოსაღევა ვაზისათვის!

მდ. პატარა ლიახვი გერმუხის ქედის სამხრეთ კალთებზე იბადება მ. მანვაცავაგასა და ქნოლოს შორის. ხეობის უმეტეს ნაწილში, სათავეებიდან სოფ. ბელოთის მიდამოებამდე, გაბატონებულ გეოლოგიურ ფორმაციად ცარცული ფლიში გვევლინება¹. პატარა ლიახვი დიდ ლიახვს უერთდება სოფ. შერთულთან.

¹ ლ. უკლება, აღმოსავლეთ საქართველოს მთანი მხარეების ლანდშაფტები და ფიზკურ-გეოგრაფიული რაონები, თბ., 1974, გვ. 42—44, 47—48.

² ლ. მარუშაშვილი, საქართველოს ფიზკური გეოგრაფია, თბ., 1964, გვ. 170.

ქნოლო-ჩაბარუხის ქვერაიონის დრენირებას აწარმოებს პატარა ლიახვი
და მისი შენაკადები—ჩაბარუხისწყალი, ფაჩურისწყალი და სხვა. ტომელინი
ტიპიური მთის მდინარეებია.

ტყეები შედგენილია რცხილის, არყისა და მუხისაგან. ტყის ზოლის ზე-
ვით კორდიანი ნიადაგები დაფარულია სუბალპური და ოლპური მცენარეუ-
ლობით. მაღალანდშაფტურ ზონაში თესავენ მხოლოდ კარტოფილს და ზო-
გიერთ მარცვლეულ კულტურას (ქერს). ნატყეური მდელოები გამოყენებუ-
ლია სათბებად. ქნოლო-ჩაბარუხის რაიონი მდიდარია სათბის-საძოვრებით. პა-
ტარა ლიახვის შუა წელის რელიეფი და ნიადაგ-კლიმატური პირობები ხელ-
საყრელია მარცვლეული კულტურებისა (ხორბალი, სიმინდი) და ხეხილის
გავრცელებისთვის³.

მდ. დიდი ლიახვის ქვემო ნაწილი მიეღინება ქართლის ანუ ტირიფონის
ვაკეზე. საკუთრივ ტირიფონის სახელწოდებაში იგულისხმება ამ ვაკის ცენტ-
რალური, გაფართოებული ნაწილი, რომელსაც ლიახვის ქვემო წელის ორივე
სანაპირო უჭირავს. ტირიფონის ველისა და საამილახვროს მთელი ჩამონადენ
მტკერისაკენ გორთიან გამომუშავებული ლიახვის გამქვეთი ხეობით გადის.
ქართლის ვაკის სამხრეთ ნაწილში, მტკერის მარცხენა სანაპიროს გასწვრივ,
გაწოლილია კვერანჯის სერი. მისი უკიდურესი დასავლეთი ნაწილია რუისის
სერი (კახუშტის ნომენკლატურით „მთა რუისისა“).

ტირიფონის ვაკე ხასიათდება ძველალუვიური, ალუვიური, შავმიწისებრი
და ყავისფერი ნიადაგების კომბლექსით. ჭერ კიდევ ძველად შემჩნეული ჰქონ-
დათ, რომ ლიახვის ქვემო წელის ნიადაგი დიდი რაოდენობით შეიცავდა ლამს,
რომელიც განაპირობებდა მთელ საქართველოში საკუთხესო ხარისხის ხორბ-
ლის მოყვანას⁴.

ადამიანის მრავალსაუკუნოვანმა სამეურნეო საქმიანობამ გამოიწვია ბუ-
ნებრივი მცენარეულობის თითქმის სრული ლიკვიდაცია ტირიფონის ველზე.
მხოლოდ ცალკეულ პატარა ნაკვეთებზე ქვედება ველის მცენარეულობის
დაჭვუფებანი.

* * *

დიდი ლიახვის სათავეებში კავკასიონის ქედზე რამდენიმე გადასასვლე-
ლია, რომელებზეც უძველესი დროიდან გადმოდიოდა გზები ჩრდილო კავკასი-
ონიან საქართველოში.

1. ნარის ხეობიდან, სოფელ ნარიდან მოემართება გზა, რომელიც ზეკარის
უღელტეხილის გავლით გადმოდის ქეშელთას ხეობაში;

2. შეორე გზა ნარის ხეობიდან მდ. გინატლონის აყოლებით, სოფ. უაჩას
გავლით, გადასასვლელ ბაზფანდაგზე გადმოდის ჯომალის ხეობაში;

³ დ. უკალება, დასახ. ნაშრ., გვ. 52—53.

⁴ С. В. Мачабели, Эконом. быт гос. кр. Горийского уезда Тифлисской губер-
ни, Материалы для изуч. эк. быта гос. кр. Закавк. края, Тифlis, 1887, т. VI,
ч. I, с. 138.



3. მამისონის სოფ. თლიდან ზრუგის გადასასვლელის გავლით, მდ. გინამ-
ლონის გაყოლებით, ბახტანდაგის გადასასვლელით გზა ჩამოდის ჭომალის ხეო-
ბაში:

4. ნარის ხეობიდან ზაყის ხეობით სოფელ ქვემო ფურიათმდე და აქედან
კუთხის გადმოსასვლელით გზა გადმოდის ჭომალის ხეობაში;

5. ვალაგირის ხეობის სოფელ ზარომიდან მდ. ნარდონის გაყოლებით სო-
ფელ ნარამდე, შემდეგ მდ. ზაყის გასწვრივ სოფ. კასათყაუსა და როკის გადა-
სასვლელის გავლით გზა გადმოდის როკის ხეობაში;

6. ქურთათის ხეობიდან ხილიაკის ხეობის გავლით, მდ. ზრიგატიდონის
გასწვრივ, სოფ. კესატიყაუმდე, ხოლო აქედან როკის გადმოსასვლელით გზა
გადმოდის ლიახვის ხეობაში;

7. თრუსოს ხეობიდან შშვერვალების ვაცეკარსის, ზილგახონის და გაცოს
გასწვრივ გზა გადადის ჩელიათის ხეობაში;

8. თრუსოს ხეობის სოფ. წოწოლთადან ყაღლასანის გადასასვლელით გზა
გადადის დიდი ლიახვის სათავეებში;

9. ქურთათის ხეობიდან ხილიაკის ხეობით სოფ. ქოლოთყაუდან სოფ. ზა-
ყისკენ, ხოლო აქედან სბის ულელტეხილით გზა გადმოდის სბის ხეობაში. ამ
უკანასკნელ გზას იცნობს ვახუშტი ბაგრატიონი, როგორც ყველაზე მოსახერ-
ხებელ გზას კავკასიონის ამ მონაკვეთზე⁶.

ვახუშტის რუკაზე სოფელ სბას აწერია „უბა“, „ალწერაში“ კი ალწიშუ-
ლია „ბჟის-ჯევი“. მაგრამ უკვე არაა, რომ „ბჟის-ჯევი“ არის იგივე უბა(სბა),
რადგან „ბჟის-ჯევი“ ვახუშტის მიხედვით ლიახვება როკის ზევით, ე. ი. აღმოსავ-
ლეთით. ამის სასარგებლოდ ლაპარაკობს „ალწერის“ სხევა იდგილი: „აქედან
(ზანის ხეობიდან—ჭ.გ.) გარდავალს გზა თრუსოს, მაღრან-დვალეთს და უბას,
დიდ-ლიახვებზედ“⁷.

ვახუშტი იცნობს აგრეთვე ჩრდილო კავკასიოდან ლიახვზე გადმომავალ
მეორე გზასაც: „დვალად ამ ზრამაგის-ჯევის სათავიდამ გარდავალს ზეკარაზედ
გზა ქართლს დიდ-ლიახვებზე“⁸.

ერთ-ერთი ამ გზათაგანი უნდა ყოფილიყო „გზა დვალეთისა“, რომელსაც
ლეონტი მროველა ასხელებს XII ს. ამბების თხრობისა და IV ს. მეცე მირიანის
მოქმედებასთან დაკავშირებით⁹.

დვალეთს მიმავალი გზის ერთ ნაწილს „გზა აჩაბეთისა“ ეწოდებოდა¹⁰.

დვალეთის გზით ბრუნდებოდნენ XII ს. თამარის ქმრობის მაძიებელი,
მაგრამ დაწუნებული „ოსთა მეფეთა შვილინი“¹¹.

როგორც XII ს-ში, ისე XVII ს. დასაწყისში დვალეთი ქართლის სამე-
ფოში შემოდიოდა. XVII ს. პირველ მეოთხედში მის მოურავად გიორგი საა-
კაძე იყო. შეპ-აბასის მიერ ქართლის დარბევით იმედმოცემული დვალეთი
განდგა „და არა მოსცეს დვალთა ბეგარა მოურავსა. გარდავლო სპითა მოურავ-

5. ვახუშტი, ალწერა სამეცნია საქართველოსა, თბ., 1941, გვ. 77—78.

6 იქვ. გვ. 115.

7 იქვ.

8 ქართლის ცხოვრება, I, თბ., 1955, გვ. 55., 67, 68.

9 გ. გ. ს. ხ. ი. ა. ძეგლი ერისთავთა, გმ. საქ. და კავკ. ისტ., ნაკვ. 30, თბ., 1954, გვ. 361.

10 ქართლის ცხოვრება, II, თბ., 1959, გვ. 38.

და ზექარა, შთავიდა და მოსრნა ურჩინ და ყუნა კუალად მებეგრედ და მოვი-
და ქართლს¹¹.

ვახტანგ VI 1711 წ. „აღმმედრა სპითა შესვლად ოცენტს და შემიღებული
შემუსრა 3 (80) კოშკი. მოწვა და მოსტყვევნა ურჩინ. ჩავლო ზრამაგა და შე-
მოვლო კედელასა ზედა და მოვიდა კუდაროს და კუდაროდამ ქართლს გმარ-
ჯვებული... დაიპყრა დვალეთი და დასდევა ხარჯი და გორს მდგომი იშვებდა და
იხარებდა“¹².

გზა დვალეთისა ნიშანდობლივ იქვევა: მცხოვა, მუხრანი, რეხი (ნაჭარ-
მაგვი), ფარვისი, ნიქოზი, ცხინვალი, კეხვი, გუმთა. აქედან მდინარე ფაწას
და შემდეგ ბერი ხევით გზა გადალახავს ზექარას ულელტეხილს და მდინარე
გინათით და შემდეგ ზახას ხეობით ნარას ჩაუვლის. გუმთადან დვალეთისაკენ
მეორე გზაც მოქმედებდა მდინარე დიდი ლაიხეისა და შემდეგ როკის წყლის
პირით (სხლები, ჭავა, კოშკა, როკი). როკის გადასვლით ეს გზა მდინარე ზა-
ხას ხეობაში შედიოდა. აქ მას უერთდებოდა კობიდან თრუსოს ხეობით წამო-
სული გზა. ნარას მისვლამდის ეს შეერთებული გზა ზექარაზე გადმოსულ გზას
უერთდებოდა. ნარა ხიდი დარაჯობდა. აქედან სამივე გზა ზახას ხეობით ზრა-
მაგას ჩადიოდა და რაჭიდან კედელაზე (აწ მამისონზე) გადმოსულ „თაკვერის
გზას“ უერთდებოდა. ზრამაგიდან ეს გაერთიანებული გზა კასრის ხევით (აწ
არდონი) კასრის კარს გაივლიდა და ვალაგირის ჩავლით თერგის ხეობაში შე-
დიოდა¹³.

ლიხთიმერეთთან აღმოსავლეთ საქართველოს დამაკავშირებელი რამდენი-
მე გზა ლაიხეის ხეობით მიემართებოდა.

ქართლიდან ზემო რაჭას (და სვანეთს) პირდაპირი გზა რომ უნდა არსე-
ბულიყო, ამას ამტკიცებს VI საუკუნის დიპლომატიური მოლაპარაკება, რომა-
ელებსა და ერანელთ სვანეთის გამო რომ პქნიდათ გამართული... სვანთა მი-
მოსვლაზე ზემო რაჭას გზით ქართლში მიუთითებს აგრეთვე XVI საუკუნის
ცნობილი სარჩელი ვაფარიძეებსა და სვანებს შორის. ამავე გზის არსებობას
გულისხმობს ის ფაქტიც, რომ ზემო რაჭა ნიქოზის საეპისკოპოსოში შედიო-
და¹⁴.

ვახტანგიმ კრგად იცის, რომ რაჭიდან კუდაროს და წონას, ხოლო „აქიდან
და კუდაროდამ გარდავალს გზა ქრცხინვალის ხეობასა ზედა, დვანის ხეობასა
ზედა, ქართლში“¹⁵.

1724 წელს რაჭა-ცხინვალის გზა გაიარა ვახტანგ VI ემიგრაციამ 1400 კა-
ცის შემადგენლობით.

შიდა ქართლიდან ზემო რაჭაში რამდენიმე გზა შედის. ყველაზე მარჯვე
ესაა ლაიხეის აუზიდან ჯეორის ხეობაში გარდამავალი გზები: 1. ცხინვალი—
კეხვი—მდ. ფაწა—მდ. ქეშელთა—ლეთის ზექარი, მდინარე ჯეჯორას ხეობით
ონისაკენ; 2. ცხინვალი—კეხვი—ფაწა—ჯავისთავი—ზამთარეთი—არაშენდა
—ჩასავალი—მდ. ჯეჯორას პირით ონისაკენ; 3. ცხინვალი—ფაწა—ერწო—ჯე-
ჯორას პირით ონისაკენ.

11 საქართველოს ცხოვრება, ზ. ჭიჭიათის გმ., თბ., 1913, გვ. 64.

12 იქვე, გვ. 119.

13 ნ. ბ. ე. რ. დ. ე. ნ. ი. შ. ვ. ი. ლ. ი., გზები რუსთაველის ეპოქის საქართველოში, თბ., 1966,
გვ. 27—28.

14 იქვე, გვ. 29.

15 ვახტანგი, ალწერა..., გვ. 160.

ი. გულელენშტედტის მოგზაურობის დღიურში ვხვდებით შიდა ქართლი-დან რაჭაში მიმდევალი გზის აღწერას, რომელიც გადიოდა ლიახვის ხეობაზე ქართლი-გზის ორიენტირებია შემდევი პუნქტები: საცხენო, ვანათი, ერელი, ცინკომი, ლი, დგვრისი, უდანეთი, თამარაშენი, ხეითი, ძარწემი, აჩაბეთი, ქურთა, კეხვი, გვეფთა, ფაწა, სხლები, გვერწერი, წახო, წონა, მდ. ჯვრორა, კუდარი¹⁶.

ი. გულელენშტედტის მარშრუტი სპეციფიურია, მაგრამ იგი მას თვლის ქართლის ტიპიურ გზად. ნაშრომის სხვა ადგლოს იგი წერს: „თბილისიდან მიდის ჩევულებრივი და სულ პირდაპირი გზა ქუთაისში დუშეთზე გავლით: დუშეთი, მუხრანი, ქრცხინგალი, სურამი, ვანია, ჩხერი, შორაპანი, ქუთაისი“¹⁷.

რა თქმა უნდა, ეს არაა ჩევულებრივი და პირდაპირი გზა თბილისიდან ქუთაისამდე. უმოკლესი და პირდაპირი გზა გაივლიდა გორს. გზები მიღიოდა როგორც მტკვრის მარჯვენა, ისე მარცხენა ნაპირით.

მტკვრის მარჯვენა ნაპირის გზით მოდის წმ. ნინო ურბნისიდან მცხეთაში. „მოქცევად ქართლისაა“-ში ვკითხულობთ: „და იყო დღესა ერთსა ალიძენეს ერნი ძლიერნი და ურიცხუნი სიმრავლითა მით ქალაქით წირმავალნი დიდად ქალაქიდ მცხეთად, რომელი იყო საჯდომელი დიდთა მეფეთა, ვაჭრობად და ლოცვად არმაზ ღმრთისა მათისა. ხოლო მე წარვპყვე მათ თანა და მივიწინოთ ქალაქიდ მცხეთად, წიალით მოგუთას, წიდასა ზედა დავდგენით მუნ“¹⁸.

ლეონტი მროველი აზუსტებს მოგუთას მდებარეობას: „ხოლო სახლი ელიოზისი იყო ქალაქისა დასაცალით, წიაღ მოგუთასა, ჟიდა ზედა“¹⁹.

როგორც ვარაუდობენ, მოგვთა უბანი და ხიდი მდებარეობდა მცხეთის თანამედროვე ხიდის დასაცალეოთით.

ფრანგი მოგზაური უან შარლენი იმავე გზით მოემართება გორიდან თბილისისაკენ²⁰.

როგორც ს. მაჩაბელის აღწერიდან ჩანს, XIX ს. 60—70-იან წლებში საფოსტო გზა გადიოდა მტკვრის მარჯვენა ნაპირზე²¹. მაგრამ XIX ს. პირველ ნახევარში გორი-თბილის საფოსტო გზა მისუვებოდა არა მტკვრის მარჯვენა, არამედ მარცხენა სანაპიროს²².

ი. ქლაპორტის 1814 და 1823 წლებში გამოცემულ რუკებზე გზები მიე-მართება მტკვრის როგორც მარჯვენა, ასევე მარცხენა სანაპიროზე.

მტკვრის მარცხენა ნაპირზე გზა მცხეთიდან დასაცალეოთით გაივლიდა მუხ-რანს, გორს, ურბნისს, რუისს, ქარელს.

ნ. ბერძენიშვილი ნაქარმაგვე-მუხრან-ძალისა-წილკანზე გამავალ გზას თვლიდა შიდა ქართლის უმთავრეს გზად²³. მასვე გორის მახლობლად მდებარე რეხის ფიცურირება II-III სს. ამბებთან დაკავშირებით და VI ს-ში იმავე რე-

16 გულელენშტედტის მოგზაურობა საქართველოში, I, თბ., 1962, გვ. 99—105.

17 ივე, გვ. 7.

18 ძეველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, I, თბ., 1964, გვ. 118.

19 ქართლის ცხოვრება, I, გვ. 101.

20 შარლ დე ნის მოგზაურობა, თბ., 1975, გვ. 275.

21 С. Мачабели, უკ. соч., с. 142.

22 Сборник мат. для опис. Тифл. губ., т. I, вып. II, Тифлис, 1871, стр. 31, 34; Обозрение Российских владений за Кавказом, ч. II, 1836, с. 55.

23 ნ. ბერძენიშვილის საქართველოს ისტორიული გოგრაფიის კრებული, VI

სის გარშპანის სადგომად ყოფნა მიაჩნია გაცხოველებულ გზაზე ამ პუნქტის
მდებარეობის მოწმობად²⁴.

შიდა ქართლს ზემო ქართლთან ხეობის გზა აერთებდა. თბილისის მისამართი კუთხის მიმავალი გზა გორიდან მტკვრის მარცხნა ნაპირს მისდევდა.

„მოქცეუად ქართლისას“ მიხედვით, დეინიდან ლომლეილი ნინო მოიწა „მთათა ჯავახეთისათა“. აქედან გაემართა მცხეთისაკენ. „და იყო დინება წყლისა და საულით კერძო. და მიუდევ გზასა ძნელსა და ფიცხელსა. და ვინილენ დიდი ჭირი გზათავან და შიშნი მქეცავან, ვიღრემდი მოვიწიე აქა, ვინა იგი წყალმან აღმოსავალით იწყო დინებად. მიერთოვან იყო ლხინება ჩემი. და ვა- შოენ მოგზაურნი და მივიწიე სანახებსა ქართლისასა, ქალაქსა ურბნისისა- სა“²⁵.

წყაროდან ჩანს, რომ შიდა ქართლში წმ. ნინო მოდის კეთილმოწყობილი გზით, სადაც უხითათოდ შეეძლო მგზავრს სიარული. ეს მთავარი ფაქტორი იყო სავაჭრო გზის კეთილმოწყობისათვის. IV ს. ურბნისზე გადიოდა სავაჭრო გზა, რომელმაც თავისი არსებობა კარგა ხნით ადრე დაიწყო და ამ დროისა- თვისაც საკმაოდ მნიშვნელოვანი იყო. მტკვრის გზა იმ სატრანზიტო გზის ნა- წილია, რომელიც გაცილებით ადრე ფუნქციონირებდა²⁶.

გზა თრიალეთიდან ლიახვის ხეობასა და ქართლში გადმოდიოდა ტანას ხეობით. საისტორიო წყაროებში არაერთგზის არის ნაგულისხმევი ან დასახე- ლებული ეს მარშრუტი.

* * *

ლიახვის ხეობის ეკონომიური გეოგრაფიის შესახებ მცირე ცნობებს გვაწ- ვდის ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“.

ვახუშტი ლიახვის ხეობას შემდეგნაირად ახსაითებს: „არამედ არს მდი- ნარე ლიახვი სარგებლინი მრწყველი ველთა იმიერ და ამიერ ლიახვისათა, ჩქარად მომდინარე და რიყიანი, და ჭმვანი, სასმელად შემტრო და გემოიანი, მარადის ცივი, გარნა ვერ განპყინავს ზამთარს სიჩქარისათვის, თევზინი მრა- ვალნი, რომელნი ველნი ირწყვიან ლიახვითა, პური მისი არს ყოველთა ქართ- ლისათა უმჯობესი, და გემოიანი და სპეცია...“

ვანათმდე არს ვენახიანი, ხილიანი, დაბნებიანი და მრწყველი ველთა გორს ზეითისა, მეგვდის მდინარისა და პატარას-ლიახვს შუათთა, გვერდის-ძა- რაძე.

და ვორიდამ სცერამდე არიან ლიახვის იმიერ და ამიერ დაბნები ხილიან- ვენახიანი. არამედ არს ლეინ თხელი და მომეო, სასმელად მშვენი“²⁷.

ცხრივალის მიღმიერების შესახებ ვახუშტი აღნიშნავს: „გარემო წალკო- ტოვან ვენახოვანი, საზრდლით მაძლარი“²⁸.

24 ს. ბ ე რ დ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, გზები..., გვ. 21—25.

25 დევლი ქართლი აგოგრაფული ლტერატურის ძევლები, I, გვ. 117.

26 ლ. ჭ ი ლ ა შ ვ ი ლ ი, ნაქალაქარი ურბნისი, თბ., 1964, გვ. 146—147.

27 ვ ა ხ უ შ ტ ი, აღწერა..., გვ. 75, 77.

28 იქვე, გვ. 76.

ლიახვის ზემო წელი „არამედ სვერს ზეით რომელი ლიხვის ხეობა აღვ-
სწერეთ, ას უკენახო, უხილო: მსახლობელი არიან ოსნი, დვალი; ექვემდებარებულითა
მთის ალაგებრი და პირულყვითაცა ეგრეთი“²⁹.

მარრან-დვალეთის შესახებ ვახუშტი ალიშვილის: „ხოლო ქსნის მამული, რომელინ დავსწერეთ, არიან მაგარნი მთითა, კლდითა და ტყითა. ას მთანი შემკვბილი ყვავილითა და ბალახითა. კაცნი ჰვონე, ვითარცა არაგვისანი, არა-
მედ ისინი უმჯობესნი. ამ მთის აღვილებთა შინა, რომელინ აღვსწერენით, დი-
ან წყარონი ფრიად ანკარანი, მომლაშონი, არამედ საჭმლის მომდობნი და მოძ-
ნელებელი, და სმენ მუნებურნი; უწოდებენ ვეძას, პირუტყო შემრვო, გამა-
სუქებელი“³⁰.

პატარა ლიახვის ხეობას ვახუშტი ასე ახასიათებს: „ხოლო ტბა ქნოლოსი ას მცირე, რომელსა სდის ლიახვი. ამ ტბიდამ ვანათამდე ას ლიახვის ხეობა უვენახო, უხილო, ვითარცა დავსწერეთ მთის ხევნი, და სივიწროვით ესე უფ-
რო მწირი“³¹.

რაც შეეხება ლიახვის დასავლეთით მდებარე მინდვრის მორწყვას ლიახ-
ვის წყლით, ვახუშტი მის შესახებ წერს: „და ამ რუისის მთის სამკრეთის მინ-
დორი ნიქოსამდე და ლიახვით დვანის-წყლამდე ირწყვის ორის ლიახვის რუ-
თი, თამარ მეფის ქმნულითა, და ნაყოფიერებენ დაბნები ყოვლითავე მრავალ-
ნი. ხოლო სალოვისის რუ განაახლა ე მეფემან ვახტანგ, არამედ აწ უქმი იყო.
ხოლო რუისი ას უწყლო, თვინერ წყაროსა ერთისა, რომელი ას ეკლესი-
ისა თანა. არამედ სცხორებენ მით რუთი, და ირწყვის მინდორი ურბნისამდე
ამითვე“³².

ქართლის ვაკის ძლიერი გვალვიანობა ყოველთვის ხდიდა მორწყვას ლია-
ხვის ქვემო წელისათვის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს სახალხო-სამეურნეო
პრობლემად. მდინარე ლიახვი, კვეთს რა დახრილ ალუვიურ ვაკეს, მეტად მო-
ხერხებულია არხების გაყვანისათვის.

ლიახვის სარწყავი სისტემების შექმნა ანტიკურ ხანას განეკუთვნება. ამ
დროის უნდა იყოს ურბნისის ზედა არხისა და ტირიფონის არხის გრანდიოზუ-
ლი რუსხმულები.

ურბნისის ქალაქობის ყველა ფენაში დადასტურებულია მატერიალური
ნაშთები, რომელიც ურბნისის რუს მოქმედებაშე მიუთითებს. ურბნისის რუ
მოქმედებს დღიდან ურბნისის ქალაქობისა, თუ თვით ქალაქი მისი მოქმედე-
ბის შედეგი არ არის³³.

ი. კიკეიძის აზრით, სახელი რუისი „რუ“-დან წარმოებული ჩანს და, სა-
ფიქრებელია, ეს რუ ზედა რუ უნდა ყოფილიყო, რადგან რუისი რუს უბანი
ურბნისისათვის არის. რუისი ურბნისის ერთი სამიწათმოქმედო აგარა უნდა
ყოფილიყო. დროთა განმავლობაში რუისი იძღენად უნდა დაწინაურებულიყო,
რასაც რუსთან სიახლოვე უწყობდა ხელს, რომ ურბნისის მეტოქეობა უნდა
დაეწყო. ურბნისმა მაინც მოახერხა რუს დასაკუთრება, რასაც რუისისათვის
სპეციალურად გაყვანილი „ქვედა“ რუ მოწმობს³⁴.

29 ვახუშტი ტბი, აღწერა, გვ. 78.

30 იქვე, გვ. 71.

31 იქვე.

32 იქვე, გვ. 78—79.

33 ი. კიკეიძე, მორწყვა ქველ საქართველოში, თბ., 1963, გვ. 70.

34 იქვე, გვ. 114—115.

არხების გაყვანასთან დაკავშირებით ი. კიკვიძე საგულისხმო დასკვნის გეთავაზობას: „საფიქრებელია, რომ არა ერთი არხის შენებლიამ აშენებული მონაწილეობას იღებენ ტაძრები, საკულტო ცენტრები. შემთხვევით არა, არა რომ აღმ. საქართველოში ცნობილი საეპისკოპოსო კათედრალების ანსოლუტური უმრავლესობა სარწყავ მიწებზე განლაგებული. ამავე დროს ქართლის სამეფოს თითქმის ყველა ქალაქში ან მის ახლოს შემდგომ ხანებში საეპისკოპოსო ცენტრებია დადასტურებული: ურბნელი, მროველი, მცხეთელი, რუსთველი და მრავალი სხვა“³⁵.

ჩვენი მხრით საეპისკოპოსოთა სიას ვამატებთ ნიქოსი, რომელიც ასევე სარწყავ მიწებში და წარმართული სალოცავის იდგილას აღმოცენდა. საერთოდ, ფრიად საყურადღებო ფაქტია ლიახვის ქვემო წელზე, მის მარჯვენა მხარეს სამი საეპისკოპოსო ცენტრის ქართლში ქრისტიანობის გარიერაუზე აღმოცენდა. მათი წარმოშობა პირობადებული იყო მხარის ძლიერი ეკონომისტი აღმავლობით, რომელიც სარწყავ მეურნეობას ემყარებოდა. ჩანს, საეპისკოპოსო ცენტრები, თვეის მხრივ, თვალსაჩინო როლს თამაშობდნენ სარწყავი სისტემების მოვლა-ორგანიზაციის საქმეში.

ამ თვალსაზრისით უინტერესო არ იქნება ერთი მოვაიანო საბუთის მოტანა, რომელშიც აგრეთვე ასახულია რუს-ურბნისის სარწყავ სისტემათა ტრასები გვიანდელ ხანაში.

ჩვენ ხელთა დარეგან დედოფლის მიერ 1789 წელს გაცემული განკარგულება ბატონიშვილ დავითისადმი, სადაც კითხულით: „რუსელნი, არაშენდელნი და ლელისთაველნი რუსის დიდ რუს წყალზედ ლაპარაკობენ და დაბენ. მაგ რუს გარჩევის საქმეს თქვენა გწერთ. მაგაცაშვილი ისება თქვენთან დაისწარით და რუსელნი, საქაშელნი, ურბნისელნი და არაშენდელნი სამვედელნი და საერთო მოხუცებულნი მახსოვარნი კაცნი დაიბარეთ, ერთად შეჰყარეთ, თქვენთან იახელით და მიღით იმ რუზე, რომელზედაც დაობენ და ლაპარაკი აქვთ და ორისავ მხრიდან ამათი ლაპარაკები კარგად მოისმინეთ და გაშინეთ სამართლიანდ და სანატრელის მეფის თემიურაზის ნაბოძები დასტურლამა და ან სხვა რაც ახალი და ძველი წიგნები ჰქონდესთ ყველა გაშინეთ და მოისმინეთ და იმ წერილებისა და მახსოვართ კაც მოწმობის ძალით სამართლით უშფოთველად გაუტრიეთ და როგორც სამართალმა დაგანახოთ წერილად დასწერეთ და ჩვენ გამოგვიგავნეთ. არაშენდელ ძველად საიდამაც წყალი მიქვინებიათ ისიც ძველი რუ უნდა იპოვნონ და იმ რუდამ უნდა წაიყვანონ წყალი და ლელისთაველნი რომ რუს ამბობენ იმათი რუ შინდისის გალავნს ქვეიდან ბერძნანთ ვენახების ბოლოზე რომ რუ გავა იქიდამ უნდა მორწყონ ზედა რუდამ. თუ არა ჰქონდესთ წყალი სამართლით საქმე არა აქვსთ. ქვედა რუს წყალი საქაშეს ზედა რუზედ რომ გამოუყვანიათ, ის ისევ უნდა დაქცევინოთ და დიასამიძის წისქვილიც უნდა დაიქცეს. ქვედა რუმ ისევ ქვედა რუზედ უნდა იდინოს და მაგ სოფლებს ყველა მუჩალგა უნდა გამოართვათ რომ მაგ რუს წყალი ალარევინ დაახევოს და აგრეთვე მირზაშვილს რომ წისქვილისათვის დაუხევებია, იმასაც უნდა ყადაღა უყოთ და მუჩალგა დაადგინოთ, რომ აღარ დაახეოს და მუჩალგას უკან თუ არ დაიშლიან და კიდევ დაახევებენ მასუქან ჩვენ მოვჰეითხავთ და იცოდნენ რომელნიც დაახევე-

35 ა. კ ი კ ვ ი ძ ე, დასახ. ნაშრ., გვ. 108.



ბენ კიდეც გადავახდევინებო. ეს ერთი საქმე დაგვიც თქვენთვის, ამაზეც უკავშირდეთ გადავახდევინებო. ე კლესის საქმეა. არის და ჩენიცა კარგად წარმოადგინ ზედ მიწევნით გამოიძიეთ მაგ რუს საქმე და სამართლიანის საქმით გაურჩიეთ.. ჰქონ უზა. დედოფლალი დარეგულად.

ამ ღოუშენტში ყურადღებას იქცევს ის ადგილი, სადაც ლაპარაკია მოხუცებულ სამღვდელო პირთა მოხმობაზე რუს ტრასის დასადგენად და, აგრეთვე, სიგელში ნახმარი გამოიჭმა „ეკლესიის საქმეა“, რაც ნიშნავს, რომ მორწყვის მოწესრიგბა ეკლესიის საქმეა.

ლიახვის წყლით მორწყული მიწების შესახებ ცნობები დაუცავს XIX ს. 80-იან წლებში შედგენილ ს. მაჩაბლის გამოკვლევას. მის მიხედვით, დიდი ლიახვი რწყავს 17 სოფელს: არაშენდას, ბებნისს, ვირიანს, ზემო აჩაბეთს, ზემო ნიქოზს, დგვრისს, კვემო აჩაბეთს, კეხვს, კვემო ნიქოზს, ფხვენისს, რუსის, სასირეთს, თვალათუბანს, თამარაშენს, ურბნისს, ცხინვალს, შინდისს. სულ დიდი ლიახვით ირწყვება 1691,9 დესეტინა, ანუ გორის მაზრის სარწყავი მიწების 26 %.

პატარა ლიახვით ირწყვება სოფლები: არბო, დიდი გარეჯვარი, დმენისი, კარბი, ქერე, კულბითი, ფრისი, ტირნისი. სულ ირწყვება 303 დესეტინა, ანუ მიწების 4 %.³⁷

ს. მაჩაბელსავე დაცული აქვს ცნობები ლიახვიდან გატანილი არხების შესახებ.

კეხვის არხი, რომლის სიგრძე 17 ვერსია, გაყვანილია დიდი ლიახვიდან და რწყავს სოფლებს: ზემო აჩაბეთს, ზემო ნიქოზის ნაწილს, დგვრისს, კეხვს, კვემო აჩაბეთს, თამარაშენს და ცხინვალის ნაწილს.

ცხინვალის პირელი არხი, რომლის სიგრძე 18 ვერსია, რწყავს სოფლებს: ქვემო ნიქოზს, ფხვენისის ნაწილს და ცხინვალის ქვემო ნაწილს.

ცხინვალის მეორე არხი, სიგრძით 8 ვერსია, რწყავს ერგნეთს და ცხინვალის ნაწილს.

შინდისის არხი, სიგრძით 30 ვერსია, რწყავს არაშენდას ნაწილს, ბებნისს, სასირეთს, თვალათუბანს, რუსის და შინდისს (ეს, ალბათ, ძეველი „ზედა რუა“—ჭ. გ.).

ვარიანის არხი, სიგრძით 15 ვერსია, რწყავს არაშენდას და ვარიანს.

პატარა ლიახვიდან გაყვანილია შემდეგი არხები:

დმენისის ანუ აბრამაანთ რუ, სიგრძით 8 ვერსია, რწყავს დმენისს და კულბითისის ნაწილს.

ნიკერულას რუ, სიგრძით 30 ვერსია, რწყავს ახალსოფლის ნაწილს, დიდ გარეჯვარს, პატარა გარეჯვარს, კარბის ნაწილს; ქერეს, თორტიზას და ხელოუბნის ნაწილს.

მოგონილა, სიგრძით 5 ვერსია, რწყავს კარბის ნაწილს.

ტყიაურა, სიგრძით 8 ვერსია, რწყავს ძევერას ნაწილს.

დიცურა, სიგრძით 12 ვერსია, რწყავს არბოს, დიცს, ერგნეთს, კარბს, ტირძნისის ნაწილს.

ტირძნულა, სიგრძით 8 ვერსია, რწყავს ტირძნისის ნაწილს.³⁸

36 სცსა, ფ. 1450, № 46—84.

37 ს. მა ჩა ბე ლი, უ. სო. ც. 159.

38 ს. მა ჩა ბე ლი, უ. სო. ც. 160.



ლიახვის ხეობის მოსახლეობის მთავარ სამეურნეო საქმიანობას შემოწყვეტილი რეობა წარმოადგენდა. მას ჰქონდა აგრეთვე სასაქონლო ხასიათი. უკავშირული შტელტი წერს: „8 მაისს გორიდან და მეტებიდან თბილისში მოვიდნენ სხვა-დასხვა ტივები; ისინი დატვირთული იყვნენ ხორბლით და ქერით.

...ხორბალი და ქერი მოდის გორიდან და სურამიდან ტივებით, რომლებიც შეკრულია ფიქვის მორებისაგან, ქვევით მტკვრით. ეს ტივები შემდეგ იყიდება როგორც საშენი მასალა“³⁹.

ლიახვის ზეპა წელზე მისდევდნენ მემინდვრეობას, მაგრამ მას კლიმატური პირობების გამო ჰქონდა შეზღუდული ხასიათი. ძირითადად ითესებოდა ქერი. რამდენადმე განვითარებული იყო მესაქონლეობა. 1818 წლის კამერალური აღწერის მიხედვით, თითოეულ კომლს ჰყავს 2—4 მსხვილფეხა საქონელი და 10—20 ცხვარი და თხა. მხოლოდ ცალკეული გლეხები ცხოვრობდნ შეძლებულად (წლიურად 60 კოდი მარცვლეული, 20 მსხვილფეხა პირუტყვი, 100 ცხვარი)⁴⁰.

ლიახვის შუა და ქვემო წელზე მისდევდნენ მევენახეობა-მეღვინეობას, მაგრამ მას არ ჰქონდა სასაქონლო ხასიათი. მდგომარეობა არსებითად შეიცვალა XIX ს. 80-იან წლებში, ფოთო-თბილისის რეკინგზის გაყვანის შემდეგ. ამან საგრძნობლად შემცირა ღვინის გადატანის ხარჯები და გორის მაზრის ღვინო გაჩნდა როგორც თბილისის, ისე რუსეთის შიდა გუბერნიების ბაზარზე. თბილისში გასაყიდად მიქვინდათ აგრეთვე ვაშლი, მსხალი და კავალი⁴¹.

ლიახვის ხეობაში მცირედ იყო განვითარებული მეაბრეშუმეობა და მეუტერეობა.

* * *

დიდი ლიახვის კლიმატურ-გეოგრაფიული პირობები ხელსაყრელ გარემოს ქმნიდა აქ ადამიანთა საზოგადოების უძველესი დროიდან საცხოვრებლად.

ქვედა პალეოლითის სადგომები მიკვლეულა ძარში, გერმუხში⁴², დამპალეოზი, კვერნეთსა და თამარაშენში⁴³.

მცსტიერ ხანის ძეგლები გამოვლენილია მორგოში, წრუსა⁴⁴ და ჭიჭოითაში⁴⁵.

ნეოლითის ხანა დადასტურებულია სოფლებში წნელისა და რუსთავში⁴⁶.

ძვ. წ. V-IV ათასწლეულების ენეოლითური კულტურული ფენა გამოვლინდა ცხინვალის ნაცარგორაზე⁴⁷.

³⁹ გიულდენშტედტის, მოგზაურობა საქართველოში, I, გვ. 61—68, 93.

⁴⁰ სტა. ფ. 254, ანაწ. I, საბ. № 543.

⁴¹ С. Мачабели, უკ. соч., с. 222—224.

⁴² ა. კალბლაძე, გვაროვნულამდელი საზ. ფორმირების ისტ. საქ. ტერიტ., ისტ.-ენც. მუ., II, 1956, გვ. 24.

⁴³ В. П. Любин. Исследования палеолита в Юго-Осетии, КСИИМК, в. 71, 1958, с. 30.

⁴⁴ В. П. Любин. Пиленгитические находки в Юго-Осетии, КСИИМК, в. 54, 1954, с. 54.

⁴⁵ В. П. Любин. Нижнепалеолит. пам. Юго-Осетии, МИА, 79, т. 4, 1960, с. 65.

⁴⁶ Б. А. Куфтии, Арх. марш. экспед. 1945 г. в Юго-Осетию и Имеретию, Тб., 1949, с. 36—37.

⁴⁷ Б. В. Техов, Очерки др. истории и археологии Юго-Осетии, Тб., 1971, с. 54.

ადრებრინჯაოს ხანის მტკვარ-არაქსის კულტურის ძეგლები გაითხარა ცხინვალის შახლობლად ნაცარგორასა და ზღუდრისგვერდშე, ქულტურული მუზეუმი (სოფ. ოსპისთან), ცხინვალის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში კვაისტურული მუზეუმი ნებლო ბაზის ტერიტორიაზე⁴⁸.

ცხინვალის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში ინახება ადრებრინჯაოს ხანის ბრტყელი ცული სოფ. გუგუთადან⁴⁹.

სოფ. ქვასათალში გაითხარა შუაბრინჯაოს ხანის სამაროვანი⁵⁰. ამავე პერიოდის ძეგლი გაითხარა სოფ. თლისთან. განსაკუთრებული მნიშვნელობისა გამოდგა გვიანბრინჯაოს ხანის სამაროვნების გათხრები სტირფაშა და თლიში⁵¹.

ლიახვის ზემო წელზე რამდენიმე ნამოსახლარი გორა იქნა მიკვლეული და აიკრიფა ადრე და გვიანბრინჯაოს ხანის მასალები ქემერტის, ფრისის, არგვისა და ვანათის გორებზე, ხოლო გვიანბრინჯაოს ხანისა — აჩაბეთის, ხვეჭას, სტირფაზის, ერედვის გორებზე⁵².

შიდა ქართლის ჩრდილო ზოლი ბრინჯაოს ხანის ადრეულ საფეხურზე ათვისებული იყო მტკვარ-არაქსის კულტურის მატარებელი ტომების მიერ. შემდეგში ეს რაიონი თრიალეთის კულტურის გავრცელების არეში ექცევა. გვიანბრინჯაოს ხანში ჩანს აქ დასავლეური-ქართული კულტურის მატარებელ ტომთა მომძლავრება⁵³.

დიდი ლიახვის ქვემო წელზე ს. ტყვიაუში გაითხარა, ადრებრინჯაოს ხანის ყორლანული სამარხები. ურბნისთან, ქვაცხელებსა და ხიზანანთ გორაზე აღმოჩნდა ადრებრინჯაოს ხანის სამოსახლოები. კარალეთში შიკვლეულ იქნა გვიანბრინჯაოს ხანის გორა. რუისში, ურბნისსა და გორში გამოვლენილია ანტიკური ხანის არქეოლოგიური ძეგლები.

დიდი ლიახვის ზემო წელზე ანტიკური ხანის არქეოლოგიური ძეგლები მიკვლეულია რუსთავში, ხვეჭაში, თლიში, სტირფაზში⁵⁴.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ელინისტური ხანის სამაროვნები, რომელიც გაითხარა სოხთაში, ურსძუარსა და რომელი. მათ სამარხეულ ინკენტარზი ადგილობრივ ნაწარმთან ერთად მრავლადა იმპორტული ნივთები⁵⁵.

ჩანს, ანტიკურ ხანაში ლიახვის ხეობით მიემართებოდა იმ სავაჭრო გზის განშტოება, რომელიც მტკვრის ხეობაზე გადიოდა.

* * *

დიდი ლიახვის სათავეებს ეწოდებოდა მალრან-დვალეთი. ვახუშტი ბაგრატიონი მას ათავსებს ჟიბის (სბის) აღმოსავლეთით და დასხენს, რომ „არს მალ-

48 Б. А. Куфтии, ук. соч., с. 17.

49 Б. В. Техов, ук. соч., с. 73.

50 О. М. Джапаридзе, Квасатальский могильник эпохи бронзы в Юго-Осетии, КСИИМК, вып. 80, М., 1955, с. 22—30.

51 Б. В. Техов, ук. соч., с. 93, 129, 149.

52 დ. მუსიელიშვილი, გ. ცემობიძე, შიდა ქართლის 1955 წ. დაზერვითი ექსპედიციის შედეგი, საქ. ისტ. გვოგჩ. კრ., I, თბ., 1960, გვ. 185—196.

53 ვ. ჯაფარიძე, შიდა ქართლის ჩრდილო ზოლი ბრინჯაოს ხანში, „ძეგლის მეგობარი“, 1968, № 14, გვ. 8.

54 Б. В. Техов, ук. соч., с. 221, 225, 229, 249.

55 Е. Г. Пчелина, Погребальные комплексы из Сохта, Урдзуар и Рук Юго-Осетии, Известия Ю.-О. НИИ, вып. XV, 1968, с. 150—151.



რან-დვალეთი სამ კეობა, მოსავლით, ვითარცა ამ მქრის მთის აღფრუშის ჭრები⁵⁶ წერეთ⁵⁷.

ვახუშტის ნაშრომშე დართულ სოფელთა სიაში მაღრან-დვალეთის სოფ-ლები არა დასახელებული. აღნიშნული კი, რომ იქ განლაგებულია 9 სოფე-ლი. თუ ვახუშტი მაღრან-დვალეთის დასავლეთით საზღვრად სბის ქედს სდებ-და, ლიახვის თანამედროვე მოსახლეობა მაღრან-დვალეთს, ანუ მაღრანდოლს უწოდებს ლიახვის სათავეებს სოფ. ზღუპირის, ომრისავლეთით.

ი. გიულდენშტედტი მაღრან-დვალეთში შემდეგ სოფელებს ასახელებს: ერემა („ძეგლი ერისთავთას“ ერემანი, თანამედროვე ერმანი), ხოძი („ძეგლი ერისთავთას“ ხოჯა), კაბუზთა, ქალაქა (იგივე ედისი — ჭ. გ.), ტახო, ბრიტაუ-ლი, ეგზემეთი⁵⁷.

ი. გიულდენშტედტის ამ სიას შეიძლება დაემატოს გალუათა და ჩელია-თი.

„ძეგლი ერისთავთას“ ცნობებით, დიდი მტრობაა დვალებისა და ქსნის ერ-ისთავეებს შორის. დვალებს მიჰყავთ საქონელი უამტრიდან, ღუდადან. ქსნის ერისთავეები ლაშქრობენ დვალეთში, ცდილობენ მათ დამონება-დაყმევას, თუმცა XIV ს. მანძილზე ვერ ახერხებენ დვალეთის დამორჩილებას. ქსნის ერისთავეს თან მოჰკონდა ქვეყნის ფეოდალიზაცია. დვალებისა და ქსნის ერისთავთა ბრძოლა ესაა ბრძოლა თავისუფალ მეთემეთა და ფეოდალთა შორის. მაღრან-დვალეთი ქსნის საერისთავოში შედის XV საუკუნიდან. ვახუშტის მიხედვით, მაღრან-დვალეთი ქსნის ერისთავთა მამულია. იგი XIX ს. დასაწყისშიც მათვე ეკუთვნოდა.

ვახუშტი დიდი ლიახვის სათავეების და, კერძოდ, მაღრან-დვალეთის სიძელეთა შესახებ დუმს.

დიდი ლიახვის სათავეებში, ალბურ ზონაში, იქ, სადაც გაღმოდის გზა ყად-ლასნის ულელტეხილიდან, წრესთან მიახლოვებული ფორმის ციელობური ნა-გვებობაა, რომელსაც მოსახლეობა უწოდებს „ზილდე მასიგს“, რაც წრიულ კოშეს ნიშნავს.

ზილდე მასიგი წარმოადგენს ანდეზიტ-დაციტების ლოდებით დახვავებულ მოედანს, რომელიც შემოლობილია გალავნით. გალავნი ნაგებია ქვის უზარმაზარი ლოდებისაგან მშრალი წყობით. ლოდებს არ ატკვია დამუშავების კვალი, მაგრამ გალავნის გარე ზედაპირი შედარებით გლუვია. კედლის სიმაღლე საშუალოდ 3 მ-ს აღწევს. ნაგებობა გეგმაში წარმოადგენს სამხრეთ-აღმოსავლეთით წაგრძელებული წრიული ფორმის გალავნის, რომელიც ლიახვის ხევის პირას გახსნილია. კედლის ჩრდილოეთ ნაწილში კარია, რომელსაც აღევს არქიტრავი. გალავნის კედელს ზოგან ეტყობა ხელოვნური ნგრევის ნიშნები. მისი წრეზირ 90 მეტრიდეა.

ზილდე მასიგი მაღრან-დვალეთის ყველაზე უიდი ნაგებობაა. მკვლევრები მცირების სხვადასხვა თარიღს იძლევან: წინაფეოდალურს (ლ. მელიქ-სეთბეგი), VI საუკუნეს (ე. პჩელინა) და XIII საუკუნეს (ტ. ტეხოვი). კონკრეტული დამათარილებელი მასალის არარსებობის გამო მნელია მიემხრო რომელიმე მათგანს.

56 ვახუშტი ტ. ი., აღწერა..., გვ. 71.

57 გიულდენშტედტის შოგზაურობა საქართველოში, II, თბ., 1964, გვ. 67.

დიდი ლიახვის სათავეებში მასიურადაა გავრცელებული სწორკუთხია გეგ-
მის მქონე კოშკები. მხოლოდ გალუათაში, ედისსა და სბაში გვხვდება ზურგის 15-ე სა-
ანი კოშკები.

ერმანსა და ხოჯში სწორკუთხია გეგმის მქონე კოშკებია. სბის ხეობაში არ-
ის ასეთივე 5 კოშკი, ხოლო როგოს ხეობაში — 7. ეს არცაა გასაკვირი, რადგან
ამ ხეობებზე გადმოდიოდა ჩრდილო კავკასიიდან მნიშვნელოვანი გზები. კოშ-
კები სტილისტური ნიშნებით XVII-XVIII სს. თარიღდება.

სოფ. ედისს ქალაქისაც უწოდებენ. სწორედ ასე ახსენებს მას ი. გიულ-
დენშტედტი. ედისიდან სამხრეთ-აღმოსავლეთით მდებარეობს „ცარციათების
ნაქალაქარი“. უკირავს 3 ჰა ფართობი. მასზე განლაგებულია სახლების ნაგ-
რევები, რომელთა შორის შეიძლება გაიჩინოს ვიწრო ქუჩების ნაკვალევი. სახ-
ლებს გარდა ვაითხარა სამარხები. მათში აღმოჩნდა XI-XII სს. ნივთები. შე-
ნობები, რომლებიც დღეს გადამწყვრია, საცხოვრებელი ოთახების გარდა.
შედგებოდა სახელოსნოსა და მარნისაგან.

ქეგლის შემსწავლელის ბ. ტეხოვის უკანასკნელი თვალისაზრისით, ცარ-
ციათთა ქალაქი განადგურდა XIII-XIV სს. ქინის ერისთავებისა და დვალების
ბრძოლების დროს⁵⁸.

ჩანს, ედისი ანუ ცარციათთა ქალაქი წარმოადგენდა შუალეოდალურ ხა-
ნაში მარრან-დვალეთის ცენტრს.

ხალხში დაცული გადმოცემებით ცარციათები იყვნენ გოლიათური მოდ-
გმის ხალხი, რომელიც შევმა ჭირმა ამოწყვიტა. გაუკაცრიელებულ აღგილებზე
მოვიდნენ ისები და გამრავლდნენ. ცარციათების ნასახლარებზე მიუთითებენ
ხეჭვი, ტრირფაზი, ნადარბაზევსა და სხვაგან.

ცარციათები ლიახვის სათავეების ოსამდელი მოსახლეობა ჩანს. ზოგი
მკვლევარი მათში ერთ-ერთი ქართველური ტომის ნაწილს გულისხმობს⁵⁹.

ჭავის ხეობას მარცხნიდან ერთვის წრუს ანუ გუდისის ხევი. ამ ხევით
გზა გადადის პატარა ლიახვის ხეობიდან ჭავის ხეობაში. წრუს ხევში რამდენი-
მე საფორტიფიკაციო ნაგებობაა, მთავარ აღსანიშნავია სწორკუთხია გეგმის
მქონე კოშკები — სუკინთა, შობათი, კახრი, რომლებიც სტილისტური ნიშნე-
ბით XVII-XVIII სს. მიეკუთვნებიან.

სოფ. ჭავაში მდგარა კოშკი და ეკლესია, რომლებიც დაუნგრევიათ. ჭავა
რომ იყო არა მხოლოდ სოფლის, არამედ მხარის სახელწოდება, ამას მოწმობს
მისგან კარგა დიდი მანძილით დაშორებული სოფელი ჭავისთვის. ამასვე ამტ-
კიცებს ი. გოულენშტედტის ცნობაც.

ჭავის სამხრეთ-დასავლეთით სოფელი მსხლებია, სადაც შემორჩენილია
ორი ხუთსართულიანი სწორკუთხია გეგმის მქონე კოშკი, რომლებიც თარიღ-
დება XVI-XVII სს-ით.

დიდ ლიახვს მარჯვნიდან ერთვის ფაწას ხევი, რომლის სათავეში მდება-
რეობს სოფ. ჭავისთვის. მშევრვალის მოედანზე ახლა ყორექვით ნაგები ეკლე-
სის ნანგრევებია. მის აღმოსავლეთ ფასადში 4 ჩუქურთმიანი ქვაა. ნაგებობის

58 ბ. ვ. ტეხოვ, უ. სოч., ც. 25.

59 ი. მეგრელიძე, ლიახვის ხეობის წარწერები და სხვა სიძეველენი, V, სტალინის
სახ. პედისტრიტეტის შრომება, VII, 1959, გვ. 150.

60 გოულენშტედტის მოგზაურობა საქართველოში, I, გვ. 103—105.



სამხრეთ-აღმოსავლეთ კუთხეშიც მოქცეულია ძეელი შენობის ნაწყლერაჭალე⁴¹ და ეკლესიის ფრაგმენტები X ს. ჩანს.

სოფ. ზემო სოხთადან სამხრეთით 500 მეტრზე მდებარეობს კოშკი და ეკლესია. ეკლესია დარბაზულია, მოპირკეთებული შირიმის ქვით. ეკლესიის დასავლეთ კედელზე მიყუდებულია ბაზალტის ქვა, რომელზეც ასომთავრული და ნუსხური ასოებით შესრულებულია ხუთსტრიქონანი წარწერა. ქარაგმების განხსნით წარწერა ასე ციათხება: „საყდარო დიდებისათვის, შეიწყალე თე-სულსა... წმიდათ ეკლესიათ, შეწყალე ივანე კალატოზი“.

სოხთის ეკლესიასთან კიდევ ყოფილა ორი წარწერიანი ქვა, რომლებიც დღეს აღარ ჩანს⁴².

სოხთის ეკლესია წარწერის პალუოგრაფიული ნიშნებით, ორნამენტითა და ნაგებობის სტრუქტურით X ს. ბოლოთი შეიძლება დათარიღდეს.

სოფ. ქვეშელთადან აღმოსავლეთით 2,5 კმ-ზე მდებარეობს რიყისა და ფლეთილი ქვით ნაგები დარბაზული ეკლესია „ხუსარ ძუარი“. თაღებისა და სვეტებისათვის გამოყენებულია შირიმის ქვა. ეკლესია ჩანს გადაწყობილი გვიან ხანაში. აღმოსავლეთ კედელში აყირავებულადაა ჩატანებული ტუფის ქვა, რომელზეც ამოკეთილი ცალკეული ასოები განირჩევა. ისინი შეიძლება შესრულებული იყოს X ს.

ტრინარე ლიახვის მარცხნა მხარეს მდებარე სოფელ პატარა გუფთა-ში ეკლესიასა და ციხის ნანგრევებია. ეკლესია „წმ. გიორგი“ დარბაზულია და ატარებს განვითარებული შუა საუკუნეების ნიშნებს.

პატარა გუფთადან აღმოსავლეთით 300 მეტრზე გორაკზე მდებარეობს ციხის ნანგრევები. იგი ნაგებია რიყის ქვით დუღაბზე. ციხის დასავლეთ ნაწილში სწორკუთხა კოშკია ($10 \times 7,2$ მ); კოშკი ყოფილა სამსართულიანი. კოშკიდან აღმოსავლეთით მიემართება გალავნის ორი კედელი, ერთმანეთის-გან დაშორებული 9 მეტრით. ჩრდილოეთი კედელი წაგრძელებულია 70 მეტრზე. ციხე სტრუქტურით ნიშნებით გვიან შუასაუკუნეთა ხანას განეკუთვნება. გუფთას ნაციხეარს ახსენებს ვახუშტი.

გუფთას სამხრეთით სოფ. სევრია, სადაც დგას სწორკუთხა გეგმის მქონე სამსართულიანი კოშკი. სევრიდან აღმოსავლეთით 1 კმ-ზე გორაკზე დგას რიყისა და ფლეთილი ქვით დუღაბზე ნაგები მოზრდილი ციხე ($38,5 \times 16$ მ), რომელსაც გარშემო უვლის ღრმა ხევი. ციხე გეგმაში სწორკუთხაა, კოშკები ჩრდილო-აღმოსავლეთ და სამხრეთ-დასავლეთ კუთხეებში აქვთ. ერთი კოშკი წრიულია, მეორე ოთხკუთხა, ციხის გალავნი მაღალია. ციხე ნაწილობრივ დანგრეულია.

ვახუშტი სევრის ციხის ახსენებას მიაწერს თეიმურაზ მაჩაბელს, რომელიც XVIII ს. პირველ ნახევარში ცხოვრობდა: „ხოლო მიმილავარმან წამოიყვანა მაპმად ყული ხანითურთ ისმალთა სპანი და დაესახა მაჩაბელს მუგუთს, შემუსრეს ციხე სევრისა, რომელიც აღაშენა თეიმურაზ მაჩაბელმა“⁴³.

ამ ფაქტის ზუსტ თარიღს — 1731 წელს — იძლევა სეხნია ჩხეიძე⁴⁴.

სევრის სამხრეთით სოფელი ქვემერტია. მასში წმ. გიორგის ეკლესიაა და ოთხსართულიანი ცილინდრული კოშკი, რომელიც XVIII ს. თარიღდება.

61 ი. მ. ე გ რ ე ლ ი ძ ე, დასახ. ნაშრ., გვ. 168.

62 ქართლის ცხოვრება, IV, თბ., 1973, გვ. 511.

63 ქართლის ცხოვრება, II, ს.—პეტ., 1854, გვ. 335.

ლიახვის მარჯვენა ნაპირზე სოფელი კეცვია. ვახუშტი წერს: უქაბდეთს ზეით, კეხეს, არს მთის კალთას, ციხე კეცვისა⁶⁴. დიდი ლიახვისპირა ციხესიმაგრეთა შორის განსაკუთრებული აღვილი ექვ-ვა კეცვის ციხეს. იგი დგას მდინარის მარჯვენა მხარეს, მაღალი მთის წვერზე. აქედან მთელი ხეობა, როგორც ხელისგულზე, ისე მოჩანს.

პირველად ამ აღვილას დიდი ზომის კოშკი მდგარა, რომლისთვისაც სამხრეთით მიუშენებიათ გალავანი. ამ გალავნის დანგრევის შემდეგ აუგიათ ახალი, უფრო კრელკოშქიანი გალავანი. მომდევნო ჰერიოლში გალავნისათვის მიუდგამ შესასელელი კოშკი. ბოლოს უკვე ქვედა ტრასაზე აგებულ იქნა დამატებითი გალავანი კოშკით. ციხის ეზოში მდგარა შენობები და მოწყობილი ყოფილა დიდი წყალსაცავინ්.

კეხვის ციხის აგების ზუსტი თარიღი არაა ცნობილი. პირველად იყო მოხსენიებულია 1587 წელს. თურქთა ჭარმა მუსტაფა დაღა-ფაშას მეთაურობით სძლია ირანის ჭარს და დაიყავა ოღმ. საქართველო.. შემინებულმა შაპშა გათავისუფლა ტყვეობაში მყოფი სიმონ მეფე და სამშობლოში გამოუშვა ოსმალთა წინააღმდეგ საბრძოლველად. მეფემ სძლია მომხდეულთ და დასაჯა მათი მომხრები, მათ შორის ვახტანგ მუხრანბატონი დაიკირა და კეცვის ციხეში დაამწყვდა⁶⁵.

1625 წელს გიორგი სააკაძემ, როდესაც ირანელების წინააღმდეგ საბრძოლველად ემზადებოდა, კეხვის ციხე საგანგებოდ გაამაგრა⁶⁶.

1736 წ. კეხვის ციხეში გამგრებულმა გივი ამილახორმა სამგზის მოიგერია ირანელთა გარემოცვა⁶⁷. მხოლოდ 1745 წ. მოახერხეს ციხის აღება და ნაწილობრივ დანგრევა⁶⁸. ციხე მაღალ აღუდვენიათ და საუკუნის დასასრულობდებში ისესწიება ლეკების თარეშებთან დაკავშირებით⁶⁹. 1772 წ. ი. გიულდებრედტს კეხვის ციხე დანგრეული დახვდა. 1798 წლის საბუთიდან კი ჩანს, რომ აღესანდრე ბატონიშვილი კეხვის ციხეს ამაგრებს მთიელთა თარეშის წინააღმდეგ⁷⁰.

ვახუშტი აღნიშნავს, რომ გერის მახლობლად „არს ეკლესია სპარსის წმიდის გიორგისა, და არს ხატი დიდი ოქროსი, სპარსთაგი ქმნული“⁷¹.

სპარსეთა ანუ პარსეთა მდგბარეობს სოფ. ძარწემიდან ჩრდილო-აღმოსავლეთით, 3 კმ დაშორებით. გორაზე ტყეში თლილი ქვით ნაგები ეკლესიაა, რომელსაც ყორევის გალავანი ჰქონია. ეკლესის აღმოსავლეთ, სამხრეთ და დასავლეთ მხრიდან სარქმლები აქვს. ფასადებზე ჩუქურთმიანი ქვებია. აღმოსავლეთ ფასადზე ჭვარია გამოსახული. სამხრეთით ეკლესის მინაშენი აქვს. მინაშენისა და ეკლესის კარები რკინითა შექედილი.

ლიახვის ხეობის პოლიტიკურ-აღმინისტრობიულ ცენტრს წარმოადგენდა

64 კახ შ ტ ი, აღწერა..., გვ. 76.

65 3. ზაქარია, სამშობლოს გუშაგები, თბ., 1965, გვ. 99—102.

66 ქართლის ცხოვრება, IV, თბ., 1973, გვ. 412.

67 იქვ, გვ. 433.

68 ქართლის ცხოვრება, II, ს.—პეტ., 1854, გვ. 340.

69 იქვ, გვ. 376—379.

70 იქვ, გვ. 490.

71 П. Закарая, Древние крепости Грузии, Тб., 1969, с. 167—168.

72 კახ შ ტ ი, აღწერა..., გვ. 77.

აჩაბეთი, „სასახლე და ციხე მეფეთა“⁷³. დღეს ზემო აჩაბეთის უნიტარული დონის ნანგრევებია შემორჩენილი. ციხე ნაგებია რიყის ქვით დუღაბზე, დონით ნილია სამსართულიანი ოთხკუთხა გეგმის მქონე კოშკი, რომლის სისალლე 20 მეტრია. კოშკის სამხრეთით თაღიანი სათავსოების ნანგრევებია. ციხე გალავნით ყოფილა შემოზღუდული, რომლისგანაც დარჩენილია სამხრეთი და ჩრდილო-დასავლეთი ნაწილი. გალავანში დგას წმ. ესტატეს სახელობის გვიანი ხანის დარბაზული ეკლესია.

აჩაბეთის ციხე საისტორიო წყაროებში პირველად ნახსენებია XVI ს., როდესაც იქ ირანელებისაგან დევნილი ლურსაბ I იყო გამაგრებული⁷⁴. ვივი ამილახვართან ბრძოლის დროს ერეკლე II-ს ორჯერ მოუხდა აჩაბეთისათვის ბრძოლა. აჩაბეთის ციხესთან არაერთგზის მომხდარა ლეკის ჯართან ბრძოლა⁷⁵.

აჩაბეთიდან მომდინარეობს ლიახვის ხეობის ფეოდალთა გვარი მაჩაბელი. ვახუშტი აღნიშნავს: „მაჩაბელი იტყვის ანჩითისძეობას, აფხაზეთიდამ მისელის, განა ახალი არს“⁷⁶.

ს. ჯანაშია ანჩაბაძე-მაჩაბლების შესახებ შენიშნავდა: „...ამავე ხანებში (X ს. I ნახევარი — ქ. გ.) იმერეთ-ამერეთის ყველაზე ჩრდილოეთით მდებარე გზაზე სხდებიან ანჩაბაძენი... „ანჩაბაძის“ მიხედვით იქმნება ფეოდალური რეზიდენციის სახელწოდება, „აჩაბეთი“, ხოლო იმ უკანასკნელიდან — ახალი სამფლობელო სახელი, „მაჩაბელი“⁷⁷.

მოსახრება გვარ ანჩაბაძიდან ტიპონიმ აჩაბეთის წარმოშობის შესახებ არ უნდა იყოს მართებული. თავი რომ დავანებოთ ენობრივ დაბრკოლებას, ამის ხელს უშლის ის გარემოება, რომ ანჩაბაძეთა საერთაულო გადმოსახლებაზე (X ს.) გაცილებით ადრე, კერძოდ, VII საუკუნისათვის (სომხური გეოგრაფია) სახეზეა აჩაბეთის ხევი (აჩევეთის ხევი)⁷⁸, რომელიც ადრეფეოდალური ხანი-სათვის აღნიშნავდა დიდი ლიახვის შუა და ზემო წელს.

მაჩაბელთა ძირითად საგვარეულო საძელეს წარმოადგენდა თირის მონასტერი, რომელიც აჩაბეთიდან დასავლეთით 4 კმ მდებარეობს.

თირის „ლეთისმშობლის“ ეკლესი XIII ს. დასასრულით თარიღდება. ამავე დროისა ჩანს სატრაპეზო და კლდეში ნაკვეთი სენაკები. სამრეკლო XIV ს. უკანასკნელ მეოთხედშია აგებული, ხოლო XV ს. დასაწყისს მიეკუთვნება სამხრეთის ეკვდერი, რომელიც თავსელისქთა საგვარეულო საძელეს წარმოადგენდა. XVI ს. 80-იან წლებში თაქთაქიძეებს ეკლესიისათვის მიუშენებიათ საგვარეულო საძელე-ეკვდერი⁷⁹.

თირის მონასტერი მდიდარია ლაპიდარული წარწერებით. მათი ანალიზის შედეგად ნ. ანდონულაძე ასკენის: 1. თირის წარწერების მაჩაბელი სახელია და არა გვარი; 2. მაჩაბელი ერთ-ერთი თავსელიძეთაგანია; 3. ერთი და იგივე პიროვნება უნდა იყოს სამრეკლოს წარწერის თავსელიდე ხელა, ეკვდერის წარ-

73 ვაკე შტი, აღწერა..., გვ. 76.

74 ქართლის ცხოვრება, II, 1854, გვ. 281.

75 იქვე, გვ. 489.

76 ვაკე შტი, აღწერა..., გვ. 25.

77 ს. ჯანაშია, შერმები, II, თბ., 1952, გვ. 478.

78 სომხური გეოგრაფია, ა. სუქრის გამ., ვენა, 1881, გვ. 28.

79 ნ. ანდონულ აძე, თირის მონასტერის ხერთმოძღვრული ანალიზი, თბ., 1975, გვ. 101—104.

წერის მოლარეთუხუცესი ხელა. მცხეთის 1401-7 და 1432 წწ. სიგელების მოლარეთუხუცესი ხელა; 4. მაჩაბელთა გვარი უნდა მომდინარეობდეს ფაქტურული ლიქტოგან⁸⁰.

მაჩაბლის გვარი პირველად გვხვდება XIV ს. ბოლოს თემურ-ლენგაზნ ბრძოლებში. ახალი ქართლის ცხოვრების მაჩაბლისეული ნუსხა მოვითხრობს არქაპოს ხალელამპრესებ მაჩაბლის გმირულ ბრძოლაზე შიდა ქართლში შემოჭრილ თემურ-ლენგის ლაშქრის წინააღმდევ⁸¹. ეს ეპიზოდი მხოლოდ მაჩაბლისეულ ნუსხაშია დაცული და შეიძლება ეჭვი გაჩნდეს, რომ იგი ქართლის ცხოვრებაში მაჩაბლისეული ნუსხის გადაწერის დროს (1736 წ.) შეიტანეს. თუმცა არც ისაა გამორიცხული, რომ მაჩაბელთა გვარში არსებობდა წერილობითი ან ზეპირი ცნობა თემურ-ლენგის წინააღმდევ მაჩაბლების ბრძოლის შესახებ, რომელიც შეიტანეს ქართლის ცხოვრებაში.

თუ ზემოთ ნახსენები ჩინართი ქართლის ცხოვრებისა გარევიულ ეჭვს ჰადებს, უკვე ყოველგვარი ეჭვის გარეშე მონაწილეობს მაჩაბელი 1448 წ. არადეთის ბრძოლაში. ცნობა მაჩაბლის ბრძოლაზე შალიქაშვილის წინააღმდევ დღი დაცულია ახალი ქართლის ცხოვრების ყველა ნუსხაში⁸².

1514 წლისათვის მაჩაბლისეული ნუსხა მოვითხრობს ბარამ მაჩაბლისა და მისი ძის ქაიხოსროს დახმარებაზე ქართლის მეფის დავითისადმი ზემო ქართლში ოსმალთა წინააღმდევ ბრძოლაში და დასძენს: „ხოლო მეფემან დიდი წყალობა უყო ბარამსა მაჩაბელსა და შეილსა მისა ქაიხოსროს. მრავალი სოფლები უბობა დიდ ლიახვეზედა“⁸³.

1432 წ. თირის სიგელში ჩამოთვლილია ის ყმა-მამული, რომელიც მოლარეთუხუცესმა ხელა თავებელიძემ შესწირა თირის მონასტერს. ეს ნია: მუგუდაში ყმები, კემერტში კემერტლილისეული სასახლე და ნებიერიძის მმული, კალას ორი გლეხი, მარნარს დვალეთს სოფელი კოშკა. „რაც დვალეთს ბეგარა სდებია ულელეცა იმავე წესითა“, მელერეკის ერთი გლეხი, ფეხენის ერთი კენახი ძელლავე შესწირული, „თვისიგან ნასყიდი ზემო სკეტელაური თორმეტის კაცის მსახლობელით, საბაშმინდას ვიგრიასგან ნასყიდი მაჩაუს ძის მამული, საერედო გლეხი მელერეკისით ბერ ფერაული, ...თამარაშნის თავის დიდ რუზედ წისქერის მინდის ნახევარი შესწირული და თორმეტი კაპიტი პური მეწისქვილისაგან გამოსალები, ქრუხინვალს კენახი 2, ღუერთეთს დედანაშვილისაგან ნასყიდი დოლლაძისა მიერ მოსყიდული მამული შურტაული (?)“. თავებელიძეს ბორტის შეუშირავს სააღაპოდ გარესჯვარს ბეშქენა შეილი დავითა და განუწესებია კენახის მესამედი ტკბილი მისაცემლად; თავებელის ძეს ასათს შეუშირავს „გრცხინვალს სააღაპედ ლალური მაკარა, ცამეტი კოკა, შემდგომად სიკედილისა თცდასამი კოკა, თოხმოცი პური და ორი თევზი“⁸⁴.

თავებელიძე-მაჩაბლების 1432 წლის სიგელში დაცულია ცნობები იმ ყმა-მამულის ნაწილის შესახებ, რომლის მფლობელები იყვნენ მაჩაბლები. XV ს-ში. აქ ინტერესს იწვევს გამოთქმა: „რაც დვალეთს ბეგარა სდებია ულელეცა

80 ნ. ან დ ლ უ ლ ა ძ ე. დასახ. ნაშრ., გვ. 31—42.

81 ქართლის ცხოვრება, 11, 1959, გვ. 337.

82 ძევვ., გვ. 347.

83 ძევვ., გვ. 352.

84 სცხა, ფ. 1451, რე. 1, ანაწ. 21, საბ. 39.

იმავე წესითა”, საიდანაც ჩანს, რომ მაჩაბელთა მებეგრენი იყვნენ არა მარტო ლიახვის ხეობის სოფლები, არამედ დვალეთისაც, კერძოდ, უღელეს ხეობა.

სამაჩაბლოს ჩამოყალიბება — ტერიტორიის გაფართოება, დაცავდენებული იყო მეფის ხელისუფლების წინააღმდეგობის დაძლევასთან. XVII ს. II ნახევარში ბადურ მაჩაბელმა ოსებით დაასახლა ლიახვის მთიან ნაწილში მეფის კუთვნილი ამოწყვეტილი სოფლები. მეფე შავ-ყულიხანი 1704 წ. სიცელით იძულებულია ფირან და ბორტი მაჩაბლისად სცნოს მათი მამის მიერ მითვისებული მიწების⁸⁵.

1770 წლის დემოგრაფიულ ნუსხაში აღნიშნულია: „ქ. არს მაჩაბლის ოსი რეას სამოცი (კომლი), ურა არის ორმოცი“⁸⁶. ამას გარდა, მაჩაბლებს ქართველი ყმა-გლეხებიც ეყოლებოდათ, რაც ჩანს იმავე ნუსხიდან.

ი. გოულდენშტედტის მიხედვით, სხლებში და წახოში მაჩაბლებს ჰქონდათ საზაფხულო სადგომები⁸⁷. მისივე ცნობით, ჯავის ხეობაში „ითვლინ 1000 ოჯახს. ეს მხარე ძველთაგან ექვემდებარებოდა თვალ მაჩაბლს. სულ რამდენიმე კვარის წინ მეფე ეს მხარე ჩამოართვა, რადგან აქაური ოსები კველგან ჩიოდნენ ძალიან შევიწროვებული ვართო, და გადასცა ბატონიშვილ გიორგის“⁸⁸.

მაჩაბელთა ყმა-მამულის რაოდენობის დასადგენად მივმართავთ შედარებით მოვიანო ხანის წყაროებს, კერძოდ, 1804 და 1818 წწ. კამერალურ აღწერებს. 1804 წლის აღწერის მიხედვით, მაჩაბლებს უმები ჰყავთ შემდეგ სოფლებში: ფცაში 1 კომლი, სუნისში 3, ბებნისში 2, დიდ გარეჯვარში 18, მელვრევისში, 1, ბროჭლეთში 1, ბრეთი მთლიანად მაჩაბლისა, დირბში 3, ავნევში 7, ქურთაში 21, ქეხვში 7, სეერში 11, ქემერტში 17, ქემფერში 10, ხეითში 42, საბაზმნდაში 6, თამარაშენში 43, დგვრისში 20, ზემო ხეითში 7, არა შედაში 1, აჩაბეთში 6, ცხინვალში 12⁸⁹.

1818 წლის კამერალური აღწერით მთლიანად მაჩაბლის მფლობელობა-შია შემდეგი სოფლები: ქვრივი, ტონტაბეთი, ჯავა, ქვემ ხეცე, სხლები, გვერწევი, მავდა, კახორი, ახალსოფელი, ჭრია, ბარცვა, ბუზალა, კოდიბნა, გუფთა, ნინეკოვა, მორგო, ზემო ხეცე, მუგუთი, ბარგნისი, კროე, ზაშხაური, თასბანი, ჩივეინა, თლიაყანა, ქოთანთა, სოხო, მძიევი, კოშკა, ელბაქიძე, თაფანა, ნაზლინა, ურჯუარი, ჯომილი, სომხიანი, ბუბათი, დამწვარი, ცაგათი, კოლა, ქეშელთა, ხეთათი, თხელინ, მარაბათი, ჩაგათი, ქემულთა, ჯავისთავი, თლი, მაცხოვარი; ზროგოს ხეობის სოფლები (დვალეთში): ბირეთი, ხოზიტა, თავგაზა, კოზიტა, საფადანა; ზამთარეთი, წონა, ერწო, როკა, ყორნისი, რუსთავი, თორმანეული, მავდა⁹⁰.

გვიანი წყაროების მიხედვით, სამაჩაბლო ქვეყანა საქმიანდ დიდ ტერიტორიაზე იხახება. მასში შედის ლიახვის ხეობა ცხინვალ-დგვრისის ხეობიდან როკმდე, დვალეთში — ზროგოს ხეობა, მდ. ყვირილასა და დვანის წყლის სა-

85 სცა, ფ. 1450, რ. 26, დოკ. 158.

86 ვ. გ. მ. რ. ე. კ. ლ. ი., ზ. ც. ქ. ი. ტ. შ. ვ. ვ. ლ. ი., 1770 წ. 5 აპრილის დემოგრაფიული ნუსხა, „მაცნე“, ისტორიის სერია, 1973, № 1, გვ. 153.

87 გოულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში, I, გვ. 101—103.

88 იქვე, გვ. 103.

89 სცა, ფ. 254, ანაწ. I, საქმე 76.

90 სცა, ფ. 254, ანაწ. I, საბ. № 543.

თავეები. ოღნიშნულ მხარეთა მოსახლეობა მთლიანად მაჩიბლებს ეკუთხნოდა. გათსავე კუთვნილებაში შედიოდა ცალკეული ყმა-გლეხები ქართლურ ჩატულებები და სხვა სოფლებშიც. სამაჩაბლოს აღმოსავლეთით ესაზღვრებოდა ქსნის ჭარბი კლეის თავის მამულები, სამხრეთიდან ფავლენიშვილთა და ამილაბორთა მამულები, სამხრეთ-დასავლეთით — საყაფლანიშვილო, ჩრდილო-დასავლეთით — რაჭის საერისთავო ჩრდილოეთით მაჩაბელთა ძალაუფლება დალეთამდე აღწევდა.

საისტორიო წყაროებში ტერმინი „სამაჩაბლო“ იშვიათად იხმარება. ომან ხერხეულიძე 1759 წლის ამბების თხრობასთან დაკავშირებით ახსენებს სამაჩაბლოს⁹¹. სამაჩაბლო ნახსენებია ზოგიერთ ისტორიულ დოკუმენტში. პაპუნა ორბერიანი 1747 წლის ისტორიული მოვლენების გამოყოფილი ახსენებს „მაჩაბლის ქვეყანას“⁹².

თირის სამონასტრო კომპლექსში ორი საგვარეულო საძვალე არსებობს: სამხრეთით — თავხელისძებისა, ხოლო ჩრდილოეთით — თაქთაქიძებისა. ჩრდილოეთ მინაშენე დატანებულია წარწერიანი ქვა, რომელიც ასე იყოთხება: „ქრისტე, შეწევნით ღვთისათა, მეოხებითა თავდების ღვრთისმშობელი-სათა, ჩვენ — თაქთაქიძემ, მროველ ეპისკოპოზმან ფილიპემ, არდაშელმა, ჩემან ელიშბარ, აღვაშენეთ საყდარი ესე წმიდისა ნიკოლოზისა სულისა ჩვენი-სა სახსრად იდეს ბელნიერის ხელმწიფისაგან ჩვენს ნათესავთა სასაფლაოდ, სამკვიდროდ, სამამულოდ მოსცემოდა ესე მონასტერი, მამა-პაპანი მარხულ იყვნეს, მათი მოშლა აღარ იქნებოდეს, ეკვდერი აღვაშენეთ, სასაფლაოს შეუმატეთ, ქორონიკონსა ტო“⁹³.

ამჟამად წარწერაში იყოთხება ქორონიკონი ტი, რაც უდრის 1622 წ. 6. ან-დლულაძე, საგებებით სამართლიანად, ამ ის-თვლის ოს ნაშთად და თარიღიდ მიიჩნევს 1682 წელს. შემოთავაზებულ თარიღს მხარს უჭერს სოფ. ქვემო ხეითში ღვთისმშობლის ეკლესიაზე ჩვენ მიერ მიკვლეული 8 სტრიქონიანი ასომთავრული წარწერა. იგი მოთავსებულია სამხრეთი კარის თავზე ჩასმულ ქვიშაქვაზე და ქარაგმების გახსნით ასე იყითხება: „...დაუსაბამსა ღვთისა განძრახეთ განწინებით და ძისა მისისა კეშმარიტად მშობელი, რომელი ქსნი-სათვის ჩუენისა შუამდგომელ იქმენ და მეოხარ ჩვენ ცოდვილთათვის, შეუნ-დვენ ყოვლად წმინდაო, ღვთის მშობელი. მსასოებელმან შენმან თაქთაქიძემ მროველმან იოანე (იესე?) აღვაშენე საყდარი ესე ბრძანებისა ღვთის მშობ-ლისა მეტოქად ჩუენს ნასყიდს ალაგზედა ცოდვათა ჩუენთა შესანდობლად და ძმათა ჩუენთა შესანდობლად და ძმათა ჩუენთა არდაშელ, ფილიპე და ელის-ბარის სადღეგრძელოდ. ქორონიკონს ტნ“ (ქორონიკონი ტნ უდრის 1662 წ.).

როგორც ჩანს, 1682 წ. წარწერას მროველი ეპისკოპოსი ფილიპე თაქთაქიძე არის 1662 წ. წარწერაში მოხსენიებული იოანე (იესე?) მროველი ეპისკო-პოსის ძმა⁹⁴.

თირის მონასტერზე ხელის დამდებად ჩანს აგრეთვე ვახტანგ VI. ამაზე მიუთითებს ეკლესიის კანკელის წინ მდებარე მარმარილოს ქვაზე ამკვეთი-ლი ვახტანგის ძის როსტომის ეპიტაფია. ვახტანგ VI „რაოდენთამე წელთა“

91 ქართლის ცხოვრება, II, 1854, გვ. 489.

92 იქვა, გვ. 366.

93 6. ა ნ დ ლ უ ლ ა ძ ე, დასახ. ნაშრ., გვ. 43.

94 1804 წ. კამერალური აღწერილან ირკვევა, რომ თაქთაქიშვილებს (იგვე თაქთაქიძე-ნი უნდა იყენებ) ყმები ჰყავდათ სოფლებში — კუსირეთსა და ქვემო ხეითში.

ყოფილა „სამკვიდრო მამულსა სოფელსა ამას“ (თირს). აქ გარდასცელია პირ-მშო და იგი ღვთისმშობლის ეკლესიაში დაუსაფლავებია 1689 წ.⁹⁵

როგორც ჩანს, ლიახვის ხეობაში ვახტანგ VI გააჩნდა სამკვიდრო-ზახანო მამულები. ამაზე უნდა მეტყველებდეს მხარის სახელშოდება სავახტანგო. ვა-ხუშტი წერს: „ხოლო ვანას ერთვის დასავლიდან ლიახვს კევი გერისა. გა-მოსდის მშხლების მთას და დის სამჯრით. უწოდებენ ვანათითურთ სავახტან-გოს“⁹⁶.

ვახტუშტის სოფელთა სიით სავახტანგოში შემდეგი სოფლები შედის: შინ-დისი, ტირქნისი, ვანათი, ბარალეთი, შურიული, ინაური, ყლარცი, მეფარეთი, გერი⁹⁷. სავახტანგოს შეიძლება უფრო აღრე სხვა სოფლებიც განეკუთვნებო-და. მათ შორის უნდა ყოფილიყო თირიც.

აჩაბეთის მახლობლად მდებარეობს თამარაშენი. ვახტუშტის სიტყვით, „კვალად ცხინვალს ზეით არს, ლიახვის დასავლეთით, თამარაშენი, მცირე ქა-ლაქი. მსახლობელნი არიან სომებინი, ურიანი და ქართველინი“⁹⁸.

თამარაშენში მაჩაბლები გადმოსახლებულან აჩაბეთიდან და საბაწმინდა-დან. ვადმოცემით, თამარაშენი თამარ მეფეს აუშენება. მას იგი პატარა ქა-ლაქად უქცევია და ვაქტობის წარმოების მიზნით ებრაელი და სომეხი ვაჭრე-ბი გადმოსახლებია. პლ. იოსელიანის ცნობითაც, ქალაქი თამარაშენი თამარ-შა დაასრულა. რუსულდანის მეფობისას იგი ჯალალ-ედინშა დააზრულა. მაჩაბლების თამარაშენში გადმოსახლების შემდეგ მათ სომხებისა და ებრაელებისაგან შეუს-ყიდიათ მამულები. ვაქტები ცხინვალში გადასახლებულან⁹⁹.

სინამდვილეში ვაჭარ სომეხ-ებრაელთა თამარაშენში გადასულა აქ მაჩა-ბელთა მოსვლას კი არ უნდა გამოეწვია, არამედ ცხინვალის დაწინაურებას. თამარაშენშა, როგორც ქალაქმა, ვერ გაუძლო ცხინვალის კონკურენციას.

თამარაშენის მახლობლად სოფ. ხეითა. მის მიღამებში ძელიცხოვლის საინტერესო ეკლესიაა. ხეითის ქვემოთ, ლიახვის მარცხნი მხარეზე, საბაწმინ-დის მონასტერი, დღეს ნანგრევებად წრმოდგენილი. შუაში დგას დრბაზული ეკლესია. მის კარის თავზე მოჩუქრეტმებული როზეტებია ჩასმული. საბა-წმინდის ეკლესია. X ს. ნაგებობაა, XIV ს. გადაკეთებებით¹⁰⁰. ეკლესიის სამხ-რეთით მრგვალი კოშკია, რომელიც ზაალ მაჩაბელს აუშენებია. კოშკს სახ-ლიც ქეონია მიშენებული¹⁰¹.

ზაალის შთამომავალნი თამარაშენში გადასულან საცხოვრებლად, მაგრამ საგვარეულო საძლებელ კვლავ საბაწმინდა დაუტოვებიათ.

დღიდი ლიახვის შეუ წელზე მდებარეობს ცხინვალი. ვახტუშტი აღნიშნავს: „...დღიდის ლიახვის კიდეზედ, არს მცირე ქალაქი ქცხილვანი, კეთილ-ჰაოვანი. მსახლობელნი არიან ქართველი, სომებინი, ურიანი... გარნა არიან ქცხილვანის კეობის კაცნი შვენიერ-ჰაეროვანნი...“¹⁰².

95 ნ. ა ნ დ ლ უ ლ ა რ ე, ლასახ. ნაშრ., გვ. 46.

96 ვ ა ხ უ შ ტ ი, ალწერა..., გვ. 70.

97 იქვე, გვ. 201.

98 იქვე, გვ. 76.

99 ს. ვ ა კ ა ლ ა თ ი ა, ლიახვის ხეობა, თბ., 1971, გვ. 34.

100 იქვე, გვ. 39.

101 3. ი ი ნ კ ა რ ე, საცხოვრებელი სახლის ერთი სახის დახასიათებისათვის სოფ. ხეით-ში, ქართული ხელოვნება, თბ., 1955, № 4, გვ. 223.

102 ვ ა ხ უ შ ტ ი, ალწერა..., გვ. 76, 78.

ამ ადგილას საინტერესოა ის, რომ ვახუშტი ლიახვის ხეობის ცენტრალურ ნაწილს ქცხილვანის ხეობას უწოდებს. ამავე დროს იგი არ იცნობს ჟირ ჩიზენუ-კუ-
თის ხევს და არც სამაჩაბლოს.

ცხინვალი ხეობაში თავისი ცენტრალური მდებარეობის გამო წარმოადგნდა შუამავალ რგოლს ლიახვის ხეობის ზედა და ქვედა ნაწილებს შორის.

ცხინვალის მიღამოებში ადამიანის ცხოვრების კვალი ენეოლით-ადრე-ბრინჯაოს ხანიდანაა დადასტურებული. გვიან შუასაუკუნეებში ცხინვალი სამეფო ქალაქია, რომელიც მნიშვნელოვან როლს თამაშობს შიდა ქართლის დაცვაში. ცხინვალის ისტორიისა და სიძეველეთ შესახებ არსებობს სხვეციალური ლიტერატურა. ჩვენ დავგმაყოფილდებით მათი მითითებით¹⁰³ და მოვიტანთ მოგვანონ ცნობას ცხინვალის შესახებ. 1836 წ. ა. იანოვსკი წერდა: ოსები ვაჭრობენ ქართლთან უპირატესად სოფ. ცხინვალში. მათ აქ მოაქვთ გასაყიდად ნაბდები, ყველი, კარაქი, თუთუნი, ქეჩა, ნედლი ტყავი, მზა ტანსაცმელი, პირუტყვი, ყიდულობენ კი მარილს, ნარმას, ბამბის ქსოვილს, მაუდს, რკინას¹⁰⁴.

ცხინვალიდან ჩრდილო-აღმოსავლეთთი მდებარეობს სოფ. ერედვი. შუა სოფელში დაცულია ციხე-გალვანი, რომლის შიგნით შუა მოედანზე დგას წმ. გიორგის სახელობის ეკლესია. იგი წარმოადგნს სამეცნიერო ბაზილიკას, რომელსაც ოთხსავე მხარეს აქვს გრაშემოსავლელი. სამხრეთი შესასვლელის სკეტზე 906 წლით დათარიღებული საშენებლო წარწერაა მოთავსებული, რომელშიც იხსენიება ტაძრის ქრისტიანული თევზდორე თაფლასძე, ქართლის „უფალი“ ივანე ტბელი და ნიქონიელი ეპისკოპოსი სტეფანე¹⁰⁵.

X საუკუნის დასაწყისისათვის ტბელები პირველობენ უკვე, „უფლობენ“ შიდა ქართლში. ერედვის წარწერა ქართლის (შიდა ქართლის) საერო „უფლად“ ივანე ტბელს ასახელებს, ხოლო სასულიერო მწყემსმთავრად — ქართლის მთავარეპისკოპოსს. X ს. ისინი წინააღმდეგობას უწევენ როგორც აფხაზთა მეფეებს, ისე ტაო-კლარჯეთის მთავრების მისწარაფებას, ხელში ჩაიგდონ შიდა ქართლი, მეთაურობენ ქართლის აზნაურთა ბრძოლას მათს წინააღმდევ¹⁰⁶.

მ. ლორთქითანიძის აზრით, ტბელი შეიძლება შიდა ქართლის ერისთავებად ვიგულვოთ, აქ აფხაზთა მეფეების მიერ საკუთარი ერისთავების დანიშვნამდე¹⁰⁷.

ერისთავი ტბელები იხსენიებან აგრეთვე ტბეთის ბორცივრისა და დოდოთის ცხრაკარას ეკლესიების წარწერებზე. IX—XI სს. ტბელთა ინტენსიური სამშენებლო მოღვაწეობა ჩანს ლიახვის შუა წელზე, რაც გამოიხატა ერედვის წმ. გიორგის, ხეითის საბაზისნიდის, ნიქონის მცირე გუმბათიანი საყდრის, ტბეთის ბორცივრისა და დოდოთის ცხრაკარას მშენებლობით. ეს მიუთი-

103 მ. ცოტნიაშვილი, ცხინვალის ისტორიისათვის, სტალინირი, 1961; ს. მაკალა ა. ლიახვის ხეობა, თბ., 1971.

104 Образование Российских владений за Кавказом, ч. II, СПб., 1836, с. 210.

105 რ. მეცნიერებაშვილი, ერედვის 906 წლის ხუროთმოძღვრული ძეგლი, ქართული ხელოვნება, 4, თბ., 1955, გვ. 112.

106 ნ. ცოტნიაშვილი, ვ. ცისქარიშვილი, სოფელ დოდოთის ცხრაკარას მელე-სიის წარწერა, საქ. სახ. მუზ. მოამბე, ტ. XIX—B, XXI—B, თბ., 1957, გვ. 94.

107 მ. ლორთქითავანიძე, ფეოდალური საქართველოს პოლიტიკური გაერთიანება, თბ., 1963, გვ. 252.

თებს ამ ხანში-ლიანების შეუტელის მძღვანელობის აღმაკლობაზე, რამაც განაპირობა ტბელთა პოლიტიკური პირველობა იმ პერიოდის შიდა-ქრისტიანული მიზანის შესრულებას.

პატარა ლიახვის ხეობის ქვედა ნაწილს ვაცუშტი ბაგრატიონი სავარტან-
გოს უწოდებს. როგორც ჩანს, ეს სახელი გვიანდელი ხნისაა. აღრეფერა-
ლურ ხანაში პატარა ლიახვის ხეობას საცხმეთი ეწოდებოდა (VII ს. სომხუ-
რი გოგრაზე).

პატარა ლიახვის მარჯვენა ნაპირის სოფელი აჩბოა. შეა სოფელში დაცულია წმ. გორგას ძეველი ეკლესია, რომელსაც X ს. მიაკუთვნებენ¹¹⁰.

პატარა ლიანების მატურენი ნაპირზე სოფლებია—დისევი და კულბითი. დისევში გვიანდეოდა ლური ხანის ძელიცხოველის დარბაზული ეკლესია, ხოლ კულბითში ღვთისმშობლის ეკლესია, რომელსაც X ს. მიაკუთხნებენ. ეკლესიის სამხრეთ-დასავლეთით ძეგლი ციხის უსახური ნანგრევებია. მას ახსენებს ვაჟუშტი¹¹¹. კულბითის ციხე იხსენიება სეფიხანის შემოსევისას ქართლში¹¹².

პატარა ლიახვის მარცხენა ნამირზეც მდებარეობს სოფ. კარში. აქ შემოჩენილია XVI ს. დავითაშვილების ციხე და XVII-XVIII სს. გნოლიძეებისა და ხუბაშვილების ციხეები, რომლებიც დაინინდრულ კოშკებს წარმოადგინენ.

სოფ. შერთულში შემორჩენილია გვიანდელი აღმური ხანის ღვთისმშობლის სახელობის კელებისა და XVII-XVIII სს. „დადიანიძების ციხე“ — რიყის-ჭით ნაგები კილიონტორული კოშკი.

დიდი ლიანების მარჯვენა ნაპირზე მდებარეობს ზემო ნიქოზი. ვახუშტის სიტყვით, „ნიქოზს ეკლესია ღვთაების, დიდი, გუმბათიანი, აღაშენა გორგასალ და დაღვა მას შინა გვამი წმინდა ჩაედენისა. მანვე, გორგასალ, ჰყო საეპისკო- პოსოდ და დასცე ეპისკოპოსი; ზის დღესაც, მწყემსი კავკასიანთა დვალთა და- ას თხოვთად წოდებულისა, გლოლაღებითურთ და ას დეკლესია დიდშენი, კი- თილს ადგილს, მშვინერი“¹¹³.

108 XI ს დასწურისიღან ტბელთა საგვარეულო არ ლომინირებს შეიდა ქართლში, ვაგრაშ ესასლებელია, რომ ამ ჰერიონის შეიდა ქართლს ერთისავება — აბაზისების მომიღინერობის ტბელთა საგვარეულოდან, მით უმეტეს, რომ ერთ-ერთი ტბელი აბაზია ისხრიება. შესაძლოა, მათ მისცა დასახმამი ასალ გვარის — აბაზისებებს. „ამას მხარს უკერს ბორცვეფვარის VI ჩრწერებში მოხსენერებულ აბაზისის სახელი იყენებულია. სწორედ ეს სახელი კუთხით გარელებული აბაზისთა გარეშე: „მატრინე ქართლისას“ ცნობით, XI ს. 30-იან წლებში ქართლის ურისითავის იყვანე აბაზის-ძე ყოვლილა“ (ნ. შე შე ვ ვ ი ლ ა, 3. ც ი ს კ ა რ ა შ ვ ი ლ ა რ ა ს ა ბ, ნაზრი, გვ. 97).

¹⁰⁹ f. გ 3 ა ს ა ლ ი ა, პატარა ლითენვის ხეობის ისტორიული ძეგლები, ძეგლის მეცნიერობის, 1976-77, №№ 43-44, გვ. 20-28.

110 ს. გადალათის, ლიანქვის ხეობა, 23. 62

III 306 73 0, 077946..., 21. 75

113 ଶ୍ରୀ ପାତ୍ର କାନ୍ତିକାଳୀ, ୧୩. ୭୬.

ნიქონის საეპისკოპოსოს ვახტანგ გორგასლის დარსებულად თვლის ჭუ-
ანშერი¹¹⁴.

ნიქონში ვახტანგის დროინდელი ექლესია და ნაგებობანი არ შემონაბეჭდი
ლა. დარჩენილია მხოლოდ შემდეგ საუკუნეებში გადაკეობული ღვთაების
მქლესია. მის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში დგას საცხოვრებელი ციხე-დარბა-
ზის ნანგრევები. იგი, აღმართ, ეპისკოპოსის სასახლე იყო.

გვიან შუასაუკუნეებში ფაელენიშვილები ეფლებან ნიქონ-ერედვის
მდგამოებს და დიდად ავრცელებენ ნიქონელს. ერელე II-ს 1786 წ. განჩინე-
ბით ფავლენიშვილებს ეკრძალებათ ნიქონელის შევიწროება. მათ ნიქონი რჩე-
ბათ მხოლოდ საგვარეულო საძვალედ¹¹⁵.

ნიქონის ღვთაების ეკლესიის მახლობლად მთავარანგელოზის მცირე ზო-
მის გუმბათიანი ეკლესია. მასზე მოთავსებულია ქრისტორის წარწერები, რომ-
ლებიც პალეოგრაფიული ნიშნებით X ს. განეკუთვნებიან.

ნიქონის სამხრეთით მდებარეობს სოფ. ფხვენისი. მისი მებატონენი „აზ-
ნაური ფხვენელნი“ მოხსენებული არიან „მატრანე ქართლისას“ ავტორის მი-
ერ X ს. კვირიკე კახა მეფის მომხრე აზნაურთა შორის¹¹⁶.

სოფელ ფხვენისში ვერ მივაკლიეთ მატერიალური კულტურის ძეგლთა
ისეთ ნაშთებს, რომ მიგვეჩნია იგი აზნაურ ფხვენელთა რეზიდენციად. მაგრამ
ფხვენისში დავადასტურეთ დარბაზული ექლესია „ღვთასმშობელი“, რომე-
ლიც სტილისტური ნიშნებით X ს. განეკუთვნება. დასავლეთი სარქმლის თავ-
ზე ჩამოტანილი ფერის ქვა, რომელიც ქარაგმების გახსნით ასე იყი-
ოხება: „ქრისტე, აღიდე ბეშენ, სტეფანოზის ძე“.

იბადება კითხვა: ხომ არ არიან ფხვენისის წარწერასა და ჭარების X ს.
წარწერაში მოხსენიებული ბეშენ და სტეფანოზი ერთი და იგივე პირები?

ფხვენისის სამხრეთით სოფ. შინდისია. საღაც ერთმანეთთან ახლოს
დგას ორი ეკლესია — „ნათლისმცემელი“ და „სტეფანწმინდა“. ორივე ძეგლი
X—XI ს. განეკუთვნება. ამავე ხანისა სოფ. არაშენდას ეკლესია „მთავარან-
გელოზი“.

რუისი და ურბნისი ლიახვის ხეობისაგან გამოყოფილი არიან რუისის
მთთ და სერით, მაგრამ რადგანაც ეს სოფელი და მათი სამწისოები ლიახვით
ირწყოდა, ისინი ლიახვის ქვეყანას განეკუთვნებიან.

მროველი ეპისკოპოსი 506 წ. დვინის საეკლესიო კრების მონაწილეა („მა-
რუელი“)¹¹⁷. რუისში დღეს მდგარი ტაძრი VIII—IX საუკუნეებშია აგებუ-
ლი გვიანდელი გადაკეობებით¹¹⁸.

ვახუშტის მიხედვით, რუისი ეპისკოპოსი არის „მწყემსი ამ რუისა ზე-
თის ქართლისა, ლიხ-ტაშის-კარამდე, და აშ ისევ მწყესის ხეობასა და საღვერს,
ვინადგან მაწყერელი არღარა არს“¹¹⁹.

რუისიდან 3-4 კმ-ზე გორისააკ მდებარეობს ურბნისი. ვახუშტის სიტ-
ყვით ურბნისი „აღაშენა ქალაქი უფლოს, ძემან ქართლისისამან და იყო ქა-

114 ქართლის ცხოვრება, I, გვ. 199.

115 სეია, ფ. 1451, რეესული I, ანწერი 18, საბ. 3.

116 ქართლის ცხოვრება, I, გვ. 269.

117 ეპისტოლეთა წიგნი, თბ., 1968, გვ. 97.

118 გ. ნ უ ბ ი ნ ა შ ვ ი ლ ი, რუისის ტაძრის ისტ., ენიმეს მოამბე, V—VI, 1940, გვ. 440.

119 ვ ა ს უ შ ტ ი ა, აღწერა..., გვ. 78.



ურბნისი, ქართული წერილობითი წყაროების მიხედვით, ალექსანდრე მაკელიანელის საქართველოში შემოსკოლის დროის ქალაქი.

ლ. კილაშვილის აზრით, მტკვარმა და გასჩე გოძვალმა სავაჭრო გზამ დი-
დად შეუწყონ ხელი ურბნისის, ოკონოც ქალაქის ჩამოყალიბებას¹²¹ ი. კიკვიძე
კი მორწყვას ანიჭებს უპირატესობას ურბნისის წარმოშობაში¹²². ჩვენი აზრით,
ორივე ფაქტორმა — მორწყვამ და სატრანზიტო გზაზე მდებარეობამ, განაპი-
რობა ურბნისის გაქალიქება და აყვავება.

ურბნისის საეპისკოპოსო კათედრა ქართლში ერთ-ერთი უძველესია, ყოველ შემთხვევაში, V-VI სს. მინაზე ურბნისის ბაზილია უკვე აგებულია¹²³. მურავ ყრუს შემოსევების შედეგად ქალაქ ურბნისი დაცუმის შემდეგაც იგი მაინც ინარჩუნებს საეპისკოპოსო ცენტრის როლს. არ არის შემთხვევითი, რომ დავით აღმაშენებელმა საეკლესიო რეფორმების ჩასატარებლად სწორედ აქ „შემოკრიბა კრება სანახებთა ქართლისათა, მახლობლად ორთა საეპისკოპოსოთა რუისა და ურბნისისა“¹²⁴. მეფეს, ჩანს, აქ ეგულებოდა თავისი პოზიციის მომზრები. აქვე იყო მის მიერ აღორძინებული ქალაქი გორი და „სადგური მეფეთა“ ნაჭარმაგვეთი.

გორის ჩრდილოეთით, ლიახვის მარცხენა ნაპირზე, მდებარეობს კარალეთი, რომლის ძეგლი სახელია ნაკარმაგვევი. „ნაჭაბიმაგვევი იყო საღური მეფეთა და კეთილსანადირ, და ოქ კარალეთად წოდებული, აღგილი ტურცა, ჰალიან-მინდვრიანი, ნადირიანი, ფრინველიანი“¹²⁵.

ქართულ საისტორიო წყაროებში ნავარმაგევი XI-XII ს. ცნობილია, როგორც საქართველოს მეფების საზაფხულო რეზიდენცია, საღაც წყლებოდა მნიშვნელოვანი სახელმწიფო სამეცნიერო¹²⁶.

XV ს. მეორე ნახევარში კარალეთი ზაზა ფანასკერტელის მამული ჩანს¹²⁷.
XVIII ს. ბოლოს იგი ქარის ერთითავთა ხელშია.

კარალეთში ისტორიული ძეგლები თოვლის სრულიად გაქრა. შემორჩენილია გვიანდელი დალური ეკლესიის ნაგრევები.

გორიდან ჩრდილოეთით 2 კმ-ზე მდებარეობს ზემო და ქვემო რეხი. ზემო რეხი (რეხა) სოფლის ქველი ნიშილია, სადაც დაცულია XVIII ს. ღვთის-შობლის სახელობის ეკლესია.

რუსას ლეონტი მროველი ასახელებს II-III ს. ამგების თხრობასთან დაკავშირდით¹²⁸. მატიანე ქართლისას აცტორი 840-იანი წლების ვითარების აღწერისას მოვითხრობს: „გამოვიდა საპატ, ამირა ტფილელი, ლაშერითა და დაგა რეწა, ხოლო მოპატედ და ბაგრატ წარიოდეს უფლისციხე. და მოვიდეს

120 ଶାକ ପତ୍ର, ଅଲ୍ପିନ୍ଦା..., ୩୩-୭୮.

121 ଶ୍ରୀ କାନ୍ତିଲାଲ ପାତ୍ର, ବାହ୍ୟାଳ୍ୟାବାଦରେ ଉରଦ୍ଦମ୍ବିସି, ଟମ., 1964, ୩୩- ୧୫୨.

122 o. 404304, მორშევა ძველ საქართველოში, გვ.

123 3. ზ ა ქ ა რ ა ი ა, ნაქალექაზ ურბნისის ხუროთმოძღვრება, თბ. 1965, გვ. 113.

124 ქართული სამართლის ძეგლები, III, თბ., 1970, გვ. 114.

125 3 0 6 7 7 8 0, எல்லூர்..., 83-75.

126 ქართლის ცხოვრება, I, გვ. 324, 332; II, გვ. 54, 144, 183.

127 ԵՐԵԱ, ց. 1448, № 64.

128 ଶାହିତଳୀର ପ୍ରକାଶନରେଧା, I, ପୃଷ୍ଠା 54.



კახნი გარდაბანელნი შუელად საპაკისა; შეიბნეს რექს და იყო ბრძოლის მიზანი შოთა რუსის“¹²⁹.

რეხი მოხსენებულია „აბიბოს ნეკრესელის მარტვილობაში“: „და ვითარ-ცა მიიყვნენს იგი (აბიბო — ჭ. გ.) მარზაპნისა მის ზენა ს თ ფ ლ ა დ, ს თ ფ ე ლ ს ა რ მ ე ლ ს ა ჭ რ ქ ვ ა ნ რ ე ჭ ი, და შეკრბა მუნ სიმრავლე ეპისკ-პოსტისა და მღდელთა და ერის მთავართა, და თეატრონი დიდი იქმნა წინაშე მარზაპნისა... მაშინ განრისხნა ფრიად მარზაპნი იგი მეფისა და შემდგომად მრავალისა გუერმისა და საკურველთა სატანჯველთამნა ქვითა განტვნეს იგი, ნე-ტარი აბიბოს და მოკლეს და განათრიეს გარეშე ქალაქ ქსა... და ვითარ მყო-ვარ ისტხნეს, დაუტევეს მცველთა მათ და წარვიდეს. გამოვიდეს მამანი იგი, რომელნი მყოფ იყვნეს გარე მოს ქალაქებსა მას რეგისასა“¹³⁰.

„მარტვილობის“ მოტანილი ადგილებიდან თითქოს ჩანს. ო-მ რეგია არა პუნქტის, არამედ მთარის, ქვეყნის აღმნიშვნელი სახელია. ის აღნაშნავს ზენა სოფელს (ან მის გარევეულ ნაწილს). გამოთქმა „გარემოს ქალაქებსა მას რე-კისასა“ კიდევ უფრო აძლიერებს ამ ეპეს. რეხში (მთარეში) რამდენიმე ქალა-ქი იგულისხმება. არაა გამორიცხული, რომ მხარე რეხის რომელიმე ცალკეულ პუნქტს (და იქნებ არა ერთს) ერქვა რეხი (რეხა).

რეხა თანამედროვე ქალაქ გორს ეკვრის. იქ ისტორიული ქეგლები თით-ქმის არ მოიპოვება. ამავე დროს გორი წყაროებში XII ს-მდე არ ისხენიება. გორის ციხეშე დადასტურებულია ანტიკური ხანის ფენები. სავარაუდოა, რომ გორის გორი გაცილებით აღრეულ პერიოდებში იქნებოდა დასახლებული. ხომ არაა შესაძლებელი, რომ გორის ძველი სახელი ყოფილიყო რეხი ან რეხის გო-რი, რომლისგანაც გვიჩ შემოგვრჩა მხოლოდ გორი, ხოლო სახელი რეხი შერჩა მის მახლობლად მდებარე სოფელს (იქნებ გარეუბანს ან აგარას?).

ვახუშტი გორს თავის „აღწერაში“ საქამაოდ დიდ ადგილს უთმობს, რომ-ლის ნაწილს მოვიტანთ: „მის (უფლისციხეს—ჭ. გ.) დასავლით არს ქალაქი გორი. ამან სახელი მოიგო გორისგან, რომელი აღმოსულ არს მუნ დიდი, ლია-ნვის მდინარის კიდესა ზედა.. არამედ არს უწყებული, ვისით აღშენდა პირ-ველ, გარნა ცხორებასა წერილ არს: „ერეკლე ქეისარმან უწოდა ტონთოო (რო-მელ არს ოქროს მთა) და ჰყო საფლაველად საგანძურთა“. არს გორისა ზედა ცი-ხე დიდი“¹³¹.

ვახუშტის, როდესაც გორის შესახებ იმოწმებს ადგილს „ცხოვრებიდან“, მხედველობაში უნდა ჰქონდეს ჭუანშერის თბზულების შემდეგი ადგილი: „ხო-ლო არჩილ დაპფლა საგანძური უფროსი გეეს კახეთისასა; ხოლო სამსახურე-ბელნი ოქროსა და ვერცხლისანი გეესა უჯარმოსასა, და საგანძური ქართლისა და ჭავახეთისანი დასხნა გორის, რომელი მანვე ერეკლე განაჩინა სამალავად განძთა მათთვეს, რომელნი თანა ვერ წარპეონდეს. სახელი გორისა მის არს ტონთოო, რომელ არს თარგმანებით „მთა ოქროსა“¹³².

დ. ვერიტეტილს მატანის ამ ადგილიდან შემდეგი დასკვნა გამოაქვს: „ამ ამონაწერიდან ჩანს, რომ ჭუანშერისთვის გორი მე-7 საუკუნეში რეალურად არსებული გოგრაფიული პუნქტია და, რაც უფრო მნიშვნელოვანია, ეს პუნ-

129 იქვე, გვ. 255.

130 ქველი ქართული აგოგრაფიული ლიტერატურის ქეგლები, I, გვ. 244-246.

131 ვახუშტი, აღწერა..., გვ. 73.

132 ქართლის ცხოვრება, I, გვ. 232—233.

ქრისტიანულ ციხე-სიმაგრედ ითვლება, სადაც სახელმწიფო ქონებები დაცულია ვა „შეიძლება“¹³³.

დ. გვრიტიშვილის, ისევე როგორც ვახუშტის, შეცდომის წყარო გუან-შერთან მოსხენიებული გორი. მაგრამ აქ გორი პუნქტის სახელი კი არაა, არა-მედ განმსაზღვრელია ადგილისა, რომელსაც ეწოდებოდა ტონთიო. ჯავახეთის სოცელი ტონთიო მოსხენიებულია „მატიანე ქართლისაში“, სადაც შეტანილია მცხეთის XI ს. საბუთის ექვეპტები: პატრიარქმა მელქისედეკმა „ჯავახეთს მოივო სოფელი ტონთიო“¹³⁴.

საინტერესოა, რომ გუანშერთანაც საუბარია ქართლისა და ჯავახეთის სა-განძურის დაფლვაზე ტონთიოში. თითქოს ეჭვგარეშეა, რომ ორივე შემთხვევაში ლაპარაკი ჯავახეთის ტონთიოს შესახებ.

სომეხი ისტორიკოსის მათე ურპაელის აზრით, ქალაქი გორი დააარსა და-ვით აღმაშენებელმა.¹³⁵ 1946 წ. გორის ციხის ჩრდილო ფერდის ჩამოზვავების დროს აღმოჩნდა კედლები ანტიუგრი ხანის თანმხლები ფენით.

უამთააღმწერლის ცნობით, XIII ს. ბოლოს, მთნოლოთა ბატონობის დროს, გორი გადაიწვა და ციხე დაინგრა. ციხე უნდა გაჩანაგებულიყო თე-მურ-ლენგის შემოსევების დროსაც. 1474 წ. ვენეციელ მოგზაურს ამბროსიო კონტარინის გორში ხის ციხე დანვედრია; 1599 წ. სიმონ მეფეს გორის ციხე და-უნგრევა. 1633—1634 წწ. გორის ციხეს აშენებს როსტომ მეფე. 1774 წ. ცი-ხე საფუძვლიანად შეაკეთა ერეკლე II-მ. საუკუნეთა მანძილზე გორის ციხე იყო შიდა ქართლზე ბატონობის ერთ-ერთი ძირითადი საყრდენი.

უან შარდენის მიხედვით, მისდროონდელ ქართლში მხოლოდ ოთხი ქალა-ქი იყო: გორი, სურამი, ალი, თბილისი¹³⁶.

ი. გიულდენშტედტი გორში არ ყოფილა, მაგრამ იგი გორს ახსენებს, როგორც ქართლის მეორე ქალაქს, თბილისის შემდეგ. საინტერესოა მისი ცნობა, რომ ქართლის მთავარებისკომისი იმყოფებოდა გორში¹³⁷. ძნელია თქმა, რამდენად სარწმუნოა ეს ცნობა.

გორი იყო ქართლის მეორე სადროშოს ცენტრი. სადროშოს სარდლები იყვნენ ამილახვრები, რომლებიც სარგბლობდნენ თავიანთი უფლებებით და საამილახვრო ჟამა-მასულებს აფართოებდნენ. გვინი მონაცემების მიხედ-ვით, ამილახვრებს ლიახვის ხეობაში ეკუთვნილათ სოფლები: ფხვენისი, ძევე-რა, შერთული, ტბეთი, ტინისხიდი და კარბი.

* * *

ლიახვის ხეობის ბუნებრივი პირობები უაღრესად მრავალფეროვანია. ლი-ახვის აუზი მოიცავს როგორც მთას, ასევე მთისწინეთსა (ზეგანს) და ბარს, ხეობის ზემო წელის მდიდარმა ალპურმა და სუბალპურმა საძოვრებმა შექმნეს პირობები მესქონლეობის განვითარებისათვის. ზემო წელზევე მისდევდნენ შემინდერეობას, რომელიც აქ მეორეხარისხოვან როლს ასრულებდა. ხეობის

133 დ. გ ვ რ ი ტ შ ვ ი ლ ი, გორის ისტორია, თბ., 1954, გვ. 6.

134 ქართლის ქხოვრება, I, გვ. 290.

135 ვ ა თ ე ო ს უ რ პ ა ე ლ ი, უამთააღმწერლობა, ეილარშეპატი, 1898, გვ. 356—357.

136 შარდენის მოგზაურობა, გვ. 295.

137 გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში, I, გვ. 207.

მთასწინეთი და განსაკუთრებით ბარის ლამიანი მიწები უაღრესად, ხელსაყრდნობია ინტენსიური მებილდერებისა და მებილეობა-მებაღრების განვითარებისათვის, მაგრამ სასაქონლო ხასიათს XIX ს. შუა წლებიდან მხოლოდ მეზინ-დერეობა ატარებდა. ლიახვის შუა და ქვემო წელის მიწათმოქმედება სარწყავი იყო. ლიახვის დიდი სარწყავი სისტემები ანტიკურ ხანაში უკვე ჩამოყალიბებულია. ისინი ფუნქციონირებენ ფეოდალურ ხანაშიც.

ლიახვის სათავეებშია მნიშვნელოვანი გადასასვლელები, რომელებზეც გადმოდიოდა გზები ჩრდილო კავკასიიდან შიდა ქართლში. ლიახვის ხეობაში იკვეთებოდა ოთხივე მხრიდან მომავალი გზები. ეკონომიური სიძლიერე და გზაგვარედინებზე მდებარეობა განსაზღვრავდა ლიახვის ხეობის მნიშვნელობას შიდა ქართლისა და მთელი აღმოსავლეთ საქართველოს ისტორიაში.

ლიახვის ხეობაში ადამიანის ცხოვრების ნაკალუვი ქვედა პალეოლიტიდან ჩანს. განსაკუთრებით ფართოდა ათვისებული ხეობა აღრებრინჯაოსა და გვიანბრინჯაოს ხანაში. ანტიკური ხანა მთელ ხეობაში წარმოდგენილი. აღრე-ანტიკურ ხანაში დიდ აღმავლობას აღწევს ქალაქი ურბნისი, რომელიც მსოფლიო მნიშვნელობის სავაჭრო-სატრანსიტო გზაზე და სარწყავ მიწებზე მდებარეობდა. ანტიკურ ხანაშივე დაწინაურებული ჩანს გორი, რომლის ძევლი სახელშოდება შესძლოა რეხი (რეხა) იყოს. აღრე შუასაუკუნებში ლიახვის ქვემო წელზე აღმოცენდა სამი სეპისკოპოსო ცენტრი — ნიკოზი, რუსი და ურბნისი. მათი წარმოშობა პირობადებული იყო მხარის ძლიერი ეკონომიური აღმავლობით, რომელიც სარწყავ მიწათმოქმედებას ეყარებოდა.

VII ს. სომხეთი გეოგრაფიის მიხედვით, აღრეფეოდალური ხანის დასაწყის პერიოდში ლიახვის ხეობაში ორი აღმინისტრაციული ერთეული ჩანს — აჩაბეთისხევი და საცხუმეთი. პირველის ცენტრი იყო აჩაბეთი, ხოლო მეორისა უნდა ყოფილიყო ბელოთ-საცხენეთის მიდამოები ან ვანათი. თავის მხრივ, ეს ხევები შეიცავდა უფრო მცირე ხევებს: აჩაბეთისხევი — მაღრან-დვალეთს (ცენტრით ედისში), ჯავისხევის; საცხენეთის ხევი — ქნოლოს (ცენტრით ბეხუშე), აწერისხევს, გერისხევს (გვანდლელი ხანის სავახტანგო).

IX-XI სს. ლიახვის ხეობაში წამყანი აღგილი უცირავს მის შუა წელს. ეს შეიძლება აიხსნას ამ პერიოდში ინტენსიური სარწყავი მიწათმოქმედების განვითარებით. ლიახვიდან გამომდინარე არხების სათავეები სწორედ ცენტრული და ურეული ნიქოზის მიღამოებშია. ეკონომიურად გაძლიერებული ტერები-სათვის, რომლებიც, აღბათ, ქმნიან ლიახვის ანუ ტერლთა საერისთავოს, ხელმისაწვდომი აღმოჩნდა „უფლება“ ანუ ერისთავობა შიდა ქართლში.

შუაფეოდალურ ხანაში ლიახვის ხეობის პოლიტიკური ცენტრი ინაცვლებს ხეობის ქვემო წელზე, კერძოდ, ნაკარმაგვეში (კარალეთი), რომელიც მოხსენიებულია, როგორც „სადგური მეფეთა“. არა შემთხვევითი, რომ დავით აღმაშენებელი 1103 წ. საეკლესიო კრებას რუსი-ურბნისის სანახებში იწვევს. ლიახვის ქვემო და შუა წელი სახასო.

გვიან შუასაუკუნებშიც ლიახვის ქვემო წელის ზოგი სოფელი სახასო — გორი მეორე საღრმოს ცენტრი; ცხინვალი სამეფო ქალაქი (ცხინვალის დაწინაურებამ გამოწვია თამარაშენის დაქვეითება); ლიახვის მოზრდილ მონაკვეთს შეაღესმს სავახტანგო სოფლები. დიდი ქიშპობაა თორის მონასტრის საძვალედ გადაქცევისათვის. აქ ეკახება თავებლიძე-მაჩაბელთა, მროველ-თაქთა-ქიქეთა და მეფის ინტერესები.



XV ს. დასაწყისში ლიახვის ზემო წელზე ყალიბდება ცალკე სათაგარენტული სამაჩაბლო. ჩევნ არ ვიზიარებთ მოსაზრებას მაჩაბლოთ ანჩაბაძეთავდან მოგვაჩინი მომავლობის შესახებ (ვახუშტი, ს. ჯანაშია). უფრო მართებულად მიგვაჩინი თვალსაზრისი თავხელიძეთაგან მაჩაბლების წარმოშობის შესახებ. სამაჩაბლო, როგორც სათავადო, ვაუქმდა 1850 წელს, როდესაც მაჩაბლებსა და ყმა ოსებს შორის გამწვავებული კლასობრივი ბრძოლის გამო სენატის დადგენილებით მაჩაბლოთა 2000 კომლი ყმა სახაზინო უწყების გადაეცა.

XIV ს-დან პატარა ლიახვის ზემო ნაწილი ქსნის ერისთავთა მფლობელობაში ეჭუვდა. ვვინან შესაუკუნებში ერისთავები ეუფლებიან თოთქმის მთელ პატარა ლიახვის ხეობას და ჩამოღიან კარალეთამდე. ქსნის ერისთავები მთელი XIV ს. მანძილზე იბრძვიან მაღრან-დვალეთის დასუფლებლად, რასაც აღწევენ XV ს-ში.

მილახერები, სარგებლობები რა მეორე სადროშის სარდლის უფლებებით, აფართოებენ თვინათი სათავადოს საზღვრებს ლიახვის მარჯვენა ნაპირის სოფლების ხარჯზე.

Дж. Г. ГВАСАЛИА

ВОПРОСЫ ИСТОРИЧЕСКОЙ ГЕОГРАФИИ ЛИАХВСКОГО УЩЕЛЬЯ

Резюме

Природные условия Лиахвского ущелья чрезвычайно разнообразны. Бассейн р. Лиахви состоит из гор, предгорья и низменности. Богатые альпийские и субальпийские пастбища создали условия для развития животноводства в верхней части ущелья. Здесь полеводству принадлежало второстепенное значение. Богатые илом почвы в низменной части ущелья определили развитие интенсивного полеводства и виноградарства-садоводства. Но до середины XIX века только полеводство носило товарный характер. Земледелие на среднем и нижнем течении р. Лиахви было орошаемое. Большие оросительные системы Лиахви функционировали уже в античную эпоху.

В верховьях Лиахви расположены перевалы, через которые проходили дороги с Северного Кавказа в Шида Картли. В Лиахвском ущелье перекрецывались дороги со всех концов страны. Экономическая мощь и расположение на главных перекрестных дорогах определили значение Лиахвского ущелья в истории Восточной Грузии.

Следы пребывания человека в Лиахвском ущелье прослеживаются с эпохи нижнего палеолита. Оно особенно широко освоено в эпоху ранней и поздней бронзы. Античная эпоха представлена во всем ущелье. В эту эпоху большого подъема достигает город Урбниси, расположенный на торгово-транзитной дороге мирового назначения и орошаемых землях. Выдвигается и город Гори, название которого в старину должно было быть Рехи (Реха).

В раннее средневековье в низменной части Лиахви возникли три центра церковных епархий — Никози, Руиси и Урбниси. Их возникновение было обусловлено экономическим подъемом края, базировавшемся на оросительном земледелии.

По армянской географии VII века, в раннефеодальный период в Лиахвском ущелье существовали две административные единицы Ачабетисхеви и Сацхумети. Центром первой был Ачабети, а второй Сацхенети или Ванати.

В IX—XI вв. в Лиахвском ущелье ведущее место занимает его средняя часть. Экономически сильная феодальная фамилия этого края — Тбели распространила свою власть не только на ущелье Лиахви, но и на Шида Картли.

В среднфеодальную эпоху политический центр Лиахского ущелья перемещается на нижнюю часть ущелья — в Начармагеви (Каралети). Средняя и нижняя часть ущелья входит в состав царского домена. Гори является центром военно-административной единицы — садрошо.

В начале XV века в верхней части Лиахского ущелья образуется отдельная сеньория — Самачабло. Она упраздняется в 1850 году, когда по постановлению сената 2000 крепостных домов князей Мачабели переходят в распоряжение казенного ведомства.

Верхняя часть ущелья Малого Лиахви с XIV в. переходит во владение ксанских эриставов. В позднее средневековье они всецело овладевают Малым Лиахви. Ксанские эристави на протяжении XIV в. борются за овладение Магран-Двалети, чего и достигают в XV веке.

სოსლან მარიაშვილი

ორგოძლელთა ფეოდალური საგვარეულო

XIII—XIV საუკუნეებში შიდა ქართლში, მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე ძამისა და ხევდურეთის ხეობებში დადა სამფლობელოების პატრონია ორბოძლელთა ფეოდალური საგვარეულო. ორბოძლელები პირველად იხსენიებიან 1355 წელს, მეფე დავით IX (1348—1360 წ.) მიერ გაცემულ სიგელში¹. სიგელი გვაუწყებს, რომ მეფე დავით VII-სათვის (ულუ) (1246—1270 წ.) ორბოძლელთა სახლის წარმომადგენელს მოუგვრია თეთრი ქორი, ხოლო მეფეს ორბოძლელთათვის უბოძებია მამულები ძამისა (იმერჩევში) და ხევდურეთის ხეობებში. ეს მამულები იყო მცხეთის საკათალიკოსოს კუთვნილება. მეფესაც ასეთი პირობა დაუდია ორბოძლელთათვის: თუ ეკლესია მათ გადაუხდიდა 12000 თეთრს, მაშინ ეკლესიის კუთვნილი მამულები ეკლესიასევ დაუბრუნდებოდა, მაგრამ ორბოძლელთათვის ეს ფული არავის მიუცია და სინიც მკეთრდად დაპატრიონებიან მცხეთისეულ მამულებს: „ესე უმთა შლილობისაგან არცა მეფეთა მოევლო, არცა ქ ქსა და მცხეთელთა დაეჭინა და ორბოძლელს რაც მათ გლეხთა (ა) ქათ მცხეთისაი ხუედურეთის ხევს და იმერჩევს არის გლეხები, ზუარი, ქუანი, ფარდახტნი (ბარტახტნი) და რაც არის ყუელა მიმძლავრებით დაეჭირა“². როგორც ვხედავთ, ეკლესიასა და ორბოძლელთა სახლის ინტერესები ერთმანეთს დაუპირისპირდა. რასაკვირველია, საკათალიკოსო სამფლობელოების დაკარგვას არ შეურიგდებოდა და შეეცდებოდა დაბრუნებინა იგი. ეს ასეც მომხდარია. ამავე სიგელიდან ვგებულობთ, რომ მეფე დავით IX 1355 წ. მცხეთისეული მამულები მცხეთისათვისაც დაუბრუნებია. ამგვარად, დაახლოებით ერთი საუკუნის ბატონობის შემდეგ ორბოძლელებმა ორივე ხეობაში დაკარგეს მთვისებული სამფლობელოები. მამულების დაკარგვის შემდეგ ხომ არ დატოვეს ორბოძლელებმა აღნიშნული ხეობები და სხვაგან ხომ არ გადასახლდნენ? ვფიქრობთ, არა. ორბოძლელებმა კიდევ ერთხელ იხსენიებიან 1467 წლით დათარიღებულ კონსტანტინე II (1478—1505 წ.). მიერ ზაზა ფანასკერტელისადმი გაცემულ წყალობის სიგელში³. „რომე ობროძლელსა პაპისა თქუენისთვის ეღალატა და მისი მამული ნასისხლად მიეცა“—ასე მიმართავს კონსტანტინე ზაზა ფანასკერტელს. აქედან ირკ-

1 თ. ეორ დანია, ქრონიკები II, 1897, თბ., გვ. 184—185.

2 იქვე.

3 დ. გვრიტიშვილი, ფეოდალური საქართველოს სოციალური ურთიერთობის ისტორიიდან, 1955, თბ. გვ. 121—122.

ევა, რომ ფანასკერტელთა ქართლში მოსვლის დროს ორბოძლელები კვლავ ამ მხარის ფეოდალებად რჩებოდნენ, ხოლო ფანასკერტელთა პირების შემცირები მომადგენლები ქართლში გადმოსახლდნენ XIV საუკუნის მეორე ნაუკუნში ბაგრატ V (1350—1393 წ.)⁴ მეფობის მიწურულს⁵. ცხადია, რომ ორბოძლელებს მცხეთისათვის მამულების დაბრუნების შემდეგ არ დაუტოვებიათ შიდა ქართლი და შეუნარჩუნებიათ სამფლობელოების გარევეული ნაწილი. ისინი ფანასკერტელებს ნასისხლად აძლევენ ხვედურეთის მამულებსა და კეხიგვარს (ძამის ხეობაში). კეხიგვარი არ იყო ეკლესიის კუთხნილება. ასე რომ, მცხეთი-სული მამულების გარდა ორბოძლელები სხვა ტერიტორიებსაც დაუფლებიან. მათ ახალი სამფლობელოები მიიღოთ ს როგორც ძამის, ასევე ხვედურეთის ხეობაშიც (ისინი ფანასკერტელებს ხვედურეთის მამულებსაც აძლევენ), ხოლო ეკლესიის მამულების დაბრუნების შემდეგ თავიათთ ბატონობა განაგრძეს აღნიშნულ ტერიტორიებზე. თუმცა ეს ბატონობა დიდხანს არ გაგრძელებულა. XIV ს. ბოლოსათვის მათი სამფლობელოების პატრიონი გახდნენ ფანასკერტელები. ამის შემდეგ წყაროებში ორბოძლელები აღარ ისხნიერიან. ტაძია, ორბოძლელები შეავეზროვეს ფანასკერტელებმა და აიძულეს ისინი, დაეტოვებინათ ძამისა და ხვედურეთის ხეობები.

წყაროები საშუალებას გვაძლევს მეტ-ნაკლები სიზუსტით დავადგინოთ ორბოძლელთა სამფლობელოების საზღვრები. აღნიშნულ საბუთში, სადაც ლაპარაკია ულუ-დავითის მიერ ორბოძლელთათვის მცხეთის მამულების ბოძებაზე, ხვედურეთის ხეობაში ისენიება „ქუაბნი“, ეს „ქუაბნი“ უნდა იყოს თრეხვის გამოქვაბულთა კომპლექსები. გამოქვაბულთა სამ კომპლექსი მდებარეობს მდ. ხვედურელას მარცხნა მხარეს, სოფ. თრეხვიდან სამხრეთ-დასავლეთით. ხოლო მეოთხე კომპლექსი სოფ. მეხეთის სიახლოევსაა „ქუაბნში“ აუკილებლად უნდა ვიგულისახმოთ სახიზარ-სამალავებიც. თრეხვის გამოქვაბულებიც სწორედ ამ მიზნით გამოუყენებია 1066 წელს რუსის ეპისკოპოსს, ცნობილ ქართველ მემატიონეს ლეონტი მხრველს (ვარდა სოფ. მეხეთის სიახლოეს მდებარე კომპლექსისა, იგი წინასწარი ვარაუდით თარიღდება VIII—IX სს.).⁶ თუ აღნიშნული გამოქვაბულები ორბოძლელთა კუთხნილება იყო, მათივე იქნებოდა გამოქვაბულთა მიმდებარე სოფლები და ტერიტორიები (თრეხვი, მეხეთი, ტყემალა, ჭანდრები...), მათი საკუთრება უნდა ყოფილიყო სოფ. ხვედურეთიც.

ორბოძლელები ბევრად მეტ ტერიტორიას ფლობდნენ ძამის ხეობაში. ჩვენს ხელთ ასებობს 1392 წლის საბუთი, სადაც ჩამოთვლილია მცხეთის საკათალიკოსის სამფლობელოები აღნიშნულ ხეობაში. საბუთში მოხსნიერულია: „იმერხევის სოფელი სარკის წმინდა გოორგისა მათთა მამულითა და მარგანიძეები, სამწვერის ზევით სოფელი სანებელი“.⁷ ეკვი არ არის, რომ ეს სწორედ

⁴ დ. გვრიგი შვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 127; დ. ბერძენი შვილი, ფანასკერტელთა ფეოდალური საგვარეულოს ისტორიიდან, საქართველოს ისტორიული ეროვნული, № 1, 1960, გვ. 104.

⁵ გ. გვრიგი და შვილი, უქაბის სიტყვის შინაარსი, ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის XVII სამეცნიერო სესიის მასალები, თბ., 1969, გვ. 7—10.

⁶ გ. გვრიგი და შვილი, ლეონტი მროველის 1066 წ. სამშენებლო წარწერა თრეხვის ქაბებიდან, სახოვადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების მოამბე, № 1, 1961, თბ., გვ. 240, 246.

⁷ თ. კორდანია, ქრონიკები, II, 1897, თბ., გვ. 196.

ის მამულებია, რომელიც მცხეთას დაუბრუნდა ორბოძლელთაგან 1355 წელს. ორბოძლელთა სამფლობელოს ფარგლებში უნდა ყოფილიყო ოგრეთვე⁸ სამართლებრივი უნდა ყინული, რომელიც მდებარეობს სანებელსა და იმერხევეს შეუდარეს მელიც ჭრ XI ს. პირველ ნახევარში შეიძინა საქართველოს კათალიკოსმა მელქისედევმა⁹.

ძამის ხეობაში ამჟამადაც ოსებობს სოფ. ორბოძალა, აქვეა ორბოძალის მთაც. ტომპონიმი „ორბოძალა“ გვაფიქრებინებს, რომ ეს ტერიტორიიები და მათთან ერთად სოფლები: ველისციხე, ბანი, ბატიური უნდა ყოფილიყო ორბოძლელთა სამფლობელო. ორბოძლელებს ხელში ჩაუგდიათ ძამის ქვედა წელიც. კონსტანტინეს სიგელში მათ სამფლობელოდ იხსენიება კენიჭვარი, რომელიც ძამის ქვედა წელში მდებარეობს. როგორც ზემოთ აღნიშნეთ, ორბოძლელებს მცხეთისული მამულები გაუფართობათ ხვედურეთის ხეობაშიც. კენიჭვარი და ხვედურეთის მამულები სწორედ შემდეგში შეძენილი ტერიტორიებია. ორბოძლელთა სამფლობელოების ფარგლები ძამის ხეობაში არ უნდა გაერცელებულიყო ხეობის ზედა წელში. აქ მდებარეობს ძლიერი ძამის ციხე, რომელიც იმხანად ჯავახშვილებს ეპყრათ ხელთ და, რასაკვირველია, ციხის მიმდებარე ტერიტორიებს ისინი ორბოძლელებს არ დაუთმობდნენ. მიუხედავად ძმისა, ორბოძლელთა სამფლობელოები ძამის ხეობაში მაინც დიდია. იგი მოიცავს ძამის ქვედა წელსა და ხეობის ერთ-ერთ ძირითად განშტრებას — იმერხევს. თუ ამას დაუშემატებთ ხვედურეთის ხეობასაც, დავასკვნით, რომ ორბოძლელნი საქმაოდ მსხვილი ფეოდალები ყოფილან. იყვნენ თუ არა ისინი „ციხოვანი“? ვფიქრობთ, იყვნენ. იმერხევში, სოფ. ველისციხესთან, მაღალი, საქმაოდ მიუვალი მთის წვერშე შემორჩენილია ციხის ნაშები, აქვეა ნასოფლარი და ნაეკლესიარი. ციხე იმდენადაა დანგრეული, რომ მისი დათარილება შეუძლებელია.

ბუნებრივია, იმის კითხვა, თუ როდის აშენდა ველისციხე (სიმაგრე) და რა ფუნქციების შესრულება ეყისრებოდა მას? ველისციხე მიმოიხილა ლ. ჭილაშვილმა. მკვლევარი არ ათარილებს სიმაგრეს, ხოლო მის ფუნქციად მიიჩნევს ხეობის ყელში გაშლილი ველისა (აქედან სახელი ველისციხე) და ძამისა და იმერხევისწყლის შეერთებაზე მდებარე ზღუდერ-ქალაქის დაცვა-გამაგრებას⁹. ჩვენი აზრით, ზღუდერ-ქალაქის დაცვა ამ მხრიდან ყველაზე ნაჯებად იყო საქირო. ორიალეთიდან იმერხევშე ზღუდერის მიმართულებით მხოლოდ ვიწრო ბილიკები გადმოდის. აქედან გამომდინარე არა გვვინია, რომ იმერხევში ძლიერი დამცველი ნაგებობს არსებობა იყოს საქირო, ვფიქრობთ, ველისციხე უნდა იყოს ორბოძლელთა ფეოდალური სახლის საგვარეულო რეზიდენცია. მთი უმეტეს, რომ ციხის სიახლოეს მდებარეობს სოფ. ორბოძალა. ორბოძლელთა სამფლობელოს ფარგლებში სხვაგან ციხის არსებობა არსად დასტურდება და ეს გარემოება უნდა უთითებდეს ამ მოსაზრების სასაჩრების სასაჩრების. ორბოძლელთა ციხე-სიმაგრის არსებობაზე არაპირდაპირ უთითებს დავით IX სიგელიც. როდესაც ულუ-დავითმა ორბოძლელებს მცხეთის მამულები გარკვეული პირობით უბოძა, მათ ეს მამულები „მიმძლავრებით“ შეინარჩუნეს.

8 „ქართლის ცხოვრება“, ტ. I, ს. ყახჩიშვილის რედაქციით, თბ., 1955, გვ. 295.

9 ლ. ჭილაშვილი, ქალაქები ფეოდალურ საქართველოში, I, 1968, გვ. 119.

ამისათვის მათ, ალბათ, დასკირდებოდათ ციხე-სიმაგრე, რომლის საქართველოუ—ეკათონი თაც თავიანთ ძალაუფლებას გაავრცელებდნენ აღნიშნულ ტერიტორიული მიზანებით არბოძლელთათვის ასეთი სიმაგრე უნდა ყოფილიყო ველისცის. ორდის იქნა აგებული ეს სიმაგრე, ორბოძლელების მიერ, თუ მათ მოსვლამდე? ორბოძლელთა მოსვლამდის აქ სიმაგრე არ იქნებოდა. როგორც აღვნიშნეთ, აქ არ გადის არც სავაჭრო და არც სტრატეგიული მნიშვნელობის გზა, არ არის გზასაყარი ან რაიმე მნიშვნელოვანი პუნქტი. თუ ჩივთვლით, რომ ციხე არბოძლელთა აგებულია, მაშინ შესაძლებელი ხდება მისი დათარიღებაც. ორბოძლელები ამ ტერიტორიებს დაეპატრონენ ულუ-დავითის მეფობაში (1246—1270 წწ.). რა-საკვირველია, ისინი პირველ რიგში იზრუნებდნენ სამფლობელოს გამაგრებაზე და ააგებდნენ აღნიშნულ სიმაგრეს. გამოდის, რომ ორბოძლელებს ციხე აუგიათ XIII ს. შუა ხანებში. ძამის ხეობაში (იმერხევში) ციხის აგება გაპირობებული უნდა ყოფილიყო შემდეგი გარემოებებით: а) ჯერ ერთი, იმერხევი ორბოძლელთა ძირითადი სამფლობელო იყო, ბ) მეორე მიზეზი იქნებოდა იმერხევის სიახლოეს, ძამის ზედა წელში, მდებარე ძლიერი ძამის ციხე, რომელიც, ალბათ, გარკვეულ საფრთხეს შეუქმნიდა ორბოძლელთა სამფლობელოებს. ამგარად, ორბოძლელებმა ველისცის აგებით გადაჭრეს ორი ამოცანა: 1) ციხის საშუალებით შემოიმტკიცეს და გააფართოვეს მამული, 2) ამავე დროს შექმნეს თავდაცვითი ნაგებობა მეზობელი ფეოდალების თავდასხმის შემთხვევაში. საყურადღებო ფაქტია, რომ ორბოძლელთა სამფლობელოს ფარგლებში მოქეცა არი დიდი მონასტერი: ყინკვეისის, აგებული XIII—XIII სს. მიწაზე, და იმერხევში მდებარე ძამის მონასტერი, ს. მაკალათიას დათარიღებით აგებული VII—VIII საუკუნეებში¹⁰. სრულიად შესაძლებელია, რომ ორბოძლელებს ერთ-ერთი მონასტერი გამოიყენებინათ საგვარეულო სამარხად. ჩვენი აზრით, ორბოძლელთა კვალი უნდა ვეძიოთ მეცნიერებისათვის თითქმის უცნობ ძამის მონასტერში, რომელიც ველისცის სიახლოეს (3—4 კმ) მდებარეობს.

როგორც აღნიშნეთ, XIV ს. შემდეგ ორბოძლელებს წყაროები აღარ იხსენიებენ. დ. გვრიტიშვილი შესაძლებლად თვლის, რომ ორბოძლელთა სახლის ჩამომავალი იყვნენ საზურელ-ჩიგავაძეები, რომელიც XV ს. დასწყისში ხვედურეთში მამულებს ფლობენ¹¹. დამატებითი ცნობების უქონლობის გამო ძნელია ამ მოსაზრების მთლიანად გაზიარება, ან უარყოფა (თუმცა, ჩვენი აზრით, საზურელ-ჩიგავაძეებს საერთო არაფერი უნდა ქვეონდათ ორბოძლელებთან), მაგრამ ფაქტია, რომ ორბოძლელთა ცხოვრების ანარეკლი გარდა ძამისა და ხვედურეთის ხეობებისა სხვაგანაც გვხვდება. ვახუშტი პატარა ლიახვის ხეობის აღწერისას იხსენიებს ორბოძლელის მთას. იგი მდებარეობს იკონის მონასტრის ჩრდილოეთით¹². ამ ფაქტისადმი ინტერესს აძლიერებს ისიც, რომ გვხვდება კიდევ ერთი ტოპონიმის დამთხვევაც. ძამის ხეობაში, იმერხევის სათავეში, ორბოძლელის სიახლოეს მდებარეობს საცხენისის მთა. ასევე საცხენისის სახელს ატარებს პატარა ლიახვის ხეობაში (ვახუშტის მიხედვით) მდებარე რაღაც პუნქტი (მთა ან ციხე — ვახუშტი არ ასახელებს მას)¹³.

¹⁰ ს. ბაკალავრი, ძამის ხეობა, 1961, თბ., გვ. 30.

¹¹ დ. გ. რ. ი. ტ. ი. შვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 127.

¹² გ. ბაგრატიონი, აღწერა სამეცნისა საქართველოს, „ქართლის ცხოვრება“, ტ. IV, ს. ყალბიშვილის ჩრდილოეთი, 1973, თბ., გვ. 361—369.

¹³ გ. ბაგრატიონი, აღწერა..., გვ. 362, 369.

ამგვარად, ძამის ხეობაში არსებული ორი ტოპონიმი (ორბოძალა, საცხე-ნისი), დაკავშირებული ორბოძლელთა ფეოდალურ საგვარეულოსთან შემთხვეული დება ზემო ქართლში, პატარა ლიახვის ხეობაში. ხომ არ მიგვანიშნებშ ეს გარე მოქადა იმაზე, რომ ორბოძლელებმა, როდესაც დატოვეს მტკვრის მარჯვენა სანაპირო, საცხოვრებლად მიმართეს პატარა ლიახვის ხეობას. ყოველ შემთხვევაში აშვარაა, რომ ორბოძლელებმა დაკარგეს თავისი ძეველი, მაღალი მდგომარეობა და გაძევებული იყვნენ ზემთაღნიშნული რეგიონიდან. სწორედ ამით უნდა აიხსნას XIV ს. შემდეგ წყაროებში ორბოძლელთა მოუხსენიებლობა.

С. Г. МАРГИШВИЛИ

ФЕОДАЛЬНЫЙ РОД ОРБОДЗЛЕЛИ

Резюме

В середине XIII в. в Дзамском и Хведуретском ущельях (Внутренней Картли) обосновывается феодальный род Орбодзели. Постепенно она превратила в свои владения мцхетские поместья — селения Имерхеви, Саркис Цминда Гиорги, Хведурети и др.

Кроме того присоединила к себе и другие территории, например, Кехиджвари. Резиденция Орбодзели находилась в крепости около села Велисцихе в ущелье р. Дзама. В конце XIV века Орбодзели были изгнаны с этих мест феодалами Панаскертeli.

ო. ლაპავიამ, თ. თატიშვილი

მასალები თორის ფინაცენდალური ხანის ისტორიული
 გეოგრაფიისათვის

(დაზეურვით და შემთხვევით მოპოვებული მასალის მიხედვით)

თორის ისტორიულ-გეოგრაფიული და ოქეოლოგიური სამუშაოების წარმოებას სულ რამდენიმე წლის ისტორია აქვს. თუ მხედველობაში არ მივიღებთ იმ არქეოლოგიურ მასალას, რომელიც შემთხვევით იქნა გამოვლენილი, და აგრეთვე იმ გათხრითს სამუშაოებს, რომელთაც შემთხვევითი ხასიათი ჰქონდა.

თორის ისტორიულ-გეოგრაფიული შესწავლა მიმდინარეობდა იმავე მეოთხდით, რითაც აქამდე აწარმოებდა მუშაობას ისტორიის, ოქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის ისტორიული გეოგრაფიის განყოფილება საქართველოს სხვადასხვა პროვინციებში.

„ქვეყანა“ მოხილული იქნა ხეობების მიხედვით, რის შედეგად აღმოჩნდა მრავალი საყურადღებო ძეგლი. დაზეურვითმა სამუშაომ უბირატესად ფეოდალური ხანის მატერიალური კულტურის ძეგლები წარმოაჩინა, მაგრამ აქვე უნდა აღინიშნოს ველზე მუშაობის დროს მიკვლეული წინაფეოდალური ეპოქის ძეგლები და გათხრითი სამუშაოების შედეგად აღმოჩნდილი მეტად საყურადღებო მასალა.

თორის სახელით ცნობილი მხარე დაახლოებით აწინდელი ბორჯომის ხეობა უნდა ყოფილიყო¹. როდესაც საკითხი ეხება ხეობაში მოსახლეობის განსახლების ისტორიას, ამ მიმართებით დიდი მნიშვნელობა აქვს აქ მიკვლეულ წინაფეოდალური კულტურის ძეგლთა შესწავლას.

თორის ქვეყნის უდიდესი ნაწილი თითქმის დაფარულია ტყის მასივით, რის გამო დაზეურვითი სამუშაოების წარმოება საქამოდ რთულ პირობებში მიმდინარეობდა. ჩვენი ვარაუტით, დღეს ტყეს გაცილებით მეტი ფართობი უჭირავს, ვიდრე იგი აღრეა საგულისხმო, რადგან ველზე მუშაობის დროს გამოვლენილი ძეგლების მეტი ნაწილი (მხედველობაში გვაქვს ნასოფლარები) ტყით არის გადავლილი.

ტყისაგან თავისუფალი ადგილები, რომელიც თორში გვხვდება, ისეთი მაღალი ბალახის საფარელით არის დაფარული, რომ ზედაპირული მასალის მიკვლევა თითქმის შეუძლებელია. ამიტომ ველზე მუშაობის დროს ჩვენს მიერ თითოოროლა წინაფეოდალური ხანის ძეგლი იქნა აღმოჩნდილი. ზოგ შემ-

1 ნ. ბერძენიშვილი, საქ. ისტ. საკითხები, I, თბილისი, 1964, გვ. 355.

თხვევაში ამ ძეგლთა წინაფეოდალური ხანისათვის მიკუთვნება საფრანგულური ჩვენ ვგულისხმობთ იმ გორა-ნამოსახლარებს, რომელიც თავიანთ ტრუფელი გასალას ვერ მივაკვლიერ. სამაგალითოდ მოვიტან წალვერში, უზნარიანის ციხესიან, გუგარეთის წყლის მარჯვენა ხაპირშე, მდებარე გორას.

საყურადღებო ძეგლი იქნა აღმოჩენილი ქვებიანის ხევის ბოლოში. ხევის ორივე მხარეს გამოვლინდა სწორკუთხია ფორმის ნაგებობათა ნაშთები. ერთ-ერთი მათგანი კედლები საქმაოდ კარგად არის შენახული. კედლები შუბალი წყობით არის ნაშენი. საშენ მასალად გამოუყენებიათ დიდი ზომის დამუშავებული ლოდები. ნაგებობის ფართობი 6,7 მეტრია. კედლების სისქე 1 მ. ნასახლარზე ქრისტიანული ეპოქის საკულტო ნაგებობის კვალი არა ჩანს. სამაგიეროდ, აღნიშნული ნაგებობის ქვეშ, შარაგზის ჭრილში, გამოვლენილი იქნა თიხის ჭრულის ფრაგმენტები. თიხის ნაწარმის ნატეხები შავზედაპირიანი და წითელსარჩულიანია, რაც მის არქაულობაზე მეტყველებს.

ამ ადგილს ადგილობრივი მოსახლეობა (ტერიტორიულად სოფ. კიმოთეს უბნის ფარგლებშია მოქცეული) ქვევრების სერს უწოდებს.

ექსპედიციამ საინტერესო ძეგლს მოაკვლია სოფ. ვარდევანთან, იქ, სა-დაც სასილოს ორმო აქვს ამოღებული კოლმეურნეობას.

ქარაფის პირს ძეგლი ნასოფლარია. ნაგებობათა ნაშთების კედლები შშრალად არის ნაშენი. ნასოფლარს მთელ სიგრძეზე გასდევს ანალოგიური წყობით ნაშენი განიერი კედელი, რომელიც ნასოფლარის ადვილად მისაღვმმ მხარეს ზღუდავს, ხოლო მოპირდაპირე მხარეს შეეული ქარაფია.

საცხოვრებელი კომპლექსი რამდენიმე სათავსოსაგან შედგება. ერთ-ერთი მათგანის გადახურვა გუმბათოვანია. ხსნებული საცხოვრებელი კომპლექსი კობისხევში (ნადირები, გოვიჩანთ ღელე) არსებული ნაგებობების ანალოგიურია. ასეთივე ნასოფლარი იქნა მიკვლეული მაქარწყალდან წალვრისაკენ მიმავალი გზის მარცხნა მხარეს, ქარაფის პირზე სოფლიდან 300 მ მოშორებით. ნასოფლარს, რომელსაც ადგილობრივი მცხოვრებლები „ფიდარს“ უწოდებენ, შემოზღუდულია განიერი კედლით, რომლის სისქე 2 მ აღწევს. აქაც შშრალ წყობასთან გვაქვს საქმე. გალავნის შიგნით ჩანს ნასახლართა ნაშთები. კედლები ამოყვანილი ყოფილა დიდი ზომის ლოდებით. არც ამ ნასოფლარში ჩანს ეკლესია, რის გამოც ვარაუდით ის შეიძლება წინაფეოდალურ ხანას მიეკუთვნოს. ამავე ტიპის, უსაყდრო, გალავნიანი ნასოფლარი აღმოჩნდა აგრეთვე სოფ. საკოჭავთან.

როგორც უკვე ზევით გვქონდა აღნიშნული, თორში წინაფეოდალური ხანის ძეგლების ერთი ნაწილის გამოვლენა შემთხვევით აღმოჩენებს უკავშირდება. მასალის უმეტესი ნაწილი დაცულია ბორჯომის მხარეთმცოდნეობის მუშეულში.

თორის ქვეყანაში პირველი არქეოლოგიური სამუშაოების დაწყება უკავშირდება სოფ. რეველში (ზანისხევი) 1911 წ. შემთხვევით აღმოჩენებს, რომელსაც იმავე წელს შედეგად მოჰყვა პროფ. ვ. ა. გორგოლივის ხელმძღვანელობით არქეოლოგიური გათხრების წარმოება². აქვე 1912 წ. საკონტროლო მცი-

² Известия Археологической комиссии. Прибавление к выпускну 42, Петербург, 1911, с. 107.

რე არქეოლოგიურ სამუშაოებს ატარებს აკად. ე. თაყაიშვილი. იქ აღმოჩენილი ერთ-ერთი სამარხეული კომპლექსის თარიღი მან 3500 წლით განსაზღვრულ რაც შემდგომმა არქეოლოგიურმა ძიებამ დაადასტურა³.

ვ. ა. გოროდცოვის სახელთანაა დაკავშირებული, აგრეთვე, 1911 წ. წალ-გვერში უზნარიანის ცახის ქვეშ მდებარე ტერასაზე არქეოლოგიური გათხრების წარმოებაც. ჩატარებულმა სამუშაოებმა გამოავლინა სპილენძ-ბრინჯაოს სამელითონეო ხელოსნობისა და სამაროვანის ნაშენები.

თორის ქვეყნის წინაფეოდალური ხანის ისტორიის შესწავლისათვის ასევე მნიშვნელოვანია 1941—45 წლებში, ბორჯომ-ახალციხის რკინიგზის მშენებლობის დროს, ნასოფლარ ყვერბილთან შემთხვევით აღმოჩენილი არქეოლოგიური მასალა. იგი გამოკვეუყნებულია პროფ. გ. ნიორაძის მიერ. მასალა ასაკობრივად ფართო დიაპაზონისაა და შეიცავს როგორც შუაბრინჯაოს ხანის, ასევე მოძღვნელ პერიოდების სამარხეული კომპლექსების ნაშენებს.

გ. ნიორაძის ხსენებულ ნაშრომში გამახვილებულია ყურადღება მიწათმოქმედებაზე, მესაქონლეობაზე, მეთუნეობაზე, მელითონეობაზე, მზის კულტის საკითხებზე და სხვა.

თორის ქვეყნის ძევლი მეურნეობის ამა თუ იმ დარგის წარმოსადგენად (მიწათმოქმედება, მელითონეობა, ტომთა შორის კულტურულ-ეკონომიკური ურთიერთობა და სხვა) ასევე საყურადღებო მასალებს შეიცავს ნასოფლარ თელოვანში (გუგარეთის ხეობა) 1904 წ. შემთხვევით აღმოჩენილ ბრინჯაოს ნივთებისაგან შემდგარი განძი. განძში შემავალი ნაირგვარი თოხები და სეგმენტური იარალი თვალნათლივ უნდა მიგვითოთებდეს მიწის დიფერენცირებული დამუშავების პროცესებზე. ამასთანავე საყურადღებოა კოლხური ცულებისა და მათ ჩამოსასხმელ ყალიბებთან ერთად ცენტრალურ ამიერკავკასიური ცულების თანაარსებობა, რაც უნდა ნიშნავდეს აღმოსავლურ და დასავლურ ქართულ კულტურათა შეხვედრის მომენტს. განძში შემავალი კოლხური ცულების ჩამოსასხმელი ლითონის ყალიბებისა და პრინჯაოს ზოდების ერთად აღმოჩენა უტყუარი საბუთი უნდა იყოს ხეობაში კოლხური ცულების ინტენსიური წარმოების ერთ-ერთი ცენტრის არსებობისა, რომლის შესაძირებელი მასალა ჩვენ მთელი კოლხური კულტურის გაერცელების სფეროში არსად გვევულება. თელოვნის განძის შესახებ სიტყვას აღარ გავავრცელებთ, რადგან მისი მნიშვნელობის შესახებ მრავალგზისაა ხაზგასმული სამეცნიერო ლიტერატურაში⁴.

³ Археологические раскопки и исследования. Тифлисский листок 23 августа 1912 г. № 192.

⁴ ვ. ლიმანი, ბორჯომის ხეობის არქ. ექსპედიციის 1969 წ. მუშაობის ინგარიში, არქეოლოგიური კალეგა-ძიება 1969 წ., თბ., 1971, გვ. 42—44.

⁵ გ. ნიორაძე, არქ. დაზეურებები მტკვრის ხეობაში, სახ. შეზეუმის მომბეჭდი, ტ. XII—B, 1944, გვ. 174.

⁶ იქვე, გვ. 199—214.

⁷ გ. ნიორაძე, დასახ. ნაშრომი; Б. კუთინ. К вопросу о древнейших корнях Грузинской культуры на Кавказе по данным археологии; ღ. ქორიძე, კოლხური კულტურის ისტორიისათვის, თბ., 1965.

აღნიშნული მასალის საფუძველზე მკვლევართა ნაწილმა თორის ქვეყანა მოაქცია კოლხური კულტურის გავრცელების სფეროში⁸.

ზეობაში ადამიანის განსახლების უძველეს ნიშნებს ჯერ-ჯერობით მომდევნობის ნიშანები საკოჭავთან 1971 წ. აღმოჩენილი კულტურული ფენა, რომლის გარკვეული ნაწილი ეპოქის მიზანის ბოლო პერიოდს განეკუთვნება⁹.

საკოჭავთან მოპოვებულ ქრამიკულ მასალაში აღმოჩნდა ე. წ. „ბზენარევი“ თიხის ჭურჭლის მცირე ნატეხები, რომლის დამზადების ტექნოლოგია (ბზენარევი, ცუდი გამოწვა და სხვა) მის არქაულობაზე მეტყველებს. აქვე უურადლებას იქცევს ქილის ტიპის ჭურჭლის ფრაგმენტები, რომლის კეცი არა-თანაბრადაა გამოწვარი (ზოგს კეცის შიდა ნახვარი მორუხო-მოშავოდ აქვს გამოწვარი, გარეთა კი მოყვითალო-მოკარდისფროდ). ზოგი კი შავადაა გამოწვარი. ყველა შემთხვევაში, მქისე კეცი უხეში, მსხვილმარცულოვანი და ხელით ნაძერებია. შემკიბაში უურადლებას იქცევს ვერტიკალურად შედღებული წაგრძელებული, ზოგჯერ შინდის კურკისებური ბურცობები (უმთავრესად პირის ახლოს. ტაბ. VI, 1 და ტაბ. VII, 1, 5, 9, 12).

თიხის ჭურჭლის ზოგიერთ ფრაგმენტზე უურადლებას იქცევს კორპუსის ზედა ნაწილის და ოდნავ გაღმოზნექილ პირის ბაკოზე პრიმიტიულად შესრულებული იქიდა ნაკდევები (ტაბ. VI, 3). ასევე საყურადლებო მაღალი ნალისებური რელიფური ორნამენტირებული ნატეხები. ფრაგმენტების ზედაპირი ხშირად უხეშადაა ნაპრიალები.

წარმოდგენილი ქრამიკული მასალა თავისი ტიპოლოგიურ-ტექნოლოგიური მონაცემებით სიახლოესი იჩენს შულავერ-იმირის გორების აღრე სამიწამოქმედო კულტურის ძეგლებისათვის დამახასიათებელ ქრამიკულ ნაწარმთან¹⁰.

როგორც დაკვირვებამ გვიჩვენა, საკოჭავის ქრამიკული ნაწარმის ფრაგმენტში გამოიჩინება ის ნატეხები, რომელიც თავიანთი ფაქტურისა და ორნამენტაციის თავისებურებებით ახლო დგანან შულავერის გორის იმ მასალასთან, რაც ჩნდება VI პორიზონტზე და ხასიათდება პირის გასწვრივ ერთ პორიზონტალურ რიგად დაძრერწილი კოპებით¹¹. აღნიშნული ქრამიკული ნაწარმის გამოყენების ხანად მიღებულია ძ. წ. VI ათასწლეული¹² (ტაბ. VII 2, 5, 9, 12, 13). აქვე გვაქვს ვერტიკალურ ქედლებიანი ქილისებური მომცრო სასმისები და მათი ნატეხები (ტაბ. VIII, 2).

საკოჭავის მასალებში გარდა კერამიკული ნაწარმისა საყურადლებო კაუის ნაშელის ჩასართების მთელი სერია (ტაბ. VIII). მსგავსად შულავერის ნაშელის ჩასართებისა, აქაც თავისი დამახასიათებელი ნიშნებით გამოიყოფა რამდენადმე

8 თ. ჯაფარი ქ. კოლხური ცული, საქ. სახ. მუშ. მთამბე, ტ. XVI, თბილისი, 1950. ნიორაძე ქ., დასახ. ნაშელომი; ქორი ქ. დასახ. ნაშელომი.

9 თ. ღამბაშიძე, ნ. თუშევილი, ქ. მელითაური, გ. ბუბური, ბორჯომის ხეობის 1971 წ. არქ. ექსპ. მუშაობის ანგ. არქ. კლევა-ძება 1971 წ. თბ. 1972, გვ. 20.

10 თ. ჯაფარი ქ. ა. ჯავახიშვილი, უძველეს მწამოქმედი მოსახლეობის კულტურა საქართველოს ტერიტორიის, თბ., 1971, გვ. 89; თ. კილაძე ქ. ლმოსაცლეთ მინერალების დოკუმენტის დოკ. სამწამოქმედო კულტურის პერიოდიზაცია, თბ., 1976, XXXIV 9, 13, XXXVII 1–6, XXXVIII 1, 4, 6.

11 თ. კილაძე ქ. ლმოსაცლების დასახ. ნაშელი, გვ. 56.

12 აქვე, გვ. 134.

განსხვავებული ტიპი. ყურადღებას იქცევს სწორი მოყვანილობის ჩასართვები, რაც მსგავსია შულავერის I საფეხურის ჩასართვებისა¹³.

მათ გვერდით საყურადღებო მორკალული მოცუავი რეტრშიზ კულტურული ნაპრალები სამუშაო პირით, სეგმენტური მოყვანილობის ნამგლის კაუის ჩასართვების არსებობა, რაც შულავერის გორის III საფეხურის ნამგლის ჩასართვების ერთ ჯგუფს ემსგავსება¹⁴ (ტაბ. VII, 2, 3). აქევე მნიშვნელოვანი მასალაა გამოვლენილი ოფსილიანის ლიმელებისა და ანატკეც-ანამტვრევების სახით, რომელიც უდავოდ მიგვითოთებს ბაკურიან-ციხისკვარის და შულავერ-შომუთეფეს რეგიონების კავშირ-ურთიერობებზე აღრე სამიწათმოქმედო კულტურის ხანაში. საკონკავის მასალებში შულავერ-შომუთეფეს რეგიონისგან განსხვავებით (ტაბ. IX) თვალში საცემია ნუკლეუსების უქონლობა. ასეთი ვითარების მთავარი მიზეზი უნდა იყოს ჩატარებული სამუშაოს სიმცირე და ანდეზიტის კრიირების დამშავების დონი მასტრაბები. მას მოჰკვა მთელი იმ ტერიტორიის განადგურება, რაზედაც განვითარებილი უნდა ყოფილიყო აღრე სამიწათმოქმედო კულტურისა და მომდევნო ხანების ძეგლები, რომლის ნამთებითაა წარმოქმნილი 1971 წ. გამოვლენილი კულტურული ფენა. საკონკავის არქაული იერის მასალებში ინტერესს იწევენ მონაპორების ის ჯგუფი, რომელიც უცხოა შულავერ-შომუთეფეს კულტურისათვის და არსებითად იგი მატარებელია დასავლეთ ამიერკავკასიის ნეოლითური ხანის ქვის ინდუსტრიის ტრადიციებისა. ამ თვალსაზრისით საყურადღებო მოწითალო კაუისაგან დამზადებული თხელი ისრის პირი და მონაცემის მოშავო კაუისაგან დამზადებული შების პირის ნატეხები (ტაბ. IX, 1, 2, 17). შესაძარებელი მასალის თვალსაზრისით საყურადღებოა დაბლაგომში ნაციხვარის ქვედა ფენაში გამოვლენილი ისრის პირი, რომელსაც პროფ. ბ. კუფტეინი შების პირს უწოდებს¹⁵ და ზოგადად მიაჟუთვნებს ნეოლითურს თუ არა, ენეოლითურ ეპოქას¹⁶. საკონკავის ისრის პირი გარევეულ მსგავსებას ამჟღვნებს სამელე-კლდეში მოპოვებულ ისრის პირთანაც¹⁷. რაც შეეხება სამელე კლდის მასალის იარალს, იგი მიჩნეულია აღრენეოლითურ ძეგლად¹⁸.

საკონკავის ოვალური ისრის პირი თავისი ფორმით და დამშავების ტექ-ნიკით ძირითადად დასავლეთ ამიერკავკასიის ნეოლითური ტრადიციების მატარებელი იარალია და ამდენად მისი აღმოჩენის ფაქტი გარემოულ მნიშვნელია დარენენოლითურ ძეგლად¹⁹.

13 იქვე, გვ. 136—137.

14 იქვე.

15 კუფტინ ბ. ა., მათериалы к археологии Колхиды, II, Тбилиси, 1950, с. 129—130, таб. 41, I.

16 კუფტინ, დასახ. ნაზ., გვ. 129—130.

17 ლ. გლონთ, ა. ჯავახიშვილი, ი. ჭიქვიძე, დ. თუშაბრა-მიშვილი, Некоторые итоги полевых работ 1964 г. Урбнисской и Квирилской археологической экспедиции; საქ. სახ. მუზ. მომბე, ტ. XXV, 1965, გვ. 11, ტაბ. XVII, 33. ა. ჯავახიშვილი, უცხოილის ხეობის არქეოლოგიური ექსპელიციის მიერ ჭათურის რაობის სოფ. ქვემთ ზოდში გამოქვებულ სამელე კლდეში 1966 წელს ჩატარებული შედეგები, სსმე 1, ტაბ., 1969, გვ. 3, 12, ტაბ. 1.

18 დ. თუშაბრა-მიშვილი, Итоги работ палеолитической экспедиции Квирильского ущелья за 1963—64 гг. Материалы сессии, посвященной итогам археологических исследований 1964 г. в СССР, Тезисы докладов, Баку, ლ. ნები ერთი, დასავლეთ ამიერკავკასიის ნეოლითი. ტაბ., 1972, გვ. 94.

ლობას იქნენ აღმოსავლეთ და დასავლეთ ამიერკავკასიურ ნეოლიტურ კულტურათა ურთიერთობის საკითხის კვლევის საქმეში.

საკონკავის ქვის ნაწარმში ყურადღებას იქცევს ბაზალტის იარაღების ტექნიკა¹⁹ და გვიფი, რომელიც მთელი სერიის სახითა წარმოდგენილი (ტაბ. II, 4, 5, 6, 7, 8, 12, 13, 15). აღნიშნული იარაღები სხვებთან შედარებით გამოირჩევა თავისი ოვალური მომრგვალუბული ფორმებით. მათი ზედაპირი ფართო რეტუშითაა დამუშავებული. ხასიათება მასიურობით და მომეტებული ზომებით. ისინი პირობითად საფხექ-საჩე-საბეგველად მიგიჩნიეთ. აღნიშნული იარაღის გარეგნული ნიშნები; დამზადების ტექნიკა, ზედაპირის დამუშავება და სხვა, გარკვეულად ემსგავსება დასავლეთ საქართველოში. ცნობილ ნეოლიტური ხანის ზოგიერთი ჯგუფის იარაღებს. მაგ., ანასეული I დიდი ზომის საფხექებს²⁰. საკონკავის აღნიშნული ჯგუფის იარაღები ფორმით და დამზადების ტექნიკით მსგავსებას იჩენს, აგრეთვე, ნატუფიურ კულტურაში ცნობილ ნეოლიტური იარაღების გარკვეულ ჯგუფთან²¹. აღნიშნული იარაღის სახითაც გარკვევით მონაბის განსხვავება საკონკავისა და შულავერ-იმირის გორებს შორის. აქ თუ იგი სერიის სახით არის წარმოდგენილი, იქ ერთეულების სახით გვხვდება²². აღნიშნული იარაღის მხრივაც საკონკავის მასალები ეჭვმიურანლად დასავლეთ ამიერკავკასიის ნეოლიტური ინდუსტრიის ტრადიციებს უფრო ტარებს ვიდრე სხვას. ამდენად საკონკავის მასალა კიდევ უფრო დიდ ინტერესს იწვევს. ქვის იარაღებში საქმაო რაოდენობით გვხვდება რიყის მოგრძო ქვები, აქვე სასრუსები, საპრალებელი ქვები და სხვა (ტაბ. X, 8, 2, 9, 10, 14, 3, 6; 11). საერთოდ უნდა აღნიშნოს, რომ საკონკავის ქვის მასალა ძეგლს აჩქაულ იერს აძლევს. აღნიშნული იარაღის დამზადება უფრო ნეოლიტური ქვის ინდუსტრიის ტრადიციებს ეჭვმიურანლად დაც მთავარია, იგი ეჭვმიურანლად მიგვთითებს დასავლეთ ამიერკავკასიის ნეოლიტური კულტურის გავლენაზე.

ხეობაში მომდევნო ხანის მოსახლეობის არსებობის შესახებ შედარებით მცირე მასალა მოგვეპოვება. მასალიდან საყურადღებოა თიხის ჭურჭლის რამდენიმე ფრაგმენტი, რომლის ნაწილს ახასიათებს შეგძრიალი ზედაპირი, ვარდისფერი სარჩული და უხეში კეცი, ზოგიერთ ვარდისფრად გამომწუარ ნატეხს შემორჩენილი აქვს ნახევრად სფერული ე. წ. ცრუ ყური (ტაბ. VII, 14). მათ პერიოდის ფრაგმენტები ცნობილია საკონკავიდან და რველის სამაროვანის ქვედა ფენიდან. აღნიშნული მასალა ეჭვგარეშე მტკვარ-არაქესული კულტურისაა (ტაბ. VII, 14).

მტკვარ-არაქესის პერიოდისა უნდა იყოს საკონკავის მასალებში შემავალი გარდისფრად გამომწუარი თიხის ყალიბის ნატეხი, რომელშიც პირმომრგვალებული უსული ისხმებოდა (ტაბ. VII, 19). იგი მოყვანილობით ახლო დგას ქვაცხელას C 1 ფენაში ომოჩენილ თიხის ყალიბობით. რომლის ასკიც ძ. წ. III ათასწლეულის დასაწყისისა ან პირველი ნახევრის საუკუნეებითაა განსაზღვრული²³.

19 ლ. ნებიერიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 23, ტაბ. III, 11—14.

20 Б. Н. Равдинникас, История первобытного общества. Ленинград, 1947, с. 157, рис. 25.

21 ა. ჯავახიშვილი, თ. კილც რაძე, აღრე სამიწამოქმედო ნასოფლარები, ქვემ ქართლის აჩქ. ეჭვს. შედეგები (1965—1971), თბილისი, 1975, გვ. 11, 128.

22 ლ. ლონტია, ა. ჯავახიშვილი, ურბნისი, თბ., გვ. 47, ტ. IV, 209.



სებური, უცნებასერეტილი უქედო სატევრის პირი (ტაბ. XI, 10). ასევე საინტერესოა სოფ. ლიკანში შემთხვევით ომოჩენილი ბრინჯაოს სატევარი²³. ორივე სატევრის პირის შესატყვეისი მასალა ძირითადად ცნობილია საქართველოში მტკეარ-არაქსის კულტურის განვითარებული საფეხურიდან²⁴.

ამ ტიპის სატევრის გოგრაფიული გავრცელების არეალი ძირითადად ყვირილის ზემოქმედის აუზს და შიდა ქართლის ტერიტორიის მოიცავს²⁵. მსგავსი სატევარი ცნობილია აგრეთვე ახალციხის ამირანის გორიდან.

ზემოთ მოტანილი პარალელური მასალის საფუძველზე გადასასინჯია ლიკანის სატევრისათვის ჩვენს მიერ ადრე მიღებული თარიღი (შეა ბრინჯაოს ხანი). იგიც და საკონკავის სატევრის პირიც ტიპოლოგიურად უნდა ეკუთვნოდეს მტკეარ-არაქსის კულტურის ბოლო ერასა და შეა ბრინჯაოს ხანის დასაწყის პერიოდს.

ასევე უნდა განისაზღოროს საკონკავის მასალებში შემავალი სწორქუთხა განივევთიანი სატეხის ისაყიც (ტაბ. XI, 9). მსგავსი იარაღი ძირითადად ჩვენშია ცნობილი (საჩხერე, ზექარი, თეთრიწყაროს რ-ში გათხრილი ყორილანი)²⁶. ამ ტიპის იარაღი, როგორც თ. ჯაფარიძე შენიშნავს, სამხრეთიდან ვრცელდება ჩრდილოეთისაკენ.

საკონკავთან გამოვლენილი კულტურული ფენა, გარდა ზემოაღნიშნულისა, შეიცავდა განსხვავებული პერიოდების სხვადასხვა მასალებსაც, რომელშიც ყურადღებას იქცევს თეთრი ჭვისაგან დამზადებული ლაქტის თავი (ტაბ. XI, 17). აქვე საყურადღებოა ანთროპომორფული ქანდაკებები (ტაბ. XI, 13, 18), რომელთაგან ერთ-ერთი თიხისაგანაა დამზადებული და ახასიათებს უალრესად არქაული ნიშნები, აქვე საყურადღებოა ჭვის კვირისტავი (ტაბ. XI, 15).

საწარმოო იარაღებიდან ყურადღებას იქცევს ბრინჯაოს თხისა თუ სეგმენტური იარაღის ნატეხი (ტაბ. XI, 6), აღსანიშნავია აგრეთვე ბრინჯაოსა და რეინის უცნებასა ისრის პირების არსებობა (ტაბ. XI, 5, 8, 11, 12). სამაცულებიდან ინტერესს იწვევს ბრინჯაოს თავებზაბენილი რგოლი, სხვადასხვა ტიპის საკინძები და სხ. (ტაბ. XI, 1, 3, 4).

აღნიშნულ მასალებში მნიშვნელოვანია გამომწვარი თიხისაგან დამზადებული სტილიზებული ცხვრის თავის ქანდაკებაც, რომელიც ხოვლეგორის V ფენაში აღმოჩენილი თხის ცხვრის თავების ანალოგურია და, ჩვენი ვარაუდით, იმავე პერიოდს უნდა განეკუთვნებოდეს (XII—X სს.)²⁷ (ტაბ. XI, 16). აღნიშნული ცხვრისთვის ქანდაკება და აქვე დიდი რაოდენობით აღმოჩენილი საქონლის ძვლები გვავარაუდებინებს თორში ძევლათაგანვე განვითარებული მესაქონლეობის არსებობას.

²³ Т. Н. Чубинашвили, Т. И. Татишвили, О. С. Гамбashiძე. Археологические разведки в южных районах Грузии в 1953—1955 гг., Советская археология, № 4, 1957, с. 123.

²⁴ თ. ჯაფარიძე, ქართველ ტომთა ეთნიკური ისტორიის საკითხისათვის, თბ., 1976, გვ. 136.

²⁵ თ. ჯაფარიძე, დასახ. ნაშრ.

²⁶ თ. ჯაფარიძე, დასახ. ნაშრ.

²⁷ დ. მუსხელიშვილი, ხოვლეს ნამოსახლარის აჩქ. მასალა, თბ., 1978, გვ. 71.



თორში სტაციონალური გათხრებით და შემთხვევით მოპოვებული კოდექსის ბის სახით შუა ბრინჯაოს ხანის მასალა საკმაო რაოდენობითა გამოვლენილი (ტაბ. XII, 1—15). ამ მხრივ განსაკუთრებული მნიშვნელობისაა რველის სამარტინული კომპლექსები (სამარტინი №№ 27, 65; ტაბ. X, 8, 9). მასალის ერთი ნაწილი (მხედველობაში გვაქვს ბრინჯაოს ლილი ზომის დისკოსებური საკიდები) თავისი მხატვრულ-სუმანტიკური მონაცემებით უდავოდ სარიტუალო დანიშნულებისა უნდა იყოს. ამ მხრივ ისინი ახლო უნდა იყვნენ დასავლეთ საქართველოს ყოფაში (სვანეთი, რაჭა-ლეჩხუმი) გაღმონაშთების სახით შემორჩენილ ბარბარეს ლეთაებასთან დაკავშირებულ ზოგიერთ სარიტუალო ნივთან. ამდენად, იგი მიერჩინიეთ ნაკოფიერების ლეთაებისადმი, მნათობთა-მნათობი ბარბარესადმი მიძღვნილ ემბლემად. ამ მიმართულებით ჩვენს მიერ ჩატარებულმა დაკვირვებამ მხარი აუბა დისკოსებური საკიდების შესახებ მკვლევათა ერთი ნაწილის მოსაზრებას. გ. ნიორაძე კვერბილში შემთხვევით აღმოჩენილ მსგავს საკიდს მზის კულტს უკავშირებდა და აღიარებდა ხეობაში იმ პერიოდის მზის ლეთაების თავავანიმცემელ საზოგადოების არსებობას²⁸. მეორე მხრივ, აღნიშნული მასალა ასებითი მნიშვნელობისაა ჩრდილო კავკასიასთან კულტურულ-ეკონომიური ურთიერთობის საკითხების კვლევის სფეროშიც. გარდა ამისა, იგი გარკვეულ წარმოდგენას იძლევა იმ პერიოდის ხეობის მურნეობის დონის წარმოსადგენადაც. ვ. მარკოვინი მსგავსი საკიდებისა და სხვა მასალების გათვალისწინებით ჩრდილო კავკასიაში ბრინჯაოს კულტურის განვითარების II ეტაპზე (ძ. წ. 1700—1500 წწ.) გარაუდობს ასტრალურ-კოსმიურ ლეთაებათა კულტმასაზურების მიმდევარი საზოგადოების არსებობას²⁹.

რაც შეეხება დისკოსებური საკიდების შემცველი კომპლექსების ასაკს, იგი მათში შემავალი ბრტყელი ცულის, კასრისებური მძივების და დისკოსებურთავიანი საკინძების თანაარსებობისა და მათი შესატყვისი პარალელური მასალის გათვალისწინებით უნდა განისაზღვროს ძ. წ. XVI—XV საუკუნეების პირველი ნახევრით. გარდა ზემოაღნიშნულისა, უზრადღებას იქცევს შემთხვევით მოპოვებული ისეთი ნაეთობანი, რომლის ტიპილოგიური სახესხვაობები საკმაოდაა ცნობილი შუბრინჯაოს ხანის კავკასიის სხვადასხვა კუთხეში. ამ მხრივ ინტერესს იწვევს რველის სამართვანზე შემთხვევით აღმოჩენილი ბრინჯაოს ფოთლისებური სატევარი (ტაბ. XII, 14), ბრინჯაოს მასრაშეკრული პირვერი შუბის პირები (ტაბ. XII, 12, 13, 15), რომლის შესატყვისი მასალა ცნობილია არიტეის, ბრილის და თლის სამართვებიდან³⁰.

უნდა აღინიშნოს აგრეთვე ბრინჯაოს სოკოსებრთავიანი საკინძი (ტაბ. X, 7), რომლის იდენტური მასალა ცნობილია ყიზილანქის, თლისა და სხვა სამართვებიდან³¹. თორის ქვეყანაში ამ პერიოდის მასალები ცნობილია კვერბი-

²⁸ გ. ნიორაძე, არქ. დაზერვები მტკვრის ხეობაში, საქ. მუზ. მოამბე, XIII—ბ, 1944, გვ. 214.

²⁹ В. И. Марковин, Культура племен Северного Кавказа в эпоху бронзы (II тыс. до н. э.), М., 1960, с. 146.

³⁰ Хачатриан, Древняя культура Ширака, Ереван, 1975, с. 112, рис. 67, погреб. № 44.

³¹ გ. გოგიაშვილი, არქ. გათხრები საბ. საქართველოში, თბ., 1952, ტაბ. X, XI—XII.

ლილან, რელილან და სხვა პუნქტებიდან, ისინი დაცულია ბორჯომის შესახებ-მუჭათ მცირეობის მუშაობიში (ტბ. VII 10—15).

შემდეგი ეპოქის ძეგლები ხერბაში განსაკუთრებული სიმრავლით არის წარმოდგენილი. აქეთოლოგიური მასალა მნიშვნელოვანია და ხასიათდება მრავალსახეობით. ამ ხანის იარაღ-საჭურვლიდან აღსანიშნავია კოლხური და აღმოსავლურ-ამიერკავკასიური ცულები, სატევრები, შუბისა და ისრის პირები, საყინძები, სამკაულები და სხვა. აქვევა აღსანიშნავი აღმოჩენა ისეთი განძებისა, რომელიც შეიცავს როგორც დასავლურ-ქართული, ასევე აღმოსავლურ-ქართული კულტურის შემცველ ულტრებებს³².

საკონფერენციის ნამოსახლართან გამოვლენილ კულტურულ ფენაში გარდა ზე-
მო აღნიშნული კერძოყული ნაწარმისია ყურადღებას იპყრობს ძ. წ. II ათა-
სწლეულის საქართველოს ტერიტორიისათვის დამახასიათებელი. თიხის ჭურჭე-
ლი და მისი ფრაგმენტები. აქ გამოვლენილი სასმისი (ტაბ. XII, 1) მსგავსია
კოლხეთის დაბლობის უძველესი ნამოსახლარების ქვედა ფენებში ცნობილი
ე. წ. პროტოკოლხური სასმისებისა. აქვე ფრაგმენტები, რომელიც შემკულია ზე-
ნური ხევიებთა და კონცენტრული ხაზებით (ტაბ. XIII, 2, 8, 10). მათი შესა-
ტყვისი მასალა მრავლად მოიპოვება. ძ. წ. II ათასწლეულის შუა ხანების კოლ-
ხეთში და შიდა ქართლში. ზოგიერთ ფრაგმენტს ამკობს ე. წ. „პარკეტული“
ორნამენტი (ტაბ. XIV, 1), ამდენად იგი უფრო კოლხეთის დაბლობის უძველე-
სი სამოსახლოების ქვედა ფენებისათვის დამახასიათებელ თიხის ნაწარმს ემს-
გასება და სხვ.

ხეობის მასალებში ყურადღებას იქცევს ეგრეთ წილებული პიტილული ცულები, რომელთა ტიპოლოგიურ მონაცემებში თვალსაჩინოდ გამოიჩინევა კოლხური და ომოსავლურ-ამერიკავეკისური ცულების დამახასიათებელი ელემენტები. ასეთი ვითარება გვავარაუდებინებს ხეობაში ომოსავლურ და დასავლურ ქართულ კულტურათა შერწყმის მომენტებს.

ხეობში მოპოვებულ კოლხურ ფულებში მნიშვნელოვანია სოფ. ჭიბის-
ხევში შემთხვევით ომოჩენილი ერთ-ერთი უძველესი სახეობის ცული, რომე-
ლიც თავისი ტიპოლოგიური მონაცემებით ახლო დგას ქობულეთ-ბიჭვინთის³³
ერთ-ერთ უძველეს სახეობასთან. აღსანიშნავია აგრეთვე შემთხვევით მიპო-
ვებული სხვადასხვა საყინძების მთელი სერია (დისკოსებურრავიანი), კოპებით
შემცული, ზოომორფული ქანდაკოვანი საყინძები და სხვ.), რომელიც გარევე-
ლუ კავშირურრათიერთობის ამსახველია კოლხურ-ყობანურ სამყაროში, შედა-
ქოთლში, სომხეთში და სხვაგან ცნობილ თანადროულ კულტურებთან ურთი-
ერთობისა.

თორის „ქეყუანაში“ ჩენ ხელთ არსებული შასალის საფუძველზე ჯერ-
ჯერობით ადამიანის ცხოვრების უტყუარი ნიშნები ჩანს ნეოლითური ხანის
ბოლო პერიოდიდან. აქეე ნიშანდობლივია დასავლურ-ამიერკავკასიური ნეო-
ლითური კულტურის ქვის ინდუსტრიის გავლენა. შენიშვნება აგრეთვე აღმო-
ავლეთ-ამიერკავკასიური ადრესამიწათმოქმედო კულტურის ელემენტების
უტყუარი არსებობაც.

³² А. А. Мартиросян, Армения в эпоху бронзы и раннего железа, Ереван, 1964, с. 51, рис. 202, 1; д. Ծագեցո, գլած. Խմբովո, ըստ XIV. Արք. 3, 4.

³³ ප. ඩී මලු පදා, ශබ්දාත්මක, නොමැතුවයි.



მომდევნო, მტკვარ-არაქსის ეპოქის მასალის სიმცირე, ჩვენი აშრობებული და აისწნას თორის ქვეყანაში სტაციონალური არქეოლოგიური სამუშაოების მცირე მასშტაბებით. ჩვენ ხელი არსებული მასალა თვალნათლივ მიგვითოვებს, რომ თორი შეა და გვიანბრინჯაოს ეპოქაში ინტენსიურად იწყებს დასახლებას. ამ პერიოდის მატერიალური კულტურის ძეგლები ეჭვმიურად მეტყველებენ აღნიშნულ რეგიონში უკვე რთულპროფილიანი მეურნეობის არსებობაზე. ამ პერიოდიდან მაღალ საფუძველზე ჩანს ასული მეურნეობის ისეთი დარგები, როგორიცაა მიწათმოქმედება, მესაქონლეობა, მელითონეობა, მეთუნეობა და სხვ.

მასალების გარევეული ნაწილი თვალნათლივ მეტყველებს დასაცლური ქართული ელემენტის მომძლავრებას, გვიანბრინჯაოს ხანისათვის თორის ქვეყანაში იქმნება ისეთი მნიშვნელოვანი ლოკალური სამელითონეო ხელოსნობის ცენტრი, რომლის ტოლფასი კოლხური კულტურის გავრცელების სფეროში ჯერგერობით არ ჩანს. ეს გარემოება, ვფიქრობთ, დაკავშირებულია თორის ქვეყნის მონაპირეობით, სადაც საგანგებოდ ხდებოდა დაწინაურება მეურნეობის სხვადასხვა დარგისა, რომელიც თავისი არსით უპირისპირდებოდა იმოსაცლური ელემენტის გააქტიურებას. ასეთი პროცესები, როგორც ზემოთ დავინახეთ, შეიმჩნევა ჯერ კიდევ ადრესამიწათმოქმედო კულტურის ეპოქიდან. ეს გარემოება თავისთვალ დაკავშირებული უნდა იყოს თორის ქვეყნის გეოგრაფიულ მდებარეობასთან.

არსებული მასალა მეტყველებს იმასაც, რომ ყველა ის ტერიტორია, რომელიც ღლესაა ინტენსიურად ათვისებული, დასახლებული უნდა ყოფილიყო ჯერ კიდევ შეა ბრინჯაოს ხანიდან.

О. С. ГАМБАШИДЗЕ, Т. И. ТАТИШВИЛИ

МАТЕРИАЛЫ К ИСТОРИЧЕСКОЙ ГЕОГРАФИИ ДОФЕОДАЛЬНОГО ТОРИ

(по случайным находкам и результатам разведок)

Резюме

Бесспорные признаки человеческой жизни в Тори прослеживаются с конечного этапа неолитической эпохи; при том, примечательно влияние каменной индустрии западноказакской неолитической культуры и присутствие элементов восточноказакской раннеземледельческой культуры.

Недостаточность материалов Куро-араксской эпохи в Тори, объясняется незначительными масштабами археологических работ. В эпоху средней и поздней бронзы этот край интенсивно заселяется. Памятники материальной культуры этого времени безусловно свидетельствуют о существовании в регионе сложно-профильного хозяйства, которое характеризуется с развитым земледелием, скотоводством, гончарным ремеслом и изготовлением металлических предметов.

Определенная часть материала свидетельствует об активизации западно-грузинских элементов. В позднебронзовую эпоху в Тори создается такой мощный центр производства металлических изделий,



საქართველოს

равный которому в ареале распространения Колхской культуры пока не известен. Это обстоятельство со своей стороны сопоставляется с активностью восточного элемента. Подобные процессы прослеживаются уже в эпоху раннеземледельческой культуры, что по-видимому находилось в связи с географическим расположением Тори.

Добытые в Тори материалы свидетельствуют, что все ныне освоенные террасы были заселены уже с эпохи средней бронзы.

თიხის თომა

ჩიზიყის ისტორიული გეოგრაფიის საპითხები

ქიზიყი საქართველოს უკიდურეს სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში მდებარეობს. იგი კახეთის ერთ-ერთი მხარეა და დღეს სიღნაღისა და წითელწყაროს რაიონებად იყოფა. ქიზიყი ისტორიული კახეთის დაახლოებით მეხუთედ ნაწილს მოიცავს¹.

მდებარეობა და ბუნებრივი პირობები, განსაკუთრებით რელიეფი — ჩრდილო ნაწილში განლაგებული უძველესი სოფლებით მჭიდროდ დასახლებული მთავრისინ მხარე, რომელიც სამი მხრიდან შემორტყმულია გაშლილ ველებით — ისტორიულად გარკვეულ როლს თამაშობდა ქიზიყის პოლიტიკურ და ეკონომიკურ ცხოვრებაში.

ქიზიყში სამი მიტროქვეყანა გამოიყოფა: წინა მხარი, უკანა მხარი და შიდაქის ველი. ეს დაყოფა გაპირობებულია მათი ფიზიკურ-გეოგრაფიული პირობებით.

წინა მხარი მდ. ალაზნის მარჯვენა ნაპრსა და გომბორის ქედის ჩრდილო-აღმოსავლეთ ფერდზე განლაგებული ქეყნაა, რომელიც მეტრნეობის თვალსაზრისით საგრძნობლად გამოიჩინევა მთელ ქიზიყში და ამიტომაც ძველ-თაგანვე ყველაზე მჭიდროდ იყო დასახლებული და ოვისებული.

ისტორიული ფიზიკური გეოგრაფიის თვალსაზრისით მეტად საინტერესოა, რომ ქიზიყის წინა მხარის ფართო ველის ის ნაწილი, რომელიც მდ. ალაზნს უკვრის და დღეს დიდ სამელიორაციო სამუშაოებს საჭიროებს ასათვისებლად (წნორის მესაქონლეობის კომპლექსის ქმენებარე ტერიტორია), ბრინჯაოს ეპოქში ტყით ყოფილა დაფარული და სამეურნეოდ გამოყენებული მიწათმოქმედი ტომების მიერ, რასაც მოწმობს აქ აღმოჩნილი და არქეოლოგიური შესწავლილი უძველესი სამოსახლო ბორცვები და გორა-სამარხები.

საესპერი შესაძლებელია ასეთივე სურათი განმეორდეს შირაქის ველზე ან იერის ქვემო წელზე, სადაც თითქმის მსგავსი კითარებაა. ასეთ ვარაუდს უშევებს კახეთის არქეოლოგიური ექსპედიციის ხელმძღვანელი კ. ფიტხელაური.

¹ ქიზიყის ისტორიული გეოგრაფიის საკითხები კარგა ხანია შევლევართა უტადლებას იღებს. უკანასკნელ წლებში გამოსული ნაშრომებითაც ამ მხრივ განსაკუთრებით მნიშვნელოვანია: დ. მ უ ს ხ ე ლ ი შ ვ ი ლ ი, ცახე-ქალაქი უკარმა, თბ., 1966; მ ი ს ი ვ ე, კახე-ქერეთის პოლიტიკური გეოგრაფიის საკითხები XII—XIII სს-ში, „საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის კრებული“, თბ., 1967; მ ი ს ი ვ ე, საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძარითად საკითხები, I, თბ., 1977 და 11, თბ., 1980 თ. პ ა პ უ ა შ ვ ი ლ ი, ქერეთის ისტორიის საკითხები, თბ., 1970; ი. შ ა ი შ მ ე ლ ა შ ვ ი ლ ი, ქიზიყი, თბ., 1973.



უკანა მხარი გომბორის ქედის სამხრეთ-დასავლეთ ფერზე და იგინი ჭიდავის განხევა განლაგებული; ხასიათება ნაყოფიერი, მაგრამ უზრუნველი მიწაშით.

“შირაკის ველი მდ. ოორსა და მდ. ალაზანს შორის, მთას ქვემო დინებაში, მოქცეულა ფართო ვაკეა, რომელიც მთელი კანების მთავარ საზამთრო საძოვრებად გამოიყენდოდა ფეოდალურ ხანაში და ამდენად დიდ როლს თამაშობდა მის მეტრიკობაში.

ქიზიყის, ისტორიული საზღვრების დადგნამ მრავალი მკელევარის ყურა-
დღება მიიქცა. ქიზიყი (ქისიყი, ხიზიყი, ქიზიხი, ქისიხი, ხიზიხი, ყისიხი და
ა.შ.) ამ ქვეყნის გვიანი სახელია, რომელიც წყაროებში მხოლოდ XV საუკუ-
ნიდან გვხვდება. აღრე მას კამბეჩოვანი ერქვა, ამას ადასტურებს, პირველ რიგ-
ში, ვაჟუშტი ბაგრატიონი: „არამედ საქვაბე-ასანურამდე არს ადგილი ქისიყი-
სა, რომელიც მოხვევა მთასა, ცივის მთიდან გამოსულსა. ამას ეწოდა პირველ
კამბეჩოვანი². ასევე ფიქრობს „ქართლის ცხოვრების“ ერთ-ერთი გადამწერი
(XVII თუ XVIII საუკუნე), რომელიც წიგნის არშახე მიაწერს — „კამბეჩი-
ანი ქიზიყია³.

ამგვარად, გვანდული ქიზიყის უცველესი ისტორიული საზღვრების და-
საღვენად უნდა მივმართოთ ძარღიულ წყაროებს, სადაც კამბეჩივანი იხსე-
ნიება. კამბეჩანს თუ კამბეჩივანს სხვადასხვა ფორმით იცნობენ როგორც ქარ-
თული, ასევე სომხური, ბერძნული და ორაბული წყაროები. სტრაბონთან ეს
არის კამბისენე, სადაც ერთმანეთს ემიჯნებიან იბერები, ლობანები და სომხები
და რომელიც არის უწყლო და ოლროჩილრო ქვეყანა მდ. ალაზანთან⁴; VII ს.
სომხურ გვოგრაფიაში ეს არის ქამბეჭანი, რომელიც მდებარეობს მდ. მტკვარ-
თან⁵; ბალაძორისთან მას ჰქვია კამიბარანი, რომელიც მდებარეობს მტკვრის
ჩრდილოეთით, შავის შეზობლად⁶.

ქართულ საისტორიო ლიტერატურაში პირველად კანბეჩანი გვხვდება არ-სენ საფარიელთან⁷. ლეონტი მროველთან, ჭუანშერსა და სუმბატ დაჯითის ძეს-თან ეს ქვეყანა იხსენიება შემდეგნაირად: კამბეჩანი, კამბეჩოვანი და კამბე-ჩანი⁸.

კამბერივანის ლოკალიზაციის საკითხი ქართულ ისტორიოგრაფიაში კარგა ხანია გადაწყვეტილია. ივ. ჭავახიშვილის აზრით, „შესაძლებელია ეს ადგილი ეხლანდელი შირაქის მინდვრები იყოს. კამბერივანი დიდი სიერკე ვქონა“⁹. უფრო კონკრეტულად მუსხელიშვილი: „ქველი კამბერიანის საზღვრები მეტანაკლებად დადგენილად შეიძლება ჩაითვალოს: იგი მოიცავდა ვრცელ ტერიტორიას ალაზნის ქვემო წელსა და მტკვარს შორის; გასზე გადიოდა იორია¹⁰. თ. პაბუაშვილის აზრით, „დამბერიანი წარმოადგენდა იძერის, ალბანეთისა და სომხეთის მოსაზოვრე თემებს. რომელიც მოიცავდა ტერიტორიას

2 3 6 7 8 9, ଅନ୍ତିମ ବାରେଣ୍ଡା କାମିକ୍ଷାପିତା କାହାର ଦେଖିଲୁଛା (ବାଜାରଟିକାରୀଙ୍କ ପାଇଁ କାହାର ଦେଖିଲୁଛା), ପତ୍ର., 1941,

3 ଶାନ୍ତିଲୋପ ପ୍ରକ୍ରିୟାରେ, ପି. I, 33: 45.

4 ԵՐԿՐՈՅԱՑՄԱՆ, XI, 4, 1.

⁵ Армянская география VII века, Спб., 1877, с. 17.

⁶ Баладзори, Книга завоевания стран, Баку, 1927, с. 14.

⁸ „ქართლის ცხოვრება, ტ. I, გვ. 45, 193, 373.

⁹ ივ. ჯავახიშვილი, ძეგლი ერთს ისტორია, წ. I, თბ., 1960, გვ. 430.

¹⁰ ඩුරක්ක ලංඡලා, ප්‍රති-සිම්ප්‍රේ සුදාන්ත්‍ර, තං., 1966, ජූ. 31—32.



მტკურის ჩრდილოეთი: ყარაის ველის ქვემოდან მოყოლებული უპირატესება ალაზნის ქვემო დინების აუზებს¹¹.

გასარკვევია, სად გადიოდა კამბეჩინ-ქიზიყის ჩრდილო საზღვარი, ამ ქვეყნის საზღვრებს თითქოს მყაფიოდ იძლევა ვახუშტი: „და უძეს ქისიყს აღმოსავლით ველი შირაქი ალაზნამდე; სამჯრით—უფადარი და წინამინდორი ხორანთა—იორამდე; ჩრდილოთ მთა ჰერეთისა, ხოლო მზღვრის აღმოსავლით ალაზანი; დასავლით ლაპბის-ჯვევი და ხაზი მისი იორამდე გასული; სამჯრით იორა ანუ მტკვარი, ჩრდილოეთ მთა ცივისა კარდანებსა და ქისიყს შორისი, და ხაზი ასანურ-საქვაბეს შორის გასული ალაზნამდე¹².

აქ მთელი ქიზიყია გარკვევით მოცემული: შემადგენლობითა და საზღვრებით. მას ეკუთვნის აღმოსავლეთით შირაქის ველი ალაზნამდე, სამხრეთით უფადარი და წინამინდორი (უფადარი ღლევანდლელი ელდარის ველი უნდა იყოს ივრის ქვემო დინების მარტენა ნაპირზე, ხოლო წინამინდორი —ივრისა და ალაზნის შეერთების ადგილზე მდებარე ველი, რომლსაც ჭრიდა ოზი ეგუჩი), დასავლეთით — რა ეკუთვნის, არა ნახსენები, ჩრდილოეთით — მთა ჰერეთისა, ე. ი. გომბორის ქედის სამხრეთი ბოლო.

რაც შეეხება საზღვრებს, ვახუშტისათვის აქაც ნათელია, რომ ქიზიყის საზღვრაეს აღმოსავლეთით მდ. ალაზანი, დასავლეთით — ლაპბის ხევი, სამხრეთით — იორი ან მტკვარი(?!), ხოლო ჩრდილოეთით — მთა ცივისა, კარდანებსა და ქიზიყს შორის. ალაზნის ველზე და ივრის ხეობაში ვახუშტი სწორ ხაზს აკლებს საზღვრად მდ. ლაპბედნ მდ. ივრამდე და ასანურ-საქვაბედან მდ. ალაზნამდე.

თუ გვიანდელ ვითარებას გავიხსენებთ, ქიზიყის საზღვრების მოცემისას ვახუშტი ზოგ უზუსტობას უშევებს. თუ ქიზიყი მხოლოდ ასანურ-საქვაბეს (საქობოს) შორისამდე აღწევდა, მაშინ მის საზღვრებს გარეთ დარჩება ისეთი სოფლები, როგორიცაა თვით საქმბო, მაშნარი, ვაქირი და ანაგა; ისტორიული დოკუმენტების მიხედვით კი, ეს სოფლები აუცილებლად ქიზიყისაა (შაგ., „... მე ქისიყის ანაგრელი მირვანაშვილმა... შეიღმან ჩემმან შანშე... შენ როსტომიაშვილ ალავრებას შეისას შენს გორგის... მოგყიდე ჩემი ყმის შეილი...“ სცა, ფ. 1448, № 149, 1717 წ.).

ამასვე ადასტურებს გოულენშტედტი: „მივაღწიე ქიზიყის სოფელს ვაქირს“, „გზა გადიოდა ქიზიყის სოფლების მაშნარის, საქობოს, ასანურისა და ჯუგანის ყანებზე“, „13 მარტს ჩვენ დაეტოვეთ ანაგა და ამ განაპირა სოფლით აგრეთვე ქიზიყის მხარეც, რადგან სოფელი ბაიდარი, თუმცა ის მდებარეობს ძალიან ახლოს ანაგასთან, ეკუთვნის უკვე კახეთის სხვა მხარეს, საღაცჩენ ახლა მიუღიოდთ“¹³.

რაც შეეხება მდ. ლაპბეს ქიზიყის დასავლეთ საზღვრად ჩვენებას, არც უს უნდა იყოს ზუსტი, რადგან სოფლები: მელაზანი, ძეგვის უბანი და ჩალაუბანი ქიზიყში მოხვდებიან, სინამდვილეში კი ისინი საანდრონიკოს სოფლებია და მელაუბანია ამ სათავადოს ერთ-ერთი რეზიდენცია. ამას გარდა, გოულენშტედტიც მიუთითებს, რომ „... მხარის (ქიზიყის, თ. თ) გარეთ, დასავლეთით,

11 თ. პაპ უ აშ ვ ი ლ ი, ჰერეთის ისტორიის საეპოხები, 1970, თბ., გვ. 33.

12 ვ ა ხ უ შ ტ ი, ალწერა... გვ. 98.

13 გოულენშტედტის მოგზაურობა საქართველოში, ტ. 1, თბ., 1962, გვ. 23, 25, 29.

მდებარე მეფის სოფლები: ჯიმითი, მელაანი, ცხოველი, ზიარი¹⁴. გოულენ-შტედტი კი ერეკლე II-ს ახლდა და ამ მხრივ კარგად იქნებოდა ინფორმირებული ბული.

ქიზიყის საზღვრებს გოულენშტედტიც განსაზღვრავს: „კახეთის მხარე ქიზიყი მდებარეობს მტკერის მარცხნა მხარეს, არის უკიდურესი ომოსაელეთი (მხარე) კახეთისა და მთელი საქართველოსი — ომისავლეთით ესაზღვრება ლე-კეთი, ანუ ლეკების ქვეყანა, ჩრდილოეთით აქვს ქედი (მთიანეთი), სამხრეთით — მტკერი, დასავლეთით — კახეთის მხარე თვალსაგარევი. ის მოიცავს ალაზნის ქვემო დინების ორივე მხარეს და ამასთან მთისწინეთის და გვერდითი ანუ კარიანი მთების ერთ ნაწილს და ზეგანს მათ შორის. მისი სოფლები უმეტესად ამ მთის კალთებზე მდებარეობენ“¹⁵.

გოულენშტედტი ერთ დიდ შეცდომას უშევებს, როდესაც მიუთითებს, რომ ქიზიყის ეკუთვნის ალაზნის მარცხნა სანაპიროც კავკასიონის ქედამდე: როგორც ჩანს, მისი ინფორმატორები ლეკების მხარეში კარ-ბელაქანს გულისხ-ხმობლენ და არა კავკასიონის ქედის ჩრდილოეთით მდებარე დაღვსტუანს.

XVIII. ს. მიწურულში ქიზიყის სრული აღწერა, ისევე როგორც მთელი ქართლ-კახეთისა, შეადგინა იოანე ბაგრატიონმა: „ჰერეთსა და ხორანთას რაც მიეწერებოდა, ქიზიყი და მისი ხეობა, სამეფო, საეკლესიო და სააზნაურო აღ-გილი და სოფლები, წინა მხარი და უკანა მხარი, არიან ესენი: ასამური, ჭლუ-გაანი, ტიბაანი, პრისაანი, ბელიური, ხირსა, ძევლი ანაგა, ქუმბათი, ყოღანთო, ნიკორწმინდა, ნიკორცხე, ხონაბუჯი ანუ ჭოეთი (ძველი ნაქალაქევი), ყარაღა-ჯი (სამეფო სასახლე ზამთრისა), ცლუკაანი, არბოშიკი, მირზაანი ანუ მირტა-ზაანი, ჩობანხალი, ყაგირდალი, ჭალათი, ბეზირგანბულალი, ყუშები, ხირსიხევი, ნაზარელები, ჩანკანთ საყდარი, ბურდომთა, სიჩხინი, ბეზაურის ჟვევი, ურუუს მარანი, ზილიჩა, ახტაში, მაჩხაანი (2), ბოლბისხევი, ბოლბე-ქელელი წ'ა ნინო (ბოლბლის სასახლე და სადაც არს ეკლესია წ'ა ნინოსი და მუნ ასვენია), ფა-ნიანი, მაღარო, ნუკრიანი, ჭოტორი, სიღნალი (ქალაქი), ბაიდარაანი, ანაგა, ვა-ქირი, მაშრაანი, საქობო (2), რიჭიიკანთ ყურე, ურდო, ჯიმაანთ ოლე“¹⁶.

ქიზიყის აღწერამდე იოანე ბაგრატიონი გვაძლევს სააზნაუროებს ადგილ-თა აღწერას, რომელიც თავდება ასე: „მელაანი, ძექისუბანი, ჩალაუბანი“ ხოლო ქიზიყის აღწერას მოსდევს შემდეგი ტექსტი: „ამავე ქიზიყის მიებმის სა-ვაჩინაძო და საანდორნიკო სოფლები და ადგილი, სამეფო, სათავადო, სააზნა-ურო და საეკლესიო : კარდენაზი, ბაკურციხე, კოლაქი, კეჭა, ახტალა, ვეჯინი“ და ა. შ.

როგორც ჩანს, ძირითადი განსხვავება ვახუშტისა და იოანეს აღწერებს შორის ის არის, რომ თუ ვახუშტი მხოლოდ ახსენებს „იორზედ თათრის ობას“, იოანე დაწვრილებით ჩამოთვლის მათ. გარდა ამისა, ვახუშტის შირაქის ველი-საკენ არცერთი დასახლება არ ეგულება გარდა ფადარი იობისა მოსაბრუნვი, იოანე აქაც უფრო მეტ ცნობებს იძლევა. შესაძლოა გვევარაუდა, რომ XVIII ს. დასაწყისში ჯერ არც არსებობდა თათრების ეს დასახლებები.

14 იქვე, გვ. 259.

15 იქვე, გვ. 254.

16 იოანე ბაგრატიონი, ქართლ-კახეთის აღწერა, ტოპონიმიკა“, 11, თბ., 1980, გვ. 356.

ვახუშტი ქიზიყის სოფლების სიაში გამოყოფს ოთხს (ანაგა, ვაჟირი, მაშ-ნაარი, საქობო) და მათ ახტალის სოფლებს მიათვლის, რადგან ქიზუშტის წერტული ლო საზღვარი შეცდომით ასანურ-საქვაბეს შორის ეგულება. ამ შეცტყვის წერტული სახებ ზემოთ უკვე აღნიშნეთ.

გაულდენშტედტი ქიზიყის სოფლების ჩამოთვლისას ტოვებს ვახუშტის მიერ მითითებულ ბედიყარს, ხისასა, ქუნბათს, ყოღანთოს, ხორნაბუქს, ცლუნ-კაანს, აგრეთვე ფანაანს, ე. ი. ქიზიყის სამხრეთი კიდის იმ ადგილებს, სადაც ოვით არ ყოფილა. ვახუშტისაგან განსხვავებით, იგი მიუთითებს ნუკრიანზე და ახლად აქტულ სიღნაღმე.

იოანე ბაგრატიონი ძირითადად ვახუშტის სის მიპყვება, მაგრამ საგრძნობლად ავსებს მას და თითქმის ორჯერ მეტ ადგილს მიუთითებს. მასთან პირველად გვედება ძეველი ანაგა, ნიკორწმინდა, ნიკორციხე, ხისასიხევი, ჩანკაანთ საყდარი, ბურღომთა, ბეზაყრის ხევი, უოუას მარანი, ქედელი, რიეიაანთ ყურე, ჭიმაანთ ოლე და სხვ., რომელთაგან განსაკუთრებით საყურადღებოა ჩვენთვის იგრის ხეობაში და შირაქის ველზე განლაგებული თაორის ობების სახელწოდებანი. ზოგ მათგანს დღესაც შევეძებით თანამედროვე რუკებზე, მაგ: ჩობან-დალი მთა და საძოვარია მდ. იგრის მარჯვენა მხარეს, ყაჯირის ტბასთან; ყაჯირ-დალი ასევე ყაჯირის ტბასთან მდებარე მთაა, მის აღმოსავლეთით; ყუშები იგივე გუშების თავი უნდა იყოს წითელწყაროს სამხრეთ-აღმოსავლეთით; ნაბარლები გუშების თავს სამხრეთით ებმის: ბეზირგანბულახი ჯეორნის ველის სამხრეთ-დასავლეთ კიდეზეა, ხოლო ზილიჩა ამავე ველის სამხრეთ-აღმოსავლეთ კიდეზე ამართულ მთებსა პერია; ბურღო მთა მდ. იგრის მარცხენა ნაპირზეა, ყაჯირის ტბის გაღმომა; ურდო ყარაგალის აღმოსავლეთით მდებარე ურდო-თაფასთან უნდა ყოფილიყო განლაგებული. ასე რომ, იოანე ბაგრატიონის „ქართლ-კახეთის აღწერაში“ ქიზიყში მითითებული პუნქტების უმრავლესობის ლოკალიზაცია ადგილად შესაძლებელია იგრის ქვემო წელზე, მის ორივე მხარეს და აღაზნის ქვემო წელზე, მის მარჯვენა ნაპირთან, შირაქის ველზე.

რა თქმა უნდა, როგორც ყველა ცოცხალი „ქვეყანა“ კამბერივან-ქიზიყის ფარგლები ხან იყევებოდა და ხან ვრცელდებოდა. შესაძლოა, ამის ასახვაც კი იყოს ვახუშტის მიერ მოცემული ქიზიყის ჩრდილო და დასავლეთი საზღვრები, ძეველ კამბერივანს კი აშკარად დაუკარგავს ტერიტორია იორსა და მტკვარს შორის. ჩვ. წ. I ს. სომხეთში ლშექრობიდან დაბრუნებული იბერიის შეფეხბი აგანსრულ იყვნეს მტკვარსა და მისრულ იყვნეს კამბერიანს და დაებანაკათ იორსა ზედა და განიყოფდეს ტყვესა¹⁷. ამით ჩანს, რომ კამბერივანში მყოფი იბერიის მტკვები თავს უკვე საკუთარ ქვეყანაში გრძნობენ. ამ ცნობის ინტერპრეტაციისას მტკვევართა აზრი იყოფა, ერთნი ფიქრობენ, რომ კამბერივანის მტკვარსა და იორს შორის მოქლეული ნაწილი ჯერ იბერიის არ ეკუთვნოდა (ნ. ლომოური)¹⁸, მეორენი კი მიიჩნევენ, რომ ეს მხარე კამბერინის ნაწილი იყო ამ დროსაც (დ. მუსხელიშვილი)¹⁹.

17 „ქართლის ცხოვრება“, ტ. I, გვ. 45.

18 ნ. ლომოური, იბერიის სამეცნიერო საზღვრების საკითხისათვის ანტიკურ პერიოდში, „სოხუმის პერიოდი ინსტ. მუსტ. მუსტ. მუსტ.“, ტ. VII, თბ., 1954, გვ. 7.

19 დ. მუსხელიშვილი, ცხადობა, თბ., 1966, გვ. 31.

კამბეჩოვანი წარმოადგენდა სამი დიდი ამიერკავკასიური ქვეყნის: იმე-
რისის, ალბანიისა და არმენიის მოსახლეობები მცირე ქვეყანას, ე. ი. უველა, აშ. ქვე-
ყანასთან უშუალოდ დაიყვრინებულ მხარეს, რომელიც გადატემული იყო
მტკვრის ჩრდილოეთით ივრისა და აღაზნის ქვემო დინებაზე. იგი დასახლე-
ბული იყო ჰერული ტომის ხალხით, რომლის უმრავლესობა ალბანეთის და-
საცლეთ ნაწილში ცხოვრობდა; ამგვე დროს, როგორც ჩანს, იგი საკმაოდ კომ-
პაქტურად იყო დასახლებული ქართველებით²⁰.

ჩვ. წ. პირველი საუკუნეებისათვის კამბეჩოვანის ცხოვრების ამსახველი
ისტორიული წყაროები არა გვაქვს. ამ ხარვეზებს აისებს არქეოლოგიური ძეგ-
ლები, რომლებიც კამბეჩოვანის ერთ-ერთი ცენტრის, ხორნაბუჯის მიდამოებ-
ში (ძვ. ანაგა, ყოლოთო) არის აღმოჩენილი. ესაა ქვის აკლდამები და ოჩო-
სამარხები, რომლებიც III—IV ს. მიეკუთვნებიან. ისინი სრულ იდენტურო-
ბას ამერანებენ იძერის სხვა ტრიტორიებიდან მომდინარე მასალებთან
(მ. სინაურიდე)²¹. მაშასადამე, ამ დროს კამბეჩოვანი კარგა ხანია ქართული
კულტურის წერეს განეკუთვნება.

IV საუკუნისათვის კამბეჩოვანის დიდი ნაწილის ქართლისადმი კუთვნი-
ლება უკვე არავითარ ეჭვს ალარ იწვევს, რადგან ამ დროს, ქართლის გავრის-
ტიანების ხანაში, დაბა ბოლში კრძალავები მისიონერ ქალს ნინოს. ბუნებრივია,
რომ მისი საფლავი და იქ აგებული ეკლესია იქცევა ერთ-ერთ უდიდეს სარ-
წმუნოებრივ ცენტრად მოჰელ იძერიაში.

V ს. ვახტანგ გორგასალი საბოლოოდ იმტკიცებს ამ ქვეყანას და მის ერთ-
ერთ ცენტრში, ხორნაბუჯში, საეპისკოპოსო კათედრას ააჩვებს, რითაც ამ უძ-
ველეს ციხე-ქალაქს მოელი მხარის საეკლესიო ცენტრად აქცევს. ვახტანგის
მოღვაწეობის დასასრულს, V ს. ბოლოს, მოელი კამბეჩოვანი შემოუტოდა
ქართლს და საუფლისტულო ქვეყნად მიეცა ვახტანგის ვაჟს დაჩი²². ამავე
დროს კამბეჩინის აღმოსავლეთ ნაწილში ჭერ კიდევ ისხდნენ არა ქართველი,
ჰერული (ალბანური) მოსახლეობის გარკვეული ჯგუფები. მოსე კალანკატუ-
ლის ცნობით, ამ მოსახლეობას ეპისკოპოსნი გამოუგზავნა ალბანეთის მეფე
ვაჩაგან II-და²³. ეს მოხდა V—VI ს. მიზნაშე. როგორც ჩანს, აქ ისეთივე მდგო-
მარებობა, როგორც ქვემო ქართლში, საღაც ცურტივის საეპისკოპოსოში შერე-
ული ქართულ-სომხური მოსახლეობა იყო.

ამის შემდეგ ქართლში სპარსთა ბატონობა დამყარდა, მაგრამ VI—VII ს.
კამბეჩოვანის ქართლის ერისმთავრები განავებენ. აქ უკვე სრული ძალით გაი-
შალა ქრისტიანული ეკლესიების მშენებლობა. ამის მოწმობაა წმ. ნინოს ექ-
ლესია დაბა ბოლში და წმ. სტეფანეს ეკლესია ხირსაში (დღ. ტიბაანი), რომელ-
თა აგებდა გ. ჩუბინაშვილი VI ს. განსაზღვრავს²⁴.

კამბეჩინის ტრიტორიაზე ქართლის გზით ქრისტიანობის გავრცელებამ
და, მიშასადამე, ქართული ენის გაბატონებამ საგრძნობლად დააჩქარა და, შე-

20 Г. Меликишвили, К истории древней Грузии, Тбилиси, 1959, с. 123.

21 მ. სინაურიძე, გვანანტიური და აღრეცერდალური ხანის სამარხები ყოლოთ-
დან, „საქ. მუზ. მოამბე“, ტ. XXVII—B, 1967, თბ., გვ. 125; გვ. 126 ვ. ვ. აკლდამა ხორნაბუჯის
მიღმოებიდან, „ძეგლის მეცნიერება“, 9, 1967.

22 „ქართლის ცხოვრება“, ტ. 1, გვ. 199.

23 იბ. თ. ვაკევილი, პერიოდის სტორის საკითხები, თბ., 1970, გვ. 42.

24 Г. Чубинашвили, Архитектура Кахети, текст, 1959, с. 64.

VI ს. მეორე ნახევარში ქართლში მოსული პირველი ბაგრატიონები „წარვიდეს კამბეჩოვანს და მოკლეს მათ სპარსთა სპასალარი და დაიყრეს კამბეჩიანი და დასხდეს ივანი მუნ ცხოვრებად ხორნაბუქს“²⁵.

VII—X სს. კამბერივანის ქვეყანა ცალელ აღმინისტრაციულ ერთეულად ჩანს. კახეთ-ჰერეთის გაერთიანებულ სამეფოში ეს ქვეყანა ცალელ საერისთავოს შეადგინდა: „პირველი (საერისთავო, თ. თ.) ხორნაბუჯს ანუ ხორანთას და მისიცა ქისიყი და გარეთ კახეთი კუხხეთის საზღვრამდე აღაზანსა და შტატებს შიგნით და ჰერეთის მთისა“²⁶.

XI ს. დაბაწყისიდან ეს მხარე გაერთიანებული საქართველოს შემადგენლობაშია. იგი მონაპირე საერთისთავოა, სადაც მახატლის ძენი ერისთავობენ, მათ ხორნაბუჯის ერისთავებს უწოდებენ, რომელთა შიშით „ყრმა ერ აუტირდებოდ დედასა გნძასა და ბარდას“. მეგვარად, ხორნაბუჯის (კამბეჩოვანის) მონაპირე საერთისთავი XI—XII სს. ცალკე პოლიტიკურ ერთეულად წარმოვიდგება. „ჰერეთის ერისთავები არ ფლობენ კამბეჩოვანს. კამბეჩოვანის შესატყვისი გვიან. ხანში ჭიშიყია“²⁷.

XIII ს. 40-იან წლებში საქართველო მონლოლთა ბატონობის ქვეშ მოექცა, რომელთაც იგი 8 დუმნად დაყვეს. პირველი დუმნის მთავრად დაინიშნა ევგარსლან ბაკურიანელი, რომელსაც „ხელთ უდვეს სპა ჰერეთისა და კახეთისა და კაბენინისა, ტულილიდან და ომიართ ვითარ მთამდე შამახისა“²⁸, ე. ი. ფაქტურად მთელი ქვეყანა თბილისიდან აღმოსავლეთით. კამბეჩოვანი აქაც გამორჩეული ქვეყანაა. ხორნაბუკელები კამბეჩოვანს ფლობდნენ XIII 50-იან წლებამდე, მაგრამ მალე ამ მხარეში მონლოლთა მძლავრობის გამო ხორნაბუკელთა მთელი საგვარეულო ამოწყდა.

1265 წელს საქართველოში ბერქა ყანის დიდი არმა შემოიტრა და მტკვრის მარცხნა ნაპირი და ორა-ალაზნის ქვემო წელი (იგივე კამბერივანი, იგივე ხორნაბუჯის საერისთავო, იგივე ქიშიყი) ისე აოხრა, რომ იმ დროიდან მოყოლებული მრავალი ხეის განშეაღლობაში ას ქვეყნის სამხრეთ ნაწილში მოსახლეობა ვეღარ მოშენდა. ამას ხაზგასმით აღნიშნავენ ქართული წყაროები და მათ შორის ვახუშტიც.

XV ს. II ნახევარში კახეთის დამოუკიდებელ სამეფოში საერისთავოთა ნაცვლად უფრო მცირე ერთეულები, სამოურავები, ჩამოყალიბდა: „მაშინ მოისპო ერისთავნი ჰერ-კახთა შინა და დასხნა მოურავნი დიდითა და მცირეთა ადგილთა, ვითარება არიან დღემდე მოურავი ქისიყისა, ელისენისა, წუმეთისა, დოდოეთისა“²⁹.

²⁵ „ქართლის ცხოვრება”, ტ. I, გვ. 373.

26 ଜୁଲାଇ ୧୯୮୦, ଶ୍ରୀମତୀ ପାତ୍ନୀଙ୍କ ବସନ୍ତରାଜ, ପୃଷ୍ଠା ୫୬୧.

²⁸ „ପାରୀତଳୋପି ଅନ୍ଧମାରୀପା“, II, 23, 207.

²⁹ അംഗീകാരപ്പെട്ടത്, 11, പു. 207.

ამავე ხანებიდან კახთა სამეფო სამხედრო თვალსაზრისით საღროშოებად დაიყო (ქართლის სამეფოს ანალოგიურად) და საღროშიც სარდლობა ჭრუტურული იყო ეპიკობოსებს და ეკისარაფუტურული იყო თის საღროშოთაგან მეწინავე იყო ბოდბელის სისარდლო, რომლის ბირთვის შეაღვენდა ქიზიყი, ხოლო მისი საზღვრები გაცილებით შორს ვრცელდებოდა: ალაზნის ველზე სოფ. კონდოლამდე (თელავის მახლობლად) და ივრის ხეობაში სოფ. მანავაძე (საგარეჯოს მახლობლად).

XVI ს. II ნახევრიდან კახეთის სამეფო ყიზილბაშური ირანის გამუდმებული შეტევის მოგერიებაში, ხოლო XVIII ს. დააშეყისმი შაპ-აბასის ოთხშის ლაშქრობამ კახეთი წელში გატეხა და გაპარტახა (1614—1617 წწ.). ამიერიდან კახეთში ან განჯის ხანები ბატონობდნენ, ან გამაპატანებული ქართველი მეფენი, რომელთაც რეზიდენციად ყარალაჯი გაიხადეს, ხოლო საზაფხულო სასახლე მაღარიში ჰქონდათ.

ყარალაჯის არჩევა კახეთის ცენტრად მოულოდნელია და მას ასენა სუირდება. მანავაძე ეს პუნქტი არაურით გამოიჩინეოდა, მოუხედავად მისი მოხერხებული მდგებარებისა, ყარალაჯი იქვეა ხორნაბუჯთან, სულ 4—5 კმ-ზე ჩრდობომ. ალაზნის ველზე. მაპმაღაზი მმართველები, რომელთა მთავარი საყრდენი ძალა მოყვანილი ყარი იყო, ბუნებრივია, ისეთ ადგილს აირჩევდნენ, სადაც დიდი რაზების დაბანაკება იყო შესაძლებელი და ცხენ-აქლემთა საძოვრებიც ახლოს იქნებოდა. ამავე დროს, ყარალაჯიდნ მოხერხებული გასასვლელება ალაზნის ველის საღრმეშიც და ივრის ხეობისკენაც. თანაც, ყარალაჯში მდგარი გარნიზონის მომარაგება და შეესება პრობლემად არ უნდა ქცეულიყო, რადგან აქედან უკვე გაშლილი ველები იწყება, რომელთა ჩაეტვა ან გადაჭრა ადგილობრივ ძალებს არ შეეძლოთ. ასე რომ, ყარალაჯი ტიპიური მაპმაღიანური ცენტრი განდა საქართველოს აღმოსავლეთ პერიფერიაზე. ზაფხულში აქ გაუდლისი სიცხეა, მაგრამ საზაფხულო რეზიდენციად საქმაოდ მაღლა მდგებარე მაღაროს მიღმოვინდებოდა, რომელიც სიღნაღმაც კი ზედ დაკურების.

უფრო გვიან, როდესაც ქიზიყის პუნქტებიდან ერებუ შეორებ სიღნაღმისცა უპირატესობა და მისი ინტენსიური შენება-გამაგრება დაიწყო, რათა იქედან შებრძოლებოდა ლეკიანობას და შიშიანობის დროს თითქმის მთელი ქიზიყის მოსახლეობა სიღნაღმის დიდ გალავას შეეფარებინა, საზაფხულო საჯდომად იგი ისევ მაღაროს იყენებდა.

თავის ცნობილ აღწერაში ვახუშტი კახეთის მთის შესახებ ამბობს: „უალეთის ბოლომდე მდებარებს ჩრდილოდიდ სამჭრით, მერმე წარმოვალს და მივალს მაღარო-ხორნაბუჯამდე, აღმოსავლეთ-სამხრეთს შუა მდებარებს და უძეს აღმოსავლით შიგნით-კახეთი, სამხრით ქიზიყი, დასავლით გარეთ ქახეთი და ერწო-თიანეთი“. ეს განსაზღვრა მთლად ზუსტი არ არის, რადგან ქიზიყის საქაოდ დიდი ნაწილი კახეთის ანუ გომბორის ქედის ჩრდილო-აღმოსავლეთ ფერდობებს ეკვირის სოფეები ანაგიდან დაწყებული ვიდრე ყარალაჯიდე.

ივ. ჯავახიშვილი კამბეჩანისა და ხორნაბუჯის შესახებ ასე მსჯელობს: „კუსეთის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილს ერქვა „კამბეჩანი“, „ქვეყანა კამბეჩანისა“, ანუ „კამბეჩოანი“ სომხური უსახელო გეოგრაფიის თანახმად „კამბეკანი“ აღმანისის ერთი სანახებთაგანი ყოფილა, მტკვართან მდებარე. თამარ მეფის ისტორიკოსის სიტყვებიდან ჩანს, რომ კამბეჩანში „შიგნით მინდონი“ ყოფილა,

ხოლო გარეშემო, აღმათ, მთებით იყო მოზღვდული. ჭუანშერი აშენებულ კროში „ქალაქი კამბეჩანისა... არს ხორნაბუჯი“ და ბაგრატიონინთა მემატიფესიუმბარის ტიც ამას აღმატერებს. როდესაც მოვვითხრობს, თუ როგორ „დამყრეს კამბეჩანი და დასხდეს... მუნ ცხორებად ხორნაბუჯის“ ბაგრატიონთა წინაპრები. ქველს მწერლობაში რომ საღმე ქ. ხორნაბუჯის მდებარეობა ნიშანდობლივ აღწერილი ყოფილიყო, მაშინ თვითი კამბეჩანის საზღვრებიც დაახლოებით გამოიჩვეოდა, მაგრამ ასეთი რამ არსად არის. სომხური უსახელო გეოგრაფია ალბანიის მდ. მტკვარსა და კავკასიის მთებს შორის ათავსებს და კამბეჩანისითვის მტკვრის სანახები აქეს მიეკუთნილი, ხოლო ვახუშტი ამტკიცებს: „საქვაბე (საქობი) ასანურამდე არს აღგილი ქისიყისა... ამას ეწოდა პირველი კამბეჩოვანი“; ხორბანუჯის მდებარეობა კი ასე აქის განსაზღვრული: „ყარალაგის სამხრით, დასტყდების ჰერეთის მთა, ანუ ციფის მთა, მუნ არს ხორნაბუჯი“. კამბეჩანში ხორნაბუჯის გარდა სხვა ქალაქებიც ყოფილია; ჭუანშერი მოვკითხერობს, რომ სპარსთა მეფემ „შემუსრნა ქალაქინი კამბეჩანისანი“³⁰.

რა თქმა უნდა, ამ სხვა ქალაქებში პირველ რიგში იგულისხმება ქალაქი ხორანთა ანუ ქართული წყაროების ქალაქი ჰერეთი „შესაკრებელთა შორის ორთავე ალაზანთასა“ (ლეონტი მრაველი).

აქ ყურადღებას იქცევს კამბეჩანის ამ ორი ყველაზე დიდი ცენტრის სახელთა მსგავსება: ხორანთა — ხორნაბუჯი, მით უმეტეს, რომ ზოგჯერ წყაროებში დაცულია ღორმა ხორნაბუჯი. ამას ყურადღება მიაქციეს ისტორიკო-სემა და შეცეცანენ მისი ახსნა მოეცა.

თეიმურაზ ბაგრატიონი ფიქრობდა, რომ ამ ორ სახელში ერთი ქალაქი იგულისხმებათ: „შესაკარსა საშუალ სრუტისა ორთა ამათ მდინარეთასა არს ციხე ხორანთისა, ესე იგი ხორნაბუჯი, რომელიცა უძველესთა ღრროთა შინა იყო ქალაქი დიდი ციხითა დიდითავე“, ხოლო იქვე სქოლიოში შენიშვნავს: „ხორანთა ანუ ხორნაბუჯი“ იყო „ივერიისა სოფელთა, დაბათა და ციხე-ქალაქთა შორის“ ყველაზე აღრინდელი, „ფრიად დიდი და ერ-მრავალი ქალაქი და ციხე“, რომელიც მურვან ყრუმ აახსრაოში.

ახლა, როდესაც ლ. ჭილაშვილმა მიაკვლია ქალაქ ხორანთას ნაკვალევს, სადაც შედაპირული აჩქეოლოგიური მონაცემების მიხედვით ირკვევა, რომ იგი ქველად „ერთ-ერთი დიდი და მდიდარი ქალაქი უნდა ყოფილიყო“, უკვე გადაწრით შეიძლება იმის მტკიცება, რომ ხორნაბუჯი და ხორანთა სხვადასხვა პუნქტია, თუმცა ქართული საისტორიო წყაროების მიხედვით, ეს აღრეც კარგად უნდა გარკვეულიყო.

თითქმის თეიმურაზისეულ შეცდომას იმეორებს ს. კაკაბაძეც, რომელიც ცდილობს, მეცნიერული საყრდენი გამოიყებონს ამ ორი პუნქტის იდენტიფიკაციას მათ სახელწოდებაში შემონახული ხორან ფუძის მიხედვით: „ხორანთა-ში თა არის აღგილის დაბოლოება (მცხე-თა, მოგუ-თა), ხორან (ხორან) წარ-

30 ივ. ჭავახიშვილი, საქართველოს საისტორიო გეოგრაფია, „ქართველი ერის ისტორია“, წ. II, თბ. 1948.

31 თეიმურაზ ბაგრატიონი, ისტორია საქართველოსა, 1848, გვ. 14.

მოდგრინილია სიტყვაში ხორნაბუჯი, რომელშიაც ბუჯი ბ-ის დარბილებით ფუნქციური და ქართულ ნიადაგზე ჭ-ს ძ-ში გადასცლით... უდრის ქართულს ფურქს და კანკელი გი ხორნაბუჯი ყოფილა კამბერივანის ქალაქი, მდებარე „იორის შესახიაცს“ და მტკვარს შუა, ალაზნის მარჯვენა სანაპიროს“ „მისი ძველი სახელი უნდა ყოფილიყო ხორანთა“³².

ვანე ლოლაშვილი ცდილობს ხორანთას და ხორნაბუჯის ფუძისულ პირველ ნახევარში ფალაური ხუანან (მზეთა) დაინახოს, ხოლო ხორანთას თა ქართული მთის ნარჩენად მიიჩნიოს და ხორნაბუჯის ბუჯი ფალაური კურპის სახელწოდებად. მისი დასკვნა ასეთია: „ხორნაბუჯში, უნდა ვეძიოთ მზის ტაძარი — წარმართობის ღროინდელი საკულტო ცენტრი, რომლის საფუძველზე შემდეგში აღმოცენებულა ფეოდალური ციხე-ქალაქი და ქრისტიანული საეპისკოპოსო კათედრალი“ და კიდევ, „ძველად ხორანთას ტერიტორიაზეც სანამ იქ ქალაქი აშენდებოდა, არსებულა მზის კერპი (თუ ტაძარი), რომელიც ჰერთა წარმართულ სალოცავს წარმოადგენდა, ხოლო ქრისტიანობის გავრცელების შემდეგ მის ნაფუძძარზეც აღმოცენებულა ციხე-ქალაქი“³³.

ჩვენი აზრით, ასეთი ვარაუდის დაშვება შესაძლებელია, მაგრამ კიდევ უფრო მეტად სავარაუდოა, ამ ორი მეტად მნიშვნელოვანი პუნქტის სახელში ერთიდაიგვე ფუძის (ხორ) ასევებობა აისწანას ეთნიკურ ნიადაგზე და აქ, ისტორიული კამბერივანის ტერიტორიაზე, ჰერთა ეთნიკური განსახლების არეალში, ქვეყნის ორი მთავარი ცენტრის სახელში, მათი — ჰერების (ხორ-ჰერ) იქ ჯდომა დავადასტუროთ ტოპონიმიკითაც. ამ ვარაუდს უნდა ამაგრებდეს, ჩვენი აზრით, ქართული წყაროების ჩვენება, რომლებიც ხორანთას ჰერეთსაც უწოდებენ.

ლეონტი მროველს ხორანთა მითითებული აქვს „შესაკრებელთა შორის ორთავე ალაზანთასა“, ე. ი. იორ-ალაზნის შეერთების ადგილზე და მიაჩნია ჰერების პოლიტიკურ ცენტრად. წერილობით წყაროებში ცნობები ხორანთას შესახებ მცირებადა, სამწუხაროდ, იგი არქეოლოგიურადაც არ არის შესწავლილი. 1965 წ. ლ. ჭილაშვილმა დაადგინა მისი ზუსტი ადგილმდებარეობა და მცირება სადაზეგრვო სამუშაოებიც ჩაატარა. ხორანთის ნაქალაქარი ვრცელ ტერიტორიაზე გათარმილი იორ-ალაზნის შესაყარზე, მისგან ჩრდილოეთით დაახლოებით 5 კმ-ზე. „ნაქალაქარი განლაგებულია ალაზნის გასწვრივ გამავალი ქედის სამხრეთის კალთებზე და ვრცელდება ვაკემდე, საიდანაც ელდარის ველი იწყება... ზედაპირული არქეოლოგიური მასალით ხორანთა განსაკუთრებით ვრცელი და ნალებრავალი ქალაქია აღრეცეოდალურ ხანაში“³⁴.

კლიმატური პირობების გამო დღეს იორ-ალაზნის შესაყარის მიღამოები დაუსახლებელია. ლ. ჭილაშვილის აზრით, „ძველად განსაკუთრებული ზრუნვის შედეგად ეს ადგილები საკმაოდ ნაყოფიერი ყოფილი ისე, რომ ქალაქის აშენებაც კი გახდა შესაძლებელი. აღამინის მიერ ხელოვნურად შექმნილი

32 ს. კაკაბაძე, ქართული სახელმწიფო იუნივერსიტეტის გენეზისის საკითხები, „საინტორიო მომენტები“, I, 1924, თბ., გვ. 52.

33 ი. ლოლაშვილი, ქართული წარმართული საკულტო ტაძრები კამბერივანში, „მნათობი“, 9, 1977, გვ. 152.

34 ლ. ჭილაშვილი, ქალაქის ფეოდალურ საკართველოში, I, თბ., 1968, გვ. 60—62.

ლონისძებებიდან მთავარი იყო საირიგაციო სისტემა, რომლის ნაწილშიც კლემური მოაღწია. მის გარეშე ცხოვრება აქ შეუძლებელი იქნებოდა³⁵ და დება მეტად საინტერესო საკითხი: რას ეყრდნობოდა საერთოდ კლემური ბენანის და კერძოდ მისი სამხრეთი ნაწილის (შირაქის ველის) ეკონომიური სიძლიერე—შირამოქმედებას თუ მესაქონლეობას, რომელი იყო მათ შორის გადამზუდები მნიშვნელობის მქონე? ჩვენი აზრით, ბუნებრივი პირობების გამო (ცრულად გადაშლილი უწყლო და დასერილი ველები) აქ უპირატესი მნიშვნელობისა იყო მესაქონლეობა. ფეოდალური ეპოქის მანძილზე იგი ითვლებოდა მთავარ საზამთრო სამოვრებად თითქმის მთელი აღმოსავლეთი საქართველოსათვის.

ხორანთა ქვეყნის ცენტრი უნდა ყოფილიყო მანამ, სანამ კამბეჩიანში სპარმობდა ჰერული მოსახლეობა, ხოლო შემდეგ ამ ქვეყნის თანდათან გაქართებასთან ერთად კამბეჩანის ცენტრია, ბუნებრივია, ჩრდილოეთით გადაინაცვლა, რადგან სწორედ აქვდან მოიშვედა მძლავრად და საფუძვლიანად ქართული ეთნიკური ელემენტი. ხორანთის დაცვა, შესაძლოა, სწორედ ახალი ცენტრის, ხორნაბუჯის, დაწინაურებამ განაპირობა.

ქართული სისტორიო წყაროების მიხედვით, ხორნაბუჯი უძველესი დროიდანვე კანბეჩანის მნიშვნელოვანი პუნქტი იყო. ამასვე ადასტურებს მის მიღამოებში მოპოვებული აჩვეოლოგიური მასალა, რომლის უძველესი ძეგლები ძვ. წ. IV—III ს. ცვლილი. როგორც ჩანს, ხორნაბუჯი უკვე ანტიკურ ხანში წარმოადგენდა საქმიან დაწინაურებულ დასახლებას, რაც განპირობებული უნდა ყოფილიყო ორი გარემოებით: სტრატეგიულ მდებარეობითა და სამეურნეო პირობებით. იგი კარგად არას დაცული, მოხერხებულ აღგილზე მდებარეობს და გარს აკრას შევენიერი სახნაგაბაძლევრები. ხორნაბუჯის ცახე გაშვენებულია გომბორის (ცვის) ქედის ბოლო კონცხზე, მიუვალ კლდეზე, თითქმის 90 მეტრის სიმაღლეზე. იგი თავზე დასცეკრის ქალაქში აღაზნის ველიდან შემოსასვლელ კლდეების და კარგად აკონტროლებს მას. თვით ქალაქი გაშვენებული უნდა ყოფილიყო ცახის დასვლეთით მოთავსებულ ქვაბულში, რომელიც შემოფარგლულია მაღალი კლდეებით. ხორნაბუჯი ბატონიბდა აღაზნის ველიდან, შირაქიდან და ივრის ხეობიდან მომავალ გზებზე. ამიტომაც იყო, რომ V ს. მეორე ნახევარში, ვახტანგ გორგასლის დროს, აქ ასადება საეპისკოპოსო კათედრა³⁶, რაც იმის მომასწავებელი იყო, რომ მას კამბეჩანის რელიგიური მესვეურობაც დაეკისრა. ამავე დროს ხორნაბუჯი წარმოადგენდა დაჩის, ვახტანგის ძის, საუფლისწულო ქალაქს, კახეთ-ჰერეთის სხევა დიდ პოლიტიკურ და რელიგიურ ცენტრებთან—ქერემთან და ნეკრესთან ერთად. საისტორიო წყაროების მიხედვით, VI ს. ხორნაბუჯი კამბეჩანის ერისთავის რეზიდენცია³⁷. ამავე საუკუნეში ხორნაბუჯის ციხეს სპარსელები დაეპატრონენ, რომელთაც იგი გაუმაგრებიათ. ირანელთა განდეგნის შემდეგ კამბეჩანს და მის ცენტრს ხორნაბუჯს ბაგრატიონები ფლობენ. ამ დროიდან მოყოლებული მთელი აღრეფეოდალური ხანის მანძილზე ხორნაბუჯი მნიშვნელოვან როლს ასრულებს, იგი საერისთავოს ცენტრია, რომელშიც კამბეჩანს გარდა შედის

35 ლ. კილაშვილი, ქალაქები ფეოდალურ საქართველოში, I, თბ., 1968, გვ. 60—62.

36 „ქართლის ცხოვრება“, ტ. I, გვ. 199.

37 იქვე, გვ. 374.



„გარეთ კახეთი კუნძულის საზღვრამდე ალაზანსა და მტკვარს შიგნით დაჭრებული იყო“³⁸.

XI—XII სს. ხორნაბუჯი გაერთიანებული საქართველოს ერთ-ერთ სანაპირო საერთიანოს ცენტრია, სადაც მახატლის ძენი ერთიანობენ და მათ ხორნაბუჯის ერთიანობი ეწოდებათ. სანაპირო საერთიანოს განსაკუთრებული სიძლიერით გამოიჩინდნენ, რამაც ხორნაბუჯის მნიშვნელობა კიდევ უფრო აამაღლა. ამიტომაცა, რომ ხალხი მას თამარის ციხეს უწოდებს.

XIII ს. 60იან წლებიდან, ბერება ყანის ლაშქრობების შედეგად, ხორნაბუჯის ციხის ძლიერება ეცემა და საქალაქო ცხოვრებაც კვდება. გასულ საისტორიო წყაროებში ქრება ძველი სახელწოდება და მის ნაცვლად ჭოეთი იხმარება³⁹. ამიტომიდან ხორნაბუჯში საქალაქო ცხოვრება აღარ განახლებული, რადგან თითქმის მთელი კამბეჩანი ანუ ხორნაბუჯის საერთიანო მოობრიდა და მეურნეობა მოიშალა. ამ ხნიდან მოყოლებული მტკვრის მარცხნა სანაპირო და იორ-ალაზნის ქვემო წელი მოსახლეობისაგან დაიცალა. თუმცა ხორნაბუჯის ციხეს, როგორც ქვეყნის აღმოსავლეთის ფორპოსტს, თავისი მნიშვნელობა არასოდეს დაუკარგავს. XVI ს. კახთა მეფებს ციხე განუახლებიათ და ალექსანდრე კახთა მეფის დროს კოეთის ციხე კვლავ ციხეობს⁴⁰. უკანასკნელად ხორნაბუჯის ანუ კოეთის ციხე აღადგინა და გამაგრა ერკელე მეორემ, რათა ლეკინობის წინააღმდეგ ხანგრძლივ ბრძოლაში გამოეყენებინა.

სახელმწიფოს მიერ აღრიცხვაში აყვანილი და დაცული მატერიალური კულტურის ძეგლების რიცხვი ქიზიყის ტერიტორიაზე მეტად მცირეა, სულ 15 ერთეულს ითვლის: 1. ბოდბის წმ. ნინო, 2. ხირსის წმ. სტეფან, 3. ბერების სერი, 4. ქოლაგირი, 5. დავით გარეჯი (მაღაროსთან), 6. ფანანის ამაღლება, 7. თამარის ციხე, 8. წმ. ელია (ძველ ანაგასთან), 9. ბოდბისხევის წმ. გიორგი, 10. ვაჟირის ნათლისმცემელი, 11. ვაჟირის კვირაცხოველი, 12. სიღნაღის ციხე, 13. ოზანის ამაღლება, 14. ცლუნგანის სამება და 15. ხორნაბუჯის ციხე⁴¹.

ეს სია არც სრულია და არც ზუსტი. რად ღირს თუნდაც ხორნაბუჯის ციხის როჯერ ხსენება სხვადასხვა სახელით. სულ გამოტოვებულია მთელი რიგი ეკლესიებისა, რომლებიც აგებულია გვიან შუასაუკუნებში და ქიზიყის თითქმის ყველა სოფელში დგას, ზოგში კი რამდენიმე ერთად.

კახეთისა და მათ შორის ქიზიყის უმნიშვნელოვანესი მატერიალური კულტურის ძეგლები შესწავლით აქვს აყად. გ. ჩუბინაშვილს თავის ფუნდამენტურ გამოკვლევაში «არქიტექტურა ხახთი».

გ. ჩუბინაშვილის აზრით, კახეთის აქტიტექტურული ძეგლები მკვეთრად გამოიჩინებან მთელი ქრისტიანული კავკასიისა და თვით საქართველოს ძეგლებისაგან ისტორიის გრძელ ვანძილზე. პირველ რიგში ეს ცხება მათ განლაგებას. კახეთის სოფლები განლაგებული იყო მთის ფერდობებზე, ტყიანი ზოლის პირას, ხოლო სალოცავი წმინდა აღგილები შიგ ტყეში, მთებზე ან ხეობებში. მეორე თავისებურებაა სამშენებლო მასალა — რიყის ქვა. იშვიათი გა-

38 ვახუშტი ი, საქართველოს ისტორია, გვ. 561.

39 ვახუშტი ი, აღმერა..., გვ. 97.

40 „ქართლის ცხოვრება“, ტ. II, გვ. 382.

41 საქართველოს სსრ კულტურის ძეგლები აყვანილი სახელმწიფო დაცვაშე, თბ., 1959, გვ. 105, 127.

მოხალისის გარდა, კანეთის აჩვენებულისათვის დამახასიათებელი განსაკუთა-
ებებული წყობა რიყის ქვით და არა გათლილი დიდი ლოდებული ტექნიკული
ქართლში. აქედან გმომდინარეობს მესამე თავისებურება — კანეთის ხუ-
როოთმოძრავული ძეგლები მოკლებულია ორნაციონალური ტელეტე-
რიოთაც ასე გამოიჩინევა საერთოდ ქართული აჩვენებული. შეოთხე თავისებუ-
რება გამოიხატება ავურის ფაზოთ ხმარებაში. აღრეფეოდალურ ხანში მას
სხმარებენ რიყის ქვასთან მორიგეობით წყობისათვის, ხოლო გვიან შეიასაუკუ-
ნეებში იგი მნიშვნელოვნად ჭარბობს თვით რიყის ქვასაც კი. შეხუთუ თავისე-
ბურება ეპიგრაფიკულ ძეგლთა იშვიათობა, ანუ ის გარემოება, რომ კანეთის
ხუროოთმოძრავულ ძეგლებს არა აქვთ ან მეტად მცირე რაოდნობითა აქვთ
ჭარფულები, რაც ხშირად გადაწყვეტ როლს თამაშობს ძეგლის დათარიღება-
ში.

ვრცელ მონოგრაფიაში გ. ჩიტბინაშვილი ქიზიყის საკულტო ხუროთმოძღვრების ძეგლებიდან განიხილავს სამ ყველაზე მნიშვნელოვან ძეგლს: ბოლგის „წმ. ნინოს“, ხირსის „წმ. სტეფანეს“ და ოშაანის „ამაღლებას“. ბოლგის „წმ. ნინო“ და ხირსის „წმ. სტეფანე“ ერთ-ერთი უძველესი ძეგლებია კახეთისა და საერთოდ საქართველოს გაზილიკებს შორის და VI ს. თარიღდებიან. ხირსის პაზილიკა VIII—IX სს. გუმბათიან ტაძრად გადაუკეთებიათ. ასევე გუმბათიანი ეკლესია ოშაანის „ამაღლება“, რომელიც IX—X სს. ეკუთვნის.

ხირსის წმ. სტეფანეს კლესია, გაღმოცემის თანახმად, დაუარსებია ცა-
მეტ სიჩირე მამათაგანს სტეფანე ხირსელს. კლესია თავდაპირველად ბაზი-
ლიკას წარმოადგენდა, ხოლო ახლა გუმბათიანი ტაძარი, რომელიც მოპირ-
ეთებულია გათლივი ქებით და დაშვენებულია ორნამენტით, რაც ასე იშ-
ვიათია კახეთის ძეგლებს შორის. იგი რამდენჯერმე გადაეცებული და შე-
ცეცხლილი. თავდაპირველი ნაგებობა სამნავიანი ბაზილიკა უნდა ყოფილიყო
რომელიც VI ს. აუგიათ. მისი ნაწილები კარგად შეიმჩნევა დღესაც. ეს იყო
მოგრძო ნაგებობა ოთხი წყვილი სვეტით და ხუთი თაღით. მისი გვერდობი ნა-
ვები მეტად ვიწრო იყო. ეკლესიაში, გაღმოცემით, დაკრძალულია სტეფანე
ხირსელი. ბაზილიკა ეკუთვნის საქართველოს ბაზილიკების ერთ-ერთ უძველეს
ჯგუფს: ბოლნისი, ურბნისი, ხაშმის სამება და სხვ.

ხირსის ბაზილიკა გადაუკეთებიათ VIII—IX ს., შემდევ იგი შეუკეთებიათ და გაუმშევნიერებიათ ჯერ X—XI ს., შემდევ კი XVI ს. ხირსის მონასტერი, ბოდის მონასტრის მსგავსად, შუასაუკუნეების საქართველოს მნიშვნელოვან კულტურულ-საგანმანათლებლო კერას წარმოადგენდა.

კანების ბაზილიკების მომდევნო ჯგუფს (კონდოლი, ახმეტა, ვაზისუბანი და სხვ.) კეთვნის ბოდბის წმ. ნინოს მონასტრის უცველესი კლესია. იგი სილ-ნალის მასლობლად მდებარე სოფელ ქედელის მიდამოებშია აგებული. XIX ს. ეს ძეგლი ისე შეიმუშავებოდ გადაკეთეს, რომ დღეს სპეციალისტებს უკირთ მისი პირვანდელი სახით წარმოდგენა. ეკლესია აგებულია წმ. ნინოს საფლავ-ზე. იგი, ქართული წყაროების მიხედვით, აქვე გარდაცვლილა. ვაჟუშ-ტრის ცნობას — „არს ბოდბეს ეკლესია გუმბათიანი, ღილშენი, მშევნიერი. აქ მიიცვალა წმინდა ნინო და დაუფლა აქვე. ოღმენა და შეაძვი საფლავი მისი და ეკლესია კე მეფებმან ბაქარ“, ერთ-ერთი მისი ნუსხის გადამწერი, კერძოდ და-კით ინანშეითი (S № 4990) 1816 წელს უმატებს: „ამ პევზედ არის დაბა დი-



დი ბოდბე, პირველწლიდებული ბოდა. ამ კეცის ჩრდილოთ და ბოდბეს უკანაზე გასვლეთ მცირედ დაშორებით არს წმ. გოორგის ეკლესია, უგუმბათო ქუთათელი ეკლესია შვენიერად ნაგები. აქ მიცევალა წმ. ნინო და დაფლულ არს აქვე. ამასვე გვა-მოწმებს პლ. ოსელიანი, რომლის თქმით, ეკლესია წმ. გოორგისაა, ხოლო მი-სი სამხრეთი მინაშენი, სადაც წმ. ნინო დაკრძალული, წმ. ნინოს სახელობისაა.

ბოდბის ეკლესია სამნავიანია. მისი აფსიდები აღმოსავლეთ ფასადზე ნახე-ვარწილულ შვერილებს ქმნიან. სამხრეთი ნავის აღმოსავლეთ ნაწილში მიუ-თითებენ წმ. ნინოს სამარხის ადგილს. ზოგიერთი ცნობით, წმ. ნინოს სამარხი შემდეგში ძირითად ნავში გადაუტანიათ. პირველი დიდი რესტავრაცია ბოდ-ბის ეკლესიას XVII ს. განუცდა, როდესაც შეპ-აბასის შემოსევის შედეგად განადგურებული მონასტრი მეფე თეიმურაშს აღუდენინებია 1631 წელს. „მოვედით კარსა საყდრისა და სადიდებელისა სამარხისა და ტაძრისა თქუნი-სასა, ვინილეთ რომე მოშლილ იყუნს და იავარქმნილიყო“⁴².

მეორე საფუძვლიანი გადაკეთება ეკლესიამ XIX ს. 20-ან წლებში განი-ცადა ეპისკოპოსი იოანე ბოდბელის — მაყაშვილის თაოსნობით (ამ სახითა დგას დღეს იგი): „ხატო და ბრწყინვალებათ ღოთისა მამისათ შეწევნით.... და წყალობითა ვიწყე ეკლესისა მის განახლებად და ორთა კარიბჭეთა და ეპ-ლესისა მისა გუმბათისა ახლად აღშენებად ს-დ ეკლესისა მის დახატვად კარის ბჭებითურთ და კანკლისაც ახლად გაეფტებად და ყოვლითავე ეკლე-სისა სამეაულითა შემებად ჩენ უ-დ უსამღვდელოებამა სიონალისა და ქი-ზიყის მიტროპოლიტ და კავალერმა მაყაშვილმა ბოდბელმა იოანემ. ვითხოვ აღ-მომჟითხელთაგან, რათა ჰყოფდეთ ხსენებასა ჩემსა წელსა ჩყევ“.

ამ ძროსაა შელესილი თეთრად და მოხატული მთელი ეკლესია რუსი ლატარის თუ ისტატების მიერ.

გ. ჩუბინაშვილის აზრით, ბოდბის ბაზილიკის უძველეს ფენას ეკუთვნის აღმოსავლეთ ფასადზე გარეთ ნახევარწრეულ გამოშვერილი სამი იასიდა (ისე-ვე, როგორც ბოლნისში, გვაზსა და ნინოშმინდაში). ქართული მატანეების ცნობით, მირიან მეფეს მაშინვე აუგია ტაძარი წმ. ნინოს საფლავზე. VII—IX სს. აქ მდგარი დველი ეკლესი, რომელიც მიაჩნდა IV ს. ძეგლად, რაღაც იგი ითვლებოდა წმ. ნინოს საფლავზე მდგრად და შესაძლოა, მისმა ფრაგმენტებმა ჩენამდე დლევანდელი ეკლესის სამხრეთ ნავის სახით მოაღწია. წმ. ნინოს საფლავზე მდგარი პატარა სამლოცველო თანდათან VII ან VIII—IX სს. ვრცელ ბაზილიკად ქცეულა, ხოლო XVIII და XIX სს. უკვე დლევანდელი სახე მიუღია. გუმბათიან ეკლესიად იგი მხოლოდ XIX ს. უნდა ქცეულიყო.

გახუმტის ცნობით, ბოდბის მონასტრებში „ზის ეპისკოპოსი, მწყემსი ქი-ზიყისა და ვიდრე კონდოლამდე, აქუს სასპასპეტო დროშაცა, და არიან სად-როშონი მისნი ქისიყით კონდოლამდე და მანევამდე, და არს ბრძოლასა მეწი-ხევე. ბოდბელი არს პირველი ეპისკოპოსი კახეთისა...“⁴³.

ბოდბის ეკლესია ამავე ძროს ერთგვარ პოლიტიკურ ცენტრსაც წარმოად-გენდა, რამდენადც ამ მონასტრის მიტროპოლიტს კახეთის მეფეების კურთხე-ვის უფლება ქვენდა. მაგალითად, ბოდბის ეკლესიაში დაიდგეს სამეფო გვირ-გვინი კახეთის მეფეებმა: ლევან II, ალექსანდრე II, თეიმურაზ I და სხვებმა.

42 ს. კადაბაძე, ისტორიული საბუთები, 17, თბ., 1913, გვ. 18.

43 ვახუშტი, აღწერა..., გვ. 542.

აღსანიშნავია, რომ ბოდბის მონასტრის კუთვნილ ტერიტორიაზე, იგრის ხეობაში, კლდეში გამოკვეთილია რამდენიმე გამოქვაბულთა კომპლექსის ციფრული მელთაგან გამოიჩინება „მაღაზანები“ და „ქლაგრები“. აღგილობრივი მთები სახლეობა მათ ბერების გამოქვაბულებს უწოდებს. ისინი XI—XIII სს. თარიღდებიან და რთული აგებულებით ხასიათდებან. კლდეში გამოკვეთილია მრავალი სენაკი თუ ეკლესია. შემორჩენილია ფრესკებისა და წარწერების მრავალი ფრაგმენტი.

მესამე მეტად მნიშვნელოვანი საკულტო ხუროთმოძღვრების ძეგლი ქიზიში, ბოდბისა და ხორის შემდეგ, ორი ოზაანის „ამაღლება“. იგი დგას სოფოზაანიდან დაახლოებით 4 კმ-ზე, ტყეში, ალაზნის ველისაკენ მიქცეულ მთის კალაზე. კასუშტი მას არ იხსენიებს, მაგრამ მისი „აღწერის“ ერთ-ერთი გადამწერი, იგივე დავით ინანაშვილი (S № 4990, 1816 წ.) ქიზიყის აღწერისას უმატებს, რომ „ხორნაბუჯის ჩრდილოთ, მთაში ას ეკლესია ამაღლებია, კეთილშეენირ ნაგები, გუმბათობი, შეუმუსრავი და დახახტული“. ესაა ცენტრალურ-გუმბათოვანი ტიპის ტაძარი, რომელიც დგას ტყის შუაგულში მოქცეულ პატარა მინდონზე. აქ განსაკუთრებით ინტერესს იწვევს ის, რომ ეკლესია ნაგებია მთლიანად აგურით, იატავსა და სახურავზე გამოყენებულია მოჭიქული კერამიკის ფილები. შემორჩენილია კანკელი, შესრულებული უდიდესი ისტარობითა და ხელოვნებით. ასევე დიდ ინტერესს იწვევს ფრესკები, რომელთა დიდი ნაწილი გადარჩენილია. ფესალაში ფრესკაზე შემორჩენილია მათი მხატვრის წარწერა: „ქრისტე ღმერთო, შეუნდვენ მოქაელს, ამინ“. ოზაანის ამაღლების ფრესკები XII—XIII სს. მიზნისაა. ეკლესის ეტყობა XVI ს. აღექსანდრე კათა მეფის დროინდელი გადაეცების კვალი.

რ. შეერლინგის სიტყვით, ოზაანის ამაღლებაში შშენებლებმა ჩააქსოვეს ყველაზე საცეკვესო, რაც შესაძლოა მათ განკარგულებაში იყო: შშენიერი, გათვლილი და გაანალიზებული ხუროთმოძღვრება, საცეკვესო ფერწერა, მოჭიქული კერამიკა იატავზე და სახურავზე, ბრწყინვალე ჩუქურთმიანი კანკელი. როგორც ჩანს, მისი შშენებელი არა მარტო სახსრებს არ იშურებდა, არამედ ფრიად დიდი მხატვრული გემონებითაც გამოიჩინოდა. სამწუხაროა, რომ არ შემორჩა ქრისტოთა გამოსახულებანი, რაც მიგვითითებდა ქიზიყის ისტორიაზე, იმ დროზე (XIII ს.), იმ სოფელზე, რომელსაც ეკუთვნილა ეკლესია. ერთადერთი, რაც არ უდგებოდა ტაძრის დათარილებას, ეს იყო მისი მეტად დაბალი გუმბათის ყელი. გ. ჩუბინაშვილმა მიაჟირა ყურადღება სწორედ ამას, აგრეთვე თაღების ნალისებურობას, სხვა დეტალებსაც და ოზაანის ამაღლება IX—X სს. დაათარილა.

ქიზიყის ისტორიული გეოგრაფიის თვალსაზრისით მეტად არსებითია, რომ ქიზიყის ყველაზე ძველი და მნიშვნელოვანი ბუროთმოძღვრული ძეგლების ქრონოლოგიის საკითხები კარგადაა გარკვეული. ის მოწმობს, რომ დღევანდელი ქიზიყის მცირდოდ დასახლებულ არეალზე (ანაგიდან ხორნაბუჯამდე და სუკრიანიდან წითელწყარომდე), რაც საერთოდ მთელი ქიზიყის ტერიტორიის მცირე ნაწილს შეადგენს, უძველესი ხანიდანვე ასეთივე მცირდო და კომპაქტური მოსახლეობა იჯდა. არც ერთი ძველი ძეგლი დღევანდელი სოფლებიდან დიდი მანძილით არაა დაშორებული. ბოდბის წმ. ნინო და ხირსის წმ. სტეფანე ხომ სულაც სოფლის განაპირობაა. როგორც ჩანს, VI ს. აქ საფუძველი ეყრება ფართო სამონასტრო შშენებლობას და მთელი აღრეფეოდალური ხანის

განძილზე, X ს. ჩათვლით, იგი მეტნაკლები ინტენსიონით მიმდინარეობს. გვიანი შუასაუკუნეების ხანაში ქიზიში შენდება რიგითი სოფლის ეკლესიების მუშაობისას მოხილული უძმრავი, მართალია, ხელოვნების ისტორიის თვალსაზრისით უფრო ნაკლებ მნიშვნელოვანი, მაგრამ ისტორიული გოგრაფიის თვალსაზრისით საინტერესო ხუროთმოძღვრული ძეგლები ქიზიყდა.

ქიზიყის წინამსარში, გომბორის ქედის ჩრდილო-აღმოსავლეთ ფერდზე, თითქმის უწყვეტ ჭაპვალ განლაგებულია სოფლები: ანაგა, ვაქირი, მაშნარი, საქობო, ასანური, ჯუგანი და ტიბანი, რომელთაც დროთა განმდევნებაში ოდნავ დაბლა, ალაზნის კელისაკენ, ჩაუნაცვლებათ. ეს კარგად ჩანს ქედის კალთებზე მიტოვებული დიდი ნასოფლარებიდან, რომლებშიც ძირითადად გვიანი შუასაუკუნეების ეკლესიებია მიმოფანტული. განსაკუთრებით ეს ითქმის ანაგის ნასოფლარზე, სადც კველა ეკლესი გვიანი დროისაა, უფრო ადრეული ცხოვრების კვალი კი არ ჩანს. გადმოცემის თანაბმად, სოფელი ამ ადგილზე ძველი ანაგიდან გადმოსახლებულია, რაც დასტურდება იქაური ტოპონიმებითაც: სოფელი ძველი ანაგა და სახნავი ადგილი სახავო.

ვაქირი აღრი სიღნალს უშუალოდ ეკვროდა. სიღნალის სასაფლაოზე მდგარ ეკლესის ვაქირის წმ. გიორგი ეწოდება, ვაქირის ნასოფლარის ეკლესიებში უურალდებას იქცევს ორი ძეგლი: ნათლისმცემელი და კვირაცხოველი. გ. ჩუბინაშვილმა ვაქირის ნათლისმცემელი კახეთის სამეცნიერო ბაზილიკების საშუალო ჯგუფში მოათავსა და აგების თარიღიდან VII—VIII სს. ივარაუდა⁴⁴. მის კედლებში ჩატანებულია აღრე შუასაუკუნეების ნაგებობის ნაშთები: წრეშა ჩასმული ბოლნური ჯვარი და მოჩუქურომებული ქვა. ძეგლს ორი მნიშვნელოვანი აღდგენა განუცდია. ამამად მდგრარი ნაგებობა 1555 წ. კახეთის მეფის ლევან II-ის მიერ ძველი ბაზილიკის გადაეკეთების შედეგია.

ძველი ეკლესია უნდა იყოს ვაქირის კვირაცხოველიც. მცირე ზომის ძეგლი ნაგებია შირიმისა და რიყის ქვის ნარევი წყობით. შეიმჩნევა შეკეთებების კვალი. დასავლეთ სარქმლის თავზე ბოლნური ჯვარია. სამხრეთ ფასაზე, კარის მარჯვნივ, კედლის წყობის ქვედა რიგში, დიდ ქვაზე ამოკწრულია 7 სტრიქონიანი ასომთავრულით შესრულებული წარწერა. წარწერა, სამწუხაორო დაზიანებულია, სტრიქონთა ბოლოები არ იყოთხება, ამიტომ ტუქსტი გაურკვევილია. იგი ქვის შემწირველს უნდა ეკუთვნოდეს. პალეოგრაფიული იერით წარწერა IX—X სს. ჩანს, მაშასადამე, ეკლესიაც ამ ხანებში აუგიათ, რადგან წარწერიანი ქვა წყობის პირველივე რიგშია მოთავსებული.

ქიზიყში მაღალი მდგრარებით განსაკუთრებით გამოიჩინება სოფლების ჯგუფი — განლაგებული გომბორის ქედის ზურგზე: კოტორი, ნუკრიანი, მაღარი, ზემო ბოდებე. მათგან კველაზე მნიშვნელოვანი პუნქტი იყო მაღარი, რომელიც ხშირად იხსენიება საისტორიო წყაროებში, როგორც კახეთის მეფეთა საზაფხულო რეზიდენცია: „დაუტევა იმამ-ყულიხან ყარალაგი და ჰყო სასახლე თვასი თელავს და მანავს და იყოფოდა ზმთარს მუნ, ხოლო ზაფხულს მაღაროს“⁴⁵. მაღაროს მიდამოებში ხშირად ხდებოდა დიდი ბრძოლები, ვინაიდან სამეფო საზაფხულო სამყოფელი მოხერხებული გზებით უკავშირდება როგორც წინამხარს, ასევე უკანამხარს, აქა ერთ-ერთი მთავარი ულელტეხილი გომბორი.

44 გ. ც უ ბ ი ნ ა შ ვ ი ლ ი , ა რ ქ ი თ უ რ ა კ ა ხ ე თ ი , თ ბ . , 1959 . c . 186 .

45 კ ა ხ უ შ ტ ი ა , ა ლ წ ე რ ა რ ა , „ ქ ა რ თ ლ ი ს ც ხ ო ვ რ ე ბ ა „ , ტ . IV , თ ბ . , 1973 , გ ვ . 612 .

რის ქედზე. ბუნებრივია, რომ აյ იყო სასახლე, რასაც ადამტურებს ვახუშტი: „არს მაღაროს სასახლე მეფეთა საზაფხულოდ“⁴⁶. აქვე ყოფილა ტიტები „გვარები“. არცადათ თუ კახეთი იყო მათგან ცარელთაგან, თ. თ.) მშეიღობით. ვერსალის სასახლე ციხე მაღაროს ქისიყელთა და შევიღნენ მას შინა“⁴⁷. მაღაროში არც სასახლე „შემორჩა და არც ციხე. ციხე მდგარა აღგილ „ციხითვიანში“, რომელიც დღეს სოფლიდან 0,5 ქმ-ზეა ბოლბის მონასტრისაკენ. ამას გარდა სოფლის სამხრეთ განაპიროს მდგარა კაშტი ე. წ. „ნაცვლიანთ ციხე“, ისეთი დიდი, რომ დღეს შიგ მარანია მოწყობილი. მაღაროს ეკლესიებიდან ყურადღებას იქცევს ერთ-ერთი მათგანის სახელწოდება „ზღუდრის წმ. გორგავი“. თ. შაიშმელაშვილის აზრით, აქ საკარაულოა გამაგრებული ზღუდის ასებობა, რომელიც კეტავდა ულელ-ტეხილას⁴⁸. საინტერესოა თვით სოფლის სახელწოდება — მაღარო, XV ს. ბარის მოსახლეობის შეთხელების გამო კახეთში მოახალშენებად მოიდან ჩამოიყვანეს გლეხობა. 1441 წ. საბუთში ალექსანდრე დიდ ამბობს: „ახალი სოფელი ფაშენე, ყუაზელნი და მაღაროელნი დაიგისახლე“⁴⁹. მაშასადამე სოფელს სახელწოდება მიუღია ფშავის მაღაროსკარიდან; აღრე რა ერქვა, არ ჩანს, ამებაძე მას ზემო მაღარო ჰქვია, რადგან აქედან იგრის ხეობისაკენ ჩასახლებულებმა შემწევს სოფელი ქვემო მაღარო.

მიღაროსთან ერთად ჭოტორიც იხსენიება საუსტორიო წყაროებში: „დღესა მეორესა მივიდა ჭოტორს მყოფს ალექსანდრეს ზედა, მოვება იგიცა და იქმნა ბრძოლა ძლიერი“⁵⁰. ჭოტორზე გადიოდა ჩრდილოეთიდან, ქედ-ქედ, მაღარო-საკენ მომვალი გზა. როსტომ და ოფერურაშ მეუფების ბრძოლის აღწერისას, რომელიც მაღაროს მიღამოებში მოხდა, არჩილი ამბობს: „მოვიღნენ ჩაშმ დაწყობილი ჭოტორის გზითა მაღაროს, სრულ ერთს გზაზედა მოაწყვეს, ჯარი სხვას გზაზედ არ არის“⁵¹. ამ გზის პირისაა აღმართული ველიცა სანის სათვალ-თვალო კაშკი, საიდანაც კარგად მოჩანს ალიზნის ველიცა და თითქმის მთელი ქიზიყიც.

46 of 39, 23- 542.

47 0330, 23. 623.

48 օ. Տասմելյան Արքունի, յամեցինո, ծորհնածովո, վոնչոյն, „մըցլուս մըցածարու“, № 7, 1969.

⁴⁹ ისტორიული საბუთები, III, 1924, გვ. 23—24.

50 3 0 6 7 3 0 9, 0 3 3, 23. 412.

51 අභිජන මාත්‍රාව නොමැතුරාක්‍රියා කළ උග්‍රස්ථී ප්‍රාග්ධනය, 23. 244.

მე გვაქვს ორმელიმე იმპრიულ-კავკასიური ენის (უფრო ჰერულ-ალბანური) ტოპონიმიების ნაშთთან. ბოდბისხევი, რა თქმა უნდა, უფრო გვიანი უნდა იყოს: წერილი ჩაითვალისწილებიდან ვიცით, ომ დაბას, სადაც IV ს. წმ. ნინოს ეკლესია ააგეს, ბოდბი, ხორი ან ბოდე ერქვა, იგი უნდა ყოფილიყო აღმინისტრაციული ერთეულის — ბოდბის ხევის — ცენტრი, ორმელშიც აღრეულ ხანაში დღევანდელი ქიზიყის გარეშელი ნაწილი შედიოდა. ბოდბეში ძველი ეკლესია არ შემორჩენილა სამების გარდა. ღვთისმშობელი, ყველაშიმინდა და წმ. ესტატე მთლიანად დაუნგრევიათ, სამება კი ნაწილობრივ გადარჩენილა. იგი რიყის ქვით ნავები პატარა ეკლესია.

სოფ. ბოდბისხევმა თანდათან ხევის ბოლოში გადაინაცვლა და წნორს მიეკრა. მის ნასოფლარში რამდენიმე გვიანი ხანის ეკლესია შემორჩენილი. ხევსა და ნასოფლარს აღმოსავლეთიდან თავზე დაპყრობებს მაღალი გორა, ორმელზეც აღმართულია ბოდბისხევის წმ. გიორგის სამნავიანი ბაზილიკა. იგი IX—X ს. ძეგლი უნდა იყოს. დასავლეთ სარქმლის თავზე წარწერა პირმავრულით — „წმ. გიორგი“⁵², აღმოსავლეთ სარქმლის თავზე კი ორსტრიქონიანი წარწერა, ისიც ასმისავრულით: „შეიწყალე ჰეროდე... სწი და შვილნი“. ვ. ცისკარიშვილი მის X—XII ს. ათარილებს⁵³.

ფანიანში ორი ეკლესია: ნათლისმცემელი და ყველაშიმინდა. ნათლისმცემელს ამაღლებასაც უწოდებენ. იგი შუასაუკუნეების ძეგლია⁵⁴. ყველაშიმინდა გვანი შუასაუკუნეების ეკლესია.

ქვემო მაჩხანი XIX ს. ქიზიყის ერთ-ერთ საეპისტონო ცენტრს წარმოადგენდა და დაბად იწოდებოდა. სოფლის გარშემო სახნავი მიწების სიმცირის გამო ქვემო მაჩხანელებს, ისევე როგორც საერთოდ ქიზიყის სოფლების უმეტესობას, ვენახები აღაზნის ველზე აქვს ძეგლი ანგისა და ყარაღაჯის მახლობლად. საგულისხმოა, რომ ყარაღაჯის დღევანდელი მოსახლეობა მთლიანად ქვემო მაჩხანიდან არის ჩასხლებული. ქვემო მაჩხანის ეკლესიები დაუნგრევიათ.

ზემო მაჩხანი ერთ-ერთი ყველაშე დღი და ღონიერი სოფელია ქიზიყში. იგი განლაგებულია გომბორის ქედის სამხრეთ-აღმოსავლეთ დაბოლოების გორებზე. ზემო მაჩხანს ვენახები წინამხარში აქვს: ხირსასა და ქუმბატში, ხოლო სახნავები უკანამხარში: შირაქსა და თელათწყალში. ზემო მაჩხანის ხუთივე ეკლესია (ყველაშიმინდა, ღვთისმშობელი, არმათიონი, მთავარანგელოზი), წმ. გიორგი, წმ. ნინო) გვიანი შუასაუკუნეების ძეგლია. ქადაგიანთ უბანში დგას ვებერთულა თოხუეთა კოშკი, ყოველი მხრიდან ტლო გვერდებით. კოშკი ქვევით განიერია—7 მ, ზევით ოდნავ ვიწროედება. ნაგებია რიყის ქვით. კედლების სისქე. 1 მ-ზე მეტა. იგი ხუთსართულიან ყოფილია; ზედა სართულებზე სათოფურებია. კოშკი ლეკანონბის დროს უნდა იყოს აგებული. მას აღრე ბოსტაშვილების ციხეს უწოდებდნენ. საერთოდ, ქიზიყში სიმაგრეთა ნაქლებობაა: აღრეული ხანის ხორნაბუჯი და გვიანი ხანის სიღნაღმის გალვანი—ესაა და ეს. მაღაროს, ზემო მაჩხანის, ჭოტორისა და არბოშიერის კოშკები სურათს ვერ ცვლის. შესაძლოა, ამის მიზეზია ის, რომ ქიზიყი სახასო ქვეყანაა.

52 თ. ბარნაველი, კახეთის სიტორიული ძეგლების წარწერები, თბ., 1962, გვ. 43.

53 ვ. ცისკარიშვილი, ექვსი უცნობი ქართული წარწერა, „მაცნე“, № 2, 1980, გვ. 143.

54 საქართველოს სსრ კულტურის ძეგლები, თბ., 1959, გვ. 106.

მირზანის, არბოშიერის, ოზაანის (გარდა ამაღლებისა) და ცლუნგაანის ქვლესიები გვიანი შუასუკუნების ძეგლებია. არბოშიერისა და გვდიქის ჭერჭე შეუკუსაყარში დგას „ნაციხარი“, გვიანი ხანის კოშკი, რომელიც აკონტრულუხლუ გმუჩეული დიქის ხევზე გამავალ მეტად მნიშვნელოვან მაგისტრალს, რომელიც ალაზნის ველს ივრის ზეგანთან აკავშირებს.

შეუკუსაყარში კამბეჩოვან-ქიზიყის ქვეყანა ხორნაბუჯის საერისთავოს წარმოადგენს, რომელიც გერ კახეთ-კერეთის სამეფოს, ხოლო შემდეგ XI ს. გვერთიანებული საქართველოს სანაპირო საერისთავოა. XV ს. II ნახევრიდან კახეთის სამეფოში საერისთავოთა ნაცვლად უფრო მცირე ერთეულები — სამოურავოები ჩამოყალიბდა. ერთ-ერთი მათგანი იყო ქიზიყის სამოურავო. სამხედრო თვალსაზრისით კახეთის სამეფო სადროშობად დაიყო და მათი სარდლობა ეპისკოპოსებს დაეკისრათ. კახეთის სადროშოთაგან მეწინავე იყო ბოლოსის სასარდლო ანუ სადროშო, რომლის ბირთვს შეადგენდა ქიზიყი, ხოლო მისი საზღვრები გაცილებით შორს ვრცელდებოდა.

ქიზიყის სამოურავოს ცენტრი ხდება სილნალი XVIII ს. მას შემდეგ, რაც ერეკლე II აქ აგებს ვრცელ გალვანს, რომელსაც შეეძლო მტრის თავდასხმისას მთელი ქიზიყის მოსახლეობა შეეფარებინა.

ქიზიყის მეურნეობა შრავალმხრივია, მაგრამ იგრძნობა მესაქონლეობის წამყვანი როლი; რაც გაპირობებული უნდა იყოს შირაქის საზამთრო საძოვრების მნიშვნელობით. ამ მხრივ ძელოთაგანვე შეინიშნება მეცხვატეობის განვითარება, რომლის საზაფხულო საძოვრებია თრიალეთ-ჯავახეთი. შირაქის საძოვრებს ქიზიყის მოურავი განაგებდა, რისთვისაც მის განკარგულებაში იმყოფებოდა თუშთა რაზმი.

მიწათმოქმედებიდან სჭარბობდა მარცვლეულის წარმოება; მევენახეობა აქ შედარებით ნაკლებად იყო განვითარებული.

Т. А. ТОДРИА

ВОПРОСЫ ИСТОРИЧЕСКОЙ ГЕОГРАФИИ КИЗИКИ

Резюме

Кизики расположены в юго-восточной части Восточной Грузии, в междуречье нижних течений рр. Алазани и Иори.

По физико-географическим данным он делится на три региона: Цинамхари (Алазанская долина), Уканамхари (Иорское плоскогорье) и Ширакская степь.

В раннее средневековье страна называлась Камбечани. Её центром был г. Хоранта (Эрети) у слияния Алазани и Иори. С V в. Камбечани входит в состав Картлинского царства. В VIII—X вв. Камбечани отдельное саэриставо Эретского царства с центром г. Хорнабуджи.

В XI—XIII вв. он входит в объединенное Грузинское царство как отдельная пограничная административная единица Хорнабуджское саэриставо.

С XV в. в Кахетском царстве вместо саэриставо образуются более мелкие единицы — самоуправо и одним из них становится Кизикское самоуправо. С этого времени страна называлась Кизики.



311153-2
202401010000
В XVII в. центром всей Кахети становится Карагаджи, а летней резиденцией — Магаро, оба в Кизики.

В XVIII в. царь Ираклий II строит Сигнахскую крепость, которая стала центром Кизики.

Хозяйство Кизики разноотраслевая, с преобладанием животноводства, что было обусловлено наличием зимних пастбищ Шираки. В земледелии преимущественно было развито зерноводство, а также виноградарство.

შავისა გირიშვილი

დოკუმენტური ფურივაზი XVI—XVIII ს. გახვთის სამეცნი

საზღვრების შისახებ

გაერთიანებული საქართველოს სახელმწიფო XV ს. ბოლოს რამდენიმე სამეფო-სამთავროდ დაიშალა. ერთიანი სახელმწიფოს ტერიტორიაზე წარმოიშვა ქრისტიანობა, კახეთის, იმერეთის სამეფოები და სამცხე-საათბავოს სამთავრო. ამთვანი კახეთის სამეფოობრივი დამკვიდრა გაერთინებული საქართველოს აღმო-სავლეთი ნაწილი. მაგრამ ამ დროისათვის საქართველოს სახელმწიფო საზღვრები აღმოსავლეთით შემცირებული იყო. აღრე, XIII საუკუნის შუასანებამდე, ეს მიწა შამახის მთამდე აღწევდა¹ და ოთით ქვეყანა გულისტანიდან ანაკოფიამდე² იყო გადაჭიმული. მაშინ მდინარე ჩალან-უსუნი, იგივე თეთრი წყალი, ანუ ასეუ (გამომდინარე კავკასიის მთებიდან, მტკვარს რომ უერთდება მარცხნიდან მტკვარ-არაქსის შესართავის სიახლოეს) — ამ მდინარეზეა ცნო-ილი გეოგრაფიული პუნქტები: ქურდევანი და გურჯივანი (იყო სასაჩლევრო ზოლი, რომლის დაცვა-გამაგრება ქართველ მეფეთა ერთ-ერთი მოვალეობა იყო მონღოლების ხანაში³. საქართველოს დამლისას კი აღმოსავლეთი ზღვაზე ქვეყნისა უფრო დასავლეთით გაღმოიწია, ხოლო დაგარგულ ტერიტორიაზე შექი-სა და შირვანის სახანოები ჩამოყალიბდა.

კახეთის სამეფოს მიწები მისი ცალკე სამეფოდ ჩამოყალიბებისას აღწე-რილია XVIII ს. დასაწყისში ბერი ეგნატაშვილის ხელმძღვანელობით შედგი-ნილ ე. წ. „ახალ ქართლის ცხოვრებაში“. ამ ძეგლში ვკითხულობთ:

„ამა კახეთის ბატონთა მას უამსა ეპყრა: გარდომომართი ლეკის მთისა. ეპყრა თუშეთი, ხოლო დიდონი არა მორჩილებდეს ნებისაებრ მისისა. ზემოთ ფშავი და თაინეთი, სადა შეერთვის ფშავის წყალი არაგვეს. მიერთოთვა ვიდ-რე არაგვს გაღმართი გევ-ძმორამდის. და გევ-ძმორიდამე გაყოლილი ლილოს სერამდის, ასოდენი სერსა წყალი გასდის და დაერთვის მარტყოფის წყალსა, გაყოლით ამართულამდე, გაყოლით ვიდრე აჯი-სუმდე, აჯი-სუს ვიდრე მტკვრის შესართავამდე, მას ქვემოთ მტკვარს გაღმართი ვიდრე შაქისის საზღვრამდე“⁴.

დაახლოებით ასევეა აღწერილი კახეთის საზღვრები „ახალი ქართლის ცხოვრების“ მეორე ტექსტში: „მეფემან ალექსანდრე დასუა კახეთს უმრწემესი

¹ ქართლის ცხოვრება, II, ტექსტი დადგენილი ყველა ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუბჩი-შეილის მიერ. თბ., 1959, გვ. 207.

² იქვე, გვ. 129.

³ იქვე, გვ. 251.

⁴ იქვე, გვ. 348—349.



ძმა დიმიტრის გიორგი, და შისკა ზემო-კურძონ მთის ალაგნი. მუნიციპატებულები გუს გამომართი კვე-ძმარამდის, კვალად კვე-ძმარიდამ გაყოლილ ჭყალშეს სერამდის, რაოდენი ლილოს სერსა წყალი გასდის და შეერთვის, მარტყოფის წყალსა გაყოლით ვიდრე მართულამდე და ამართულას გაყოლით ვიდრე აჯი-სუდმდე და აჯისუს გაყოლით ვიდრე მტკვრის შესართავამდე და მას ქვემოთ მტკვარს გაღმართი და შაქისი ვიდრე შარვანის საზღვრამდე⁵.

კახეთის სამეფოს მიზნების კიდევ ერთი განსაზღვრა მოგვეპოვება. ესაა ვახუშტისეული ოლტერა კახეთის მიზნებისა ვახუშტის დროისათვის, ე. ი. XVIII ს. დასაწყისისათვის, როცა კახეთის სამეფოს საზღვარი მისი წარმოშობის დროსთან შედარებით შემცირებულია: „არს სრულად აწინდელის კახეთის საზღვარი: სამჯრით დიდის ალაზნის შესართავი და მუნიციპან ხაზი კავკასია-დენ გაყლილი და კვალად ხაზი მტკვრამდე მისული. აღმოსავლით მთა კავკასი, ლექეთსა და კახეთს შორისი. დასავლით საზღვარი ქართლისა, რომელი აღვ-წერეთ და მწარე წყალს ქვევით, მტკვარი და ჩრდილოთ მთა კავკასიევ“⁶.

ქართლ-კახეთი შორის გამავალი ზღვარის შესახებ ვახუშტი შემდეგს გვამცნობს: „იორსა და მტკვარის შუა ასტყალების მცირე მთა... რომელსა ეწოდების გრძელტბა და გარეგა. ეს მთა აწ ჰყოფს ქართლსა და კახეთს. ხორაუგიადამ მწარე წყლიმდე და მტკვრამდე კახეთისა, ხოლო მწარე წყალს იქით ნაკვერი, აღმოსავლეთის კერი, კახეთისა და დასავლეთის კერი, ქართლისა⁷. ვახუშტისეული დაბა ხორაუგი — იგრის მარჯვენა ნაპირის, სამგორის მთასთან უჯარმის დასავლეთით და მუხრანვანის ჩრდილოეთით მდებარე სოფელია, რომელსაც დღეს მულანლოს ეძნიან და საგარეჭოს რაიონის მულანლოს სასოფლო საბჭოში შედის.

„აგველის ბოლოს არს ქვე-ძმარი, ჩამოვარდების შშრალი ქევი ქვიტკირის ლილოდამ მტკვრამდე და ესე არს საზღვარი აწინდელი ქართლ-კახეთისა“⁸.

კახეთის საზღვრების ეს ორი აღწერილობა — ბერი ეგნატაშვილისა და ვახუშტისა — მიუხედავად განსხვავებული დეტალურობისა, ძირითადად ერთ-მანეთის მსგავსია კახეთის სამეფოს ჩრდილო, დასავლეთი და სამხრეთი მიზნების განსაზღვრაში. ბერი ეგნატაშვილისეული „ლექის მთა, ფშავის წყლისა და არავეგის შესართავი, ქვე-მთია, ლილოს სერი, მთა ამართული, მდ. იჯისუ და მტკვარი“ იგივე, რაც ვახუშტის „ქავკასი, ქართლის საზღვარი (გარეჯის მთა, ქვე-ძმარი), მწარე წყალი, მტკვარი“. კახეთის სამხრეთ-დასავლეთი საზღვარი ორივე ამ აღწერით მდინარეზე გადის, ოღონდ ერთი წყარო (ბერი ეგნატაშვილი) ამ მდინარეს აჯისუს უწოდებს, მეორე კი (ვახუშტი) მწარე წყალს. მწარე წყალი და აჯისუ—ორივე ეს სახელწოდება თავისი მნიშვნელობით ერთიდაიგივე (სპარს چა უჯაჯ ნიშავს მწარეს). დღეს ამ მდინარეს ყარა-სუს ეძნიან, იგი მოედინება ყარაიის ველზე და ერთვის მტკვარს ჩრდილოეთიდან (მარცხენა მხრიდან) დაახლოებით იმ აღგილას, სადაც მტკვარს სამხრეთიდან (მარჯვენა მხრიდან) ერთვის მდ. ინჯა დღევანდელი აზერბაიჯანის სსრ ტერიტორიაზე.

⁵ იქვ, გვ. 476.

⁶ ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, თბ., 1940, გვ. 87.

⁷ იქვ, გვ. 89.

⁸ იქვ, გვ. 94.

განსხვავება კახეთის სამეფოს საზღვრების ბერი ეგნატაშვილისა და გამუშავების ბისეულ აღწერაში შეიმჩნევა ამ სამეფოს აღმოსავლეთი და სამხრეთ-დასავლეთი მიზნების განახლებისას. ბერი ეგნატაშვილის მიერ აღწერილი კახეთი — ე. ი. XVI ს. დასაწყისის კახეთი, ვრცელდებოდა „შაქისის საზღვრამდე“, „ახალი ქართლის ცხოვრების“ მეორე ტექსტით — „შაქისის ვიდრე შარვანის საზღვრამდე“, განუშების აღწერით კი, ე. ი. XVIII ს. დასაწყისში, კახეთი იორალაზნის შესართავ ზოლამდელა. ანუ მას იყლია აღზნის ქვემო წელის მარცხენა მხარეს მდებარე ტერიტორია.

XIV ს. საქართველომ დაკარგა ქველი საარიშიანოს აღმოსავლეთი ნაწილი. ამ ტერიტორიაზე შექის სახანი ყალიბდება. ვიშის წყალი (აგრი-ჩაი) ხდება კახეთის აღმოსავლეთი საზღვარი. XVI ს. ერანის შაქება კახეთს ჩამოაცილეს წახურის ოლქი (კავკასიის გადამა, მდ. სამურის ზემო წელზე), რომელიც მთელი ათასი წლის მანძილზე საქართველოში შემომავალი ქვეყანა იყო. XVI ს-დანვე კახეთის (ძველი ჰერთის) ზეგნებზე ჩამოსახლება იწყეს დალისტნელებმა; ხოლო XVII ს. დასაწყისიდან შპ-აბასმა კახეთის მეფეს გამოსთხოვა ჰერთის აღმოსავლეთი ნაწილი (კაკ-ენისელი) და ეს ტერიტორია სამართვად გადასცა წახურელ ალი ბეგს. ასე შეიქმნა აქ ელისუს სასულტნო, რომელიც ქურმუხის წყალსა და ყაფი-ჩაის შორის გაიჭიმა (ყაფი-ჩაი — ესაა მდინარე, რომელიც კავკასიის მთებიდან გამოდის და ალაზანს უერდება ჩრდილოეთიდან, თორ-ალაზნის შესაყრის სიახლოეს). ქურმუხის წყალი კი ალაზანს უერთდება იმ აღვილას, სადაც ალაზანი, დასავლეთიდან აღმოსავლეთით მომდინარე, სამხრეთისაკენ უსვევს). ქურმუხის წყალზე მდებარეობს ქურმუხი — იგივე აღიბეგლი, რომელიც წახურის სულტნის — ალისულტნის საჯდომად იქცა.

თანდათანობით ყაფი-ჩაის დასავლეთით, ამ მდინარესა და გავაზის წყალს შორის მდებარე ტერიტორიაზე, ჭარ-ბელაქანის უბატონ ლეკური თემები ჩამოყალიბდა. XVII ს. ალაზნის გაღმა მხარეს კახეთის მიწა-წყალზე სამი ერთეული განნდა: ფიფინეთის ხეობა — ჭარი, ელისენი და ალის სასულტნო. 1727 წელს ოსმალეთის სულტანმა ჭარ-ბელაქანი ჭარელ ლეკებს საბოლოოდ დაუმტკიცა.

სარატიული წყაროებით ამგვარად განსაზღვრული ტერიტორია კახეთის სამეფოსი ზუსტდება დოკუმენტური წყაროების მონაცემებით.

ტერიტორია მტკერისა და აგრი-ჩაის შორის (აგრი-ჩაის ჩრდილოეთიდან ერთვის მდინარე, რომელზედაც მდებარეობდა გიში. ივ. ჯავახიშვილის თქმით, ამ მდინარეს და აგრი-ჩაისაც — ორივეს ძველად გიშის წყალი ერტმეოდა)¹⁰, შემდეგში ნუხის (შექის) სახანოში რომ შევიდა, კარგა ხანს რჩებოდა კახეთის სამეფოს შემაღებელობაში. ამას მოწმობს დოკუმენტური წყაროები.

დოკუმენტი, საბუთი ისეთი საისტორიო წყაროა, რომელიც შეიცავს მხარეთა შორის რაიმე გარიგების აქტს და, განსხვავებით ნარიტიული წყაროსაგან, შედგენილია მასში აღწერილი ეითარების თანამედროვეისაგან. ძირითადი შინაარსი საბუთისა ესაა ფაქტი, რომელიც ხდება საბუთის შედგენის მომენტში. ამიტომ დოკუმენტი ანუ საბუთი სხვა რიგის საისტორიო წყაროებზე უფრო მე-

9 ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, აღმოსავლეთ კახეთის ჭარსულიდან, „მიმომხილველი“, III, 23. 84.

10 ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, საქართველოს საზღვრები, თბ., 1919, გვ. 11.

რად უახლოედება სინამდვილეს. იგი გარკვეული წესითა და თანამიმდევრობით შედგენილი, ტრაფარეტად ქცეული ტრადიციული გამოთქმებით შესრულებული საისტორიო წყაროა და, თუ იგი ნატყუარი არ არის, შეიცავს თათვისს უკველ ცნობებს. სწორედ ამის გამო მისი გამოყენება ისტორიული სინამდვილის აღსაღვენად ერთ-ერთი შეუძლიარი გზაა. დოკუმენტით მასალა გვაძლევს გარკვეულ ცოდნას კახეთის სამეფოს საზოგრების შესახებაც.

ჩვენს ხელთა რამდენიმე წყალობის სიგელი, რომლებიც შეიცავენ ნიშან-დობლივ მითითებებს კახეთის სამეფოს საზოგრების შესახებაც.

1653 წლის 6 დეკემბრის წყალობის წიგნით როსტომ მეფემ კახეთის მეფეა 1648—1657 წლებში) ალი ალას უწყალობა შაბადინის რუ. ამ წყალობის წიგნს ახლავს საბუთის სპარსული ტექსტი, რომელშიაც ქართულთან შედარებით უფრო დეტალურად არის აღწერილი ეს ნაწყალობევა: „შაბადინის არხი, რომელიც ჭელი დროიდან მდინარე მტკვრიდან მოედინებოდა, დაინგრა და მიწები მისი დაუმუშავებელი და მიტკვებულია. დავადგინეთ, რომ... ალი ალა ორუჯოლი გამოიყვანს ას ხსენებულ არხს აღნიშნული მდინარიდან, და მუშავებით შეამკონს მის მიწებს... და მის ბახრას¹¹ წესისამებრ მაღალ ხაზინას მისცემს“¹².

ამ საბუთით ირკვევა, რომ არსებულა შაბადინის არხი, რომელიც მტკვრიდან იღებდა სათავეს. იგი XVII ს. შუა ხანებში მიტკვებულ-დანგრეული ყოფილა. როსტომ მეფემ ეს მიტკვებული არხი ალი ალას უწყალობა, რათა მან აღადგინოს და მისი მიღმოებიდან მოწეული მოსავლის ღალა მეფეს უხადოს.

როგორც ჩანს, ალი ალა ორუჯოლის ეს ვალდებულება შეუსრულებია. არხი აღუდვენია და მისი წყლით მორწყული მიწები კვლავ მოსავლინი გამხდარა.

1670 წლის პრილში კახეთის მეფე არჩილმა (ვატერნგ V-ის ძემ) შაბადინის არხი და მისი მიღმოებიდან აღებული მოსავალი სვეტიცხოველს შესწირა. არჩილის ეს შეწირულება საბუთში შემდეგნარად არის დახასიათებული: „შემოგწირეთ მცირე ესე შესაწირავი მტკვრის პირს შაბადინი, ჰალა და მინდობი, ენი ს დაბლა, რაც თავით ბოლომდისინ შაბადინის სიმღვარი გაიტანდეს. გამომამ მტკუარი და სანაო და ზე მოთ რუის გამოს აღები სათავე ასრე და ამა პირსა ზედან, რომე შაბადინი საკახეთი რა კახე თის მიწა და წყალი არის, კახეთს არ გამოექის და არც კელდებულებით კახეთის ბატონს მოეშალოს. და სხვა რიგად საჩვენო საბატონო გამოსახუბი და სათხოვარი არა ეთხოვებოდესთ რა...“¹³.

არჩილ მეფე აღნიშნულ ტერიტორიას საკახეთოს და კახეთის მიწა-წყალს უწოდებს, იგი ამ მიწა-წყლის გამოსახუბის სწირავს სვეტიცხოველს, ქვეყანა კი კვლავ კახეთისად რჩება. ეს შეწირულება არჩილ მეფემ კვლავ დაადგარულა 1670 წლის 18 ივნისის შეწირულების წიგნთ, რომელსაც ამ ჯერად საპარსული ტექსტიც ახლავს თან. ამ საბუთის ქართულ ტექსტში კვითხულობთ: „შემოგწირეთ მცირე ესე შემოსაწირავი მტკუარის პირს შაბადინი, ენი და ენ-

11 ბახრა (پار) მეტამულისათვის გადასახდელი მოსავლის ნაწილი, ლალა. Б. В. М и л-լ е р, Персидско-русский словарь, М., 1953, გვ. 75.

12 ქართულ-სპარსული ისტორიული საბუთები, I, თბ., 1955, № 103, გვ. 238.

13 ს. კაკაბაძე, საისტორიო საბუთები, IV, გვ. 48—49.

ჩის დაბლა მინდორი და მინდვრით შეკურამდის ჭალა და ნახევარი აქტა წერილი საკურადო მტკუარი და ს ა ნ ა რ, ზემოთ რუის გამოსაღები სახელმწიფო ენიშედ რომ მტკუარი მიაღვების, იქამდინ და ჭვემოთ მტკუარი რომ შემობრუნდების და ენის მიაღვების, იქამდინ. და კვალად შემოგვიწირავს ამავე შებადინისა საკულმწიფო სათხოვარი და გამოსაღები. ბეგარ-ყალანი ასრე, რომე საბატონო არა ეთხოვებოდეს რა: არა პური, არა ტიკი, არა ტომარა, არა ულაყი და მუშაობა, არა საბალახე პირისთავი, არა ფაგაბაში და თუთუნჯაგი, არა ბაშმალი, არა აბრეშუმი, არა საური, არა სხვაგარი ხარჯი¹⁴. თუმცა ამ საბუთში შეწირულება მეტად ნიშანდობლივ არის აღწერილი, მაგრამ რადგან შებადინი თანამედროვე ტოპონიმიკაში აღარ იხსენიება, ამიტომ მისი ადგილ-მდებარეობის გარკვევა ძნელდება. ზემომოყვანილი საბუთიდან ვიგებთ, რომ შებადინი არისა, რომელიც მტკურის პირს მოედინება, მას ესაზღვრება ენის. (მთა), ამ მთას მდ. მტკუარი ორ ადგილს უახლოვდება, მთასა და მდინარეს შორის მოქცეული ადგილი — არხი, მინდორი, ჭალა — ავრეთე შებადინის სახელს ატარებს. ეს ადგილები ამავე დროს კახეთის სასაზღვრო ზოლია. სახლვარი, როგორც ჩანს, მტკუარზე გადიოდა. ამას მიუთითებს საბუთის გამოთქმა: „აქათ ჩენი საკერძო მტკუარი და სანაო“ თუ გავარკვევთ ამ საბუთში ჩამოთვლილ გეოგრაფიულ სახელთა ადგილდებარეობას, მაშინ კახეთის საზღვრებიც გარკვევა.

არჩილ მეფის 1670 წლის 18-ივლისის შეწირულების ზემონახსენებ წიგნზე თანდართულია 1672 წლის სპარსული საბუთი, რომელიც შებადინის ადგილ-მდებარეობის გასარკვევად ხელმესახებ მასალას იძლევა: „შევწირეთ... მდინარე მტკურის ნაპირს მდებარე ადგილები: შებადინი, რომლის სასაზღვროა ერთის მხრით ხსენებული მდინარე და დანარჩენი სამი მხრით [საზღვარი მიდის] მთამდე, რომელსაც ინჩუს ეძახიან და რომელიც სამი მხრით საზღვრავს [მას] ზემოდან, ამ ადგილიდან, რომლის ჭვეშ ყიზილ-ალლუნის ადგილებია, აღნიშნულ მდინარეს უერთდება და ჭვემოთ მიემართება და ერთი რაღაც მანძილის შემდეგ ეკვრის ადგილს, რომელიც ყიბლანის ადგილებისა და მიწების თავზე არის. [შევსწირეთ] მიწებით, ველებით, კალით, გემებით და ნავებით, კუნძულებით და რუს სათვეთი, რომელიც ამ ადგილებზე მოედინება“¹⁵.

ამ აღწერას ქართულ ტექსტთან შედარებით ემატება ენის მთის დაბლა მდებარე მინდვრის სახელწოდება — ეს ყოფილა „ყიზილ-ალლუნის ადგილები“ — ყიზილ-ალლუნი კი ყიზილ-იულლუნის ფორმით დღემდე შემორჩა ტოპონიმიება. ყიზილ-იულლუნი საზამთრო ბინები და საძოვრებია მტკურის მარცხენა ნაპირას, დღევანდელი აზერბაიჯანის სსრ ტერიტორიაზე, იმ მიღამოებში, სადაც მტკურის მარჯვენა ნაპირზე კირახ-ქესამანი მდებარეობს (იქვე მდ. ალსტევის შესართავს აღმოსავლეთით მდებარე რეინიგზის საღვრი ფოილუ). ყიზილ-იულლუნის მოპირდაპირე მხარეს მტკუარს სამხრეთიდან (მარჯვენიდან) ერთვის მდინარე აჭი-სუ, რომელიც ქართლის საზღვრად ითვლებოდა.

ამგვარად, კახეთის საზღვარი XVII ს. მეორე ნახევარზი მტკურის დინებით დღევანდელ კირახ-ქესამანამდე ვრცელდებოდა. ასევე დარჩენილა ეს საზღვარი XVII ს. ბოლოსთვისაც: 1696 წ. 24 მარტის შეწირულების წიგნით კახეთის-

14 ქართულ-სპარსული ისტორიული საბუთები, I, № 133, გვ. 311.

15 იქვე, გვ. 314—315.



შმართველი ქალბალიხანი უახლებს ითანე კათალიკოზს შაბადინის შეწირულების ბას: „ვითარტკა შაბადინი პირველადევ სხვათა მეფე-მეპატრონეთა კახეთის ტებატონეთაგან სევტის-ცხოვლისთვინ შეწირული ყოფილიყო, მოქათხული ვექნით და... გიბოძეთ შაბადინი მისის ჭალათა, მინდვრითა, ყოვლის მისის მოსავლითა, ფაგაბაშითა, თუთუხაგითა, იათალაყითა, ნავის ბაჟითა, ერთის ჩობანბეგის საყენოს მეტი იმ ალაგს ჩევნგან არა ეთხოებოდეს რა“¹⁶.

ეს ადგილები შემდეგში შევიდა განჯის სახანოს შემაღებელობაში, ხოლო XIX ს-დან განჯის — ელისავეტოპოლის — გუბერნაციის.

საზღვარი ქართლისა და კახეთის სამეფოებს შორის ამ ადგილას მტკვარზე გადიოდა. თვით მდინარის მარცხნა ნახევარი საკახეთო, „კახეთის კერძი“ იყო, მეორე, მარჯვენა ნახევარი, კი ქართლს ჰყუთვებია, თუმცა ქართლის ამ ტერიტორიაზე XVII ს. შუახანებიდან შაპ-თამაზის მიერ დასმულ იყვნენ ყაზახისა და შაშაბალუს ხანები და განძის სულტნი (ქართლის ცხოვრება, II, გვ. 305).

ასევე წყალზე გადიოდა საზღვარი ქართლ-კახეთს შორის ყარაის ველზე-მწარე წყალი—აჯი-სუ (თანამედროვე ყარასუ) ჰყოფდა ყარაისა ამ ორ ქვეყანას შორის. დოკუმენტური მონაცემებით ცხადი ხდება, რომ ამ ბუნებრივი მიჯნის ჩრდილო-დასავლეთ გაგრძელებაზე საზღვრის დაღება ქართლსა და კახეთს შორის დავას იქვედა.

კახთა მეფის ერეკლე I-ის 1700 წლის 20 მაისის შეწირულების წიგნში (ც. კეკლიძის სახელობის საქ.) სსრ ტერიტორიათა აკადემიის ხელნაწერთა ინსტრიტუტი, ფონდი Ad, № 2220) ნათევამია: „ბედნიერმან ჰელმიტიფე შაპსული-მან ყავნმან ქართლი რომ გვიბოძა, დავით გარეჯის გარეშემოსა და იათალება ქართული და კახნი ცილობდენ და ჩუენ ერთმანერთის შერიგებისა და ქუეჭნის დამშეიდებისათვის იმისი ვარეშემო და რაც იათალები იყო, ცხერისა თუ ძროხისა თქუენ, წმიდას დავითს და თქუენს მონასტერს შემოგწირეთ“.

ეს დოკუმენტი გვამცნობს, ქართლელებსა და კახელებს დავა ჰქონიათ დავით გარეჯის უდაბნოს გარშემო მდებარე იათალების (საძოვრების) გამო. რაკი ერეკლე I (ნაზარალიხანი) გარეჯას სწირავს გარეჯიდან ქართლისკენ მდებარე იალალებს, ცხადი ხდება, რომ თვით სამონასტრო კომპლექსი და მის დასავლეთით მდებარე საძოვრები კახეთის შემაღებელობაშია.

არსებობს დოკუმენტი, რომელიც ზუსტად განსაზღვრავს სახელდობრ რა ეკუთვნოდა დავით გარეჯას კახეთიდან: „ბერთუბანს აქათ ერთი იათალი რომ არის, იმას აქეთ რამაზანს იათალი რომ არის. იმის ბოლოს რომ შარა გაივლის, თეთრი მინდვრის გორა გაივლის, იმ დიდის გორის შემოსწერივ ზემო დიდი შარა რომ გარდავა, ნათლისმცემლისა და ჩიჩინტურის კოშქს შუა გაივლის, იქიდამ ჩიჩინტურის კოშქსა წინ და წამებულის მიღმა რომ დიდი ხევი ჩავარდების, ის ხევი წავა და იქივ ბერთუბნის იათალს შეეყრების, ამ სამძღვრებს შიგნით იათალები; ლაქი ტაშმარ ოღლის იათალი — ერთი; რამაზანს იათალი — ერთი; იქ ოღლის იათალი — ერთი; ჩიჩინტას იათალი — ერთი; იროზას იათალი — ერთი; სულეიმანს იათალი — ერთი; პავი ოღლის იათალი — ერთი; ჩიჩინტურს წინ ისრაელას იათალი — ერთი; — ესე ყოველი ამაში წერებული თქვენდა შემოგვიწირავს ამ წესითა, რომე რომელიც ამ იათალებში ელი და თათარი დად-

16 ქართულ-სპარსული ისტორიული საბუთები, I, № 159. გვ. 377.

ეს, მათი გამოსალები — საჩერნო სამსახური ქოდავი, იათაღბაში, დალგანიშინის სარგო, დიდი შესწერი ხარჯი დუთხუ თუთუზგავი, აღმათჭარებულება, რიმა, ყოვლის ნივთის სახოვარი ვიპატივებია და თქვენთვის შემსგებიშეს თქვენი წინამძღვარი იღებდეს და თქვენსა ტაძრის მოახმარებდეს¹⁷.

ამ საბუთის ნიშანდობლივ ჩენებათა რუკაზე დეტალურ გაზრდება აღადგენს სახლვარის ქართლსა და კახეთს შორის ყარაის კელსა და გარევის უდაბნოზე, და თუმცა ვახუშტი და ბერი ეგნატაშვილი ამ საზღვარის გარევის მთასა და მწარე წყალზე დებენ, ამ დოკუმენტით ირკვევა, რომ დავით გარევის მონასტრის კომპლექსის დასავლეთით მდებარე ტერიტორიაც კახეთისა ყოფილა. ვახუშტის ტექსტისა და განსაკუთრებით მისი რუკების მიხედვით კი ბერთუბანი, დავით გარევა, წმებული, ჩიხიოტური, ნათლისმცემელი — ქართლის საზღვრებშია და მხოლოდ დოდოს მონასტერია მოქცეული კახეთში.

უნდა მოვიხსენით კიდევ ერთი დოკუმენტი, რომელიც აზუსტებს ჩენეს ცოდნას კახეთის სამეფოს დასავლეთა საზღვრების შესახებ XVIII ს. პირველ მეოთხედში. ეს დოკუმენტია ე. წ. „ლვთაების გუგარი“ — დავით იმამყულიხანის 1722 წლის საბუთი. ამ საბუთით რუსთველი ეპისკოპოსის რეზიდენცია დანგრეულ-ოხერქმნილი რუსთავიდან მარტყოფის ლვთაების ტაძრშია გადატანილი, რუსთველ ეპისკოპოსს ნიკოლოზ ჩერქეზიშვილს კი მეფე რუსთავის სადროშოს სპას აბარებს. საბუთში მოხაზულია რუსთველის სადროშოს მიწნები. ჩამოთვლილია, თუ სახელდობრ რა და რა იღგილების მცხოვრებთა გარი ექვემდებარება რუსთველ ეპისკოპოსს. ამდენადაც გარე მიწნები სადროშოს ემთხვევა თვით კახეთის სამეფოს გარე საზღვრებს, ამდენად რუსთველის სადროშოს მიწნების გარკვევა კახეთის სამეფოს საზღვრებსაც გვირკვევს. ცნობილია, რომ რუსთავის სადროშიში შედიოდა მარტყოფ-საგურამო, ხერკი, გარეთ კახეთი ქისიყამდე (ვახუშტი, აღწერა... გვ. 95). ლვთაების გუგარში კი აღწერილია, თუ სახელდობრ რა სოფლები ეკუთვნილა რუსთავის სადროშოს. ესაა: საცხენის ლოგონის ხევზე (ლოგონის ხევს ერქვა ავრეთვე ომანის ხევი), ნასომხარი (დღეს თბილისის რაიონის ახალისოფლის სასოფლო საბჭოში შემავალი; ამ საბჭოში შედის აგერთვე სოფლები: ვაზანი, კალინოვკა, საცხენისი). ლილო, ქვიტკირის ლილო, ჰოპარტა ვანკოდმდე და ნორიომდე, ავჭალა, გლდანი ლელუბნისთავამდე¹⁸, მძორეთი არაგვამდე¹⁹; არავის პირნი: ძანაკორანი და გურამისშვილი, ხერვის სევნი, თიანეთი, ხევსურეთი, ფშავა ერწო, უალეთი²⁰. რუსთავის ეპისკოპოსს ეკუთვნის აგრეთვე მტკვრის პირი ნაგებთან ანუ რუსთავთან.

ამ სოფლებს მოიცავს რუსთავის სადროშო დასავლეთით. ამ სოფლებზევეა გატარებული კახეთის სამეფოს საზღვრებიც წინამძღვე ვახუშტისა და ბერი ეგნატაშვილის ჩენენებდასა, რომელთა მიხედვით ეს საზღვარი ზოგ ადგილს უფრო აღმოსავლეთით გადიოდა.

ასე აზუსტებენ დოკუმენტები ჩენეს ცოდნას ისტორიული სინამდვილის — ამ შემთხვევაში კახეთის სამეფოს საზღვრების შესახებ.

17 1697 წლის შეწირულების წიგნი გაცემული ერეკლე I-საგან დავით გარევის წინამძღვრისადმი. ხელნაწერთა ინსტიტუტი, ფონდი Qd. № 9759. პირი.

18 ს. კაკაბაძე, სისტორიის საბუთები, I, გვ. 32—33.

19 იქვე, გვ. 26.

20 იქვე, გვ. 43.



М. М. БЕРДЗНИШВИЛИ

ДОКУМЕНТАЛЬНЫЕ ИСТОЧНИКИ XVI – XVIII ВВ. О ГРАНИЦАХ
КАХСКОГО ЦАРСТВА

Резюме

К концу XV в. грузинское государство распалось на несколько царств и княжеств. Восточная часть страны, к тому времени несколько уменьшенная по сравнению с серединой XIII века, составила территорию Кахетского царства.

Во второй половине XIII века восточная граница объединенного грузинского государства проходила по реке Чаган-усун (Белая речка — Тетри-цкали или Ах-су). К моменту же образования Кахетского царства граница эта была отодвинута значительно западнее, на реке Гишиш-цкали; на потерянной же территории оформились Шекинское и Ширванское ханства. С XVII века Кахетское царство теряет и земли, лежащие между рек Курмухис-цкали и Кали-чай.

Рубежи Кахетского царства описаны нарративными источниками дважды — к моменту образования этого царства, т. е. к концу XV века (Бери Эгнаташвили) и к началу XVIII века (Вахушти Багратиони). Вахушти учитывает изменения, произошедшие за два столетия на востоке царства. Документальные источники уточняют и детализируют линии прохождения границ.

Так, по грузинско-персидским документам XVII века явствует, что на протяжении всего XVII столетия Кахетскому царству принадлежал Шабадинский канал с близлежащими землями на левом берегу р. Куры, в том месте, где на правом берегу Куры ныне находится ж. д. станция Пойлу в Азербайджанской ССР).

Границы между Картлийским и Кахетским царствами, по сведениям Бери Эгнаташвили и Вахушти, проходила по Гареджской горе и реке Мцаре-цкали. По тексту и картам Вахушти Багратиони к началу XVIII века Бертубани, Давид Гареджи, Натлисцемели, Цамебули и Чичхитури — находились в Картлийском царстве. Кахетскому царству принадлежал только монастырь Додо. По документальным источникам же явствует, что и территория, лежащая к западу от монастырского комплекса и сам комплекс входил в состав Кахетского царства.

იური გიგარშლიძე

ვაკე-იშვილის ისტორიული გიოგრაფიის მასალებიდან

(სამტრედის რაიონი)*

„ხოლო საჩიჭავაძოს-სალომინაოს რიონს გაღმით, სამჯრეთით არს ვაკე“ — შენიშვნავს ვანუშტი ბაგრატიონი და იქვე განმარტავს: „ისახელების.... ადგილთა სივაკისათვეს“ და მიუთითებს საზღვრებაც: „აღმოსავლით წყალწითელა ყვი- რილიდამ კუახშირის მთამდე; სამჯრით მზღვრის ყვირილი და რიონი; დასავლით ცხენისწყალი და ცხენისწყლიდამ წასული ხაზი ისულეთამდე და რიონამდე; წინდილოთ კუახშირის მთიდამ წამოსული ხაზი დასავლით, კანიაურს ქუეთ, ირიბად, ქუთათისის დასავლით, და მაღლარის და ოფშვითის აღმოსავლით, და გუბისწყლის სათავის გორაებზედ, ვიდრე გვასტიბის ბოლოდ ცხენისწყლამ- დე“¹.

ვაკის ისტორიულ-გეოგრაფიულ შესწავლას 1976 წელს შეცუდექით. აღ- წერა დავითწერ სამხრეთ-დასავლეთიდან, სადაც გვიან შუა საუკუნეებში სამი- ქელაძო ქვეყანა არსებობდა. ვაკის ეს ნაწილი დღეს სამტრედის რაიონში ერ- თიანდება და ერთ საქალაქო, ერთ სადაბო და რვა სასოფლო საბჭოს მოიცავს. სამოფლო საბჭოებია: ნაფალაურის, მელაურის, დანიშის, დიდი ჭიხაიშის, ეწ- რის ბაშის, ნაბაკევის, იანეთის; სადაბო — კულაშისა და საქალაქო — სამტ- რედისა.

ნაფალაურის სასოფლო საბჭოში ოთხი სოფელი ერთიანდება: ნაფალაური, ილორი, ნახეტაური და ხიბლარ-წიფინარი. ასევე ოთხი სოფლისაგან შედგება მელაურის სასოფლო საბჭო: მელაური, ეწერ-ძველი სამტრედია, ნინოშვილი და მიწა-ბოგირა. ლანირის სასოფლო საბჭო ლანირისა და ჭაგანისაგან შედგება. ასევე ორ სოფელს ერთიანდებს დიდი ჭიხაიშის სასოფლო საბჭოც: დიდი ჭიხაი- ში, ოქტომბერი. ეწერში ოთხი სოფელია: პატარა ეწერი, ოქოფა-გვიმრალა, ახა- ლი სოფელი და ჭიქოტბანი. ხუთი სოფელია ბაშში: ქვედა, შუა და ზედა ბაში, პირველი და მეორე ეწერბაში. ასევე ხუთი სოფლისაგან შედგება ნაბაკევის სა- სოფლო საბჭო: ნაბაკევი, ნინუაკუთხე, ხუნჯულოური, კვირიკე, ჩხენიში, ერთი სოფელია იანეთის სასოფლო-საბჭოში.

* მოხსენდა ივ. ჭავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიის და ეთნოგრაფიის ინსტი- ტურის საინტრონო გეოგრაფიის ვანკოფილებას 1976 წლის 25 ნოემბერს

¹ ქართლის ცხოვრება, ტ. IV; ვაკ უ შე ტ. ა, აღწერა სამეცნია საქართველოსა, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუჩხიშვილის მიერ, თბ., 1973, გვ. 773.



ნაჩერთაური. ამ სახელწოდების ფუძე „ჩერტ“-ი გვარსახელ. ჩერტიშვილების სახელმობას (ო. სოსელია, ნარქევეგები ფეოდალური ხანის დასავლეთ საქართველოს სოციალურ-პოლიტიკური ისტორიიდან, თბ., 1973, გვ. 31, შენიშვნა 25). რევოლუციამდე ამ სოფლის ძირითადი მოსახლენი იყვნენ გოგეშვილები, გოთოშვილები, ჩიტიები (გლეხები) და კორძაიები (აზნაურები). სოფელს ჰქონდა ნის დიდი ეკლესია წმიდა გიორგის სახელმძინარებისა.

რონჭალა (სათესი), სხვა სახელით „კორძაიას ჭალა“. ვრცელი ტერიტორიაა, ძველი ნარინალი.

მერძალაური (სათესი, საძოვარი).

ნანეიშვილისოული (სათესი). აზნაური ნანეიშვილი ცხოვრობდა თუ არა ამ სოფელში, არ ვიცით, მაგრამ სათესი მიწა რომ ჰქონია, ეს ტოპონიმიც მოწმობას.

ახო (სათესი).

ბორანი (საძოვარი ცხენისწყლის მარცხენა სანაპიროზე). არც თუ ისე დიდიდი ხნის წინათ ამ ადგილას ყოფილია ბორანი.

ცენწყლისჭალა (სათესი). „ცენწყლის“ „ცხენისწყლის“ ადგილობრივ შემოკლებული ფორმაა. აქეს სხვა სახელწოდებაც: „ხიდიჭალა“. ეს ხიდი (რკინისა) ახლაც მოქმედია.

ნარამო (სათესი). მეორენაირად: „რამის ჭალა“. ვ. დუნდუს ცნობით, რამი აქ გაუშენებიათ 1932 წელს. იქვე იყო რამის სარჩევი პატარა ქარხანაც.

ჩიტიები (დასახლება).

დაცემულები (სათესი) ადგილობრივ ამ ტერიტორიაზე აღინიშნება მოსავლიანი ადგილი.

ლოლობესაირები (სათესი) მდ. ლოლობა ი. გიულენშტედტთან „ლოგობე“-ს ფორმით იხსენიება (მოგზ. I, 154—155). ეს მდინარე მრავალ სოფელს გამოივლის სამიქელაოში და რომეს ერთვის ნაჩერთაურში.

ნაფალაური სახელწოდება; გვარსახელ ფალავასაგან წარმოდგება.

ი. გიულდენშტედტის სამიქელაძის სოფლების სასში მე-14 ნომრით აღრიცხულია სოფელი „ნაპაგო“ (მოგზ. I, 306—307), რომელიც სამეცნიერო ლიტერატურში მართებულადაა გაიგვევებული ნაფალაურთან (ო. სოსელია, ნარკველი..., გვ. 55, შენიშვნა 9).

ნაფალაურში მოსახლეობენ გრიგოლიები, დუნდუები, ნანეიშვილები, ნიკოლეიშვილები, ქანდარიები, ხახეიშვილები. ამათი ნაწილი გლეხური წარმოშობისაა, ხოლო ნაწილიც (გრიგოლია, ნანეიშვილი) — აზნაურული, ერთიც (ნიკოლეიშვილი)- „მაძიებელი“ (ვ. დონდუს ცნობა). ნაფალაური დღეს მცირდოდ დასახლებული სოფელია. რევოლუციამდე ნაფალაური ილორის სასოფლო საზოგადოებაში ერთიანდებოდა, ამჟამად კი თვით არის სასოფლო საბჭოს ცენტრი და ერთიანებს შემდეგ სოფლებს: ნაჩერთაური, ილორი, ხიბლარი, ხიბლარი-წიფნარი.

ფილანგარი (სათესი).

დუნდუების ნამოსახლი (სათესი).

ლეთისმშობელი (ნაცელესიარი). ნაფალაურის ლეთისმშობლის ეკლესია ქასაცემულია. აუგიათ XIX ს. მეორე ნახევარში და დაუნგრევიათ ჩვენს დოკუმენტები.

ამ ეკლესის სასაფლაოზე ყურადღებას იპყრობს რევაზ მიქელაშვილის (იულინა-მარა თეიმურაზის ასული) უთარილო საფლავის ლოდი, რომლის შევმო ნაწილში გამოსახულია ადამიანის ხელები (ზემოთ მიმართული).

ამავე სასაფლაოზე ასვერია ერთ დროს (XVIII ს.) ქობულეთიდან ლტოლვილი ქრისტიანის — მოწყობილის შორეული ნაშიერი სოსო (ბუთხეზი) შალვას ძე მოწყობილი. აქვე განისვერებს ვალმოხდილი მუტნალი (გინეკოლოგი) რაჟდენ ნაწილშივილი.

ნიგზიანი (ბაქნის მიდამოები).

დობირო (სათესი).

ილორი აღგილობრივ „მესამე ილორს“ უწოდებენ.

ჭერშისჭალა (სათესი).

წმინდა გოორგი (ნაცელესიარი). ილორის წმიდა გოორგი დაანგრიეს ჩვენს დროში. ამ ეკლესის მღვდლებიდან აღგილზე დაგვისახელეს ივანე ბლალოჩინი (გრიგოლია), ფარნაონ და მელოტონ გრიგოლიები.

ბორნისჭალა (სათესი). ამ ჭალაში სამი ბორნი ყოფილა. 1. სახალხო; 2. სოლომონ მიქელაძისა და ასათიანის; 3. ივანე სიხარულიძის (გ. ბარათელის ცნობა).

ბაწარისისჭალა (სათესი). „ბაწარივით გაგრძელებულია და ამიტომ უწოდებდნენ ასე“ (მ. ბარათელი).

გრძელიჭალა (სათესი).

წისქვილები (სათესი). „ცხენისწყლის შტოებზე წინათ ბევრი წისქვილი იყო“ (გ. ბარათელი).

ლოლობირები (სათესი). „ლოლობესპირების“ შემოკლებული ფორმა.

ლელეგზა (სათესი).

ზიბლარი. აღრინდელი ფორმა „ზიბულარი“ (შდრ: ზიბული). ამ სოფლის ძირითადი მოსახლენი არიან ხავალიები და შენგელიები. „ზიბლარი კულაშის ჯვარცმის ეკლესის შემავალი იყო და ადრე იქვე იმარხებოდნენ ზიბლარელები, მოვანებით კი საეუთარი სასაფლაო გაიჩინეს ლოლობესპირზე“ (ი. შენგელია 75 წ.).

ზიბლარი წილნართანაა გაერთიანებული. ასეთი გაერთიანება რევოლუციიდელი ხანიდან მომდინარეობს.

ბუქნარი (საძოვარი).

კაპეტი (სათესი).

ნალოლობები (სათესი). ლოლობას ძველი კალაპოტი.

ნახსტავი (სათესი). ხსტე—ეკალ-ბარდი.

კოდიმელა (ბორცვი). ჩვეულებრივი ტიპის ვაკე იმერული გორიკაა. აღგილობრივი ფეხის დანაფხვება მიიჩნევენ (შდრ. ჭოში — ნაფხეკლაები).

საწირავი (საძოვარი). „ამ მინდორზე დიდი მუხა იდგა. მას წმინდა ხედ თვლიდნენ და შესაწირავი მიპქონდათ. მასვე გადასცემდნენ დამნაშავესაც“ (ი. შენგელია).

წითელარი. წითელარის ადგილობრივ მწირ მიწად განმარტავენ (ი. შენგელია).
ამ სოფლის ძირითადი მოსახლენი არიან მიქაელები, შენგელიები, ჰავალიანები, გიორგიები, რუხაძები.

კვანტალიანების ადგილი (სათესი). კვანტალიანები ამ სოფელში არ ცხოვ-
რობენ. ისინი ძირითადად კულაშის მყვიდრნი არიან. იქიდან გამოსული რამდე-
ნიმე კომლი ხიბლარშიცაა. წითელარში აღრე რომელიღაც კვანტალიანს მიწა
ჰქონია და სახელიც მისი შერჩა.

ჩხანკოლები (საძოვარი). აღმართ, მცენარის სახელია. შდრ. გურ. შანკოლა.
ლექსი: „გადვიარე შხანკოლაში“).

სანავარდო. „ნავარდო — ფრინველთ პაერში შემოვლა“ (საბა). სამიქელო
სოფლების ი. გიულდენშტედტის უსულ სიაში ორიცხულია მე-11 სოფლად (მოგზ. I, 306—307). ეს მოგზაური სანავარდოში შევიდა კულაშის მხრიდან; „კულაში-
დან დაცევით, ლოგობეს სამხრეთ-აღმოსავლეთით და მივედით სოფ. სანავარ-
დოში, იქ, სადაც ლოგობე ერთვის რიონს ჩრდილო-დასავლეთ მხარეზე“—შერს
ი. გიულდენშტედტი (მოგზ. I, 156—157).

სანავარდოსთან ვერმანელ მეცნიერს უნახავს „პატარა ტყების მსგავსი
ბევრი პატარა ჭალა კაკლის ხებით, რომელიც ვაზია დახვეული, თუთის ხე-
ებით, ლელვით...“ „არსაღ შემხედრია ისე ბევრი და ისე ბუნებრივად შერე-
ული ხეხილი, როგორც აქ. ამასთან შედარებით მინდვრის მცენარეები აქ ცო-
ტაა“ (იქვე). მეცნიერის ყურადღება მიუპყრია მურყმნს, რომელიც, მისი
თქმით, ხონი-სანავარდოს გზაზე „ერთადერთი საერთოდ გაველურებული გარე-
ული ხეა“. მისვე იგივე მცენარე საჩრდილობელი ფეტვის ყანებშიც შეუწიშავს.

ი. გიულდენშტედტი რიონის სილრმე-განსაც არ ტოვებს უყურადღებოდ
(200 ნაბიგი, ანუ 4 საუნი) და გადასულის საშუალებებსაც მიუთითებს (ხალ-
ხი „თელის ამოლარული ნავებით“ გადაჰყავთ, ხოლო ცხენებს „შეაცურებენ“—ო
(იქვე, გვ. 158—159). 1772 წლის 20 აგვისტოს ღამით ვერმანელი მოგზაური
სანავარდოში დარჩა და 21 აგვისტოს დილით გადავიდა რიონშე (იქვე).

სანავარდოს მხოლოდ ნაწილი იყო მიქელაძეების, ნაწილს კი მეფეც ფლობ-
და. იქვე მამული ჰქონია ქუთათელ მწერემთავარსაც (ს. კაკაბაძე, იმერეთის
საეკლესიო მიწათმფლობელობა, საისტორიო კრებული, IV, 1929, გვ. 81); სანა-
ვარდოს ნოკიერ მიწებში წილი ჰილაძეებსაც ედოთ (ს. კაკაბაძე, დას. საქართვე-
ლოს საეკლესიო საბუთები, 11, გვ. 92) და სხვა.

საქართველოს ტერიტორიულ-აღმინისტრაციულ დაყოფაში ეს სოფელი
ამჟამად აღია ისხენიება, რადგან ქილაქ სამტრედიის ფარგლებში მოექცა.

ჩქონი (სათესი).

პატარაჭალა (სათესი).

დიდიჭალა (სათესი).

ქურდიანოული (სათესი). ქურდიანის უსული.

ბუთეიშვილის ნამოსახლო (სათესი).

ნარამო (ნამოსახლარი).

ანალები (სათესი). მიწა აუღიათ რკინიგზის მშენებლობის დროს.

ნაეკლესიარი (სათესი). სანავარდოს ნაეკლესიარი, რკინიგზის ჩრდილო-და-
სავლეთ მხარეს.

ორგზაშუა (სათესი). ასე იწოდება რკინიგზასა და სავტომობილო გზას შუა
მდებარე საყანე, აღგილი.

აწყლარი (სათესი).
ნაყვავილები (სათესი).
ქვიშნარა (სათესი).
დიდი კანკური (სათესი). კანკავასეული (?).
პატარა კანკური (სათესი).
პატარა ნარიონალი (სათესი).
ჩქონი (სათესი).
კომახოური (სათესი). კომახიძისეული.
ჭალა (სათესი).

სამტრედის საქალაქო საბჭო

ქ. სამტრედია.

ახალშენი, დაბა, წინაქალაქი, ქალაქი — ისეთი გზა განვლო ამჟამინდელ-
შა სამტრედიაში.

სამტრედის ახალშენი ჭერ კიდევ ამიერკავკასიის რკინიგზის მშენებლო-
ბამდე წარმოშვა. დაბად განვითარებამდე მისი ფართობი 264 დესეტინა მიწა
იყო (მ. ნიკოლეიშვილი, სამტრედის ისტორიიდან, 1957, გვ. 41). ამ ახალშენის
დაწინაურებაში დიდი როლი შეასრულა რკინიგზის სადგურის აგებაში. ეს იყო
1870 წელს. ამავე წელს გარდაიქნა ეს ახალშენი დაბად (იქვე).

ახალი ცხოვრების მაჯისცემა ამ დროს სამტრედიაში ისე ძლიერი იყო, რომ
დაბაშ რაი ათეული წელიდა იარსება მხოლოდ და 90-იანი წლების დამდევი-
დანვე დატყო გაქალაქებისაკენ სწრაფვა. რაც დრო გადიოდა, ეს პროცესი
სულ უფრო და უფრო ღრმად დატყოდებოდა და ჩეენი საუკუნის თითან წლებში სამ-
ტრედის გაქალაქებით დასრულდა. სამტრედის, როგორც ქალაქის, ისტორია
იწყება 1917 წლის პრილიდან, როცა იქ საქალაქო თვითმმართველობა დაწეს-
და (იქვე, გვ. 90).

ჭაინგვალა (რკინიგზის სადგურის მიდამოები) დაბის წარმოქმნამდე ამ აღ-
გილას ორთველი ჭაინების სახნავ-სათესი აღვილი ყოფილა და სახელიც ამ
გვარსახელიდან წარმოდგება.

სიხარულიძის ბალი (რკინიგზის სავადმყოფოს მიდამოები). გიორგი სიხა-
რულიძის ბალი.

მელაურის სასოფლო საბჭო

ტაბელვანი. ამბობენ „ტაბელვანან“—საც. წარმოდგება ბალახის სახელისაგან
„ტაბელა“. საბა ირმელინის განმარტებით, „ტაბელა ჩაღუნსახავით არის“.

ჩეენი საუკუნის დამდევიდან ტაბელვანის ტყებში ხშირად იმართებოდა
სამტრედის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების კრებები (მ. ნიკოლეი-
შვილი, სამტრედის ისტორიიდან, გვ. 109).

საბუე (სათესი).

ფერჩენული (ლელე). ერთვის მდ. ჭურთავის (მარტხნიდან).

რაი ჭადარი. მეორენაირად: „მიხეილის ჭადარები“. როგორც აქვე გაყრული
დაფის წარწერა (ლექსია) გვამცნობს, ეს მცენარეები 1934 წ. დაურგავს მი-
ხეილ ტორონგაძეს „მარად მოსაგონებლად“.

მელაური. ხალხური ეტიმოლოგიით, ეს სახელწოდება თითქოს „მელისა“ და „ურიას“ შეერთებითაა მიღებული. მელაძისეული(?). არც ამ სოფელში არც მის შემოგარენში ამეამად მელაძე არ დასტურდება.

მელაურის ძველ მკვიდრებად ითვლებან გეგშიძები, ვერულეიშვილები, კიკაჩევილები, ხუჭუბი და მიქელაძე.

მთავარანგელოზის ნაცელებით. ასე იწოდება მელაურის ნაცელებიარი (სოფლის ცენტრში). იგი ხის ნაგებობა ყოფილა, დაუნგრევით ჩვენს დროში. მისი მღვდლებიდან მხოლოდ სამსონ კანდელაკი (ცულაშიძან) დაგვისახელეს. სახაფლაო.

ლორთქიძინის წისქვილი. მდებარეობდა „ლელაზე“. ამ გვარსახელს აქ „ლორთქმანის“ ფორმით გამოთქვამენ.

მიწა-ბოგირა. „მიწის ბოგირები ჰქონიათ ეზოში შესასვლელად“ და ამის გამო შერქმევია თითქოს ეს სახელი.

წმიდა ბარბალე. ხის ეკლესია ყოფილა. მისი შემავალი იყო ნინუაკუთხის ნაწილი, მიწაბოგირას ნაწილი და კორიქს ნაწილი (კ. ჯოვანია, კვირიკე).

ტაბელვანი (სათესი).

საბუა (სათესი).

მიწაწითელა (სათესი).

ჩხიყვაძისეული (სათესი).

მთავარანგელოზი ასე იწოდება ნაცელებიარი და სასაფლაო.

ჯარდულები (სათესი).

ქაჯაიასეული (სათესი).

ჩიკოური (სათესი).

ვაშნარი (სათესი).

კორტოხელა (სათესი).

ჩხიყვაძისეული (სათესი).

ნინოშვილი.

ნასიმინდვარი (საძოვარი).

ეწერი. საქართველოს აღმინისტრაციულ-ტერიტორიულ დაყოფაში ეწერი ძველ სამტრედიასთანა გაერთიანებული.

ვახუშტი ბაგრატიონი ეწერს „აყრილი ტყის“ სახელად მიიჩნევს (აღწერა სამეცნისა საქართველოსა, გვ. 164). ვაკის გარდა, იგი ასეთ ტყეებს ასახელებს: „არგვეთს, საჩხეიონს და საჩხიგვაძოს შინაცა“ (იქვე).

გუშრალა (საძოვარი).

ძველი სამტრედია. სახელწოდება დაბა სამტრედიის წარმოქმნის (XIX ს. 70-იანი წლები) შემდგომი დროისაა. მას შემდეგ, რაც ახალშენს ამ სოფლის სახელი შეერქვა, უკანასკნელს „ძველი სამტრედია“ დაუკანონდა.

ძველი სამტრედიის მოსახლეობა შემდეგი საგარეულოებისაგან შედგებოდა: გელეიშვილები, რევიშვილები, ქართველიშვილები, ჯანელიძეები. მას ჰქონდა თავისი ქვის ეკლესია წმინდა გიორგის სახელობისა. მღვდლებად ყოფილან გელეიშვილები.

სოფელში მხოლოდ ერთადერთი „გორიყაა“ (კომახოურში).

კომახოური (სათესი) ნაწილი მეზობელი სანავარდოსაი.

გორიკა. „თამარი მეფის ჯარის ფეხის დანახოციან“ (რ. თაბაგარი).

სახაფლაო.


გულატოური (სათესი).
ვერზეა (სათესი). ვერზეა დგას და ადგილსაც მის გამო შეერქვა სახლის რიცხვი (სათესი). „რიონის პირია, სილნარი ნიადაგი. პომილორის ხარობს! მთელ ამ მხარეში ძელ სამტრედიაშე უკეთესი მოსავალი პომილორისა არსადაა“ (რ. თაბაგარი).

ნარინალი (სათესი).

ორწყალი (სათესი). მდებარეობს რიონისა და ნარინალს შუა და ამიტომაც უწოდებენ „ორწყალს“ (უფრო სწორი იქნებოდა: „ორწყალშუა“).

ჩქონი (სათესი). ჩქონში რიონზე ბორანია, რომელიც სოფელს გაღმა მხარესთან აკავშირებს.

რატიანის ბაღი. რატიანები ამჟამად ძელ სამტრედიაში აღარ არიან. შემორჩენილია მხოლოდ ბაღი.

წმიდა გორგის კელებია. შემონახულია ფუნდამენტის ნაშთები.

სტაროსელსკის მოედანი (სოფლის ცენტრი). სტაროსელსკი ქუთაისის გუბერნატორი იყო პირველი რევოლუციის წლებში.

რიონის გაღმა:

შემოკავებული (სათესი). ჩვენს დროში კოლმეურნეობას ჰქონია შემოლობილი და სახელიც ახალია.

მიერლაძის ნაეზგარი (სათესი),

წყაროსთავი (სათესი).

ზეგანი (სათესი).

დაბლაჭალა (სათესი).

ბაშის სასოფლო საბჭო

ბაში. ბაში საინტერესო ისტორიულ-გეოგრაფიული პუნქტია. ამას მისი სახელიც (ბაჟის სახენაცვალი ფორმი) და მდებარეობაც (რიონისპირულა სოფელი) მოწმობს. იქ რომ ერთ დროს ნავსადგური უნდა ყოფილიყო, ეს კარგად შენიშნა ნ. ბერძნიშვილმა ვარანგთა ეპიზოდთან (XI ს.) დაკავშირებით (მისი, საქართველოს ისტორიის საკითხები, VIII, 1975, გვ. 450). პატივუმული მკლევარი იქვე გულისხმობდა ფონსაც (იქვე).

1578 წელს ბაშში შემდეგი კომლები დადასტურებული: გერაძე (9 კ.), კაშ-მაძე (3 კ.), მუხლებიძე (4 კ.), ნაცვლიშვილი (2 კ.), ნონიასშვილი (1 კ.), სვანიძე (2 კ.), ცეტიძე (1 კ.), ხელბაყიძე (2 კ.); ერთის ვარი ვამორჩენილია, ერთი (თვევდორე) სატომო სახელით (მეგრელი) იხსენიება, ხოლო ერთი—ქოროზმანიძე—გადასულად.

დროთა განმავლობაში ბაშის მოსახლეობაში მომხდარ ცვლილებებს ვვით ვალისწინებს 1819 წლის ოლქერის მასალები. აქედან ჩანს, რომ ამ სოფლის ზოგიერთი ადარინდელი მკვიდრი სულ ვადაშენებულა ან აყრილა (მაგ., ცეტიძე, ხელბაყიძე და სხვ.), ზოგიც რამდენადმე ვამრავლებულა (მაგ. ნაცვლიშვილი 8 კ. ვამხდარი), მოსულან აზნაური მეძმარიაშვილები (8 კ.). გლეხთაგან მოსულები არიან: ბერძნებაძე, გოგვაძე, თაღუმაძე, თვალავაძე, კეკელია, კვერნაძე, ლაშვარაშვილი და სხვა (ს. კაჯაბაძე, მასალები დასავლეთ საქართველოს სოციალურ და ეკონომიკური ისტორიისათვის, გვ. 66).

ჭედა ბაში.

ნახშირლელი.

ლაბადნარი (სათესი).

გრძელა (სათესი). ქორქაშვილის ყოფილა (ასახლებენ ქალს—მაშის).

კოპიტნარის ღველი, რიონის მარჯვენა შენაკადი.

გრძელას გორიყა. მრგვალი. კონუსისებური ფართობი ათასამდე მეტრი. სიმაღლე ნიადაგის დონიდან 4—5 მ. ერტყა თხრილი, რომელიც მ უკანასკნელ დროს კიდევ უფრო ჩაულმავებიათ და თევზის აუზად უქცევათ.

ბაშურები (სათესი). „ნაწილი დიდი ჯიხაიშის რიონისპირულა საქონებელ-შია, ხოლო ნაწილი ჭედა შაშს ეკუთვნის“ (მ. ნაცვლიშვილი) (60 წ., ჭედა ბაში).

ხვილიფი (სათესი). ვრცელი სახნავ-სათესი რიონისპირას. „ახლა ძალიან შემცირებულია, რიონმა წაილო. ეკუთვნოდა პიპინია მიქელაქეს“ (მ. ნაცვლიშვილი).

ჭალა (სათესი).

აკვანა (სათესი).

საყანჩია (სათესი).

სალაქაშია (სათესი).

ნაიოხსტურ. „ნიკო მექმარიაშვილი იყო“ (მ. ნაცვლიშვილი).

წითელი გორიყა. წითელ გორიყას მ. ნაცვლიშვილი უნაგირისებურს უწოდებს. სიმაღლე 6 მეტრამდე, ფართობი ათას მეტრამდე. უთხრილო. ჩვენს დროში, როცა იქ ერთი მეჯოგის საფლავს ჭრილენ, ძველი ნაშთები აღმოჩენილი. თითქოს სასინჯი თხრები ჩაუტარებია ქუთაისის მუზეუმში.

წიფლარის ნაეკლესიო. ასე იწოდება ჭედა ბაშის ნაეკლესიარი. ეკლესია ხისგან ყოფილა ნაეგბი. მღვდლებიდან ახსოვთ მხოლოდ ბესარიონ ნაცვლიშვილი და ვარიამ შარაშენიძე.

სამაჩაბლო (სათესი). ძველად ფარცხანაყანევის ყოფილა, მაგრამ, რადგან ჭედა ბაშს ეკვრის, ამას მივთვალეთ.

შუაბაში.

ქოვირისპირი (სათესი).

კაპეტები (სათესი).

ლეღვადა (სათესი).

უქთამური (ნაეკლესიარი, სასაფლაო). შუაბაშის უქთამურის ეკლესია (შეღრ. წიფლარის და სხვ.), ხის იყო. მისი უკანასკნელი მღვდელი ყოფილა აღ. თვალივაძე.

რიყე (სათესი).

შეკვერილა (ტყე).

გალმაჭალები: დობირო, პარპალა, ლოკნარი, თითა, გრძელა, სათემო ყანა, ზეით თავი, სულორისპირი, ნაისლარი, კოსა.

ჭედა ბაში

ხვილიფი (სათესი).

ტილიფნარი (სათესი).

საშინდია (სათესი).

ბეჭერე (ლელე). ურთვის რიონის (მარჯვნიდან).

გუდაბროული (სათესი).

ეკრანი (სათესი).

მაცხოვარი (სასაფლაო). ასე იწოდებოდა ზედა ბაშის ექლესია. ესეც ხის ყოფილა. მისი მღვდლებიდან ასახელებენ ილიკო ჰინტველებიშვილს (საყულიძან) და გიორგი კუჭუხიძეს (მეორე ეწერ-ბაშიძან).

პირველი ეწერ-ბაში

ტეურები (სათესი). ტევრები.

ლოდარიბა (სათესი).

ტილიფობა. ასე იწოდება პირველი ეწერ-ბაშის ნაეკლესიარი და სასაფლაო. ექლესია ხის ყოფილა. მღვდელი იოსებ ნაცვლიშვილი.

ქორქაშვილის მიწები.

ხარდამჩალა (ლელე). მეორენაირად ხარლელა.

სახტომელალელე.

მეორე ეწერ-ბაში

ვორიკა. მრგვალი. კონტსისებური, მოზრდილი. სიმაღლე 4—5 მეტრი. დაფარულია ტყით. ჰქონია თხრილი.

საზაშვია (სათესი).

ბუოლიანა (სათესი).

სამოდო (სათესი).

საცკლესიო (სათესი).

საკვერნაშო (სათესი).

ნაეკლესიო მეორე ეწერ-ბაშის ექლესია (ხის) ამაღლებისა იყო. უშრატო. მას ზედაბაშის მღვდლები ემსახურებოდნენ.

ეწრის სახოფლო ხაბჭო

ოჭოფა. ოჭოფა მელაურის მოსაზღვრეა.

დელა (მცირე მდინარე). ოჭოფას და მელაურის გამყოფი. ოჭოფელი ი. ჭავას (76 წ.) ცნობით, ამ მდინარის ძელი სახელი თითქოს „კერქა“ ყოფილა (ს. ოჭოფა, 15. VIII. 1976 წ.).

ნაეკლესიარი. ადგილობრივი გამოთქმით „ნაეკლესიო“. ოჭოფის წმ. გიორგის ექლესია (ხის) ჩვენს დროში დაანგრიეს და მისი მასალით სკოლა ააგეს. ამ ექლესის უკანასკნელი მღვდელი იყო ისაკ ახვლედიანი.

კახიანის ნაეზერები. კახიანები მიქელაძეების აზნაურები იყვნენ (ო. სოსელია, ნარკვევები ფეოდალური ხანის დასავლეთ საქართველოს სოციალურ-პოლიტიკური ისტორიიდან, თბ., 1973, გვ. 56).

ძელი ეზოები (სათესი). ასე უწოდებენ გლეხთა ნომსახლევ ადგილებს.

გზაბოძალი. მეორენაირად „ეკლის ხეები“. ეს ადგილი ოჭოფას და პატარა ეწრის „საგორაოა“ (ე. ი. საზღვარია).



გუნდაური (სათესი). დავადასტურეთ „ლუნცაურის“ ფორმითაც კუთხით გადასახელი გუნდაური).

პატარა ეჭირი

წყაროს თავი. მდებარეობს იანეთ-კულაშის გზაზე. კარგი წყაროა.

საჯვარეს ნაეკლესიარი. პატარა ეჭირის ეკლესია (ხის), რომელიც ადგილობრივ „საჯვარეს ეკლესიად“ იწოდებოდა, ჯიქთუბის წმიდა ელის განშტოება იყო და იქანი მღვდლები ემსახურებოდნენ. მათგან ამჟამად ასსოვთ მათე და სერგო კალაძეები (მამა-შვილი) და პავლე შენგელია.

გორისა. მდებარეობს პატარა ეჭირის განაპირის (აღმოსავლეთით), ჭიათულის ღელის მარჯვენა სანაპიროზე. სიმაღლე 3 მეტრამდე, ფართობი ორი ათას მეტრამდე. ეკალ-ბარდის გამო კულტურული ნაშთების აკრეფა ვერ შოგახერხდეთ.

გორისა ზედაპირი ხელშეუხებლად არა მოღწეული, მაგრამ მაინც, ეტყობა, რომ ის ყორლანია და არა საცხოვრისი გორა. მისი სიმრგვალე და კონუსებური ამაღლებაც ამას გვაიფიქრებინებს.

ჭაილა (ლელე). „წყაროსავითა და ჭაილაც ამიტომ ქვია“ (დ. ჭაია).

საწურბლია (თხრილი). საწურბლია ეჭირება იმ თხრილს, რომელიც საყმაოდ ფრცელ მიწაზენულს (ადგილობრივი გამოთქმით „გორისა“) შემოუყვება. ვიდრე თხრილში ჩამდგარ ჭაობს დაშრობდნენ, მასში წურბლები ბუღობდნენ და სახელიც აქედან შეერქვა.

1960 წლის სექტემბერში ეს თხრილი ინახულა და აღწერა ნ. ბერძენიშვილმა. როგორც სწორად მიუთითებდა მკვლევარი, სიფართით ეს ძეგლი არაფრით განხვადება სხვა „გორიკების“ თხრილებისაგან (ისიც 20—25 მეტრი სიგანისაა), „ოლონდ ესაა, რომ აქ ეს წრე გაცილებით უფრო დიდია, ვიდრე სხვაგან“ (ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, VIII, 1975 წ. გვ. 452).

საწურბლია 1927 წელს დაშრეს. გარდა იმისა, რომ ამით მაღარის ერთი ბუდე მოისპო, 4 ჰექტარი ნოკიერი მიწაც შეეძინა სოფელს, რომელიც მაშინევ „სახელმწიფო ფონდში ჩაირიცხა და საფუძლად დაედო კოლმეურნეობის საქონებელს“ (მალვა კალაძის — დაბ. 1900 წ., ცნობა):

ომის შემდეგ კოლმეურნეობას იქ იხვის ფერმა მოუწყვია და საწურბლის თხრილში ცხენისწყალი შემოუყვანია. ფერმის გაუქმების შემდეგ თხრილი ისევ საყანედ გამოუყენებიათ. ნ. ბერძენიშვილის იქ სიმინდის ყანა დახვედრია (ნ. ბერძენიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 452).

ამჟამად საწურბლიის ნაწილს კვლავ ჭაობი ფარავს (სახრეთ-აღმოსავლეთ მხარეს), ნაწილი საძოვრადა გამოყენებული.

გორისა. ას იწოდება საწურბლიის თხრილით შემოგარსული საყმაოდ დიდი შემაღლებული ადგილი. „გორისა“ ჩვეულებრივ შედარებით მცირე მიწაზვინულებს შეშენის სახელად, მაგრამ მოსახლეობა ასეთ დიფერენცირებულ მიღვიმას არ იჩენს და ყველა ასეთ ობიექტს — დიდს თუ მცირეს — „გორისა“ უწოდებს.

ეს გამორჩეული „გორისა“ მისი ფართობი „სულ ცოტა ორი ჰექტარი იქნება“ (ნ. ბერძენიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 452). ნ. ბერძენიშვილის აზრით,

ასეთივე სიდიდის უნდა ყოფილიყო პატრიკეთისა და დიდი ჯიხაიშისა კი საქმაოდ ების უნის გორიყებიც (იქვე).

პატრიკეთის გორიყა ჩენ ჭერ არ გვიანახავს, დიდი ჯიხაიშისა კი საქმაოდ ვანსხავდება საწურბლის გორიყასაგან. ჭერ ერთი, მოცულებით ის ბევრად უფრო ნაკლები ჩანს, ხოლო სიმაღლით დიდად აღმატება.

ნ. ბერძნიშვილს არ გასძნელებია საწურბლის „გორიყას“ თავდაპირველი დანიშნულების („საზოგადოების საცხოვრებელი“—იქვე) შეცნობა. მაგრამ პატრიკემულ მკვლევარს იმ დროს მასზე მიმდინარე ცხოვრების ისტორიული სურათის აღსადგენად საჭირო მეცნიერული ძიების საშუალება არ გააჩნდა და ასეთი ძეგლების შესწავლის გზების დასახვით დაქმაყოფილდა: „სადამდე გრძელდებოდა ამ გორიყებზე ცხოვრება, რა როლს ასრულებდა ეს თხრილი, როგორ ეგუებოდა ან როგორ ებრძოდა გორიყის საზოგადოება ამ თხრილში ჩამდგარ წყალს და სხვა ასეთი საკითხები ბუნებრივად დაისმება ამ ნაგებობათა შესწავლისას“ (იქვე).

ამ საკითხებზე შეცნიერული პასუხის გასაცემად განსვენებული შეცნიერი არქეოლოგიურ ძიების თვლიდა საჭიროდ (იქვე).

მას შემდეგ დარგა ხანი (16 წ.) გავიდა, და დღესაც იძულებული ვართ, ზედაპირული ნივთიერი მასალებითა და ზეპირსიტყველი გაღმოცემებით დავკმაყფილდეთ.

მცენარეულ საფარის ნ. ბერძნიშვილისათვის კულტურული ნაშთების აკრეფისა და დაკიბირვების საშუალება არ მიუცია (იქვე). ჩენ ამ მხრივ უფრო გაგვიძართლა და გორიყის კერამიკულ ძეგლებში გვიან ბრინჯაოს ხანის ნაშთებიც გამოვარჩიეთ.

არაა საფიქრებელი, რომ ამ გორიყაზე უწყვეტად მიმდინარეობდა ცხოვრება მთელ შემდგომ პერიოდში, მაგრამ მას რომ დრო და დრო მაინც უჩნდებოდა ბინადარი, ეს გაღმოცემებითაც ჩანს. ხალხში დღემდევა შემონახული ხსოვნა აქ მოსახლე ვინმე „თავადისა“. ზოგიერთი მის გვარსაც კი ასახელებს („ჭილაძე“). მაგრამ ყველაფერი ეს მაინც ზღვაში წვეთია იმასთან შედარებით, რაც ასეთი ძეგლების შეცნიერულ-არქეოლოგიური შესწავლით არის შესაძლებელი.

ჯიქთუბანი. ადგილობრივი გაძოთქმით „ჯიქთომანი“ (დ. ჭაია). ჯიქთუბანი — ჯიქთომანი — ჯიქთომანი.

წმიდა ერთა. ასე იწოდება ჯიქთუბნის ნაეკლესიარი (აგურის ნაგებობა ყოფილი) და სასაფლაო, რომელიც გორიყაზეა გაშენებული. ნ. ბერძნიშვილი ამ ბორცვს „ტიპიურ გორიყას“ უწოდებს. და მხოლოდ მის სიღილეს განსაზღვრავს („საქმაოდ მოზრდილი ოვალური ბორცვი“).

მისი განსაკუთრებული დაინტერესება გამოიწვია ამ სისაფლაოს ძეგლებმა. „ეს სასაფლაო შესანიშნავია. ჩენმა ეთნოგრაფებმა უთუოდ უნდა ნახონ ის... ჯიქთუბნის საფლავის ქვების მსგავსი მე სხვაგან არ შემხვედრია“—წერს მკვლევარი (იქვე).

კოპიტნარი (სათესი).

არხისპირება (სათესი).

თვალაური (სათესი).

გაგლაური (სათესი)

დობიროება (სათესი).

ველწიოთელა (სათესი).

გუმრალა (სასაფლაო).

დიდი ეწერი

ბოყვანაყანები (სათესი).

ქერეხესპირები (სათესი).

გორიე. მდებარეობს მდ. ჭერხას მარჯვენა მხარეს ვრცელ ველობში. მრგვალი, კონუსისებური. ფართობი ათასამდე მეტრი. სიმაღლე 6—7 მეტრი. სამი მხრიდან შემოსდევს ჭაობი.

ახალი ხოფელი. აღმიანის უძველესი ნაკვალევი ამ სოფლის ტერიტორიაზე აღრებრინჯაოს ხანით თარიღდება.

XIX ს. ბოლოს, როცა აქ ჰყვიშელი „წყალწალებულები“ სახლდებოდნენ, მხოლოდ ქოსნათის ტყე და მის გარშემო ვრცელი სახანე-სათესები იყო. ამ სოფლის პირველი მოახალშენენი იყვნენ ჰყვიშელი გლეხები: ანდრიაძე, ბალდავაძე, ბატრაძე, კაკაბაძე, ფახურიძე და სხვ.

ახალსოფლელს ჰქონდა ქვის ეკლესია მთავარანგელოზისა.

ბაძგნარი (სათესი). ბაძგარის სახენაცვალი ფორმა. ზემო იმერულშია ბაძგნარი, რაც „ეკალ-ბარდით დაფარულ აღვილს“ ეწოდება (ქ. ძოწენიძე, ზემოიმერული ლექსიკონი, 1974, გვ. 47).

გორიე მდებარეობს ბაძგნარში.

ქოსნათი (დასახლება). ამ მიდამოებს რევოლუციამდე აზნაური კახიანები ფლობდნენ. „ძახა კისნათი“—ასე იწოდებოდა თურმე ეს აღვილი ივანე ბალდავაძის ერთ ნახილენობის ხელშერიოლში (ალ. ბალდავაძის—დაბ. 1900 წ., ცნობა).

მთავარანგელოზი. ასე იწოდება ახალსოფლის ნაკლესიარი და მისი მიდამოები. ეკლესია (ქვისა) აქ აუგიათ ჰყვიშიდან გადმოსახლებულებს XIX ს. დამდეგს. „იგი უშტარო ეკლესია იყო, სადაც მეოთხე კვირას წირულენენ ყუბურელი მღელები“ (ალ. ბალდავაძე).

ამ ეკლესის უკანასკნელი „სტაროსტა“ იყო ივანე ბალდავაძე, რომლის ინიციატივითაც ათონელმა ბერმა სვიმონ ბალდავაძემ (ივანეს ბიძა) „იგი ყოველი სამღელელმასხურო მოწყობილობით სრულპყო პირველი მსოფლიო ობის წინ“ (ალ. ბალდავაძის ცნობა).

პატარა ტყე (დასახლება).

კახოურა (დასახლება). აზნ. კახიანის აღვილი იყო და სახელწოდებაც მისგან მიიღო.

ტუტაშიწა (სათესი).

ნარიონალი (მდინარე).

ჭილი (სათესი)

ჭერხა (მდინარე). რევოლუციამდე ეწრისა და იანეთის საზღვაოს დებდა. ჩვენს დროში ეწერი ჭერხას მარცხნა სანაპიროზეც გავრცელდა.

ნაქარხნევი (სათესი). მდებარეობს ჭერხასა და რიონის შესაყარში. ჩვენს დროში (ნეპის უამს) აქ კრამიტის ქარხანა ჰქონით ახალსოფლელი ი. ბალდავაძეს და ამხანაგობას. მიწის უგარგისობის გამო რამდენიმე ხნის შემდეგ ქარხანა იანეთში გადაუტანიათ (შ. ბალდავაძის ცნობა).

ბორანი. ახალსოფლისა და ჰყვიშის მაკავშირებელ ამ ბორანზე გადიოდა სამტრედია-ვანის მთავარი გზა.



იანეთი „ივანეთის“ სახენაცვალი ფორმა... ასეთივე წარმოშობა საა ზემოგურის იანელიც (ივანელი).

საქუთარ სახელ ივანესაგან ნაწილობი ადგილთ სახელები ხშირია სა-ქართველოში; ივანეშინდა (ქართლში), ივანდიდა (იმერეთში) და სხვ.

იანეთი მეტისძეელი სოფელია. ადამიანის უძელესი ქვალი აქ ჯერჯერობით გვიანბრინჯაოს ხანით თარიღდება. 1568 წელს იანეთში მრიოლი იყო. გიორგი III იმერთა მეფეს იქ „ლალატად დაესხა“ ფეოდალური ორეგურა, მაგრამ წარუმატებლად (ვახუშტი ბაგრატიონი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ქართლის ცხოვრება, IV, 1975, გვ. 816).

უვაბისლელი. ერთვის რიონს გუბისწყლის ზემოთ. 1960 წლის სექტემბერში პ. ჭაბუკიანს უცნობებიან ნ. ბერძენიშვილისათვის, თითქოს მან იქ ნაბანაკევი აღმოაჩინა (ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს მსტორის საკითხები, VIII, 474). სამწუხაროდ, ვერაფერს ამის მსგავსს ჩვენ იქ ვერ მივაკვლიერ.

სატალაბთა (სათესი).

ჭალა (სათესი).

ნელიოფონი გუბისწყალზე. ამ ფონით უკავშირდებოდა ახალი სოფელი და იანეთი გუბისწყლის გაღმართს.

დიდი ბზარნალი (სათესი).

ჩარნალი (სათესი).

კვაიჭალა (სათესი).

ჟავიბორჩხლია (სათესი)

ფოფრიდები (სათესი) „თეთრი მიწაა“.

კაპნარი (სათესი). კაპნარში „ნოღა“ და „ჭალა“ მიწებია...

გორიკა. გუბისწყლის მარჯვენა სანაიროზე მრგვალი, კონუსისებური. სიმაღლე 4 მეტრამდე, ფართობი ხუთას მეტრამდე. თხრილი არა აქვს.

ქაცვნარა (სათესი).

კოხორულა (სათესი). კოხრეიდისეული.

ონწარო (სათესი).

საქორია (სათესი).

ნეკლესო. იანეთის ლვთისმშობელი, ხის ეკლესია იყო. მისი უკანასკნელი მღვდლები იყვნენ გრიგოლ კოხრეიდე და ზოსიმე შანიძე.

დიდი ჭიხაიშის სახოფლო ხაბჭო

დიდი ჭიხაიში. ჭიხაიში რამდენიმეა: დიდი, პატარა, გოჩა. სახელწოდება წარმოგება ძეველზანური სიტყვისაგან „ჭიხა“, რაც „ციხეს“ ნიშნავს. ბოლოებური შ ამ სახელში იმავე ფუნქციისაა, რაც ზანურში. (ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, VIII, 522).

ციხე ჭიხაიში დღეს არ დასტურდება. სამაგიეროდ, საქმაოდაა შემონახული ძეველი ნამოსახლარი „გორიკები“, რომელთაც უნდა უკავშირდებოდეს სწორედ სახელწოდება „ჭიხაიში“.

1960 წელს ნ. ბერძენიშვილი ჭიხაიშის ერთ-ერთ გორიკაზე მსჯელობისას შენიშნავდა: „ხომ არ იყო ეს „გორიკა“ თავდაპირველი „ჭიხა“, ე. ი. ასეთ გო-



რაკებს (ადამიანის საცხოვრებელი) ხომ არ ეწოდებოდა ზანტრად „გიზუქუნიშვილი“ შეიძლება ისეთ დიხაგუძუმას, რომელზედაც სიმაგრე იყო მოწყობილი, ეწოდება, ე. ი. ხომ არ იყო ამ პორცეზე ერთ დროს... ჯიხა აგებული, ანუ ეს გორაკი ხომ არ იყო ჯიხად გამოყენებული?“ (იქვე, გვ. 450—451).

6. ბერძენიშვილმა კარგად იცოდა ამ სამუშაო პიპოთეზების ფასი და ისიც, თუ როდის იქნებოდა შესაძლებელი ამ საკითხზე „ნიკოლაი საუბარი“ (იქვე, გვ. 451). სამწუხაროდ, სამისო პირობები არც დღესაა, რადგან არც ერთი ეს ძეგლი ჯერჯერობით მეცნიერულად შესწავლილი არ არის.

დიდგინაიშვი ადამიანის უძველესი ნაკვალევი ენეოლითის ხანიდანაა და-დასტურებული (ანარის ძეგლები).

ოქტომბერი. ადგილობრივ „წითელ ოქტომბერს“ უწოდებენ. რევოლუციამდე იგი „ქაშვეთის“ უბანში ერთიანდებოდა.

ვაშაკიძები (უბანი).

გორიკა. ეს გორიკა 1960 წლის სექტემბერში ინახულა 6. ბერძენიშვილმა. როგორც სწორად შენიშნავდა მეცნიერი, „დღეს ამ ოდესმე უზარმაზარი ბორცვის მეათედი თუ არის გადარჩენილი“ „საქართველოს ისტორიის საკითხები“, VIII, გვ. 450). ეს შესანიშნავი ძეგლი ასეთ დღეში მის შემოგარენში მცხოვრებთ ჩაუყდიათ. ზოგს მისი მიწა სახლის იატყის მოსატკეპნად გამოუყენებია, ხოლო ზოგსაც — ეზოს „მოსამიწნავად“. ბორცვის სიმაღლე ხუთ-ექვს მეტრამდეა. ზემოთ ჰქონია ვაკობი, რომლის ფართობსაც 6. ბერძენიშვილი ათასამდე კვადრატულ მეტრად ვარაუდოს (იქვე). რადგან ბორცვის ვერტიკალურია, ასე უშესველებულია, „აულტურული ფენებიც“ კირგად ჩანს. 6. ბერძენიშვილს აქ შეუნიშნას: „დაწმუნოთ თიხა (ხანძრის ნაკვალევი), კერამიკის უხვი ნამსხვრევები სხვადასხვა ეპოქისა, ძვლოვანი ნაშთები“ (იქვე). ზოგი რამ მკვლევრისათვის ადგილობრივ მცხოვრებთაც დაუდასტურებიათ („რკინის“ ნიკოლი) (იქვე).

აქვე უპოვათ ადამიანის ჩინჩხის ნაშთებიც (შალვა ქუთათელაძის ცნობა).

6. ბერძენიშვილს გორიკას გარშემო თხრილიც შეუნიშნავს (იქვე). ამ მეტად საინტერესო გორიკას არქეოლოგიური გათხრა, მართლაც, სასწარიო და საშუალო საქმეა. კიდრე ასეთი სამუშაო არ ჩატარებულა, მანამდე „ნიკოლი მსკელობა“ ამ ძეგლის რაობაზე, რა თქმა უნდა, შეუძლებელია, ერთი რამ, რაც ახლაც შეიძლება თქვას, ესაც: ეს გორიკა აშკარად ის „ჯიხა“, რომლისაგანაც წარმოდგა სახელწოდება „ჯიხაიში“. ამ სოფელში არაერთი გორიკა (თხრილიანი და უამისოც) მაგრამ ვერც ერთი ვერ შეედრება ვაშაკიძებისას.

საქართველო (საძოვარი) „კოლმეურნეობა ამზადებდა კამიტს“ (მ. ვაშაკიძე) კოხროული (სათესი). კოხრეიძისეული.

გორიკა.

შუბლაძები (უბანი).

ქაშვეთი. ასე იწოდება ნაეკლესიარის და სასაფლაო მიღამოები. ეკლესია ხის იყო, უკანასკნელი შედელი — ბესარიონ ვაშაკიძე.

სახნაგ-სათესი ადგილები უბისწყლის გაღმართში. შაბურები, შაფუნარა, ნაწყვეტი, საილორო, თეთრი მიწა, გორიკა, ყვაპისწყალი, ფოფრიები, ნოლა, ვაშლარი.

კახაძები. ანლა „ნინოშვილს“ უწოდებენ.
გორიკა.

ხრანტები (სათესი).

ანარია (სათესი). 60-იან წლებში არხის გატრისას ანარიაში აღმოჩენილა სიძველეთა ნაშთები: კაჟის ბუნიები, შავი და წითელლაკიანი ჭურჭლის ნატეხები. ხერგვთა.

ჩიტაური (სათესი).

რუშავა (სათესი).

წყაროპირი (სათესი).

ჩხოკა (სათესი).

კალამანები (სათესი). ასე იწოდება ჩალამკალიძი. კალამოვანები—კალა-
მენები — კალამნები.

სერგეთის მინდოონ. გადმოცემით, ამ მინდორზე ოდესლაც თითქოს ბრძო-
ლა მომხდარა. მომხდურნი ყოფილან ოსმალნი და დამარცხებულან კიდეც
(ვ. ჩხეიძე, 84 წ.).

ნაერლენი. აქ ყოფილა სერგეთის წმიდა გიორგის ეკლესია. ხის. მისი უკა-
ნასენელი მღვდლები იყვნენ ანდრია ლექავა და გერასიმე ნუცუბიძე.

ლუხმელა (სათესი) რუხმელა.

ქვიანა (სათესი).

კეჭინარა (სათესი).

ნოღები (სათესი).

ნაისლარი (სათესი).

ეზოს ხატი.

სათოქნია (სათესი.)

წყაროსწყალი.

ძიგნარა (სათესი).

სატურია (სათესი).

ეზოს ხატი (სახაფლაო). სანიმ ამ სოფელში ეკლესია აიგებოდა, მანამ ხატი
ოჯახში პქონია ვიღაცა კაჭახიძეს. შემდეგ კი ეს ხატი ეკლესიაში გადმოუსვენე-
ბიათ და ეკლესიასაც აქვდან მიუღია სახელი (ეზოს ხატი).

ეკლესია ყოფილა აგურის. დაუნგრევით ჩვენს დროში. მღვდლებიდან ახ-
ლა მხოლოდ სამსონ დევიძე ახსოვთ. დიაკვნად იყო ნიკოლოზ კაჭახიძე.

ყაზბეგი. ძველი სახელი ადგილობრივ არავინ უწყის.

ბალათურა (ლელუ). სასაზღვრო ლელუ ეზოს ხატასა და ყაზბეგს შუა. ამ ლე-
ლუს ლექსი უძღვნა გ. კაჭახიძემ (მისი, იმ ვარსკვლავების შუქი, თბ., 1976, გვ. 47).

ეკლესია ხის დიდი ეკლესია (XIX ს.).

რუშავა (სათესი).

კოპიტნარა (სათესი).

სალეკა (სათესი).

საწუმარა (სათესი).

გორიკა. ამეამად დაბურულია ტყით. ფართობი 500 კვ. მეტრამდე იქნება.
სიმაღლე—4 მეტრამდე.

ძურღელა (ლელუ).

წყალთაშუა (სათესი).

ნოღა (სათესი).

ქვეთავა (საძოვარი).

როზა. როზა ლუქსემბურგი. ძველი სახელწოდება ვერ მოვიპოვეთ.

ნადიგარა (სათესი).

ნაეკლესიო (ტყე).

ნაქურალი (საძოვარი). „აგურ-კრამიტის ქურა ჰქონდათ მოწყობილი“
(ო. ნუცუბიძე).

ნაკანაფარა (საძოვარი).

ქვიანა (საძოვარი).

მუხისძირი (საძოვარი).

საბურა (სათესი).

ქვეთავა (სათესი).

კულაშის სადაბო საბჭო

კულაში. კულაში ისეთივე ნანათესაობითარი გეოგრაფიული სახელია, როგორც ჯიხაში და სხვა. მისი აღრინდელი ფორმა თითქოს სკურაში უნდა ყოფილიყო. ეს ზონური სიტყვა წყალს, მდინარეს აღნიშნავს. ამ ტომის გადანაცხოვრ მიწა-წყალზე ზანური სახელწოდებინ საქმიალდა შემორჩენილი (შდრ. მდ. სკურდუმი—ნატანების მარჯვენა შენაკადი, და სხვ.).

ამ სახელწოდების ხალხური ასხა — „კულაში მიღებული“ (კულა, ღვინის სამელი ჭურჭელი) ანგარიშგასაწევი არ არის.

კულაში იმერეთის სამეფოს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სავაჭრო ცენტრი იყო.

ნაბაკევის სასოფლო საბჭოში ხუთი სოფელი შედის: ხუნჭულაური, ნაბაკევი, ნინუა კუთხე, კვირიე, ჩხენიში.

ხუნჭულაური. ხუნჭულაურში ამჟამად მოსახლეობენ შემდეგი ვლეხური საგარეულოები: თავდუმაძე, მეიშვილი, წულაა, შენგელია და სხვა. რამდენიმე კომლი მიქელაძეება.

ბუნარა (სათესი).

ღვთისმშობელი ხის დიდი ეკლესია (XIX ს.).

რამის ფართობი (სათესი).

რიყე (სათესი).

ჭალა (სათესი).

ნაბაკევი. მეორენაირად: ნაბაკები. „ბაკი—თხის სადგომი“ (საბა). მოსახლეობენ: გიგინეიშვილები, სტურუები, შენგელიები, ხაუალიები (გლეხები), ნიკურაძეები, კანდელაძები („აზნაურობის მაძიებელნი“), მიქელაძეები. ნაბაკევი ჯვარცმის ეკლესიას ეკუთვნოდა.

ნახადნიკონ (ველი). წარმოდგება რუსული სიტყვისაგან „ვსადნიკ“ (მხედარი). „ამ ველობაში ერთ დროს რუსთა ჯარი მდგარა“ (შ. მიქელაძე, 80 წ. ნაბაკევი).



ლაფანდორი (სათესი).

ნინუკუთხე. გარდა ნინუებისა, ამ სოფელში მოსახლეობენ: ვარდა მარტო, გაბეჩავები, კანდელავები, ნიურაძეები, მიქელაძეები, შენგელიძე და სხვ.

ნინუკუთხის ნაწილი ჯვარცმის ეკლესიის შემავალი იყო, ხოლო ნაწილიც წმიდა ბაზალეს ეკლესიისა.

ჯვარცმის მინდორი. ეს მინდორი ჯვარცმის ეკლესიას მოსდგამს დასავლეთიდან და სახელიც მისა მიუღია. გადმოცემით, ამ მინდორზე მდგარა მიქელაძეთა „საოთოფურებიანი კოშკები“ (ო. სოსელია, ნარკვევები, გვ. 55).

ჯვარცმის ეკლესია. ი. გულდენშტედტი მხოლოდ იმის აღნიშვნით კმაყოფილდება, რომ იგი „ქვის პატარა ეკლესია“ (მოგზ. 1, გვ. 155—156). ეტყობა, შორიდან მოჰქმარ თვალი და ასე მოეჩვენა, თორემ ის არც ისე მცირეა შედგება ორი ნაწილისაგან. ჯვარცმა დარბაზული ტიპის ეკლესიაა. აქვს ორი შესასვლელი: დასავლეთიდან და სამხრეთიდან. მოხატულობის მეტი ნაწილი სახარების კომპოზიციებია (მირქმა და სხვა), ნაწილი ისტორიულია. ჩრდილოეთ კედელზე გამოხატული არიან პატარა მიქალაძე და მისი მეუღლე.

ჯვარცმა მიქელაძეთა საძეალე იყო.

ადგილობრივ ამ ეკლესის „თამარის დროისად“ მიიჩნევენ (შალვა და ბუდუ მიქელაძეების ცნობა). „საქართველოს სსრ კულტურის ძეგლებში“ იგი შუა საუკუნეებით არის დათარიღებული (გვ. 103). ჩვენი აზრით, იგი გვიან შუა საუკუნეების ძეგლია (XV ს.).

XIX ს. მეორე ნახევარში ძველი ჯვარცმის ახლოს (ჩრდილოეთით) ხის დიდი (სათემო) ეკლესია აუშენებიათ. 1891 წ. კი გაუკეთებიათ ჯვარცმის გალავნის შესასვლელი. როგორც მისი წარწერები გვაუწყებს, სახსრები გაულია გიორგი გულას ძე სტურუას, ხოლო აუშენებია „ოსტატ“ ივანე დიგასოლლის.

ნამგლები (სათესი).

ბელლისმოდება (სათესი).

ნაბუტკოს არხი.

ხეხილები (ბაღი).

კოტურა (სათესი).

ივანურები (სათესი).

წმიდა ელია (საძოვარი).

ნარლვევი (ლელე).

ბოგვანი (სათესი).

ნატეხები (სათესი)

ნაბუოლარი

ჩ ხ ე ნ ი შ ი. მდებარეობს ცხენისწყლის პირას.

ბრელიძისეული (სათესი).

ნახომარი (ს. უბანი).

ნახომარას ლელე.

კოტური (სათესი).

ლვთისმშობელი. ხის ეკლესია ყოფილა.

რიყე (საძოვარი).

ნარამო (საძოვარი).

ჭახაკიახეული (სათესი).

მელმაძისეული (სათესი).

გიგანტიშვილები (ს. უბანი).

ლეჩეცურა (სათესი).

ბოგვანი (სათესი).

ვერხების მინდორი (საძოვარი).

ჭალის მინდორი (დასახლება).

კვირიცე. სახელი ეწოდა წმ. კვირიცეს ეკლესიისაგან (ხის) „უშტატო ეკლესიი იყო“ (ქ. ჯოგუ).

ნატეხები (სათესი).

ნაწისჭვილარი (სათესი). მეორენაირად: „ლორთქიფანიძისოული“.

ღანირის მოდება (სათესი).

ტოხელა (სათესი).

ღანირის სასოფლო საბჭო

ღანირის სასოფლო საბჭო ორ სოფელს—ჭაგანი, ღანირი (ცენტრი)—აერანინგბას.

ჭაგანი სახელწოდება წარმოდგება ბალახის სახელისაგან „ჭანგა“. ამავე ფორმითავა დაბასტურებული ეს გეოგრაფიული სახელი გვიანშუასაუკუნეთა ძეგლებში. დროთა განმავლობაში ჭანგა „ჭაგანი“-ად გარდაიქმნა (ჭანგა—ჭაგანი—ჭაგანი). ჭაგანი ორად იყოფა: გალმა და გამოლმა. სოფელს ყოფს მდ. ჭურთავა.

ასეთივე სახელწოდების სოფელი გალმა მხარშიცაა (ჭყვიშთან). იგი ვაკის ჭაგნელებმა მოაშენეს XIX ს. და სახელიც თავისი ძველი სამკვიდრო სოფლისა უწოდეს.

გამოლმა ჭაგანი.

ვაშნარის დელე. ეს დელე მიწა ბოგირსა და ჭაგანს მიჯნავს.

წყაროს მინდორი.

მთავარანგელოზი. ხის დიდი ეკლესია (XIX ს.).

ბარკული (სათესი).

თვალაური (სათესი).

კორტოხელა (სათესი).

კახანისოული (სათესი).

კალამკანი (სათესი).

სალაქაშია (სათესი).

სარბენა (სათესი).

ახვები (სათესი).

ჭერება (ღელე).

გალმა ჭაგანი

ჭურთავა (ღელე).

ოქონი (ნაცკლესიარი). „მანჯგალაძეების ეკლესია იყო, ხისა“ (გრ. მანჯგალაძე, გამოლმა ჭაგანი, 94 წ.).

ქაჯოური (სათესი). აზნაური ქაჯაიების იყო (გრ. მანჯგალაძე).
ლანირი
ლვთისმშობელი — ხის დიდი ეკლესია (XIX ს.). შემონახულია 1936 წელს.
ვატაშვილის დელფი.
ლვანიური (სათესი).
წყარო.
ლელვნარასლელი.
შეჩერი (სათესი).
ელიავას მინდორი.
წყაროსწყალი.
საწყინტია (სათესი).
დომირი (სათესი).
ძველი წმიდა გომირგი. ესეც ხის დიდი ეკლესია. დაცულია.
ახალი წმინდა გომირგი. ესეც ხის ეკლესია ყოფილა.
მოდინახე (ტყე, სათესი).
შავწყალა (ღელე).
ლოლობა (ღელე).
ქვეთავა (სათესი).
ზემო ტყე (სათესი).
ნაბორნევი (სათესი). აკაეშირებდა ღანირს და სარქაოს (აბაშის რ-ნი).

Ю. М. СИХАРУЛИДЗЕ

ИЗ МАТЕРИАЛОВ ИСТОРИЧЕСКОЙ ГЕОГРАФИИ ВАКЕ — ИМЕРЕТИ


(Самтредский р-н, ГССР)


Резюме

Ваке-Имерети — одна из областей Западной Грузии, историко-географическое изучение которой началось с 1976 года. В статью вошли часть историко-географических материалов (топонимика, материальная культура и др.), собранных в ходе полевых научных обследований.




ტ ა ბ უ ლ ი ე ბ ი






1



2



1



2.







1



2





2



5



4




10




9



8




3





7


VII


ՅԱՐԱՀԵՐԱ
ՅՈՒՆԱԿԱՆԱԳՐԻ














1.




2.



3.



4.



5.




6.




8.



9.



10.



11.



12.



13.



14.




15.



16.

XIII





1. დ. ბერძენიშვილი. Территориальные и географические названия в исторических надписях Триалети	28
2. ქ. გვასალი. Документы о земельных владениях в Триалети	29
3. ხ. მარგარითა. Феодальный род Орбадзели	56
4. მ. გამბაშვილი. Материалы к исторической географии дофеодального Тори	58
5. თ. თოდრია. Вопросы исторической географии Кизики	62
6. მ. მ. ბერძენიშვილი. Документы XVI—XVIII вв. о границах Кахетинского царства	72
7. ი. სიხარულიძე. Из материалов исторической географии Ваке-Имерети	102

